«ყველა პარტიას ჰყავს პატრონი... «ქართული ოცნება» უპატრონოდ ვართ» 9

«ივანიშვილს საქმე ისე მიჰყავს, მალე მისი ავტორიტეტი განულდება» 14

21 ვაის გაყრილები უის რომ არ შევეყაროთ


საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა
www.geworld.ge
№26 (213)
17 - 23 ივლისი, 2013

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი
gazeti@inbox.ru


ქართული მეღვინეობის განსანადგურებლად სააკაშვილმა ყველა ღონე იხმარა! 18

# ბატონო პრემიერო, უკვე მიდიხართ?!

„ივანიშვილის წასვლა ნიშნავს იმას, რომ უმრავლესობა, რომელიც დღეს ივანიშვილს ეკუთვნის, სააკაშვილის უმრავლესობა გახდება“.


11

## რა უნდა პრემიერს, ანუ ბრძოლა ისტორიისთვის 4


უქარქაშო ჰასლტუხები

## მალე დადგება მდინარე 6 კომადიანი ბიჭების...

## ირაკლი და ქილა ოცნება 2



## წააგე? წადი!

«იძულებულს გაგვხდიან, მაგ ამერიკელებსა და ევროპელებს კუდით ქვა ვასროლინოთ და კვლავ რუსეთს მივუბრუნდეთ» 10

## კოაბიტაცია ახალი პრეზიდენტის მოსვლის-თანავე დასრულდება



დავით ზურაბიშვილი: 8

## ქართველობა არ განისაზღვრება მხოლოდ მართლმადიდებლობით

«ცხინვალის ციხეში არ მინახავს ისე დამცირებული 12 ჩვენი პატიმრები, როგორც აქ, — ისინი ტყვეებს ჰგავდნენ»

15 «ნაცმოძრაობას» უოთხმაგებ დაფინანსებას? ეს რა კოაბიტაციაა?! ეს ავაზაკების აღზევებაა!»


13

აკაკი დარასელია: სამი პიროვნება უნდა დაიკითხოს: ავთო წერეთელი, მევის ქარდავა და გია დგებუაძე, იგივე მასტერა...

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ახალი ხელისუფლების, უფრო მეტიც, დღევანდელი პოლიტიკური ისტებლიშმენტის დიდ ნაწილს ხატოვანი აზროვნება აქვს, რასაც მათ პლიუსად ვერ ჩავუთვლით და ამ ხატოვანებაში ნატო იმავე როლს ასრულებს, რასაც გლახაკისთვის ქილა ერბო.**

# ირაკლი და ქილა ოცნება

*„საქართველო და მსოფლიოს“ ოცდამეხუთე ნომერში თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ ჟურნალისტის შეკითხვას „ბატონო ირაკლი, ნატოში საქართველოს შესაძლო მიღებასთან დაკავშირებით გვაინტერესებს, რამდენად შესაძლებელია, რომ საქართველოში ნატოს სამხედრო ბაზა განლაგდეს, მაშინ, როდესაც აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში უკვე არის რუსეთის სამხედრო ბაზები? ანუ შესაძლებლად მიგაჩნიათ თუ არა, რომ ერთ ქვეყანაში ერთდროულად იყოს ნატოსა და რუსეთის სამხედრო ბაზები?“ ასეთი პასუხი გასცა: „ეს კითხვა ვის მოუვიდა თავში? არასდროს არსად გამიგონია ასეთი შეკითხვა... თამამად შემიძლია გავიმეორო, რაც რასმუსენთან ერთად ვუთხარი ჩვენი შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებს — პრაქტიკულად, ჩვენი ჯარი უკვე ნატოშია“.*


«პრაქტიკულად, ჩვენი ჯარი უკვე ნატოშია»

ირაკლი ალასანია: მე არ ვთვლი «ნაციონალურ მოძრაობას» მტრად და მისი დამარცხება და განადგურება არ მიმაჩნია ჩემს მთავარ ამოცანად

## რას ვერჩოდი ირაკლი ალასანიას! უზნაძეს თუ დავუჯერებთ, დღეს ქართველები, რიგითიდან დაწყებული, პრემიერით დამთავრებული, იმ გლახაკსა ვგავართ, ქილა ოცნებას რომ მიარბენინებს...

აფსუს! როგორ დაგვაგლახაკა წუთისოფელმა, რომ თურმე ჩვენი ჯარი უკვე ნატოშია და ჩვენ ამის შესახებ არაფერი ვიცოდით. ხო, დაგვაგლახაკა, რადგან ან ჩვენ ვართ მართლა გლახაკები, ასეთი სიკეთე („ჩვენი ჯარი უკვე ნატოშია“) რომ არ ვიზეიმეთ, ან თავდაცვის მინისტრს, მომიტევეთ და, ორგანული ბოდვითი აშლილობა შეეყარა, რამეთუ ჰელმანდში არა დახოცილი ქართველი დაქირავებულები, არამედ ნატოში შესული ქართული ჯარი იხილა...

შევეშვათ თავდაცვის მინისტრის ჰალუცინაციებს. ეს ფსიქიატრების თავსატეხია. ჩვენ კი, რადგან სიტყვამ გლახაკი მოიტანა, სულხან-საბასეული პერსონაჟი, ქილა ერბოთი გამდიდრებაზე მეოცნებე გლახაკი გავიხსენოთ, რომელიც, ოცნებას აყოლილი, ქილა ერბოსაც ამსხვრევს და გამდიდრების იმედსაც კარგავს... **დღევანდელ სინამდვილეს ეიფორიის გარეშე, ობიექტური თვალით რომ შევხედოთ, ჩვენდა სამწუხაროდ, აღმოჩნდება, რომ ქილა ერბოიანი, უფრო ზუსტად კი, ქილა ოცნებიანი გლახაკი თანამედროვე ქართველის კლასიკურ არქეტიპად იქცა.**

თანაც ამ არქეტიპის კრიტერიუმებში არა მხოლოდ პირდაპირი გაგებით გლახაკები, არამედ სავსებით წარმატებული, ძალაუფლებით მოსილი ადამიანებიც ხვდებიან. ასე მაგალითად, **წარმატებული ქართველი ახალგაზრდა, სულ ახლახან პრეზიდენტობის თვალსაჩინო კანდიდატი, ზუგდიდში სამარცხვინო წაგების შემდეგ კი თავდაცვის მინისტრად ჩამოლაბორანტებული ირაკლი ალასანია ისე ეჭიდება ნატოს და საქართველოს „ისტორიული ევროპული არჩევანის“ ცრუ იდეებს, რომ, თუ ნატოს გენმდივან რასმუსენს დავუჯერებთ, ალასანიას ქილა ოცნებასაც იგივე ბედი ელის, რაც საბასეული გლახაკის ქილა ერბოს.**

ასეთი წარმატებული ადამიანის, საქართველოს თავდაცვის მინისტრის, ბიოგრაფიაც კი შეიძლება გლახაკისეული ქილა ერბოს ფინალით დასრულდეს, თუკი ბატონი ალასანია ნატოზე ოცნებას აიკვიატებს, გონებას არ ჩართავს და იბერიის ბრიუსელიდან გაბრწყინების უტოპიურ იდეებს არ გამოიფერთხავს.

ორგზის სამწუხარო კი ისაა, რომ **ახალი ხელისუფლების, უფრო მეტიც, დღევანდელი პოლიტიკური ისტებლიშმენტის დიდ ნაწილს ხატოვანი აზროვნება აქვს, რასაც მათ პლიუსად ვერ ჩავუთვლით და ამ ხატოვანებაში ნატო იმავე როლს ასრულებს, რასაც გლახაკისთვის ქილა ერბო.**

გლახაკისეული ქილა ერბოს ამბავს ჰგავს კოაბიტაციაც იმ „ნაცმოძრაობად“ წოდებულ ბანდასთან, რომლის რეალური რეიტინგიც 3 პროცენტს არ აღემატება და რომლის არა მხოლოდ გადარჩენას, არამედ მთავარ ოპოზიციურ ძალად წარმოჩენას ასე ინტენსიურად ცდილობს პრემიერი ივანიშვილი. **რომც მიაღწიოს პრემიერმა კოაბიტაციას ბანდიტ „ნაციონალებთან“, რომელთაც მოსახლეობის 3 პროცენტი თუ უჭერს მხარს, საინტერესოა, რა პასუხი უნდა გასცეს მან დანარჩენ 97 პროცენტს, რომელიც მუდმივად უკმაყოფილო იქნება და პრემიერის ახირებით განრისხებული გამუდმებით ქუჩისა და აქციებისკენ დაიჭერს თვალს?** ეს მასა გაგებით ვერ მოეკიდება ბანდიტების გულში ჩახუტებას და... ივანიშვილის ხელისუფლებაც იძულებული გახდება, სკამის შესანარჩუნებლად სააკაშვილის მეთოდები გამოიყენოს — დაარბიოს მიტინგები, ფარული ჩანაწერებითა თუ სხვა ბრუტალური (ხელკეტი, ცოცხი, სკამის ფეხი) მეთოდებით გაანეიტრალოს ოპონენტები, მოისყიდოს, ციხეში ჩააყუდოს ან სულაც გააუპატიუროს მეტოქენი.

ერთი სიტყვით, უზნეობა („ნაციონალური მოძრაობის“, როგორც დამნაშავე რეჟიმის, არგასამართლება და მათთან კოაბიტაცია კი უზნეობაა) შობს უზნეობას, ბილწთან ზავით შეკვრა მხოლოდ სიბილწეს განამრავლებს. ეს აქსიომაა და, ვისაც სჯერა, რომ „ნაცებთან“ ფლირტი, კურკური და წაწლობა რამე ხეირს მოგვიტანს, ის არაფრით განსხვავდება ქილა ერბოს იმედით გამდიდრებაზე მეოცნებე გლახაკისგან. ეს ქილა ერბო აუცილებლად დაიმსხვრევა იმ 97 პროცენტის მრისხანებაზე, რომელმაც ივანიშვილს სააკაშვილისა და მისი ბანდიტების ამოშანთვის იმედით მისცა ხმა, მან (ივანიშვილმა) კი, ჯალათების დასჯის მაგივრად, საკუთარ ამომრჩეველს ყველაზე ცუდი კოშმარი აუხდინა და რესპუბლიკელებისა და „ნაცმოძრაობის“ ტანდემი თავზე წამოასკუპა.

ასე რომ, **პრემიერმა, რომელმაც ძაღლი და ძაღლთაპირი მოკლა (დიდი მადლობა მას ამისთვის), კეთილი ინებოს და ეს ძაღლი თავადვე გაათრიოს... არა კოაბიტაციით, არა მოფერებით, არა შენი ჭირიმე შენ გენაცვალეთი გაიტანოს საპრეზიდენტო ვადის კანონიერად გასვლის შემდეგ, არამედ გაათრიოს და ნაგავსაყრელზე უეპიტაფიოდ დაფლას.**

**ამისთვის, მხოლოდ ამისთვის მისცა ხალხმა ხმა ივანიშვილს და არა იმისთვის, რომ სააკაშვილის ემისარი რესპუბლიკელები დაგვესვა თავზე და ირაკლი ალასანიას გლახაკის ქილა ერბოსავით დამსხვრეული ოცნებები გვესმინა ივერიის ნატოში შესვლისა და შემდგომ გაბრწყინების თაობაზე.**

შუა გზაზე საქმის მიტოვება არ არის კარგი საქმე, ეს მით უმეტეს არ არის მოსაწონი რამდენიმე მილიარდიანი კაპიტალის მქონე ბიზნესმენისთვის, ვისაც საქმიან წრეებში, ზოგი ვერსიით, ზვიგენის, ზოგით კიდევ პითონის სახელით იცნობენ... მართალია, ჯერ კიდევ დიმიტრი უზნაძემ დაგვისვა დიაგნოზი: **„აქტიური ხასიათი, ძლიერი ნება — აი, რა აკლია ქართველობას და ჩვენი აღზრდის სისტემაც მარტო აქეთ უნდა იყოს მიმართული. ჩვენ მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ გლახები და მონები იმიტომ კი არა ვართ, რომ ღატაკნი ვართ, არამედ ღატაკნი მიტომ ვართ, რომ გლახები და მონები გახლავართ, და თუ რამ გვჭირია, ყოვლის უწინარეს, აქტიური ხასიათია ჩვენთვის საჭიროო“.** და ერთი ჩვეულებრივი საშუალოსტატისტიკური ქართველისგან არათანმიმდევრულობა არ იქნებოდა გასაკვირი, მაგრამ **ბიძინა ივანიშვილისგან ნამდვილად გასაკვირია, რომ მან ვერც ერთ თავის დაპირებასთან დაკავშირებით ვერ გამოავლინა ძლიერი ნება და მტკიცე ხასიათი...**

**დაგვპირდა, გავანახევრებ კომუნალურ ტარიფებსო? დაგვპირდა! შეასრულა?! შუაგზაზე მიატოვა ეს საკითხი...**

**დაგვპირდა, ბენზინს მნიშვნელოვნად გავაიაფებო? დაგვპირდა! ეს საკითხიც შუა გზაზე მიატოვა...**

**რუსეთთან ურთიერთობას დავალაგებო, დაგვპირდა და შუა გზამდეც ვერ მივედით...**

**აფხაზებთან და ოსებთან დავალაგებ საქმეებსო და ზაქარეიშვილის მონოტონურ მონოლოგებს ვერ გავცდით...**

**ავღანეთში ჩვენი ბიჭების ყოფნის მიზანშეწონილობას გადავხედავო და... თვე არ გავა, ჰელმანდიდან „გრუზ 200“ არ ჩამოვასვენოთ...**

**დაგვპირდა, რეჟიმის დემონტაჟს მოვახდენ და სამართლიანობას აღვადგენო? დაგვპირდა! შეასრულა? სააკაშვილი კვლავ პრეზიდენტია და დუჟისყრით იმუქრება; უგულავა კვლავ მერია და ამაყად დაყელყელაობს; აღმასრულებელ, საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებაში უმრავლესობაში კვლავ სააკაშვილის ხელქვეითები არიან. თვით კოალიცია „ქართულ ოცნებაშიც“ კი სააკაშვილის ემისრები ჭარბობენ... ნუთუ ეს არის რეჟიმის დემონტაჟი?!**

კი, თავისი 80 მილიონი დაიბრუნა პრემიერმა და, ვინც „ქართუბანკს“ აკოტრებდა, ისინიც დააჭერინა, მაგრამ, სააკაშვილისგან ქონებაწართმეულო, გაკოტრებულო, ჯიბიდან უკანასკნელ კაპიკამოცლილო ამომრჩევლებო, რომელ თქვენგანს დაგიბრუნეს ციხის საკანში შუაღამისას ადეიშვილის მითითებით გადაფორმებული წილი? წართმეული მარჩენალი სწრაფი კვების ჯიხური? საპროცესო გარიგების სანაცვლოდ „შეწირილი“ აგარაკი ან ფრჩხილების დაძრობის შემდეგ წართმეული მიწის ნაკვეთი, მანქანა ან თუნდაც უბოდიშოდ დაყადაღებული ანგარიშიდან მოხსნილი თანხა?

არა, არა, და არა! მაშ, სად არის სამართლიანობის აღდგენა?

**ნუთუ ეს არის ქართული ოცნება? ან იქნებ ისაა ქართული ოცნება, სააკაშვილის ზონდერები გარეთ რომ დადიან, ხოლო მართლმადიდებელ მღვდლებს გიგა ბოკერიას ისტერიული მეუღლის მითითებით რომ ასამართლებს ახალი ხელისუფლება?! ამ მღვდლებმა მხოლოდ ის დააშავეს, რომ ბიბლიური ჭეშმარიტება შეგვახსენეს – სოდომია არის ცოდვა! ამ მღვდლებმა მხოლოდ ის დააშავეს, რომ ასობით მათნაირი ანაფორიანის ქადაგებით, შემართებით დაირაზმა მრევლი და ერთსულოვნად მისცა ხმა ბიძინა ივანიშვილს, ამ უკანასკნელმა კი სააკაშვილის ემისარი რესპუბლიკელები ქართველობის „თავსა ზედა მჯდომარედ“ აქცია...**

მეეჭვება, ეს იყოს არათუ ქართული, თუნდაც სომალური ოცნება, ეს უფრო უზნაძისეულ შეფასებას ჰგავს — **„ქართველს აკლია დაჟინებითი მისწრაფება ერთხელ დასახული მიზნის განხორციელებისკენ, რომელსაც ვერავითარი დაბრკოლება და სიძნელე ვერ სპობს; მუდმივი, დაუღალავი შრომის უნარი, თავდავიწყებით ჭაპანის წევა, პატარა საქმეების ისეთივე სერიოზულობით კეთება, როგორც დიდი საქმეებისა, ქართველ ხალხს ეს თვისება არ აქვს“.**

როგორც ჩანს, ბიძინა ივანიშვილი (უზნაძის მიხედვით) ყველა ქართველზე ნამდვილი ქართველია...

როდესაც პოლიტიკაში მოსვლის შესახებ განაცხადა, ივანიშვილმა იქვე გამოყო (და სავსებით სამართლიანად) კეთროვანთა კასტა ქართულ პოლიტიკაში — ქდმ და ჰალსტუხიანი ხვლიკი...

**დიდ დაპირებებსა და გეოპოლიტიკურ ვალდებულებებს ვინ ჩივის, უზნაძის მიხედვით, „ყველა ქართველზე ნამდვილმა ქართველმა“ პრემიერმა „აქტიური ხასიათისა და ძლიერი ნების“ არქონის გამო, ისეთ „პატარა საქმესაც“ ვერ მოაბა თავი, როგორიც კეთროვანთა თავკაცის — გიორგი თარგამაძის პოლიტიკურ ლეპროზორიუმში იზოლაციაა...**

ფაქტი სახეზეა — თარგამაძის ექსტუბაცია წარმატებით მოახერხა ნორლანდმა და მალე მასაც ისევე დაგვინიშნავს წარმატებულ არასაპარლამენტო ოპოზიციად, როგორც სააკაშვილის ბანდა დაგვინიშნა მნიშვნელობით მეორე ძალად, ხოლო სააკაშვილის ემისარი რესპუბლიკელები — „ქართული ოცნების“ ბირთვად.

**რას ვერჩოდი ირაკლი ალასანიას! უზნაძეს თუ დავუჯერებთ, დღეს ქართველები, რიგითიდან დაწყებული, პრემიერით დამთავრებული, იმ გლახაკსა ვგავართ, ქილა ოცნებას რომ მიარბენინებს...**

ნიჭიერი ხალხი ვართ ქართველები!...თუ პრემიერმა დანაპირები ნაწილობრივ მაინც არ შეასრულა, წლის ბოლოს კიდევ პოლიტიკიდან გაიხიზნა და ქვეყანა სააკაშვილის ემისრებს დაუტოვა, ქართველ ხალხს ეყოფა ნება, ამ „პატარა საქმესაც ისეთივე სერიოზულობით მოეკიდოს, როგორც დიდს“, კიდევ ერთხელ გამოვიდეს ქუჩაში და ტაბურეტების რევოლუციის მოწმენიც გავხდებით....

**ასე რომ, დროა, შევეშვათ ჩვენი ქილა ოცნებებით თბილისსა და ბრიუსელს შორის შლიგინს, ნორლანდის მონობას, სააკაშვილის გულში ჩახუტებას, რესპუბლიკელების გაპარპაშებას... რეჟიმი უნდა გასამართლდეს!**

**გიორგი მაისურაძე**

**უცხო სახელმწიფოებს ხელს აძლევთ, რომ ქართული პოლიტიკური ოლიმპოს მწვერვალზე მოხვდეს რაც შეიძლება ნაკლები მოაზროვნე, დაღვინებული ადამიანი, რომელსაც საკუთარი თავის გაკონტროლება შეუძლია. გაუნათლებელი, სექსზე კონცენტრირებული, პრინციპების არმქონე ლოთებისა და ნარკომანების მართვა გაცილებით იოლია.**

დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ახალი ქართველი თუ იდეალური ღორი?

**გასულ კვირას მოლდოვის დედაქალაქ კიშინიოვში მიხეილ სააკაშვილი ღამის კლუბს ესტუმრა. ამჯერად ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა — პერანგი არ შემოუხევია, საფერფლეები არ უტყორცნია და არც მოცეკვავე გოგონებს დასხმია თავს. კი, ბატონო, ქანაობდა, მთლად გამართულად ვერ მეტყველებდა და უცნაური ჟესტიკულაციით დამსწრე ახალგაზრდებს ახალისებდა, მაგრამ ისეთ ეპიკურ სირცხვილს და თავის მოჭრას, როგორც თავის დროზე მახათას მთაზე, ადგილი ნამდვილად არ ჰქონია.**



სააკაშვილს, პრინციპში, არაფერი დაუშავებია. ის, უბრალოდ, მივიდა იქ, სადაც მოლდოველმა მასპინძლებმა დაპატიჟეს და შეეცადა, შეძლებისდაგვარად გამართულად ევროინტეგრაციაზე ორიოდე სიტყვა ეთქვა. სივრცე, რომელსაც მოლდოვური მედია მოიხსენიებს, როგორც „ელიტურ ღამის კლუბს“, ძლიერ მოაგონებდა 80-იანების პროვინციულ დისკოტეკას, რომელიც სადღესასწაულოდ საჰაერო ბუშტებით მორთეს, იქ შეკრებილი ახალგაზრდები კი მოლდოვას ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიის აქტივისტები იყვნენ. ასე იყო თუ ისე, **მიხეილ სააკაშვილი თავისთვის კომფორტულ გარემოში მოხვდა და ეს წერილი ეხება არა მხოლოდ და არა იმდენად მას, რამდენადაც სრულიად პოლიტიკური ელიტის გემოვნებას, ღირებულებებსა და ფარულ ვნებებს.**

წარმოვიდგინოთ, რომ ჩვენ ვხედავთ საგაზეთო სათაურის ნაწილს „მიხეილ სააკაშვილმა მილანში...“. უმრავლესობა, ძალიან დიდი ალბათობით, იფიქრებს, რომ გაგრძელებაა „მაღაზიები მოიარა“ (როგორც ეს რეალურად 2012-ში მოხდა) ან კიდევ „დებოში მოაწყო“ (რაც, მედიის ცნობით, არაერთგზის და არაერთგან მომხდარა), მაგრამ არავის აზრადაც არ მოუვა, რომ მთლიანი სათაური ასე გამოიყურება „მიხეილ სააკაშვილმა მილანში უმბერტო ეკო მოინახულა“ ან კიდევ „ლეონარდოს ხელნაწერები დაათვალიერა“; ყოველივე ეს მისგან და ქართველი პოლიტიკოსების დიდი ნაწილისგან ძალზე შორსაა.

**მრავალწლიანი დაკვირვება ქართულ პოლიტიკურ ელიტაზე ცხადყოფს, რომ მისი წარმომადგენლების უმრავლესობისთვის სიამოვნებათა პირამიდის მწვერვალზე ნარკოტიკები, ალკოჰოლი, გულისამრევი სექსუალური თავაშვებულობა და მოოქროვილი აქსესუარების ფლობის სურვილია.** მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ პოლიტიკაში ყოფნა, **სხვა ყველაფერთან ერთად, ძირითადი და სათადარიგო ინსტინქტების მოთოკვასაც გულისხმობს, მხოლოდ ერთეულები იზიარებენ, დანარჩენები კი განიხილავენ მას, როგორც სრული დაკმაყოფილების საშუალებას.**

ყველაზე საინტერესო კი, ალბათ, ისაა, რომ ფინანსური საშუალებები მათ შესაძლებლობას აძლევს, ვნებები ზედმეტი ხმაურის გარეშე დაიკმაყოფილონ (თუ ვერ უმკლავდებიან). მაგრამ ისინი ამას საკმაოდ ხშირად ისე აკეთებენ, რომ დილით მთელმა თბილისმა იცის, „ვინ, რა, ვისთან და როგორ“. **ისინი იქცეოდნენ ასე იმ პირობებშიც კი, როდესაც ცხადი იყო, რომ სააკაშვილის პოლიცია პოლიტიკოსებზე კომპრომატს აგროვებდა, თითქოსდა, რაღაც მომენტში, საღი აზროვნების უნარს კარგავდნენ ან კიდევ, თვითდამკვიდრების წყურვილი უბიძგებდათ, მოქმედება, ნაწილობრივ მაინც, საჯარო გაეხადათ.**

დიდი პოლიტიკა და სტრატეგიული დაგეგმარება ისეთ სულიერ აღმაფრენას უკავშირდება, რომელსაც ვერც ერთი ნარკოტიკული საშუალება ვერ გამოიწვევს. თუმცა იმისათვის, რომ ამ ინტელექტუალური თამაშებისგან სიამოვნება მიიღოს, პიროვნება განვითარების ცოტა უფრო მაღალ საფეხურზე უნდა იდგეს, ვიდრე ის პოლიტიკოსები, რომლებზეც ახლა ვსაუბრობთ. მათთვის პოლიტიკისგან მიღებული სიამოვნება, როგორც წესი, ბავშვობიდან მომავალ კომპლექსებს და ადამიანების დაუსჯელი ჩაგვრის წყურვილს უკავშირდება, რომელმაც განსაკუთრებით ბოლო წლებში ქართული პოლიტიკა სადომაზოხისტურ ბორდელს დაამსგავსა.

**უცხო სახელმწიფოებს ხელს აძლევთ, რომ ქართული პოლიტიკური ოლიმპოს მწვერვალზე მოხვდეს რაც შეიძლება ნაკლები მოაზროვნე, დაღვინებული ადამიანი, რომელსაც საკუთარი თავის გაკონტროლება შეუძლია. გაუნათლებელი, სექსზე კონცენტრირებული, პრინციპების არმქონე ლოთებისა და ნარკომანების მართვა გაცილებით იოლია.** არსებობს მოსაზრება, რომ საქართველოსნაირ სუსტ ქვეყნებს არ აქვთ იმის ფუფუნება, რომ მეტ-ნაკლებად ჯანსაღი პოლიტიკური ელიტა ჰყავდეთ და უცხო ძალების უნებისყოფო, კოკაინით გაბრუებული მარიონეტებით უნდა დაკმაყოფილდნენ. **გონიერმა, კარგი გაგებით, „არასტანდარტულმა“ ადამიანმა პატარა ქვეყნიდან, რომელსაც პლატონის გადაკითხვა უფრო დიდ სიამოვნებას ანიჭებს, ვიდრე მოოქროვილი „როლექსი“ ან მთვრალი მეძავი პლასტმასის პალმის ქვეშ, ზესახელმწიფოების ინტერესებს შეიძლება უფრო დიდი საფრთხე შეუქმნას, ვიდრე ერთი შეხედვით ჩანს. ეს მართლაც ასეა და ამას, ალბათ, არ უნდა შევეგუოთ.**

ცხადია, ოცნებები იდეალურ რესპუბლიკაზე, რომელსაც სუპერზნეობრივი ფილოსოფოსები მართავენ, არაფერს გვარგებს, მსგავსი ექსპრიმენტები ძალიან ცუდად სრულდება, მაგრამ, **თუ პოლიტიკოსი ღორივით იქცევა, ამის შესახებ ხმამაღლა უნდა ითქვას, რადგან ის, საბოლოო ჯამში, პრობლემას ქვეყნის უსაფრთხოებას უქმნის.** მართალია, სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფას ვერიდებით და ჩვენთან ვერასოდეს დამკვიდრდება პოლიტიკოსების პირადი ცხოვრების ამერიკული ან ირანული ტიპის კონტროლი, მაგრამ გარკვეული ზღვარის გავლება, ალბათ, მაინც აუცილებელია.

მთავარი პრობლემა კი გაცილებით სერიოზულია. **სააკაშვილის მმართველობის წლებში სიტყვა „წარმატება“ მოქმედების შემდეგ ალგორითმს დაუკავშირდა — მოიხვეჭე რაც შეიძლება მეტი და დაუყოვნებლივ დაიკმაყოფილე ყველა სურვილი, რომელიც გაგიჩნდება, თანაც ნებისმიერ ფასად, თუნდაც სხვა ადამიანის გაუბედურების ხარჯზე.** ვიდრე პოლიტიკურ ელიტაში და საზოგადოების დიდ ნაწილში მსგავსი მიდგომა დომინირებს, საქართველო ვერასოდეს მოიგებს ომს, მუდამ გაჭირვებული და დამცირებული იქნება.

საინტერესოა, რომ ბოლო დროს დახასიათება „პატიოსანი“ ან კიდევ „მშრომელი“, როგორც წესი, ირონიულ დატვირთვას ატარებს, ხოლო იმ შემთხვევებში, როდესაც ასე არ არის, თანამოსაუბრეებს უჭირთ იმის დაჯერება, რომ ამ ქვეყანაში კიდევ დარჩა ვინმე მშრომელი და პატიოსანი, სადღაც იქ, საზოგადოებრივი ცხოვრების პერიფერიაზე, სადაც სააკაშვილის რეჟიმის მიერ გარიყული და ყველასგან მივიწყებული „ლუზერები“ ცხოვრობენ.

თავზე ნაცრის წაყრას აზრი არ აქვს; საჭიროა შეტევა ამორალური, ძარცვა-გლეჯაზე ორიენტირებული პოლიტიკური ელიტის, პროსტიტუირებული „საზოგადო მოღვაწეების“ და მათი ღირებულებების წინააღმდეგ. **მართალია, სააკაშვილის რეჟიმი დაიმსხვრა, „ნაციონალების“ ბელადი პოლიტიკიდან მიდის და მას სტვენით აცილებენ, მაგრამ „მენტალური რევოლუცია“, რომელიც მან დაიწყო, შეჩერებული არ არის. „ახალი ქართველი“, უფრო სწორად კი „იდეალური ღორი“, რომლის გამოყვანა სააკაშვილს უნდოდა, ჯერ კიდევ ინარჩუნებს შანსს, ქვეყანაში დომინანტური პოპულაცია შექმნას.**

არსებობს ანბანური ჭეშმარიტებები, რომელთა ჩამოთვლას აზრი, ალბათ, არ აქვს — **„ყველაფერი განათლების რეფორმით იწყება“, „ჰუმბოლდტის რეფორმის გარეშე გერმანია ვერ გაერთიანდებოდა“** და ა. შ. ეს ყველაფერი სწორია, თუმცა ამ თემაზე საუბრების ბოლოს, როგორც წესი, ხდება ყველა წარმოსადგენი მისიის დელეგირება მომავალ, უნაკლოდ აღზრდილ თაობაზე და ეს საკუთარი პასიურობის გამართლების ერთ-ერთი დახვეწილი საშუალებაა. **რაღაც უნდა გაკეთდეს „აქ და ახლა“ და არა მას შემდეგ, რაც საიდანღაც გამოიჩეკება ქართველი ჰუმბოლდტი და, ყველა შემაფერხებელი ფაქტორის მიუხედავად, თავის რეფორმას ჩაატარებს, რისი იმედიც პირადად მე არ მაქვს.**

ის ლეგენდარული რეფორმა შესაძლებელი გახადა იმან, რომ პრუსიელმა მაღალჩინოსნებმა მისი აუცილებლობა გააცნობიერეს და საკუთარი ინტერესების შეზღუდვის ხარჯზე, რეფორმატორს მოქმედების შესაძლებლობა მისცეს. **„თქვენო უდიდებულესობავ, უსაფრთხოება პოეზიას ეფუძნება“,** — წერდა მეფეს 1808-ში უდიდესი სამხედრო რეფორმატორი ავგუსტ ფონ გნეიზენაუ, მაშინ, როდესაც ნაპოლეონთან ომში დამარცხებულ პრუსიის ჯარს საბიუჯეტო სახსრები ჰაერივით სჭირდებოდა. **„თუ ჩვენი შვილიშვილები ოდესმე თავისუფალნი გახდებიან, ეს ფილოლოგიის მეშვეობით მოხდება“,** — წერდა ამავე წელს ისტორიკოსი ბარტოლდ გეორგ ნიბური მინისტრ (მაშინ ფინანსთა, შემდგომ კი განათლების) კარლ ალტენშტაინს. საბოლოოდ ყველა ამ მოღვაწემ ერთად მიიყვანა ფრიდრიხ ვილჰელმ III შემდეგ ფორმულირებამდე: **„სახელმწიფომ დაკარგული მატერიალური რესურსები ინტელექტუალური ძლიერებით უნდა აანაზღაუროს“.** დაიწყო რეფორმა, რომელმაც გერმანიის მომავალ გამთლიანებასა და დიდებას საფუძველი ჩაუყარა. **„პრუსია და გერმანია გადარჩება, თუ ყველანი ერთად შევძლებთ სწრაფვას დიადი მიზნებისკენ“,** — წერდა ვილჰელმ ჰუმბოლდტი. პრუსიის ელიტამ შეძლო დაენახა ეს დიადი საერთო მიზანი და ის საკუთარ ამბიციებზე მაღლა დააყენა.

საინტერესოა, რას მიაღწევდა ჰუმბოლდტი, თუ იმ ქართველი პოლიტიკოსების გარემოცვაში აღმოჩნდებოდა, რომელთა ძირითადი პრინციპებია „ფული, ბაბა, ფული“ და „სადაა ჩემი წილი (თანამდებობა)“? რამდენ ხანს გაძლებდა? გადარჩებოდა თუ არა საერთოდ?

**დღეს ბევრი მოქალაქე ელოდება, რომ ბიძინა ივანიშვილი გაასუფთავებს პოლიტიკურ არენას, როგორც ჰერაკლე ავგიას თავლებს და ეს, ალბათ, ძალიან არასწორი მიდგომაა, რომელიც ისევ და ისევ სამოქალაქო პასიურობას ამართლებს. ერთი ადამიანი ამას ნებისმიერ შემთხვევაში ვერ გააკეთებს, რა თანამდებობაც უნდა ეკავოს და რა გეგმებიც უნდა ჰქონდეს. იმ შემთხვევაში, თუ არ იქნება ძლიერი, ყველასათვის იოლად გასაშიფრი იმპულსი „ქვემოდან“ ამორალური პოლიტიკური ელიტის უსაფრთხოებასა და კეთილდღეობას, სავარაუდოდ, არაფერი დაემუქრება.**

ეს მით უფრო აქტუალურია იმ პირობებში, როდესაც დასავლელმა პარტნიორებმა (მათი მოტივები ცალკე საუბრის თემაა) შეიძლება მიაღწიონ ფაქტობრივ ამნისტიას სააკაშვილის რეჟიმის წარმომადგენლებისთვის. ეს კი პოლიტიკოსებში კიდევ უფრო გააძლიერებს „დაუსჯელობის სინდრომს“, რომელსაც ასე ხშირად ვახსენებთ. ახლახან მათ პროკურატურისგან ახალი საჩუქარი მიიღეს — არჩილ კბილაშვილის ცნობით, **„პროკურატურა სტანდარტად იღებს, რომ არაძალადობრივი დანაშაულისას თავი შეიკავოს დაკავება-დაპატიმრებისგან, როდესაც ამის კრიტიკული აუცილებლობა არ არის“.** ამ ინიციატივას მხარი ამერიკელმა პარტნიორებმა დაუჭირეს. პრაქტიკულად ეს, სავარაუდოდ, ასეთ შედეგს მოიტანს: **მაღალჩინოსანი ბრალდებულები პრაქტიკულად უპრობლემოდ გაიპარებიან ქვეყნიდან და ამათ მიერ მოპარულ ფულსაც, სავარაუდოდ, ვერასოდეს დავიბრუნებთ. აშშ-ს მსგავს სიტუაციებში შეუძლია მათთვის საინტერესო პირი „მიწიდან ამოთხარონ“, ყოველ შემთხვევაში, მისი ადგილსამყოფელი დაადგინონ და იმ ქვეყნებზე, რომელთაც თავს აფარებს, სერიოზული ზეწოლა მოახდინონ. საქართველოს შესაძლებლობები კი, ამ მხრივ, განუზომლად მწირია. ცხადია, ეს მხოლოდ ერთი, ტექნიკური ხასიათის ნიუანსია, თუმცა ის საკმაოდ სიმპტომატურია.**

**პოლიტიკოსებმა უნდა იგრძნონ, რომ ამომრჩეველი მათ გაცილებით მკაცრად აკონტროლებს, ვიდრე ოდესმე საქართველოს უახლეს ისტორიაში; მათ არც ერთი, თუნდაც მცირე ტყუილი და ამორალური ქმედება არ უნდა შერჩეთ, დანაშაულზე ხომ საუბარი ზედმეტია. ასეთი დამოკიდებულების ჩამოყალიბება საზოგადოებაში სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ დემოკრატიული რევოლუცია გაგრძელდეს.**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სააკაშვილის რეჟიმმა თავსატეხი არა მხოლოდ მომავლის ქართველ ისტორიკოსებს, არამედ დასავლელ პოლიტიკოსებსა და პოლიტოლოგებსაც გაუჩინა. მათ, უბრალოდ, არ იციან, რომელი კლასიფიკაციის ჩარჩოებში მოაქციონ ეს პათოლოგია და როგორ აღწერონ ის, მით უმეტეს, რომ თავის დროზე მას სანიმუშოდ წარმოაჩენდნენ.**

# რა უნდა ივანიშვილს, ანუ ბრძოლა ისტორიისთვის

**საქართველოში თითქმის ყველა დარწმუნებულია, რომ მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკური კარიერა დასრულდა და იმ შემთხვევაშიც კი, თუ მას მომავალთან დაკავშირებით რაიმე ილუზიები აქვს, დღეს ის კონცენტრირებულია იმ ადგილზე, რომელსაც საქართველოს ისტორიაში მომავალი თაობების შეფასებებში დაიმკვიდრებს; ეს მოტივი მის ბოლოდროინდელ განცხადებებში ნამდვილად იგრძნობა.**
**რაც შეეხება ბიძინა ივანიშვილს, აშკარაა, რომ ის არაერთგზის სერიოზულად დაფიქრებულა კვალზე, რომელსაც ისტორიაში დატოვებს. პოლიტიკური ბრძოლა ამ ორ მოღვაწეს შორის, პრაქტიკულად, დასრულებულია. მიხეილ სააკაშვილმა სრული კრახი განიცადა, მაგრამ ჭიდილი ადგილისთვის ისტორიაში კიდევ საკმაო ხანს გაგრძელდება და მას ათასი ვერსია და ინტერპრეტაცია დაუკავშირდება.**



## უქარქაშო ჰალსტუხები

დღეს არაერთი მოქალაქე უკიდურესად აღშფოთებულია იმის გამო, რომ „ნაციონალების“ ნაწილი კვლავინდებურად ცდილობს, მიხეილ სააკაშვილი პროგრესულ ლიდერად წარმოაჩინოს. მიუხედავად იმისა, რომ მათ თითქმის ყოველდღე ცხვირწინ რეჟიმის ამაზრზენი დანაშაულის ამსახველ ვიდეოფირებს თუ დოკუმენტებს უდებენ, თავისას მაინც არ იშლიან და იყენებენ არგუმენტებს, რომელთაც პენსიაზე გასული ნაცისტებიც კი ერიდებოდნენ, დაახლოებით ასეთს: **„კი, ადამიანებს აწამებდნენ, მაგრამ ასფალტი ხომ დაიგო?!“**

აქ, ალბათ, უნდა გავაცნობიეროთ, რომ **ყოველივე ეს, არა იმდენად მიხეილ სააკაშვილის, რამდენადაც საკუთარი თავის, საკუთარი ცხოვრების საუკეთესო 10 წლის დაცვაა. ნებისმიერი ადამიანისთვის ძალზე რთულია იმის დაშვებაც კი, რომ ამდენი წელი დიდი ბოროტების თანამონაწილე იყო.** მიუხედავად იმისა, რომ ოპონენტები მათ ხშირად ტვინგამორეცხილ ზომბებად წარმოაჩენენ, ალბათ, უნდა შევთანხმდეთ, რომ ისინიც ჩვეულებრივი ადამიანები არიან და მარადიულ კითხვებზე არაერთგზის დაფიქრებულან, უბრალოდ, საკუთარი წარსულის კრიტიკული გააზრება არც ისე იოლია და გაცილებით დიდ დროს მოითხოვს. **პოლიტოლოგი ტომას ჰანდრიხი, რომელმაც შეისწავლა და ბრწყინვალედ აღწერა გერმანიის დენაციფიკაციის ისტორია, მიიჩნევს, რომ წარსულის გააზრება და დისტანცირება მისგან გერმანული საზოგადოების დიდმა ნაწილმა მხოლოდ 50-იანი წლების მიწურულს დაიწყო. იქამდე კი ის განიხილავდა დენაციფიკაციას, როგორც რაღაც უცხოს, გარედან შემოტანილს, მოკავშირეების ერთ-ერთ ინსტრუმენტს, რომელსაც დამარცხებული გერმანიის გარდაქმნისთვის იყენებდნენ. საჭიროა მეტი დრო; რამდენიმე თვეში მსგავსი გარდატეხა მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში არ მომხდარა და, ბუნებრივია, არც საქართველოში მოხდება.**

ალბათ, უკვე ყველასთვის, მათ შორის სააკაშვილის ყველაზე თანმიმდევრული მომხრეებისთვისაც, აშკარაა, რომ მისი წარმოჩენა დემოკრატ ლიდერად მომავლის ისტორიის სახელმძღვანელოებში ვერ მოხერხდება, ამის საწინააღმდეგოდ უამრავი ფაქტი მუშაობს. ამიტომ ექსპერტები მისი პოლიტიკური მრევლიდან სულ უფრო ხშირად საუბრობენ **„განვითარების დიქტატურაზე“, „ავტორიტარული მოდერნიზაციის რეჟიმზე“** და ეძებენ ადგილს მიხეილ სააკაშვილის პორტრეტისთვის **„პროგრესული დიქტატორების“** გალერეაში, სადღაც იქ, პინოჩეტსა და პაკ ჩონ ხის შორის. თუმცა მათ ხელს სამი გარემოება უშლის: ჯერ ერთი, სააკაშვილს არ აქვს ისეთი ეკონომიკური მიღწევები, როგორც „ავტორიტარი მოდერნიზატორების“ აბსოლუტურ უმრავლესობას, თანაც ეკონომიკა ვერასოდეს გახდება შეფასების ერთადერთი კრიტერიუმი; ასე, **ლავრენტი ბერიამ საქართველოში გაცილებით მეტი ახალი საწარმო გახსნა, ვიდრე სააკაშვილმა — შადრევანი, მაგრამ 30-იანი წლების ამ პოლიტიკოსის მმართველობის შეფასების დროს, მისთვის საუკეთესო შემთხვევაშიც კი, ეს გარემოება პერიფერიულ ხასიათს ატარებს. ამასთანავე, სააკაშვილმა წააგო ომი და დაკარგა ტერიტორიები, რასაც ისტორიკოსები** (და მომავალი თაობები) **არავის აპატიებენ, მით უმეტეს, რომ ამას გაქცევის** (თუ გახოხვის) **საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე სამარცხვინო სცენა უკავშირდება.** პლუს ამას სააკაშვილმა საკმაოდ წინდაუხედავად არ დატოვა არც ერთი თემა, რომელთან დაკავშირებითაც მასზე მხოლოდ დადებით ტონალობაში ისაუბრებდნენ. ეს კი ძალიან მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური ნიუანსია. მაგალითად, პაკ ჩონ ხი სასტიკად უსწორდებოდა ოპონენტებს, მაგრამ მის მოსისხლე მტრებსაც კი არასოდეს დაუყენებია ეჭვქვეშ ორი რამ: ა) ის მომჭირნედ ცხოვრობდა და სახელმწიფო სახსრებიდან არცერთი ცენტი არ მოუპარავს; ბ) ის მამაცი პიროვნება, ნამდვილი საბრძოლო ოფიცერი იყო.

ჩვენ შეგვიძლია დროებით თავი დავანებოთ XX საუკუნის დიქტატორებს და **გავიხსენოთ ლუდოვიკო XVI, უნიჭო პოლიტიკოსი და, ობიექტური მიზეზებიდან გამომდინარე, აპრიორი განწირული მონარქი. მაგრამ იყო ორი, ეპიკური ისტორიული პროცესის კონტექსტში თითქოსდა უმნიშვნელო შტრიხი — ლუდოვიკო თანაუგრძნობდა გაჭირვებულებს და, როდესაც ხვდებოდა, ცდილობდა, რაც შეიძლება მეტი მოწყალება გაეღო, ეშაფოტზე აყვანისას კი თავი ღირსეულად ეჭირა და სიკვდილს ისე შეხვდა, როგორც საფრანგეთის მეფეს შეეფერება. გავიდა ათწლეულები და ფრანგულმა საზოგადოებამ აღმოაჩინა ამ ფიგურაში რაღაც დადებითი, ის, რასაც რევოლუციის პერიოდში ვერ ხედავდა.** იმის იქით თუ წავალთ, **კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ნეგატიურად შეფასებული ხელმწიფე, იმპერატორი იულიანე განდგომილი, როდესაც მთელი მისი პოლიტიკა თავზე დაემხო, ბრძოლის ველიდან კი არ გახოხდა, არამედ მომაკვდავი ლეგიონერების გვერდით, სპარსული ისრების წვიმაში დადგა.**

შეიძლება ითქვას, რომ **ისტორია წარუმატებელ მმართველებს უკანასკნელ შანსს უტოვებს და სთავაზობს „კეთილის“ ან „მამაცის“ სახელი დაიმკვიდრონ, მაგრამ მიხეილ სააკაშვილმა, როგორც ჩანს, ხელიდან ეს შესაძლებლობაც გაუშვა. მის პოლიტიკურ ბიოგრაფიაში არ არის თუნდაც ერთი ჟესტი, თუნდაც ხუთწუთიანი ეპიზოდი, რომელიც შთამომავლობას ამ მიმართულებით უბიძგებდა.** ცალსახად მომგებიანი რაკურსი არ არსებობს, თითქოსდა სომოსა-უმცროსზე ვსაუბრობდეთ; მისი მოღვაწეობის ნებისმიერ მონაკვეთთან დაკავშირებით სააკაშვილის ოპონენტები ან პათოლოგიურ სადიზმზე ან ასეთივე პათოლოგიურ გაუმაძღრობაზე მიუთითებენ. კეთილი? მამაცი? იქნებ პატიოსანი? ვერაფერს ვიზამთ, როდესაც ადამიანის ხასიათში ესა თუ ის თვისება არ შეინიშნება, მისი წამოწევა წინა პლანზე უკიდურესად პრობლემური ხდება.

## სარკე დიქტატორისთვის

შესაძლოა, იმ „ნაცექსპერტებისთვის“, რომლებიც დღეს ცდილობენ, სააკაშვილის რეჟიმს საქართველოს ისტორიაში მეტ-ნაკლებად ღირსეული ადგილი მოუძებნონ და (რაც, პრინციპში, მთავარია) საკუთარ თავს არასწორი არჩევანის პრობლემა მოუხსნან, ერთადერთი შანსი, ყურადღების 2004-06 წლებზე გადატანაა, იმ პერიოდზე, როდესაც „ვარდოსანი“ ხელისუფლება ძველთან შედარებით მომგებიანად გამოიყურებოდა, ხოლო მისმა მოქმედებამ აშკარად ზღვარგადასული ხასიათი არ მიიღო. ეს დაახლოებით იგივეა, იტალიელ ავტორებს მუსოლინის მმართველობის პერიოდიდან მხოლოდ 20-იანი წლები რომ აღეწერათ, თუმცა სხვა ვარიანტი, უბრალოდ, არ არსებობს.

**სააკაშვილის რეჟიმმა თავსატეხი არა მხოლოდ მომავლის ქართველ ისტორიკოსებს, არამედ დასავლელ პოლიტიკოსებსა და პოლიტოლოგებსაც გაუჩინა. მათ, უბრალოდ, არ იციან, რომელი კლასიფიკაციის ჩარჩოებში მოაქციონ ეს პათოლოგია და როგორ აღწერონ ის, მით უმეტეს, რომ თავის დროზე მას სანიმუშოდ წარმოაჩენდნენ.** ალბათ, შეცდომაა ფიქრი იმაზე, რომ დასავლეთი ბოლომდე შეეცდება, სააკაშვილს „დემოკრატიის მეჩირაღდნის“ იმიჯი შეუნარჩუნოს, რადგან ამის საწინააღმდეგოდ უამრავი ფაქტი და დოკუმენტი მეტყველებს, რომელთა რაოდენობა მომავალში მნიშვნელოვნად გაიზრდება. თუმცა ამ შემთხვევაშიც გადაფასებისთვის საჭიროა დრო — წლები თუ არა, ათწლეულები. ეს არ არის პირველი და, ალბათ, არც უკანასკნელი შემთხვევა; **იყო პერიოდი, როდესაც დემოკრატიულ სამყაროში იმავე მუსოლინის რეფორმები სავსებით ლეგიტიმურ, მეტიც, საინტერესო და მიმზიდველ ექსპერიმენტად ითვლებოდა. „მუსოლინი აღტაცებას იმსახურებს... ჩემზე ძალიან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იმან, რასაც მან მიაღწია“, — ამბობდა თავის დროზე აშშ-ის პრეზიდენტი ფრანკლინ დელანო რუზველტი, ხოლო ისეთი ნათელი პიროვნება, როგორიც მაჰათმა განდი გახლდათ, დუჩეს ხოტბას დაუღალავად ასხამდა. შემდეგ ეს დამოკიდებულება შეიცვალა და განხილულ შემთხვევაშიც, დიდი ალბათობით, იგივე მოხდება.**

გამორიცხული არაა, რომ **საბოლოოდ, როგორც საქართველოს, ისე XXI საუკუნის პოლიტიკურ ისტორიაში მიხეილ სააკაშვილი ერთ-ერთი მთავარი ანტიგმირის ადგილს დაიკავებს. მისი პოლიტიკური ბიოგრაფია, დიდი ალბათობით, გადაიქცევა ერთგვარ სახელმძღვანელოდ პირობითი სათაურით „როგორ არ უნდა მოიქცეს პოლიტიკოსი“, ხოლო საქართველოს მომავალ ლიდერებს საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში გააკრიტიკებენ იმის გამო, რომ ამა თუ იმ ეპიზოდში „სააკაშვილივით მოიქცნენ“, „ვარდოსანი“ რეჟიმი კი გადაიქცევა ერთგვარ ნულოვან წერტილად კოორდინატთა სისტემაში, რომლის მიხედვით მომავლის ამა თუ იმ მთავრობის დემოკრატიულობისა და ადეკვატურობის დადგენა მოხდება.** იმ ქართველების, მათ შორის პოლიტიკოსების, რაოდენობა, რომლებიც სიტუაციას სწორედ ასე უდგებიან, კრიტიკულად დიდია და გარე სამყარო, ძველი სიმპატიების მიუხედავად, ადრე თუ გვიან, პრაგმატული მოსაზრებებიდან გამომდინა-

**სააკაშვილმა საკმაოდ წინდაუხედავად არ დატოვა არც ერთი თემა, რომელთან დაკავშირებითაც მასზე მხოლოდ დადებით ტონალობაში ისაუბრებდნენ. ეს კი ძალიან მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური ნიუანსია**

**დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე საქართველოს დემოკრატიის პირობებში არც ერთი წამი არ უცხოვრია, პოლიტიკურ ელიტას და საზოგადოებას შესაბამისი გამოცდილება, უბრალოდ, არ აქვს. დემოკრატიული ფასადის მიუხედავად, ჩვენ, ნებისმიერ შემთხვევაში, საქმე ავტორიტარიზმის ამა თუ იმ ფორმასთან გვაქვს. ის შეიძლება იყო აღვირახსნილი და შიზოფრენიული ან, პირიქით — გონიერი და შეძლებისდაგვარად რბილი, მაგრამ ის მაინც ავტორიტარიზმად რჩება.**

პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

რე, იძულებული გახდება, მათი პოზიცია გაითვალისწინოს. **სააკაშვილის გარემოცვას კი არ გააჩნია საკმარისი ინტელექტუალური რესურსი იმისთვის, რომ ამ ტენდენციის საწინააღმდეგოდ სრულფასოვანი ალტერნატიული მოსაზრება დაამკვიდროს** (თავისი ისტორიული და ეკონომიკური სკოლით და ა. შ.). უბრალოდ გავიხსენოთ, რამდენი და რა ღირებულების წიგნი დაწერეს მათ (უფრო სწორად კი — არ დაწერეს) ბოლო წლებში. **თუ პარალელს ისევ იტალიასთან გავალებთ, ისინი იტალიური ნეოფაშიზმის მსგავს „ნეომიშიზმს“, 99%-იანი ალბათობით, ვერ შექმნიან.** ასე რომ, ჯერჯერობით ყველაფერი მიანიშნებს იმაზე, რომ **სააკაშვილი და მისი რეჟიმი დაიკავებს ისტორიაში ადგილს სწორედ იმ მონუმენტურ სანაგვეზე, რომელსაც საქართველოში ასე ხშირად ახსენებენ.**

თუმცა ამ ულიმღამო პერსპექტივის შეცვლის მცდელობები სწავლული „მიშისტების“ მხრიდან, რასაკვირველია, კვლავაც ექნება და ამან შეიძლება მისცეს იმპულსი საზოგადოებისთვის სასარგებლო დისკუსიას ღირებულებებსა და პრიორიტეტებზე, ადამიანის უფლებებზე, დემოკრატიაზე, „განვითარების დიქტატურაზე“ (სინამდვილეში, ალბათ, მაინც — განუვითარებლობის) და ა. შ. ისე, საინტერესო კია, რით დასრულდება მათი ბრძოლა ადგილისთვის ისტორიაში — მოულოდნელი წარმატებით თუ ისევ ეპიკური კრახით?

## შეძლებს კი ამდენს?

**ბიძინა ივანიშვილის სასტარტო პოზიცია გაცილებით დამაჯერებლად გამოიყურება. უამრავი ადამიანისთვის ის არის ლიდერი, „რომელმაც ეს ჭირი მოგვაშორა“. მის აქტივშია მეცენატობა და გაჭირვებული თანამოქალაქეების დახმარება, მაგრამ არსებობს საშიშროება, რომ წლების შემდეგ საზოგადოებაში მინელდება სიხარული, რომელიც ხელისუფლებიდან სააკაშვილის ჩამოცილებამ გამოიწვია და ფართოდ გავრცელდება გამოთქმა „ეს ვინ დაგვასვა თავზე!“. თუ ბიძინა ივანიშვილის მმართველობის წლებში არ გადაიდგმება რეალური ნაბიჯები ავტორიტარიზმიდან დემოკრატიისკენ, სავარაუდოდ, სწორედ ასეთ ფინალს ვიხილავთ, მიუხედავად იმისა, რომ დღეს ეს წარმოუდგენელი ჩანს.**

თუ ჩვენ არ გამოვიყენებთ სიტყვა „დემოკრატიას“, როგორც მეტაფორას და სიტუაციას ობიექტურად შევაფასებთ, ალბათ, მივალთ დასკვნამდე, რომ **დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე საქართველოს დემოკრატიის პირობებში არც ერთი წამი არ უცხოვრია, პოლიტიკურ ელიტას და საზოგადოებას შესაბამისი გამოცდილება, უბრალოდ, არ აქვს. დემოკრატიული ფასადის მიუხედავად, ჩვენ, ნებისმიერ შემთხვევაში, საქმე ავტორიტარიზმის ამა თუ იმ ფორმასთან გვაქვს.** ის შეიძლება იყო აღვირახსნილი და შიზოფრენიული ან, პირიქით — გონიერი და შეძლებისდაგვარად რბილი, მაგრამ ის მაინც ავტორიტარიზმად რჩება. **თუ დემოკრატიისკენ არ წავალთ, ივანიშვილის მმართველობის პერიოდი, მაქსიმუმ, „კეთილგონიერი ავტორიტარიზმის“** (განათლებული აბსოლუტიზმის არ იყოს) **სახელს დაიმკვიდრებს. შემდეგ კი ახალი, ალბათ, გაცილებით არასიმპათიური რეჟიმი ჩამოყალიბდება.**

წარმოვიდგინოთ, რომ ბიძინა ივანიშვილი ტოვებს თანამდებობას, როგორც დაგვპირდა, თანაც რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების გარეშე, პოლიტიკაში არ ერევა და ხელისუფლებაში რესპუბლიკელები, ალასანიას ჯგუფი, პარტია (და არა კოალიცია) „ქართული ოცნების“ რამდენიმე ჯგუფად დაყოფილი წარმომადგენლები რჩებიან, ხოლო მათ სიახლოვეს „ნაციონალური მოძრაობის“ ნარჩენები ტივტივებენ. ალბათ, არავის გაუკვირდება, თუ ამ დაბალრეიტინგული ჯგუფებისგან შემდგარ „ვინიგრეტს“ მალევე გამოუჩნდებიან ძლიერი მოწინააღმდეგეები დაუკმაყოფილებელი ამბიციებით და ახალი სახელისუფლო კონგლომერატი ან დაშლისკენ, ან კიდევ რეჟიმის გამკაცრებისკენ და ახალი ავტორიტარული ლიდერის გამოკვეთისკენ წავა. ძალიან დიდი ალბათობით, მაქსიმუმ ორ წელიწადში ასეთი ხელისუფლება „თავის 7 ნოემბერს“ მიიღებს და პროცესები კარგად ნაცნობ კალაპოტში მოექცევა.

**იმ შემთხვევაში კი, თუ ივანიშვილი გადადგომის შემდეგ შეინარჩუნებს უშუალო კონტროლს პროცესებზე და ქვეყანას, ასე ვთქვათ, „ჩრდილიდან“ მართავს, ჩვენ მივიღებთ ფსევდოდემოკრატიას კრიპტოკრატიულ შამფურზე, კონკრეტულ ადამიანსა და ვითარებაზე მორგებულ რეჟიმს, რომელიც, რაოდენ კეთილგონიერიც უნდა იყოს, საბოლოოდ მაინც საწყის წერტილთან მიგვიყვანს, იქ, სადაც ახალი ავტორიტარული რეჟიმების შექმნა იწყება.**

ბიძინა ივანიშვილი მიიჩნევს, რომ სამოქალაქო სექტორის გაძლიერება და მისი მეშვეობით პოლიტიკოსების გაკონტროლება დემოკრატიზაციის პროცესს მნიშვნელოვნად წაადგება. ეს, რა თქმა უნდა, სწორია, მაგრამ, ალბათ, მაინც არასაკმარისი. **ავტორიტარიზმზე ორიენტირებული, ხშირ შემთხვევაში, გარე ძალების მიერ მართული, არსებითად ძირგამომპალი პოლიტიკური ელიტის საფუძვლიანი გადახალისების, ახალი სისხლის გადასხმის გარეშე, სავარაუდოდ, არაფერი გამოვა.** თვალი გადავავლოთ პარლამენტს, სრულიად პოლიტიკურ სპექტრს და წარმოვიდგინოთ, სად აღმოჩნდებოდა ამ ადამიანების უმრავლესობა რეალური დემოკრატიული კონკურენციის პირობებში. **ეს პოლიტიკოსები, რომლებიც მთელი ცხოვრება ელოდებიან ახალ ავტორიტარულ ლიდერს ან მდიდარ ბიძიას, რათა გამოიყენონ ის, როგორც ლოკომოტივი, საოცნებო საქართველოს ვერ ააშენებენ, მეტიც, ყველანაირად შეეცდებიან, ხელი შეუშალონ ამ პროცესს, რადგან ახალ, დემოკრატიულ საქართველოში მოთხოვნა მათზე, დიდი ალბათობით, ძალიან დაბალი იქნება.** იდეალური გარემო მათთვის მუდმივი გარდამავალი, კრიზისებით სავსე პერიოდია, როდესაც გადაწყვეტილებების სტაბილურობის სასარგებლოდ დემოკრატიისა და ადამიანთა უფლებების ხარჯზე მიიღება (მიუხედავად იმისა, რომ მათი ფორმა შეიძლება უფრო მოკრძალებული იყოს, ვიდრე სააკაშვილის მმართველობის წლებში). დღევანდელი ეტაპი, თავისი პერვერსიული კაპიტაციითა და პერმანენტული ციებ-ცხელებით მათ, სავარაუდოდ, ძალიანაც აძლევთ ხელს.

**სააკაშვილის რეჟიმის დემონტაჟი დემოკრატიული ტრანსფორმაციის მხოლოდ პირველი ეტაპია და შეიძლება ითქვას, რომ საქართველო ახლა გზაგასაყარს მიუახლოვდა — ან ახალი ავტორიტარული რეჟიმის ფორმირებისკენ წავალთ, თუნდაც ის უკიდურესად ფრთხილი და გონიერი იყოს, ან, ყველა შესაძლო ტრანზიტული რისკის მიუხედავად, ნამდვილი დემოკრატიისკენ, სამართლიანი სახელმწიფოსკენ, რომლის შესახებ ძალიან ცოტა რამ ვიცით.** ამ წერტილში **გაკეთებული არჩევანი უდიდეს გავლენას მოახდენს იმაზე, თუ რა ადგილს დაიკავებს ბიძინა ივანიშვილი საქართველოს ისტორიაში: ან გახდება კიდევ ერთი ძლიერი მმართველი, რომელთა ნაკლებობას არასოდეს ვუჩიოდით, თავისი პლუსებით და მინუსებით და მცირე განსხვავებებით, ან დაიკავებს უნიკალურ ადგილს, როგორც ლიდერი, რომელმაც, საზოგადოებასთან ერთად, საქართველო ავტორიტარულ წარსულს სამუდამოდ დააშორა.** თუ მის ასე თუ ისე შენიღბულ, მაგრამ ყველასათვის ცნობილ, ამბიციურობას გავითვალისწინებთ, ალბათ, უნდა ვივარაუდოთ, რომ მეორე ვარიანტი მისთვის გაცილებით მიმზიდველია.

**დიმიტრი მონიავა**

# მოგიწოდებთ, საჯარო გახადოთ ID ბარათების თემაზე საპატრიარქოსთან არსებული მიმოწერა



## ღია წერილი საქართველოს იუსტიციის მინისტრს, ქალბატონ თეა წულუკიანს

**ქალბატონო მინისტრო,**

აგერ უკვე თვეებია, რაც მორწმუნე საზოგადოება თქვენი უწყებისგან უშედეგოდ ელის წინასაარჩევნო დაპირების შესრულებას პირადობის დამადასტურებელი ალტერნატიული საბუთების შემოღების შესახებ. ამ გაჭიანურების მიზეზად თქვენ საქმის ნამდვილ, სულიერ არსში გარკვევის აუცილებლობას ასახელებდით, თუმცა, სიმართლე გითხრათ, რაც დრო გადის, მით უფრო მიმტკიცდება აზრი, რომ მართლაც ეს კი არ აფერხებს ამ საკითხის გადაწყვეტას, არამედ ჩვენს ჩინოვნიკებზე ქვეყნის გარედან ზეწოლა, მოსახლეობის აზრის ვითომ კვლევა და მორწმუნეებთან პერიოდული „სამუშაო“ შეხვედრები კი მხოლოდ დემოკრატიის ილუზიის შექმნისთვის, ხალხის თვალის ასახვევად მიმდინარეობს. ჩვენს ჩინოვნიკებს, ხშირ შემთხვევაში, სამწუხაროდ, ავიწყდებათ, რომ ანგარიშვალდებული, პირველ რიგში, არა უცხო ძალების, არამედ საკუთარი ამომრჩევლის წინაშე არიან.

**როგორც გაირკვა, ამ პრობლემის მოგვარების მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორი ევროკავშირის მოთხოვნაა, მთელი ქვეყნის აიდიზაციის შესახებ, რის გარეშეც ჩვენი ხელისუფლება შიშობს, რომ ევროკავშირში გაერთიანების პერსპექტივას დაკარგავს. მე კი მგონია, რომ ნატოცა და ევროკავშირიც ის ქიმერა-სატყუარებია, რომლებსაც არც არავინ გვაპირდება რეალურად, თუმცა მათ გამო ჩვენს სტრატეგიულ, პრინციპულ, სასიცოცხლო ინტერესებზე უარის თქმას გვაიძულებენ.**

**ქალბატონო მინისტრო,**

თუმცა თქვენზე თავიდან შემექმნა შთაბეჭდილება, რომ საკმაოდ გულწრფელი, ხალხის გულშემატკივარი იყავით, ეს შთაბეჭდილება, სამწუხაროდ, თანდათან გამინელდა. ალბათ, გახსოვთ, თუ როგორ გთხოვეთ პირადად ID ბარათების ალტერნატივის საკითხის გადაწყვეტამდე ვადაგასული საბუთებისთვის ვადის გაგრძელება. თუკი თითოეულ ჩვენგანს რაღაც საარსებო წყარო მაინც გვაქვს, არის მორწმუნე ადამიანების დიდი რაოდენობა, რომლებიც, რელიგიური მოსაზრებებიდან გამომდინარე, პრინციპულად ამბობენ უარს ID ბარათების აღებაზე და, ფაქტობრივად, ყოველდღიურად იბრძვიან არსებობისთვის. პირადად მე რამდენიმე მაგალითიც მოგიყვანეთ უმძიმეს სოციალურ მდგომარეობაში მყოფი ჩვენი თანამემამულეებისა, რომლებსაც უსაბუთობის გამო ისედაც დუხჭირი ყოფა უკიდურესად აქვთ დამძიმებული. ამიტომ გთხოვეთ, რომ გულთან მიგეტანათ ამ ადამიანების გასაჭირი და მოგენახათ გამოსავალი, რაზეც სიტყვიერი თანხმობაც მივიღე თქვენგან. ამით დაიმედებულმა ბევრ ადამიანს ვურჩიე, რომ წერილობით მიემართათ იუსტიციის მინისტრისთვის დახმარების თხოვნით, რაც მათ გააკეთეს კიდეც, თუმცა, ჩემდა გასაკვირად, მათ დღემდე პასუხიც კი არ მიუღიათ.

**ქალბატონო მინისტრო,**

თუ გახსოვთ, ასევე პირადად დაგისვით კითხვა: **რატომ არ გიჩნდებათ ეჭვი, თუ რის გამო გაძალებთ ევროკავშირი ქვეყნის უალტერნატივო აიდიზაციას, თუკი იგი ძველი საბუთებიდან არაფრით განსხვავდება**-თქო, რაზეც მიპასუხეთ: **არჩევნების გაყალბებისგან უზრუნველსაყოფადო**. მაგრამ განა თავად დასავლეთის ქვეყნები არ ხუჭავდნენ თვალს წლების მანძილზე „ნაციონალების“ მიერ არჩევნების გაყალბებაზე, სცნობდნენ რა მის შედეგებს დემოკრატიულად?! და განა ასეთი მიამიტია ჩვენი ხელისუფლება, რომ ევროკავშირის მხრიდან ამ იძულების უსუსური მოტივი ასე ადვილად დაიჯეროს? მით უმეტეს, რომ უამრავი კონტრარგუმენტი არსებობს იმის დასამტკიცებლად, რომ, ხელისუფლების ნების არსებობის შემთხვევაში, ID სისტემა ყველაზე უფრო მოსახერხებელი საშუალებაა არჩევნების გასაყალბებლად.

**ევროკავშირის მხრიდან ეს იძულება მით უფრო საეჭვოდ გამოიყურება იმ ფონზე, როცა თავად მის წამყვან წევრ სახელმწიფოებში, მათ შორის ბრიტანეთში, საფრანგეთში, იტალიაში, საბერძნეთში, ასევე თავად აშშ-ში ID სისტემა არაა სავალდებულო.**

ასე რომ, ნუ ეცდებით ამ თეთრი ძაფით ნაკერი ტყუილებით ხალხის შეცდომაში შეყვანას და ნურც თავად შეიყრით თვალში ნაცარს, რადგან საბოლოოდ ყველას მოგვიწევს ღვთის წინაშე პასუხისგება ყველა ჩვენს საქციელსა და სიყალბეზე.

მე თქვენ ტელევიზიით მოგიწოდეთ და ახლა პრესის ფურცლებიდანაც მინდა გაგიმეოროთ — **ნუ აღიმაღლებთ თავს და დაჯექით ჩვენთან დებატებში თქვენი არგუმენტებით, თუ ოდნავ მაინც დარწმუნებული ხართ საკუთარ სიმართლეში და დაე, საზოგადოებამ განსაჯოს, თუ ვისი პოზიციაა ყალბი და ვისი — არა.**

დასასრულს, კიდევ ერთი: **აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით თქვენ მიმართეთ საპატრიარქოს 15 კითხვით, რომლებზე პასუხებს რატომღაც საიდუმლოდ ინახავთ. ეს თქვენივე უწყებიდან მასმედიის მეშვეობით გახდა ცნობილი. მოგიწოდებთ, რომ თავი დაანებოთ რაღაც ორმაგ თამაშებს, დააკმაყოფილოთ თქვენი ამომრჩევლის ინტერესი, გაასაჯაროოთ მართლმადიდებელი ეკლესიის პოზიცია და საბოლოო გადაწყვეტილება მიიღოთ მის შესაბამისად, წინააღმდეგ შემთხვევაში, ათეულ ათასობით მორწმუნე ადამიანი პროტესტის ნიშნად არ მიიღებს არჩევნებში მონაწილეობას!**

**ხათუნა საგინაშვილი,**
ჟურნალ „ქვაკუთხედის“ რედაქტორი

**თუ დემოკრატიისკენ არ წავალთ, ივანიშვილის მმართველობის პერიოდი, მაქსიმუმ, „კეთილგონიერი ავტორიტარიზმის“ (განათლებული აბსოლუტიზმის არ იყოს) სახელს დაიმკვიდრებს**

**რატომ არ გიჩნდებათ ეჭვი, თუ რის გამო გაძალებთ ევროკავშირი ქვეყნის უალტერნატივო აიდიზაციას, თუკი იგი ძველი საბუთებიდან არაფრით განსხვავდება?**

ახალი თაობა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რამდენი პედერასტია ქართულ პოლიტიკაში? ამ მარტივ კითხვაზე პასუხი სამეგრელოში აღმოჩენილ იმ 12 ათას ფაილშია საძებნი, რომელთა განადგურებასაც გაშმაგებითა და უკანალის თანთალით ითხოვენ საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი ენჯეოშნიკები, კინტოსებური რედაქტორ-ჟურნალისტები, ერთი სიტყვით, მთელი ჯოგი, რომლის სახელიც ლეგიონია!**

# მალე დადგება მდინარე პომადიანი ბიჭების...

**ამას წინათ ერთმა მეგობარმა მირჩია, — იმდენად ხშირად წერ პედერასტებზე, რომ ემანდ, არ გამარგინალდეო.**
**მე ვწერ ხშირად თუ მაგ ლგბტ-თემს და მათ დამქაშებს არ ასვენებთ გამჩენი? ჩვენდა სამწუხაროდ, ოცდამეერთე საუკუნეში, დემოკრატიის ციტადელზე, დიდ პოლიტიკასა და პედერასტობაზე, ახლა რომ პოლიტკორექტულად ლგბტ-ს უწოდებენ, ცალ-ცალკე საუბარი აღარ გამოდის. დიდი პოლიტიკა, ამერიკული დემოკრატია და ლგბტ, ფაქტობრივად, იდენტური ცნებებია.**



## სოდომის მაფია

**რადგან შესავალში სიტყვამ იდენტობა მოიტანა, აი, რა ობსტრუქციის მოწყობას გეგმავს ლგბტ-თა მფარველი ორგანიზაცია „იდენტობა“ პედერასტთა უბადლო მფარველ აშშ-ის საელჩოსთან ერთად:**

„იდენტობა“ მომავალი სასწავლო წლიდან სტუდენტებისთვის ახალ პროექტს ამზადებს. პროექტი „ლგბტ მგრძნობელობის ამაღლება სტუდენტებში“ 20 000 აშშ დოლარით ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს დემოკრატიის კომისიის მცირე გრანტების პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა. პროექტის მიზანია იმ სტუდენტებში, რომელთა პროფესიაც მოიცავს ლგბტ ადამიანებთან ურთიერთობას, ლგბტ საკითხებში ცოდნის დონისა და მგრძნობელობის ამაღლება. პროექტი ითვალისწინებს ხუთი პროფესიის სტუდენტებთან (ფსიქოლოგია, სამართალი, სოციალური სამუშაო, სამედიცინო, ჟურნალისტიკა) ინტენსიურ, სპეციფიკურად პროფესიულ ტრეინინგმუშაობას. გათვალისწინებულია ინტენსიური ლიდერთა სკოლა — 5-დღიანი ტრენინგები. პროექტი გულისხმობს სტუდენტებთან საჯარო შეხვედრებსა და ლექციებს, რომლებზეც განხილული იქნება მათი პროფესიული საქმიანობისთვის აუცილებლად საჭირო გენდერისა და სექსუალობის საფუძვლები“.
(http://csogeorgia.org/news/3793/geo)

**მაშ, რა არის ეს, თუ არა ზოგადად დასავლელი „მეგობრებისა“ და კონკრეტულად აშშ-ის „უანგარო მზრუნველობის“ კიდევ ერთი ნიმუში — ჯერ „ნაცებთან“ კოაბიტაცია „შემოგვტენეს“, რამაც ლამის ააფეთქოს ქართველი საზოგადოება, და ახლა პედერასტებთან კოაბიტაციასაც გვიფინანსებენ; მართალია, ჯერ მხოლოდ „მცირე გრანტების პროგრამის ფარგლებში“, მაგრამ „უკეთესი მომავლის“ პერსპექტივით, ამერიკის საელჩო ფულზე უკან არ დაიხევს! მთავარია, „ლგბტ საკითხებში ცოდნის დონისა და მგრძნობელობის ამაღლებაში“ მეცადინეობა არ დაიზარონ ჩვენმა შვილებმა და უკანალების მგრძნობელობის (საკუთარის თუ პარტნიორის, სულერთია, რადგან „დედალ-მამალი“ არ არის არსებითი — ქათამი ქათამია) ტესტი ჩააბარონ!**

რა ვიცი, სხვას რას უნდა გულისხმობდეს პროექტით გათვალისწინებული „ინტენსიური ლიდერთა სკოლა, ხუთდღიანი ტრენინგები“ — რა ჯობია, აშშ-ის საელჩოს დოლარებზე სადმე ბაზალეთზე ან გუდაურში (წელიწადის დროს გააჩნია) უკანალების „მგრძნობელობის ამაღლებაში“ ტრეინინგ-წრვთნებს და ამ გზით ნატო-ევროპაში შესვლას, ანუ ოცნებას საქართველოს „ნათელ მომავალზე“?

ამას დაუმატეთ ისიც, რომ სასწავლო წლის ბოლოს, მაისში „ჩატარდება აკადემიური კონფერენცია ლგბტ საკითხებში. მასში მონაწილეობას მიიღებს 15-დან 20 სტუდენტი. ისინი შექმნიან აკადემიურ ნაშრომებს იმ სფეროებში, რომლებშიც ტრეინინგები გაიარეს“.

ავშენდით! ქართველთა ნიჭიერება ხომ საქვეყნოდ ცნობილია და ახლა ისეა ჩვენი საქმე, რომ 15-20 სტუდენტის შექმნილმა აკადემიურმა ნაშრომებმა „იმ სფეროებში, რომლებშიც ტრეინინგები გაიარეს“, შეიძლება დისერტაციებზეც გაქაჩოს და ლგბტ „უკლონით“ 15-20 ჯეელი პრაფესორიც გვეყოლება...

თუ გალინა ცარიოვას დოკუმენტურ ფილმს „დასავლეთის დაცემა“ დავუჯერებთ, მსოფლიო პედერასტიზაცია საფუძვლიანადაა გადმოსული ტოტალურ შეტევაზე. თავი დავანებოთ იმას, რომ ერთსქესიანი ქორწინებების დამკანონებელი სახელმწიფოების რაოდენობა ლამის დღითიდღე მატულობს — ეს ზედაპირზე დევს!

„განათლებულ დასავლეთში“ პრაქტიკულად აღარ არსებობს ისეთი ცნებები, ტერმინები, როგორიც არის დედა, მამა, ქალი, კაცი, ცოლი, ქმარი... რაც მთავარია, ამ ყველაფერს ევროპელ ბავშვებს ბაგა-ბაღიდანვე აჩვევენ, რასაც საკანონმდებლო „ზურგს“ გაეროს და უმეტესად ევროპარლამენტის რეზოლუციები და დადგენილებები უმაგრებენ.

**პედერასტული განხრით, მსოფლიოს უპირობო ლიდერი სკანდინავია, კონკრეტულად ნორვეგიაა, ოდესღაც ვაჟკაცი ვიკინგების ქვეყანაში მთავარი დღესასწაული ლგბტ აღლუმების კვირეულია. ოსლოშივეა დისნეილენდის პედერასტული ვარიანტი (პიდარლენდი), რომელიც ტურისტების ურიცხვ რაოდენობას იზიდავს და სადაც სასქესო ორგანოების „დიზაინით“ მოწყობილ ატრაქციონებზე სიამოვნებით „აკატავებენ“ საკუთარ შვილებს ვიკინგების შთამომავლები. ამ საყოველთაო „პიდარლენდის“ გვირგვინი კი უზარმაზარი ფალოსის მონუმენტია, რომელიც ვიზუალურად საოცრად ჰგავს (!!!) ჩვენთან, გმირთა მოედანზე აღმართულ მონუმენტს, რომელსაც ხალხმა სააკაშვილის ავტოპორტრეტი შეარქვა!..**

ვარაუდობენ, რომ ნორვეგიაში ე. წ. სექსუალური უმცირესობები უკვე უმრავლესობაში არიან. აქედან გამომდინარე, პედერასტებით არის გაჯერებული ქვეყნის ყველა დონის ხელისუფლებაც! არც ევროკავშირის უმეტესი ქვეყნების ხელისუფლებებში უჩივიან პედერასტების ნაკლებობას (გერმანიის საგარეო მინისტრი, ბერლინის, პარიზის, ციურიხის მერები). ეს გაცხადებულია და ხომ წარმოგიდგენიათ, რამდენი ფარული ქათამი ეყოლებათ ევროპაში?

იქიდან გამომდინარე, რომ ამ ბოლო დროს საქართველოში აშკარად მომძლავრდა პედერასტული ლობი, ამოცანა გვეკითხება, რამდენი ფარული პედერასტია ოპოზიციად წოდებულ „ნაცმოძრაობაში“ თუ მასთან მჭიდრო კოაბიტაციაში მყოფ „მეოცნებე“ ხელისუფლებაში ან, გნებავთ, სოროსის ქართულ ენჯეოებში?

**ამ მარტივ კითხვაზე პასუხი სამეგრელოში აღმოჩენილ იმ 12 ათას ფაილშია საძებნი, რომელთა განადგურებასაც გაშმაგებითა და უკანალის თანთალით ითხოვენ საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი ენჯეოშნიკები, კინტოსებური რედაქტორ-ჟურნალისტები, ერთი სიტყვით, მთელი ჯოგი, რომლის სახელიც ლეგიონია!**

სოდომის მაფიის ეს ქართველი აქტივისტებიც სექსუალური უმცირესობების უფლებებისთვის ბრძოლის ნიღბით აგრესიული ფორმებით იბრძვიან „ახალი მსოფლიო უწესრიგობის“ დასამყარებლად და დღეს მათი მთავარი სამიზნე მართლმადიდებლური ეკლესიაა.

ადამიანი 4 ძირითადი მიმართულებით ახდენს საკუთარი მეს იდენტიფიკაციას: პირველი. დაბადებიდანვე ეძლევა **სქესი**, რის გაცნობიერებასაც ბავშვი 4-5 წლის ასაკიდან იწყებს; მეორე. ასევე ღვთითბოძებული **ეროვნება**, რომლითაც ჯანსაღ სიამაყეს მოზარდობიდან იწყებს; მესამე. **პოლიტიკური იდენტობაა, მემარცხენეობა, მემარჯვენეობა ან საერთოდ აპოლიტიკურობა**, რაც ასევე პოლიტიკური პოზიციაა, და მეოთხე და მნიშვნელოვანი — **რელიგიური მრწამსი...**

ბოლო სამი იდენტობა, ასე თუ ისე, კონტროლირებადია სოდომის მაფიის მიერ — ეროვნულობა, პრაქტიკულად, ნიველირებულია ევროპაში.

რაც შეეხება რელიგიას, კათოლიკურ, ლუთერანულ თუ ანგლიკანურ ეკლესიებში მასიური პედოფილიის ფაქტებმა, რომლებშიც უმაღლესი იერარქები იყვნენ ჩართულნი, საშვილიშვილოდ დასცა დასავლური საქრისტიანო სახლების ავტორიტეტი. ადვილი წარმოსადგენია, თუ რამდენი მღვდელმთავარი ჰყავთ ლიბერასტ-სოდომიტებს დაშანტაჟებული და, შესაბამისად, მართულიც. აქედან გამომდინარეც არის, ალბათ, რომ შვედეთის ლუთერანულ ეკლესიაში ლესბოსელი მღვდლებიც ჰყავთ და ერთსქესიანი წყვილების ჯვრისწერაც ხდება.

ერთადერთი, რასაც ბოლომდე ვერ აკონტროლებდნენ, ეს ადრეული ასაკის ბავშვების სწორად, ანუ ბიჭის ბიჭად და ქალის ქალად აღზრდა იყო ტრადიციული ღირებულებების მატარებელი მშობლების მიერ და, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ საქმის მიხედვაც დაიწყეს ლიბერასტ-სოდომიტებმა — საბავშვო ბაღებიდანვე იკრძალება ბავშვებთან ქალის, კაცის ხსენება, რათა პატარებს „თავისუფალი არჩევანი“ ჰქონდეთ, კაცები იქნებიან თუ ქალები, რასაც ხელს ევროპარლამენტიც უწყობს შესაბამისი განათლების „რეფორმით“: მიმდინარეობს ნორვეგიის ექსპერიმენტის გადმოღება დანარჩენ ევროპაშიც, საბავშვო ლიტერატურიდან უნდა ამოიღონ ტრადიციული ზღაპრები, რომლებშიც ქალს კაცი უყვარს და პრინცესას — პრინცი, ანუ ისეთი „დრომოჭმული სისულელეები“, როგორებიცაა „ფიფქია და 7 ჯუჯა“, „კონკია“, „მძინარე მზეთუნახავი“ და ა. შ. თანამედროვე, უსქესო კომიქს-ზღაპრებით, უსქესო სათამაშოებით უნდა შეუცვალონ პატარებს, რომელთა ილუსტრაციებში ეშმაკი ვერ მიხვდება, ვინ რა სქესისაა და პრინცესას დედოფალი, ხოლო პრინცს მეფე უყვარდება და ა.შ.

**ერთი სიტყვით, ბავშვების აღზრდის მაქსიმალური გამიჯვნა მშობლების კონტროლიდან, სურვილებიდან, გნებავთ, გემოვნებიდან, საბოლოო ჯამში, „დრომოჭმული“, ტრადიციული ოჯახის ინსტიტუტის დანგრევას და მისი „პროგრესული“ ერთსქესიანი ოჯახებით ჩანაცვლებას ისახავს მიზნად.** ამიტომაც ტრადიციული ოჯახი არის მნიშვნელოვანი დაბრკოლება პედერასტების საოცნებო, უსქესო, უეროვნებო, ურელიგიო საზოგადოების შექმნისკენ მიმავალ გზაზე!






## ჯიგარი ხარ, ვლადიმეროვიჩ, ჯიგარი!

ბარაკ ობამასა და ჰილარი კლინტონის ავადმყოფური მხარდაჭერა მსოფლიო გეიმოძრაობის მიმართ ცნობილი ამბავია. მართალია, პირველი ქვეყანა, რომელმაც ერთსქესიანი ქორწინებები „შორეულ“ 1989 წელს დააკანონა, დანია იყო, მაგრამ გეიუბედურების სათავე მაინც ამერიკაა — 1968 წელს აშშ-ში დაარსდა ე. წ. რომის კლუბი, რომლის წევრი ასიოდე მილიარდერი კარნახობს დანარჩენ მსოფლიოს განვითარების სტრატეგია-მიმართუ- ▶

## საინტერესოა, რა ჭკუაზე დადგება ბატონი ბიძინა, როდესაც, ქართველი ერის უკიდურესი წინააღმდეგობის მიუხედავად, კატეგორიულად დაგვიყენებენ ერთსქესიანი ქორწინებების დაკანონების საკითხს? არადა, ამის დაკანონებას აუცილებლად მოგვთხოვენ, რადგან ნატო და ევროპა უკანალის „მგრძნობელობის ამაღლების“ გარეშე არ „გვაღიარებს“

ავი მუსაიფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95





ლებებს. ერთ-ერთი პირველი მოხსენება, რომელიც მსოფლიოს ბატონ-პატრონებმა გაასაჯაროეს, ე.წ. „გამრავლების საზღვრები“ იყო, რომელშიც ჩამოყალიბდა ავადსახსენებელი „ოქროს მილიარდის“ თეორია. ეს იყო 1972 წელს.

ერთი წლის შემდეგ კი ამერიკის ფსიქოლოგთა ასოციაციამ ჰომოსექსუალიზმი ავადმყოფობების სიიდან ამოიღო. ამერიკაში გამარჯვების შემდეგ პედერასტებმა აქტიური პროპაგანდა მთელი მსოფლიოს მასშტაბით დაიწყეს და 1992 წელს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამაც ამოიღო ჰომოსექსუალიზმი ავადმყოფობების სიიდან. სწორედ აქედან დაიწყო ცისფერების ტრიუმფალური სვლა მთელ მსოფლიოში!

ამ დროს რუსეთის არცთუ საამაყო პრეზიდენტმა, ბორის ელცინმა, გააუქმა სისხლის სამართლის კოდესში 121-ე მუხლი, რომელიც მამათმავლობისთვის ციხეს ითვალისწინებდა. დღეს კი, როდესაც სანკტპეტერბურგელი დეპუტატი, ვიტალი მელონოვი, ინიციატივით გამოვიდა, მოზარდებში გეიპროპაგანდის აკრძალვის თაობაზე, მთელი გეიტრანსნაციონალური სინდიკატი აიფოფრა! მათ შორის — მადამ ჰილარი კლინტონი, რომლის აზრითაც, გეების უფლებებია დემოკრატიის უმაღლესი გამოვლინება!..

ნაცნობი სურათია, არა, მკითხველო? ჩვენ ხომ გაცილებით მძიმე მდგომარეობა გვაქვს და ბევრად უარეს დღეში ვართ, რადგან რუსეთს, ჩვენგან განსხვავებით, ვაჟკაცი (მუჟიკი) პრეზიდენტი ჰყავს და დიახაც, მე მშურს მათი!

რატომ?

**გაიხსენეთ, 17 მაისის შემდეგ ჩვენი უმაღლესი ხელისუფლების, მათ შორის ბიძინა ივანიშვილის, უკეთეს შემთხვევაში, ენის მოჩლექა და ამაზრზენი კუდის ქიცინი შტეფან ფულეს და განსაკუთრებით, ანდრეს ფოგ რასმუსენის წინაშე, რომელმაც ჯერ 17 მაისი „ჩაიხვია“, თანაც ისე, რომ არც 7 ნოემბერი, არც 26 მაისი გახსენებია და შემდეგ, ავღანეთი ნატოს ბილეთი არ არისო, მოგვახალა, რითაც საფლავში ჩააფურთხა დაღუპულ ბიჭებს და სულში — ცოცხლად დარჩენილ ქართველ საზოგადოებას!**

იმის მაგივრად, რომ „მაღალი სტუმრისთვის“ დავიწყებული შეეხსენებინა, ბატონმა ბიძინამ 17 მაისის „დარბევის“ მონაწილეთა უპირობო დასჯა აღუთქვა და საერთოდაც, ეკითხებიან თუ არა, მომენტს არ

მამაკაცის ასოს ფორმის სასრიალო ბავშვებისთვის



უშვებს პრემიერი, რომ სექსუალური უმცირესობები არ შეგვავედროს კოაბიტაციით ისედაც შელონებულ ქართველ საზოგადოებას. კოაბიტაციით, რომელმაც ურეკის „საიდუმლო სერობის“ შემდეგ ისეთი აშკარად მახინჯი ფორმები მიიღო, რომ ზემოთ ხსენებულ პედერასტების ამაზრზენ „ზასაობას“ დაემსგავსა...

**სიტყვამ მოიტანა და ურეკში, ტრიუმვირატის შეხვედრაზე, ჩემი ინფორმაციით, საბოლოოდ გადაწყდა, რომ საპრეზიდენტო არჩევნებზე მეორე შედეგი „ნაცმოს“ კანდიდატმა, უდღეურმა დავით ბაქრაძემ უნდა აჩვენოს, რაც სადისტი „ნაცების“ საბოლოო და შეუქცევადი რეაბილიტაცია იქნება, რასაც ქართველი ხალხი მის წინააღმდეგ შეთქმულების კვალიფიკაციას მისცემს და გახსოვდეთ, ეგვიპტეს ტახრირი ოცნება-ნაცისტებო, ქართველი ხალხი კიდევ ერთხელ გაცურებას, სულში ჩაფურთხებას ვეღარავის აპატიებს, მათ შორის ვერც თქვენ, ბატონო ბიძინა!**

მანამდე კი, რადგან ბატონი ბიძინას სიმპათიები პედერასტების მიმართ გასაგებია, ქართველ საზოგადოებას აინტერესებს, რამდენად შორს მიმავალია მისი „ტოლერანტობა“ პედერასტების მიმართ. ერთხელ კი ბრძანა, რომ საქართველო ჯერ არ არის მზად ერთსქესიანი ქორწინებებისთვისო, მაგრამ რას ნიშნავს ეს „ჯერ მზად არ არის“? უნდა მოგვამზადოს და ამერიკის საელჩოსავით ტრეინინგები ჩაგვიტაროს?

საინტერესოა, რა ჭკუაზე დადგება ბატონი ბიძინა, როდესაც, ქართველი ერის უკიდურესი წინააღმდეგობის მიუხედავად, კატეგორიულად დაგვიყენებენ ერთსქესიანი ქორწინებების დაკანონების საკითხს. არადა, ამის დაკანონებას აუცილებლად მოგვთხოვენ, რადგან ნატო და ევროპა უკანალის „მგრძნობელობის ამაღლების“ გარეშე არ „გვაღიარებენ“, თუმცა არც მაგით „გვაღიარებენ“ — დაგვიყენებენ და ვიქნებით „დაყენებულები“.

საინტერესოა, **რას იზამს ამ შემთხვევაში ბატონი ბიძინა: პედერასტული ნატო-ევროპის ხათრით ხელებს გადაგვიგრეხს თუ იძალებს მასში ზემო იმერეთის მადლიანი, რაინდული გენი და რუსეთის ვაჟკაცი პრეზიდენტივით „ადგილზე მოსვამს“ შტეფან ფულე-მარტენს-რასმუსენებს?**

რუსეთის დასავლელი „პარტნიორები“ მომენტს არ უშვებენ, რომ ვლადიმერ პუტინი პედერასტული თემით არ გააკრიტიკონ. გვიდო ვესტერველემ ლამის ომი გამოუცხადოს გეების „მჩაგვრელ რუსეთს“, მაგრამ ეს ლიბერასტი სოდომიტები ისეთ სუსხიან პასუხებს იღებენ რუსეთის პრეზიდენტისგან, რომ შეკითხვების კი არა, ლაპარაკის ხალისსაც კარგავენ.

მე კი გულში ვიძახი — საღოლ, ვლადიმეროვიჩ, ჯიგარი ხარ, ჯიგარი!

რატომ? არა მხოლოდ იმიტომ, რომ პიროვნულ საქციელს ვუწონებ, არამედ სოდომის მაფიასთან გამკლავების, ლიბერასტი სოდომიტების ალაგმვის იმედს რუსეთში ვხედავ!

მთავარი წინაღობა მსოფლიო სოდომიზაციის გზაზე ისლამი და მართლმადიდებლობაა! რუსეთი უკანასკნელი კუნძულია პედერასტობის ოკეანეშიო, უფრო და უფრო ხშირად ისმის ეს მოსაზრება, რასაც კატეგორიულად არ ვიზიარებ, რადგან, საბედნიეროდ, რუსეთი უკანასკნელი „მატერიკია“, თანაც ბირთვული და, რაც მთავარია, მართლმადიდებლური. კუნძული კი საქართველოა და 200 წლის წინანდელი ისტორია მეორდება, ოღონდ ერთი „უმნიშვნელო“ სხვაობით — თუ 2 საუკუნის წინ საქართველოს მართლმადიდებელი კუნძული ისლამის ოკეანეში იხრჩობოდა, ახლა მას პედერასტიის ოკეანეში ჩაძირვა ემუქრება... როგორც ადრე, ახლაც საქართველოს ერთადერთ მშველელად ისევ რუსეთი მოჩანს.

სავარაუდოდ, რუსეთის ერი და ბერი ბოლოს და ბოლოს შეისმენს მათი დიდი წმინდანის, სერაფიმ საროველის შეგონებას, რომ, ვინც ღვთისმშობლის წილხვედრ საქართველოს ებრძვის, დედა ღვთისასაც ებრძვის, და ჩვენი მეუფე იობის შეგონებას, რომ საქართველოს ხსნა მართლმადიდებელ ერთა, ანუ იგივე რუსეთთან კავშირშია, ამ სალი აზრის რეალიზაციის კონტურებიც გამოჩნდება!

**ახლა ვიცი, აღნავლდებიან ე. წ. არასამთავრობო თუ სამთავრობო ხლისტები: რუსეთის აგენტი, საქართველოს ისტორიული ჩრდილოატლანტიკური არჩევანი და ა.შ. ჰოდა, იღნავლონ, მაგათი, მით უმეტეს არასამთავროებისა, ვიშვიში, უკაცრავად და ფეხებზე მკიდია, რადგან ეგენი კლასიკური V კოლონაა საქართველოში! ეგეც არ იყოს, ახლა ნახევარ ტონებში საუბრის დრო არ არის და პირდაპირ ვაცხადებ: ჩვენი მენტალური გადარჩენა შესაძლებელია მხოლოდ ერთმორწმუნე რუსეთთან ერთად! ამას დაუმატეთ ისიც, რომ, თუ აფხაზეთ-ცხინვალი 100 წლის მერე მაინც გვინდა, რუსების გარეშე ეგეც უტოპიაა. მაგრამ არც რუსებთან ერთად იქნება იოლი, რადგან ჯერ მიმზიდველი უნდა გახდე აფხაზ-ოსებისთვის...**

ჰოდა, ჩემმა მზემ, ერთსქესიანი ქორწინებებით მაგარი მიმზიდველები გავხდებით!

ისე, ეგ თუ მოხდა საქართველოში, ჭირსაც წაუღია აფხაზეთიც, ოსეთიც და დანარჩენი საქართველოც...

ვინმეს იქნებ ჰგონია, რამეს ვაჭარბებ? სკეპტიკოსებო, იცით, რომ ერთსქესიანი ქორწინებებით ბედნიერ ქვეყნებს, სრული ბედნიერებისკენ მიმავალთ, შემდეგი ეტაპი დაუდგათ — პედოფილიისა და ინცესტის ლეგალიზაცია. ამაზე სერიოზული მსჯელობა მიდის ევროპარლამენტში, მიუხედავად იმისა, რომ ერთსქესიანი წყვილების მიერ ნაშვილები ბავშვების ერთი მესამედი მშობლებისგან სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ხდება, ანუ პედოფილ „მშობლებს“ შვილები მათზე სექსუალური ძალადობის წინასწარი განზრახვით აჰყავთ!

არადა, **ჯერ კიდევ XIX საუკუნემდე ევროპაში მამათმავლობა მომაკვდინებელ ცოდვად ითვლებოდა. მერე და მერე, პედერასტების ცალკეულ აფიშირებულ ეგზემპლარებს სერიოზულად არავინ აღიქვამდა, ცოტანი არიანო და იქამდე მივედით, რომ დღეს ეს ცოტანი დასავლეთის სახელისუფლო სტრუქტურებში უმრავლესობები გახდნენ!**

აქედან გამომდინარე, სოდომის მაფიისთვის, ლიბერასტი სოდომიტებისთვის არაფრის დათმობა აღარ შეიძლება და ხელისუფლებას უნდა მოვუწოდოთ, ნებისმიერ ფასად შეინარჩუნოს საქართველო, როგორც ტრადიციული ღირებულებების მქონე ქვეყანა!

**დავით მხეიძე**

# 17 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა დასკვნა მიიღო

**პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტმა თითქმის ერთთვიანი მუშაობის შემდეგ, 16 ივლისის სხდომაზე 17 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით დასკვნა მიიღო. დასკვნის შემუშავების საფუძველი პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილის სახელზე შესული საქართველოს მოქალაქეების განცხადება გახდა.**

სხდომას საპატრიარქოს წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციების წევრები, დაინტერესებული მოქალაქეები ესწრებოდნენ.

კომიტეტი ამ დასკვნით კიდევ ერთხელ შეახსენებს საზოგადოებას, რომ **„ძალადობა მიუღებელია ნებისმიერ შემთხვევაში, რა ნიშნით, საფუძვლითა და მიზნითაც არ უნდა იყოს ის განხორციელებული“.** დასკვნაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ საქართველოს საპატრიარქოს მიერ 17 მაისამდე გაკეთებულ არც ერთ განცხადებაში არ ყოფილა მოწოდება ძალადობისკენ, უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ **„ეკლესია ასეთი მიდრეკილების მქონე ადამიანებს მეტად მძიმე ცოდვაში მყოფ პიროვნებებად განიხილავს“,** უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ შემდეგ დღეებშიც გააკეთა განცხადება იმის შესახებ, რომ ეკლესია ემიჯნება ძალადობას.

კომიტეტის დასკვნაში აღნიშნულია შინაგან საქმეთა სამინისტროს როლიც, რომელმაც შექმნილ ვითარებაში გამოავლინა მაქსიმალური ძალისხმევა და პასუხისმგებლობა, რითაც შესაძლებელი გახდა შესაძლო ფატალური შემთხვევების თავიდან აცილება და მთელ რიგ შემთხვევებში გამოვლენილი ძალადობისგან პირების დაცვა.

**კომიტეტმა გარკვეული რეკომენდაციებიც გასცა. იგი მიიჩნევს, რომ 17 მაისის მოვლენების ანალიზი და შეფასება ხელს შეუწყობს საზოგადოებაში ადამიანის უფლებათა პატივისცემასა და ევროპული ღირებულებების განმტკიცებას, სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტების პრევენციასა და აღკვეთას.**

მამა გიორგის (ზვიადაძე) შეფასებით, მნიშვნელოვანია, რომ კომიტეტმა დაბალანსებული დასკვნა წარმოადგინა, რომელშიც არსებით საკითხებზეა ყურადღება გამახვილებული და მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ კომიტეტი მხარედ არ გამოვიდა.

**„აქვე მთელი პასუხისმგებლობით მინდა ვთქვა: რომ არ ყოფილიყო პოლიციის და სასულიერო პირების მხრიდან დიდი ძალისხმევა, იქნებოდა მსხვერპლი. ეკლესიის პოზიცია ერთმნიშვნელოვანია — მისთვის მიუღებელი და შეუწყნარებელია რაიმე სახის ძალადობა. ცალკეული პიროვნების გადაწყვეტილება ცალკეული პიროვნების შეცდომაა და ამაში ეკლესიის პასუხისმგებლობა არაა“,** — განაცხადა მამა გიორგიმ.

წარმოდგენილი დასკვნის პროექტის მიმართ ლგბტ პირთა უფლებადამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლებს ჰქონდათ შენიშვნები, თუმცა სხდომაზე უმრავლესობამ წარმოდგენილი დასკვნის პროექტი მოიწონა და აღნიშნა, რომ კომიტეტი არ სცდება კომპეტენციის ფარგლებს, არ ახდენს სამართლებრივ შეფასებას, რაც სასამართლოს პრეროგატივაა. მათი თქმით, დასკვნის პროექტი დაბალანსებულია და ძალადობა დაგმობილია.

**შეთანხმდნენ რამდენიმე რეკომენდაციაზე. ესაა გამოძიების სწრაფად დასრულება და სამართლიანი სასამართლოს უფლებით სარგებლობა. ეკა ბესელიას განცხადებით, ყველა საქმე უნდა იქნას განხილული ამ ჭრილში. რეკომენდაცია პარლამენტსაც მიეცა, რათა კანონმდებლობაში შემოიტანოს კონტრშეკრების ცნება, რადგან ის საერთაშორისო სამართლით დაშვებულია და პროცედურები შესაბამისად უნდა გაიწეროს.**



ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ჩვენ მიგვაჩნია, რომ ივანიშვილი ჯერჯერობით უნდა დარჩეს პოლიტიკაში. ხოლო ის, რომ იგი დიდი ხნით არ დარჩებოდა პოლიტიკაში, თავიდანვე ცნობილი იყო, მაგრამ ამ ეტაპზე აუცილებლად უნდა დარჩეს თავის პოსტზე და განაგრძოს მუშაობა. მისი წასვლის შემდეგაც მისი ავტორიტეტი და გავლენა საზოგადოებასა და ქვეყანაზე დიდი რომ იქნება, ეს არც არის გასაკვირი.“

# კოაბიტაცია ახალი პრეზიდენტის მოსვლისთანავე დასრულდება

**„საქართველო და მსოფლიოს“ შეკითხვებს რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, განათლების მინისტრის მოადგილე — დავით ზურაბიშვილი უპასუხებს.**



## დავით ზურაბიშვილი:

# ქართველობა არ განისაზღვრება მხოლოდ მართლმადიდებლობით

**— ბატონო დავით, პირველ რიგში კოაბიტაციის ყბადაღებულ თემას მინდა შევეხოთ, საბოლოოდ რას მოიცავს, რას გულისხმობს და როდის უნდა დასრულდეს იგი?**

— ჩვენთან რატომღაც ყველას ჰგონია, რომ კოაბიტაცია ძმობას, მეგობრობასა და განუყრელად ერთად ყოფნას ნიშნავს. ეს ასე არ არის. ეს ტერმინი პრაქტიკულად მშვიდობიან ორხელისუფლებიანობას ნიშნავს და ამ ტერმინში მშვიდობიანი თანაარსებობაც იგულისხმება. ჩვენთან კი ეს საკითხი აღქმული იქნა ისე, რომ თითქოს მათ შორის რაიმე ფარული გარიგებაა, ხომ არ უყვართ ერთმანეთი ფარულად და ასე შემდეგ. ეს ჩვენი არჩევანი არ ყოფილა. ასეთი ვითარება მოიტანა 1 ოქტომბრის შემდგომ შექმნილმა რეალობამ, რომ არსებული ხელისუფლება შეიცვალა, მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ.

**— და როდემდე უნდა გაგრძელდეს ეს პროცესი?**

— ვფიქრობ, **ახალი პრეზიდენტის მოსვლისთანავე ის, რასაც ქართველი ხალხი კოაბიტაციას ეძახის და რასაც თქვენ გულისხმობთ, აუცილებლად დასრულდება, თუმცა დარჩება ადგილობრივი თვითმმართველობა. შემდეგ თვითმმართველობის არჩევნებიც იქნება და ამით საბოლოოდ დასრულდება ეს პროცესი.** ამასთან, იმედი მაქვს, რომ შემუშავდება ახალი ტიპის თვითმმართველობის საფუძვლები და ამ დროისთვის უკვე კოაბიტაციის საკითხი საბოლოოდ მოიხსნება.

**— გვერდს ვერ ავუვლით ლგბტ საკითხს. როგორ ფიქრობთ, იზღუდება მათი უფლებები საქართველოში?**

— რა თქმა უნდა. შეეზღუდათ კი არა, თქვენ ნახეთ, რომ 17 მაისს ასეთმა ადამიანებმა ძლივს გაასწრეს ცოცხლებმა. სხვა საქმეა, მე პირადად მომწონს თუ არა ჰომოსექსუალიზმი. მე შეიძლება არ მომწონდეს და ვთქვა, რომ ეს ცოდვად მიმაჩნია, მაგრამ, რა ვუყოთ იმ ადამიანებს, რომლებიც ასეთებად დაიბადნენ? დავხოცოთ ისინი ამის გამო? ამას მარტო მე კი არ ვამბობ, ეს განაცხადა პრემიერ-მინისტრმაც. ჩვენი პრემიერი, მე მგონი, არ არის ეჭვმიტანილი რაღაც ანტიქართულ ქმედებებში. მთავრობის სხვა წევრებმაც იგივე განაცხადეს. ასე რომ, ამ ადამიანებს კონსტიტუციური უფლება აქვთ, ჩაატარონ აქცია, ისევე, როგორც სხვა ადამიანებს ჰქონდათ ამ აქციის საწინააღმდეგო აქციის ჩატარების უფლება, მაგრამ მათი ეს უფლება დამთავრდა იქ, სადაც დაიწყო ძალადობა. მე მინდა ვთქვა, რომ **ზოგიერთებმა ძალიან შეგნებულად და წინასწარგანზრახულად დაგვიხატეს სიტუაცია ისე, რომ თითქოს არჩევანი უნდა გაკეთდეს მართლმადიდებლობასა და ჰომოსექსუალიზმს შორის. არ არის ასე. ამ ორი საკითხის ერთმანეთთან შედარება საერთოდ არ შეიძლება.** არსებობენ ადამიანები, რომლებსაც არ მოსწონთ ესა თუ ის საკითხი — ვიღაცას არ მოსწონს რუსეთი, ვიღაცას, ვთქვათ, — ამერიკა... ადამიანები არჩევანში თავისუფლები არიან...

**— ბატონო დავით, განზრახული იყო ფლეშმობის დადგმაც. იქნებ საზოგადოების ამ მცირე ნაწილს ეფიქრა საზოგადოების იმ დიდ ნაწილზე, რომელსაც ეს არ მოსწონდა და მორიდებოდნენ მსგავს გამომწვევ ქმედებებს; არ ფიქრობთ, რომ ლგბტ საზოგადოების წევრები მიზანმიმართულად გამომწვევად იქცეოდნენ?**

— რაში გამოიხატება გამომწვევი ქცევა ან ფლეშმობი დანაშაულია? ან ამის გამო ამდენი ადამიანი 20 კაცს უნდა გამოეკიდოს და მათ სიცოცხლეს საფრთხე შეუქმნას? ხომ ფაქტია, რომ ავტობუსი ხალხის მასამ დაამტვრია? ამას მე კანონის დამცველის მხრიდან ვკითხულობ. რაც დანაშაული არ არის და რისი უფლებაც აქვს მოქალაქეს, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს. სახელმწიფო არ უნდა შედიოდეს განსჯაში, ზნეობრივია ეს უფლება თუ არა. სხვა საქმეა, რამდენად გვინდა, რომ ასეთი ადამიანი გვყავდეს საკუთარ და ოჯახში.

**ლგბტ საზოგადოების წევრები ისეთივე მოქალაქეები არიან ჩვენი ქვეყნისა, როგორც ჩვენ. არ შეიძლება მათი დისკრიმინაცია ამ ნიშნით. ასევე მაინტერესებს რას ნიშნავს სიტყვა პროპაგანდა. რაც უნდა პროპაგანდა გამიწიოს ვინმემ, ქალი აღარ მომეწონება და კაცებისკენ გამიწევს გული? ან სადმე თუ გინახავთ თქვენ ადამიანი, რომელმაც პროპაგანდის გამო სექსუალური ორიენტაცია შეიცვალა? ასეთად უნდა დაიბადოს ადამიანი.**

**— რას ფიქრობთ ერთსქესიანთა ქორწინებაზე?**

— თუ ჩემი პირადი აზრი გაინტერესებთ, ერთსქესიანთა ქორწინების კატეგორიულად და ერთმნიშვნელოვნად წინააღმდეგი ვარ.

**— რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ამერიკის საელჩოს დაფინანსებით, სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში გაიმართება სპეციალური ტრენინგები ლგბტ საზოგადოების მიმართ თანაგრძნობის ამაღლების მიზნით.**

— არ ვიცი, არ ვფლობ ამ ინფორმაციას, მაგრამ, ქართული შემწყნარებლობიდან გამომდინარე, მეტად უნდა შევიკავოთ თავი აგრესიისგან. მე რომ ვიყო უცხოელი, ჩავთვლიდი, რომ ასეთ ქვეყანაში ჰომოსექსუალად ყოფნა სიცოცხლისთვის საშიშია. იმ ადამიანებმა, რომლებმაც ნახეს, რაც 17 მაისს ხდებოდა თბილისში, ყველამ აღნიშნა, რომ ეს არანაირად არ ჯდებოდა ცივილიზებული საზოგადოების ჩარჩოებში.

**— რელიგიური ნაციონალიზმი ერთგვარი სახადიაო, — თქვენი სიტყვებია. მართლმადიდებლობას გულისხმობთ?**

— რასაკვირველია, მართლმადიდებლობას არ ვგულისხმობ. მართლმადიდებლობა საუკუნეების მანძილზე ტრადიციულად დომინანტი სარწმუნოებაა საქართველოში. ჩემი აზრით, **საზოგადოებისთვის ძნელი და რთული მომენტი შეიძლება იყოს რელიგიური ნაციონალიზმი. არასწორია, როდესაც რელიგიურობა ხდება ქართველობის განმსაზღვრელი, იმიტომ, რომ ჩვენ გვყავს ათეისტი ქართველები, მუსლიმანი ქართველები და სხვ. ბუნებრივია, ქართველთა უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია, მაგრამ არიან სხვებიც. ამის გამო ჩვენ იმათ ნუ წავართმევთ ქართველობას. ეს უკვე შეიძლება ქვეყნის პრობლემა გახდეს.** საბჭოთა პერიოდში რელიგიურ საკითხს დიდი ყურადღება არ ექცეოდა. მაშინ წინ წამოწეული იყო, რა წარმომავლობის წინაპრები გყავდა, ახლა კი ამას, პრიქტიკულად, მნიშვნელობა არ აქვს, მთავარია რელიგიური საკითხი, ანუ მართლმადიდებელი თუ ხარ. ჩემი აზრით, ორივე მიდგომა არასწორია. მართალია, მართლმადიდებლობამ დიდი როლი შეასრულა ქართული ცნობიერების შენარჩუნებაში, მაგრამ მაინც უნდა გვახსოვდეს, რომ **დღეს ქართველობა არ განისაზღვრება მხოლოდ მართლმადიდებლობით, ანუ, თუ ადამიანი არ არის მართლმადიდებელი, ის მაინც შეიძლება ქართველი იყოს.**

**— რამდენად კმაყოფილი ხართ ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენის პროცესით?**

— რა თქმა უნდა, ეს პროცესი მიმდინარეობს ძალიან ნელა. როგორც ამბობენ, „ურმით დადის სამართალი“. გეთანხმებით, **ბევრ ადამიანს უნდა, რომ სამართალი აღსრულდეს რაც შეიძლება სწრაფად, მაგრამ მე, მაგალითად, მირჩევნია, „იაროს“ ასეთი ტემპით, ვიდრე ისევ ის მოხდეს, რაც თავის დროზე საააკაშვილმა გააკეთა. გახსოვთ, ალბათ, მოსვლისთანავე მან დაიწყო დაპატიმრებები, დაერია ყველას (დაარღვია კანონი, პროცედურები).** მაგალითად, მე სულხან მოლაშვილის საქმე მახსენდება. ამ ადამიანს ბევრი მიიჩნევდა კორუფციული გარიგებების თანამონაწილედ, მაგრამ ვერაფერი დაუმტკიცეს და ბოლოს ბოდიშიც კი გაგვიხდა იქით მოსახდელი. ასეთი რამ აღარ უნდა განმეორდეს. აუცილებელია, ყველა პროცედურის დაცვით მიმდინარეობდეს გამოძიებები და მერწმუნეთ, ყველა დამნაშავე სათანადოდ დაისჯება კანონით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ისევ ჩაკეტილ წრეზე სიარული მოგვიწევს და ვეღარ გავაღწევთ ამ წრიდან. რა თქმა უნდა, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, ჩემი აზრით, ეს პროცესი, ალბათ, უფრო სწრაფად წარიმართება.

**— ბატონმა ბიძინამ განაცხადა, რომ იგი აპირებს პოლიტიკიდან წასვლას. თქვენი აზრი ამის შესახებ: სად უნდა წავიდეს ასეთ დროს, და აქვე მეორე კითხვაც: ვიცით, რომ დღეს პოლიტიკური ჯგუფები ივანიშვილს ემორჩილებიან ორი ძირითადი მიზეზის გამო — პირველი ის, რომ მას აქვს მაღალი რეიტინგი და მეორე ის, რომ აკონტროლებს როგორც პირად კაპიტალს, ასევე ბიუჯეტს. დაემორჩილებიან კი მას და იქნება კი ის ასეთივე ანგარიშგასაწევი ფიგურა, თუკი მართლა წავა პოლიტიკიდან და, შესაბამისად, მისი ჭრელი გუნდი ხელში ჩაიგდებს ბიუჯეტის გაკონტროლების მექანიზმებს ან ამ გუნდს აღარ დასჭირდება ბიძინას ფული?**

— არ მესმის თქვენი კითხვის არსი. რას ნიშნავს ხელში ჩაიგდებს? აბა, ახლა სად არიან? განა მათ სადმე რამის მიღწევა სჭირდებათ? სახელმწიფო და ხელისუფლება სწორედ ბიუჯეტის ხარჯზე უნდა არსებობდეს, აბა, სხვა შემოსავალი მას არც ექნება. იქნება ეს ივანიშვილი თუ ვინმე სხვა, ამ საკითხს მკაცრად კონტროლი სჭირდება და ის აუცილებლად მოახერხებს ამას. უპირველეს ყოვლისა კი, ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ბიძინა უნდა წავიდეს. **ჩვენ მიგვაჩნია, რომ ივანიშვილი ჯერჯერობით უნდა დარჩეს პოლიტიკაში. ხოლო ის, რომ იგი დიდი ხნით არ დარჩებოდა პოლიტიკაში, თავიდანვე ცნობილი იყო, მაგრამ ამ ეტაპზე აუცილებლად უნდა დარჩეს თავის პოსტზე და განაგრძოს მუშაობა. მისი წასვლის შემდეგაც მისი ავტორიტეტი და გავლენა საზოგადოებასა და ქვეყანაზე დიდი რომ იქნება, ეს არც არის გასაკვირი.**

**— გახსოვთ, ალბათ, თინათინ ხიდაშელის ირგვლივ ატეხილი ხმაური, საგარეჯოს რაიონში თანხების მითვისებას რომ ეხებოდა. ამ საქმეზე დაკავებულთაგან ყველა გაათავისუფლეს მას შემდეგ, რაც ქალბატონმა თინათინმა განაცხადა, რომ ის საქმის კურსშია და იცნობს ამ ადამიანებს. შერჩევით სამართალთან ხომ არ გვაქვს საქმე?**

— გაშვება-არ გაშვებას სასამართლო წყვეტს. სასამართლო რომ ჩვენს ხელში არ არის, ეს თქვენც ძალიან კარგად იცით. ამ ფონზე არ იყო საჭირო მათი დაკავება. არც პროკურატურას მოუთხოვია აღმკვეთი ღონისძიების შეფარდება, პროცედურულად არ დარღვეულა. თინა როგორც ამბობს, იცნობს ამ ხალხს და იცის ამ საქმის შესახებ... ამ შემთხვევაში მეც არ მაქვს საფუძველი, მას არ ვენდო. მისი გადასაწყვეტია, ვის დაუდგეს თავდებში და ვის — არა. ისე, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ამ საქმესთან დაკავშირებით გამოძიება ისევ გრძელდება.

# «ერთსქესიანთა ქორწინების კატეგორიულად და ერთმნიშვნელოვნად წინააღმდეგი ვარ»

ესაუბრა **ეკა კახიანი**

**„თერჯოლაში „ქართული ოცნების“ თავმჯდომარედ სხვა პარტიის (არ მინდა დავასახელო) ლობირებით მივიყვანეთ კადრი და ახლა გამგებლად გადაჰყავთ იმავე პარტიის ლობირებით. აქეთ მეორე პარტიის ლობირებით კვლავ მოდის ჩვენთან თავმჯდომარე და ჩვენ კი ვართ გულხელდაკრეფილნი. ჩვენ ისევ ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობა არ გვაქცევს ყურადღებას.“**

ინტერვიუ
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რა უთხრა უმრავლესობასთან შეხვედრისას «ოცნების» დეპუტატმა პრემიერს და რატომ არ პატრონობს ივანიშვილი თავის პარტიას

**ყველას კარგად გვახსოვს „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო რიტორიკა, საარჩევნოდ დაპირებულმა სამართლიანობის აღდგენამ ჩაილურის წყალი დალია და გადაიქცა კოაბიტაციად. უცნაურია, რომ პარტია, რომელსაც აქვს 30%-იანი შედეგი არჩევნებში, ხელისუფლების 80%-ს აკონტროლებს და ეს არავის უკვირს საქართველოში. ბოლოს და ბოლოს, ხელისუფლებაში მოიძებნა ადამიანი, რომელმაც პარლამენტის ტრიბუნიდან თქვა თავისი და თავისი თანამოაზრეების სათქმელი. იმედია, ბატონ ომარ ნიშნიანიძის გამოსვლა არ დარჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა, არამედ ადეკვატურ გაგრძელებას მიიღებს, თუმცა ვინ იცის... მთავარია კოაბიტაცია და ქვა ქვაზე ნუ დარჩენილაო, ამბობენ მავანნი და მგონი, პრემიერ-მინისტრიც ეთანხმება... „საქართველო და მსოფლიოს“ „ქართული ოცნების“ დეპუტატი — ომარ ნიშნიანიძე ესაუბრა.**



## ომარ ნიშნიანიძე: ყველა პარტიას ჰყავს პატრონი... «ქართული ოცნება» უპატრონოდ ვართ

**— თქვენ პარლამენტის ტრიბუნიდან განაცხადეთ, რომ მკვეთრად უარყოფითად აფასებთ იმ პროცესს, რომელსაც ახლა კოაბიტაციას უწოდებენ, თქვენს ამ გამოსვლას ძალიან მალე მოჰყვა უმრავლესობასთან პრემიერ-მინისტრის შეხვედრა, ხომ არ იყო ეს არაპირდაპირი პასუხი თქვენს გამოსვლაზე?**

— რა თქმა უნდა, ჩვენ ეს აღვნიშნეთ, ერთ-ერთი კობა დავითაშვილი იყო, მას ისევე, როგორც მე, ძალიან არ მოსწონს ლმობიერი და დამთმობი პოლიტიკა „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ. ახლა მკვეთრ გამონათქვამებს რაც შეეხება, შეიძლება ამ გამონათქვამების სტილი შეიცვალოს, მაგრამ მე კვლავ ვრჩები იმ აზრზე, რომ **„ნაციონალური მოძრაობა“ საქართველოსთვის იმდენი უბედურების მომტანია, რომ უნდა მივუჩინოთ თავისი ადგილი, ამიტომ, როცა საჭირო გახდება, უფრო მკვეთრადაც გამოვხატავ ჩემს პოზიციას. ასეთი ანტისახელმწიფოებრივი და ანტიეროვნული პარტია საქართველოში უნდა აიკრძალოს, დიახ, ასეთი ფაშისტური სტილის პარტია უნდა აიკრძალოს საქართველოში!** ეს ჩემი პირადი აზრია, ჩვენი ლიდერი კი მოგვიწოდებს მკვეთრი გამონათქვამებისგან თავშეკავებისკენ, მაგრამ გეტყვით, რაც ხდება. აი, მე რა დავინახე ამ მოწოდებაში — მკვეთრი და შეურაცხმყოფელი გამონათქვამებისგან თავი შეიკავეთ და იმ ადამიანების მიმართ, რომლებსაც სურვილი აქვთ, „ნაციონალური მოძრაობა“ დატოვონ, ლმობიერნი იყავითო, ანუ **„ნაციონალური მოძრაობის“ ის წევრები, რომლებიც წამოვლენ პარტიიდან, მოინანიებენ ცოდვებს, მიწას მიაყრიან წარსულს, რეალურად შეაფასებენ განვლილ გზას, გვერდით დაუდგებიან არა ჩვენს მოძრაობას, არამედ სახელმწიფოს, შეიძლება მისაღებნი გახდნენ ჩვენთვის. ეს დავინახე პრემიერის მოწოდებაში.** ხოლო ვინც არ ინანიებს და კვლავ აგრძელებს თავის საქმიანობას, მათთან შერიგება და კოაბიტაცია კარგა ხანია დამთავრებული მაქვს. მე ამ პოზიციაზე ვდგავარ. ადამიანებთან, რომლებსაც ოდნავი სინანულის გრძნობა არ აქვთ, თუნდაც იმ სამალავებში აღმოჩენილ კადრებსა და ათას უბედურებასთან დაკავშირებით ნიანგის ცრემლებს რომ ღვრიან, კოაბიტაცია დამთავრებული მაქვს და არა მარტო მე, არამედ უმრავლესობის დიდ უმრავლესობას.

**— პარლამენტში თქვენსავით ბევრი ფიქრობს? სად არიან ისინი? ხალხი ვერ ხედავს მათ პოზიციას...**

— რა არის, იცით, თქვენც უნდა გაგვიგოთ, ისინი ტრიბუნას მიუჩვეველნი არიან... აი, მეც კი, 30 წელიწადია ლექციას ვკითხულობ, ტრიბუნაზე ვდგავარ, მაგრამ მიჭირს. გვისაყვედურეს კიდეც ერთხელ კანონშემოქმედებაში მოიკოჭლებთო, მაგრამ ამის სწავლაც შეიძლება. **ძველ ეგვიპტურ იეროგლიფურ დამწერლობას ავუღე ალღო და ამას როგორ ვერ ვისწავლით? სპორტსმენებს აქვთ მკვეთრი პოზიცია, მაგრამ უჭირთ ტრიბუნასთან „ნაციონალების“ წინააღმდეგ არგუმენტირებულად საუბარი, თუმცა ისინი თავიანთ პოზიციას ნებისმიერ ადგილას აფიქსირებენ. გარწმუნებთ, რომ უმრავლესობის უმრავლესობა ამ პოზიციაზე დგას. მეც არ ვჩანდი აქამდე, მაგრამ ამოვიდა ყელში და, ბოლოს და ბოლოს, ვთქვი სათქმელი. მოვა დრო და ისინიც ალაპარაკდებიან, ეჭვიც არ მეპარება.** გამაგებინეთ, მიშასთან რა კოაბიტაცია შეიძლება, დადის აქეთ-იქით (მოლდოვაში რა გააკეთა!) და „ქართული ოცნების“ საწინააღმდეგოს კი არა, ანტისახელმწიფოებრივ პროპაგანდას ეწევა. ამათთან როგორ შეიძლება კოაბიტაცია. იმათთან კი, ვისაც ოდნავი სინანულის გრძნობა დაეუფლება, კი, ბატონო. მაგრამ გივი თარგამაძეებთან და ჩიორებთან თუ ბელურებთან კოაბიტაცია გამორიცხულია.

**— გიგა ბოკერიამ და გიგი უგულავამ რომ მოინანიონ, შეიცვალონ პოზიცია, მიიღებს „ქართული ოცნება“ თავის რიგებში მათ?**

**— გიგა ბოკერიამ და გიგი უგულავამ რომც მოინანიონ, მათთან კოაბიტაცია გამორიცხულია, ასევე, ჩიორასა და გივი თარგამაძეს ხელს ვერ ჩამოვართმევ, გამარჯობას ვერ ვეტყვი, გვერდს ავუვლი!** შეიძლება რაღაც ცოდვა მოინანიოს კაცმა, მაგრამ ბევრი რამ უპატიებელია. მათ ისეთი რა უნდა გააკეთონ, რომ შევურიგდე. ასე ფიქრობენ სხვებიც უმრავლესობაში.

**— და რით ხსნით იმ ფაქტს, რომ საპარლამენტო არჩევნების წინ „ნაცები“ ამბობდნენ, კლასი უნდა გაქრესო, ივანიშვილი კი არაეთიკური გამონათქვამების წინააღმდეგიც კი არის?**

— მას მიაჩნია, რომ ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან წამგებიანი იქნება, თუ „ნაციონალურ მოძრაობაში“ არსებულ რეალურ ძალას ხელს ვკრავთ, ვგულისხმობ, არა იმ ერთეულებს, რომლებიც ზემოთ ვახსენეთ და რომლებიც მიუღებელნი არიან, ალბათ, თვით პრემიერისთვისაც, არამედ იმ ძალას, რომელიც დაბალ ეშელონებშია, შეიძლება პარლამენტშიც არის რამდენიმე ადამიანი. აი, მათზე უარის თქმა არ შეიძლებაო. მას არ უნდა, რომ „ქართული ოცნება“ რაღაც მონსტრად გადაიქცეს.

ფაქტობრივად, ჩვენ, პარტია „ქართული ოცნება“, უპატრონოდ ვართ. და მე ვუთხარი კიდეც შეხვედრაზე ეს ბატონ ბიძინას. **ყველა პარტიას ჰყავს პატრონი, აი, რესპუბლიკელებს პარლამენტის თავმჯდომარე ჰყავთ, „თავისუფალ დემოკრატებს“ — ალასანია, ძალიან აქტიურნი არიან საგარეო და საკადრო პოლიტიკაში, რაიონებშიც აქტიურობენ, ბუნებრივია, ამის გამო ჩვენ ვერ ვუსაყვედურებთ მათ, ჩვენ კი არავინ გვყავს.** რესპუბლიკელებისთვის თავიანთი ფრაქცია პარლამენტში პარტიული ცხოვრების ძლიერი რგოლია; ჩვენ, „ქართული ოცნების“ ფრაქცია, ამას ვერ ვგრძნობთ, ჩვენ არ ვართ პარტიული მუშაობის მნიშვნელოვანი რგოლი, ჩვენს დეპუტაციას ამ მხრივ მხარდაჭერა არ აქვს. აი, იმავე **თერჯოლაში „ქართული ოცნების“ თავმჯდომარედ სხვა პარტიის (არ მინდა დავასახელო) ლობირებით მივიყვანეთ კადრი და ახლა გამგებლად გადაჰყავთ იმავე პარტიის ლობირებით. აქეთ მეორე პარტიის ლობირებით კვლავ მოდის ჩვენთან თავმჯდომარე და ჩვენ კი ვართ გულხელდაკრეფილნი. ჩვენ ისევ ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობა არ გვაქცევს ყურადღებას.**

**— სხვათა შორის, რაიონებში ხალხი „ქართული ოცნებით“ უკმაყოფილოა...**

— დიახ, და ჩვენ ვთხოვეთ პრემიერს, რომ მეტი ყურადღება მიექცია პარტიისთვის, რადგან, სიმართლე გითხრათ, ჩვენ ცოტა გარიყულებივით ვართ. გეთანხმებით, **ძალიან უკმაყოფილოა ხალხი და ჩვენ სწორედ ეს ავუხსენით პრემიერს. ის ადამიანები, რომლებიც მართლა სასწორზე დებდნენ თავს, ოჯახებსა და შვილებსაც კი, ფაქტობრივად, გადაგდებულები არიან.** თუნდაც მისი განცხადება ავიღოთ (პოლიტიკიდან წასვლის თაობაზე), ესეც გარკვეულწილად აშფოთებს ხალხს, თუმცა მას უფლება აქვს, ნებისმიერ დროს წავიდეს, უფრო სწორად, იმ დროს, როდესაც ქვეყანა დალაგდება. მაგრამ ამ წუთას ჩემს მეზობელ სპირიდონასა და ფაციას როგორ ავუხსნა მე ეს? (ნერვიულობს ის ადამიანი, შვილი რომ უწამეს და ათასი უბედურება გადაყარეს, სკამის ფეხებით გააუპატიურეს). დიახ, როგორ ავუხსნა, ეშინია მას, ფიქრობს, ვაითუ შემობრუნდეს „ნაციონალური მოძრაობაო“, რადგან ყველგან ძველ სახეებს ხედავს. ამას ხომ ახსნა უნდა? ეს განცხადება ქვეყნის გარეთაც გვიქმნის გარკვეულ პრობლემებს, თუნდაც ინვესტიციების მხრივ. შეიძლება ეს განცხადება ცოტა ნაადრევიც იყო და შემდეგ ამიტომ თქვა, რომ არსადაც არ წავა, სანამ ქვეყანას არ დაალაგებს. ვიმეორებ, ვთხოვეთ, ყურადღება მოექცია ჩვენთვის, **პარტიული ოფისებიც კი არ გვაქვს ყველგან. დაფინანსება „ნაციონალურ მოძრაობას“ რომ აქვს, იმის მეოთხედი თუ მეხუთედი გვაქვს ჩვენ. არადა, მმართველი პარტია კი გვქვია.**

**— და რა გიპასუხათ? იცით, საზოგადოების დიდი ნაწილი თვლის, რომ ეს პროცესი – კოაბიტაცია არის საარჩევნო დაპირების დარღვევა... სერიოზული ცვლილებები არ მომხდარა, თანამდებობებზე ისევ სხედან „ნაციონალები“, ის ადამიანები, რომლებიც ხალხს ატერორებდნენ....**

— მე ხშირად ვისმენ ამას, ჩვენ ხომ ხალხში ვტრიალებთ და ვუთხარით კიდეც პრემიერს ეს ყველაფერი — რომ ხალხი წუხს ამაზე, საქმეც ზარალდება, პარტიული კუთხითაც ვზარალდებით. **არ შეიძლება არჩევნებში დამარცხებული პარტია გამარჯვებულზე ასჯერ უკეთესად იყოს.**

## «ბოკერიამ და უგულავამ რომც მოინანიონ, მათთან კოაბიტაცია გამორიცხულია»

ესაუბრა
**ქეთი ხომერიკი**

ექსკლუზივი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„ვილაც პროზკა ჩამოდის ვაშინგტონიდან, ვინ არის ან რას წარმოადგენს გინდა პიროვნულად, გინდა შემოქმედებითად, გინდა ცხოვრების გავლილი გზით, და მორალს გიკითხავს მაღალი ტრიბუნიდან... და ცუციკებივით დგანან ეს შოზელძაღლები, ესენი და პირმოთნე ღიმილით ულოკავენ უკანალს! ამას აყურებინებენ ქვეყანას, ახალგაზრდობას, მთელ მსოფლიოს და ამით შლიან ჩვენს ეროვნულობას, თავმოყვარეობას, ყველაფერს.“

## თემო გოცაძე:

# წააგე? წადი!

ეს ქუჩა, თუ ქუჩა ჰქვია კუსტბის მთის კალთაზე გაჭრილ გზას, მგონი, უსახელოა. დასაწყისში სახალხო მხატვრის — მერაბ ბერძენიშვილის კულტურის საერთაშორისო ცენტრია — „მუზა“. იქ კი, სადაც იწყება დასასრული, სახალხო მხატვრის — თემო გოცაძის სახელოსნოა. შუაგზაზე გამარჯვების პარკს სახალხო მხატვრის — გოგა ოჩიაურისეული გამარჯვება გადმოჰყურებს — ქართული ნიკე. მონპარნას!

ბატონ თემო გოცაძესთან ვიწყებ მორიგ საუბარს ჩვენი ქვეყნის ჭირ-ვარამზე.



## «იძულებულს გაგვხდიან, მაგ ამერიკელებსა და ევროპელებს კუდით ქვა ვასროლინოთ და კვლავ რუსეთს მივუბრუნდეთ»

**— ჩვენი გაზეთის წინა ნომერში ერთმა პატიოსანმა და კომპეტენტურმა მეცნიერმა, პროფესორმა დავით იაკობიძემ თქვა: „თვალში საცემია ბიძინა ივანიშვილისადმი ჟურნალისტთა მხრიდან არაეთიკური „შეტლიკინებები“ მაშინ, როცა ისინი ზედმეტად კორექტულები არიან მისი ოპონენტების მიმართ.“**

— დედიმისის შვილები იყვნენ და გაუბედავდნენ ერთი წლის წინათ სააკაშვილს ასეთნაირ „შეტლიკინებას“. შიში იყო. შეტლიკინება მათაც და სხვებსაც სამუშაოს დაკარგვად დაუჯდებოდათ, ელემენტარულად აღგვიდნენ პირისაგან მიწისა. როცა მოიხსნა შიშის ფაქტორი, ამოიღეს ხმა. რატომაც არა?! ენა უძვლოა და ყველაფრის მთქმელი.

მაგრამ მარტო ეს არ არის: **როცა ძარღვი არა გაქვს, ყველაფერზე ხარ წამსვლელი. ამიტომ არის უძარღვო, უჯიშო, და, მეტი რა ვთქვა, ბინძური არაპროფესიული ჟურნალისტიკა.**

„ნაცების“, ანუ წამსვლელი ძალის წარმომადგენლებთან ზედმეტად კორექტულები რომ არიან, ესეც გასაგებია: დღევანდელი ჟურნალისტიკა 9 წლის განმავლობაში სწორედ ასეთად ჩამოყალიბდა.

ცხადია, ამ ჩემს დასკვნას ყველა თქვენს კოლეგაზე არ ვავრცელებ, ტენდენციაზე ვლაპარაკობ, 9 წლის განმავლობაში რომ ჩამოყალიბდა. ამიტომ ძალიან ძნელია, დღეს გამოხვიდე შტამპების ტყვეობიდან, ხაზი გადაუსვა იმ კონიუნქტურას, რომელშიც იცხოვრე და ჩამოყალიბდი, ვაი, რომ არაპროფესიონალად. **ახალ კონიუნქტურას თავისი პრინციპები აქვს — თავისუფალიც შეგიძლია იყო და ზუსტად შეგიძლია ილაპარაკო ის, რაც სიმართლეა. ძნელია-მეთქი, ხაზგასმით ვამბობ, რადგან ის ჟურნალისტიკა ყველა სიტუაციაში ინარჩუნებს გლეხის იმ თვისებას, როცა იგი უკან დასახევ გზას იტოვებს...**

მიჩვეულია, თუმცა ახალი ხელისუფლების პირობებში მას სრული გარანტია აქვს, რომ თავისი შეხედულებებისა და პოზიციის გამო არავინ დევნას არ დაუწყებს.

**— შეტლიკინებაზე გავაგრძელოთ საუბარი. ხომ არ გეჩვენებათ, რომ „ნაცების“ ნარჩენები ძალიან შეუტლიკინდნენ ქართულ საზოგადოებას? მხედველობაში მაქვს მათი საჯარო გამოსვლები პარლამენტში.**

— შეუტლიკინდნენ და მეტიც. ეს კი გამოწვეულია ერთი რამით: როგორც კი დავიწყეთ სამართლიანობის აღდგენა ჩვენს ქვეყანაში, რომელიც ქართული საზოგადოების მთავარი მოთხოვნა იყო, აყაყანდნენ ევროპა და ამერიკის შეერთებული შტატები. ეს ბუნებრივი რეაქცია იყო, რადგან სწორედ მათი ხელდასმული იყო ის ხელისუფლება, რომელიც ამდენ ხანს მართავდა საქართველოს, ე.ი. შევეხეთ და დავიწყეთ იმ სიტუაციის შეცვლა, რომელიც, მათი მტკიცებით, სამაგალითო იყო ახალგაზრდა დემოკრატიის ქვეყნებისთვის, მანათობელი ვარსკვლავი იყო. ხომ ფაქტია, რომ **ყოფილი ხელისუფლების „ლიდერები“ ჩამოყალიბდნენ „კმარებში“ და „თავისუფლების ინსტიტუტების“ რიგებში, ამერიკელი ინსტრუქტორების მიერ იწვრთნებოდნენ მაშინ, როცა საქართველოს ყველაზე უფრო უჭირდა. ესენი კი შტატებსა და ევროპებში გულაობდნენ. ამათი პრინციპები, ჩახედავ და დაინახავ, დალესის დოქტრინის პრინციპებს ერთი ერთზე იმეორებს, აბსოლუტურად.**

**იმიტომ, რომ, როცა რატიანი პარლამენტში, იქ, სადაც ბატონი ვანო კილურაძე ზის, მარტო ხმის ამაღლებას კი არა, ხმის ამოღებას გაბედავს, ის საქართველო დაქცეულია.**

**აქვე ვიტყვი, რომ რატიანის მამა ჩემი მეგობარი იყო, უნიჭიერესი კაცი!**

**— ბატონო თემო, რახან კონკრეტიკაზე გადახვედით, გავაგრძელოთ კიდეც ამ მიმართულებით. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, ლადო ბედუკაძეს ციხიდან რომ არ გამოეტანა ფირზე აღბეჭდილი პატიმართა წამების, მათი ღირსების შემლახავი და ა.შ. ფაქტები, რა მოხდებოდა! გამოიტანა, ვნახეთ და შოკიდან გამოსული ნაცბოლები თავს იკლავენ იმის დასამტკიცებლად, რომ, პირველი, ეს ყველაფერი სისტემური დანაშაული არ იყო, მეორე, დამნაშავეა ლადო ბედუკაძე და მასთან ერთად მთავარი პროკურორი არჩილ კბილაშვილი, რომელმაც ბედუკაძე ციხეში არ გაუშვა.**

— ეს ყველაფერი თეთრი ძაფითაა ნაკერი! დანაშაულის თავიდან აცილებას რომ ცდილობს „ნაციონალური მოძრაობა“ (არაფერი ვიცოდითო), იმდენად ალოგიკურია, რომ დასამტკიცებლად ჩამუხლებაც არ ღირს.

მე მაინც მგონია, რომ საზოგადოება ამას ვერ მოითმენს, ერთ მშვენიერ დღეს იხუვლებს და ვაი მაგათი ბრალი! ადრეც მაქვს ნათქვამი — ეგენი ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ მთლიანად ამოიძირკვონ! ოჯახები ამოიძირკვებიან. **ძალიან არ მინდა, ასე რომ მოხდეს, ოჯახებს და შვილებს რომ შეეხოს მამების ცოდვა. ისეთ ურთიერთობებს, რომლებიც თავი და თავია ჩვენი ერის, ქვეყნის, როგორც ასეთის, არსებობის. თუ არ იქნება ოჯახი და ოჯახის ის იერარქია, რომლითაც ეს ოჯახები სახელმწიფოს ქმნიდა, დარჩება მხოლოდ ტერიტორია, რომელზეც ორპირი ქარივით გაივლ-გამოივლის ყველა, ვისაც არ დაეზარება. ზუსტად ამ პერიოდისთვის შესაფერი გათითოკაცება და კარჩაკეტილობა დამკვიდრება: „ჩემი სახლი ჩემი ციხესიმაგრეა“.**

**მე არ მინდა ასეთი საქართველო! მირჩევნია საქართველო იყოს ჩემი ციხესიმაგრე, ვიდრე გათითოებული ოჯახების ციხესიმაგრეების გაუცხოება!**

**— ბატონო თემო...**

— გავალ ბოლომდე, რა! ასეთ ვითარებაში გამყიდველები ხშირად გმირებად უბრუნდებიან ერსა და სახელმწიფოს, დიდ გმირებადაც კი. თუ ვინმეს მაგალითების მოხმობა სურს, წაიკითხოს ბერძნული მითოლოგია, ისტორიას გადახედოს, ქართლის ცხოვრება გადაფურცლოს!

მაგრამ გამყიდველობა იყო ის?! ჩვენში ვინც აღმოსავლეთისკენ იხრებოდა, გამყიდველად იყო შერაცხული. **ახლა ერეკლე მეორე მიაჩნიათ გამყიდველად იმის გამო, რომ ჩრდილოეთისკენ აიღო კურსი.**

**დღეს შეტრიალებულები ვართ და ამერიკის უკანალში შეყოფილი გვაქვს თავი!**

**არ არის ეგრე?**

**ვილაც პროზკა ჩამოდის ვაშინგტონიდან, ვინ არის ან რას წარმოადგენს გინდა პიროვნულად, გინდა შემოქმედებითად, გინდა ცხოვრების გავლილი გზით, და მორალს გიკითხავს მაღალი ტრიბუნიდან... და ცუციკებივით დგანან ეს შოზელძაღლები, ესენი და პირმოთნე ღიმილით ულოკავენ უკანალს!**

**ამას აყურებინებენ ქვეყანას, ახალგაზრდობას, მთელ მსოფლიოს და ამით შლიან ჩვენს ეროვნულობას, თავმოყვარეობას, ყველაფერს.**

**— ხომ არა ვართ ძალიან სულსწრაფები, ბატონო თემო, როცა დღესვე ვითხოვთ წინასაარჩევნო დაპირებების შესრულებას?**

— არ მინდა, რა, არ მინდა! როცა 9 წელიწადი ადამიანი იტანჯებოდა და ელოდა ხსნას. ეს ხსნა სრულად თუ არა, ნაწილობრივ მაინც ხომ მოვიდა!

**— რა თქმა უნდა.**

— როცა ამ ხსნის შემდეგ მაინცდამაინც არაფერი იცვლება, თითქმის წელიწადი ისე გადის, ჩემთვის რა მნიშვნელობა აქვს, 9 წლის განმავლობაში ვიქნებოდი „ჩარეცხილი“ თუ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ დავრჩებოდი „ჩარეცხილი“?!

მე, ჯანდაბას, „ჩავირეცხო“! ოღონდ ქვეყანას და საზოგადოებას, მომავალს ეშველოს, მაგრამ შინაგანად ხომ ფართხალებს უკმაყოფილების ჭია, რომელიც ინდივიდუალურია და, თუ რწმენა არ იქნა, არც შემოქმედება იქნება, არც ცხოვრება არ იქნება, არც არაფერი. რატომ მიკლავ ამ ინდივიდუალურს? რატომ მისპობ იმ არეალს, რომელშიც მე ჩვენი საზოგადოებისთვის ათჯერ და ასჯერ უფრო მეტის გაკეთება შემიძლია?

**— „ჩემო საყვარელო მიწა-წყალო, მომეც ამისი პასუხი“...**

— განათლების მინისტრ გიორგი მარგველაშვილს შევხვდით ამასწინათ. მან გვითხრა, რომ პრობლემებში გასარკვევად შეხვედრები ჰქონდა უმაღლესი სასწავლებლების პროფესურასთან და შევჯერდით კიდეც გარკვეულ საკითხებზეო.

**რომელ პროფესურას-მეთქი? — ვკითხე. არსებულს, რომელიც მუშაობსო.**

**ეგ არსებული პროფესურა არ იყო, რომელმაც დაანგრია 9 წლის განმავლობაში ჩვენი უმაღლესი განათლება, რომლის რეფორმირებასაც აპირებთ-მეთქი?**

**თუ არ შეიცვალა კადრები, რა რეფორმას აკეთებ?**

**როცა გადატრიალება მოხდა, მე მქონდა არჩევანი და, ვისაც საჭირო იყო, ვუთხარი პირდაპირ: — შენი ბინძური დედა ვატირე, არ დავდგები შენ გვერდით, და ცხრა წელიწადი მარილი ვლოკე. ისინი კი, ვინც უკანალს ულოკავდა ყოფილ ხელისუფლებას, დღეს ისევ იქ რჩება?! რეფორმის მონაწილე ხდება?! შემოქმედებით იდეებს ისვრის?!**

**ხომ იყავი მოგებული ცხრა წელიწადი. წააგე? წადი! დაიწყე ცხოვრება თავიდან, განიწმინდე, შემდეგ დაბრუნდი. ვინ გიშლის?**

**მე თუ მოვიგე, მიმიშვი. „ჩარეცხილად“ მტოვებ?!**

რუსთაველის პრემიების მინიჭება ახლა რომ გაიმართა, აღმაშფოთებელი იყო! ვისაც ეკუთვნის, იმათზე საუბარი არ არის და არც შეიძლება იყოს. ნოდარ მგალობლიშვილობას ყველას ვერ მოსთხოვ...

სანამ ეს მახინჯი კიდევ ბოგინობს (არ ვიცი, რა სახელი დავარქვა), კოაბიტაცია ბლეფია. აჩვენებ, დაანახებ, გამოძიება დაასკვნის, რა დანაშაულიც აქვთ ჩადენილი საკუთარი ხალხის წინააღმდეგ, ეგ გათახსირებულები კი ერთსა და იმავეს იმეორებენ — პოლიტიკური დევნააო. ძალიან დიდი ბოდიში, მაგრამ, იქნებ, ვინმემ ამიხსნას, სად გადის ზღვარი სამართლიანობის აღდგენასა და პოლიტიკურ ანგარიშსწორებას შორის? დამნაშავე არ უნდა დაისაჯოს?! რახან პოლიტიკური მოწინააღმდეგეა დამნაშავე, ამიტომ ხმა უნდა გავიკმინდოთ?!

კოაბიტაცია რა, მარტო ცალ მხარეს არის?

**ქვეყნის ელექტორატის 60-მა პროცენტმა ხმა მისცა „ქართულ ოცნებას“ და ბიძინა ივანიშვილს, წესრიგი რომ დაემყარებინა, შენ ვინა ხარ, რომ მოდიხარ და კოაბიტაციას ჩამჩიჩინებ?**

**იმისი არ იყოს, რასმუსენს პრესკონფერენციაზე ერთი ჟურნალისტი რომ შეეკითხა: თქვენ ხართ ნატოს გენერალური მდივანი და გვითხარით, კონკრეტულად რა უნდა გავაკეთოთ, ნატოს წევრი რომ გავხდეთო.**

**ვერ უპასუხა. იფარგლება ზოგადი ფრაზეოლოგიით და ამ ზოგადი ტყუილებით მიგვათრევენ, ბოლოს კი ისე გაგვაგიჟებენ, რომ იძულებულს გაგვხდიან, მაგ ამერიკელებს და ევროპელებს კუდით ქვა ვასროლინოთ და კვლავ რუსეთს მივუბრუნდეთ.**

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**P.S.** თემო გოცაძე ახლა დიდ ტილოზე მუშაობს, რომელსაც სამუშაო სახელწოდება კაფკას მიხედვით შეურჩია „ნადიმი ჭირიანობის ჟამს“. სააკაშვილის მმართველობის პერიოდზეა.

მომდევნო შეხვედრას, შევთანხმდით, ერის ერთსულოვნების და სახვითი ხელოვნების პრობლემებზე საუბარს მივუძღვნით.

„ახლა ივანიშვილის წასვლა არ ნიშნავს იმას, რომ სააკაშვილთან და მის გუნდთან დაპირისპირებულ ძალას ერთი ძლიერი ფიგურა გამოეცლება, არამედ ნიშნავს იმას, რომ სააკაშვილთან დაპირისპირებული პოლიტიკურად ორგანიზებული ძალა საერთოდ აღარ იარსებებს და ის უმრავლესობა, რომელიც დღეს ივანიშვილს ეკუთვნის, სააკაშვილის უმრავლესობა გახდება“.

საზოგადოებრივი აზრი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ბატონო პრემიერო, უკვე მიდიხართ?!

**ბიძინა ივანიშვილის განცხადება პოლიტიკიდან წასვლის შესახებ მრავალ განსახილველ საკითხთა შორის მთავარი დისკუსიის საგანი გახდა. საზოგადოების აზრი სხვადასხვა მიმართულებით განვითარდა, რამაც განსხვავებული ვარაუდები გააჩინა. მოსახლეობის ერთმა ნაწილმა ამ განცხადებაში თითქოს მწვავედ მიმდინარე მოვლენებისადმი ივანიშვილის ფარული შიში აღმოაჩინა, ზოგმა ის, უბრალოდ, „დემოკრატიის შუქურად“ მონათლა, რომელიც პოლიტიკიდან არა ხალხის იძულებით, არამედ საკუთარი ნებით უნდა წავიდეს. სხვებმა კი აღნიშნული განცხადება მარტივად ქვეცნობიერში „გადაისროლეს“ და სხვადასხვა არგუმენტის მოყვანით მისი ცნობიერში „გადმოტანის“ სასტიკი წინააღმდეგნი არიან (საინტერესოა რატომ?!). სწორედ ამ თემასთან დაკავშირებით, გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ პარტია „ნეიტრალური საქართველოს“ ლიდერ ვალერი კვარაცხელიას, „სახალხო პარტიის“ ლიდერ მამუკა გიორგაძეს და ქაშუეთის ეკლესიის დეკანოზ ღვთისო შალიკაშვილს ესაუბრა.**



## „ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლა იქნება ღალატის ტოლფასი შეცდომა“

**ვალერი კვარაცხელია:**

**— ბატონო ვალერი, როგორ შეაფასებთ ივანიშვილის განცხადებას პოლიტიკიდან წასვლის შესახებ, მოვლენების რა შესაძლო განვითარებაა მოსალოდნელი?**

— ერთ მშვენიერ დღეს პოლიტიკიდან ყველა მიდის, მაგრამ საუბარია იმაზე, როდის და რა ვითარებაში. ბატონი ივანიშვილის ახლანდელი განცხადება პოლიტიკიდან წასვლის შესახებ, ვფიქრობ, აბსოლუტურად მიუღებელია ჩვენი ქვეყნისთვის. ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული ის ბრძოლა, რომელიც ბატონმა ივანიშვილმა ქართულ ფაშიზმთან, ანუ ეგრეთ წოდებულ „ნაციონალურ მოძრაობასთან“ წამოიწყო.

ივანიშვილმა ამ ბრძოლაში გამარჯვება მოიპოვა და საპარლამენტო უმრავლესობა მიიღო, რის შედეგადაც სააკაშვილი ფრთებშეკვეცილი გახდა. დიდი ალბათობით, ის დატოვებს საპრეზიდენტო პოსტს, მაგრამ ივანიშვილს შეეძლო, მოეპოვებინა ისეთი გამარჯვება, რომ სააკაშვილი და მისი გუნდი გამოცხადებულიყო დამნაშავე პოლიტიკურ ორგანიზაციად და მათ მიზღოდათ ის, რაც ეკუთვნით კანონმდებლობით და სამართლით. ტოტალური მოსმენები, წამება არა მარტო ციხეებში, არამედ საზოგადოებაში, ათასობით აღმოჩენილი ფირი იმის საფუძველს იძლეოდა და იძლევა, რომ ამ გუნდმა არსებობა დაამთავროს, როგორც დამნაშავე პოლიტიკურმა ძალამ, მაგრამ ეს ასე არ ხდება. შესაბამისად, მათ ხელ-ფეხი აქვთ გახსნილი მომავალი პოლიტიკური არსებობისთვის.

ამიტომ ივანიშვილი ვალდებულია ქართველი ხალხის წინაშე, რომ ეს ბრძოლა ბოლომდე მიიყვანოს და სააკაშვილისა და მისი გუნდის საშიშროება მომავალში გაანეიტრალოს. ეს უკვე გართულებულია იმ შეცდომის გამო, რომელზეც ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ, მაგრამ გასაკეთებელია. **ახლა ივანიშვილის წასვლა არ ნიშნავს იმას, რომ სააკაშვილთან და მის გუნდთან დაპირისპირებულ ძალას ერთი ძლიერი ფიგურა გამოეცლება, არამედ ნიშნავს იმას, რომ სააკაშვილთან დაპირისპირებული პოლიტიკურად ორგანიზებული ძალა საერთოდ აღარ იარსებებს და ის უმრავლესობა, რომელიც დღეს ივანიშვილს ეკუთვნის, სააკაშვილის უმრავლესობა გახდება.**

არ ვიცი, როგორი მსოფლმხედველობის კაცია ივანიშვილი, რა არის მისი ჩანაფიქრი საგარეო პოლიტიკასა და საგარეო სტრატეგიაში, მაგრამ ვიცი, რას წარმოადგენს ივანიშვილის გუნდი, თუ საერთოდ არის შესაძლებელი, რომ მას გუნდი დავარქვათ. **ივანიშვილისა და სააკაშვილის გუნდები მსოფლმხედველობრივად ერთი და იგივე ძალაა, რომელთაც აბსოლუტურად არაფერი განასხვავებს ერთმანეთისგან, გარდა დეტალებისა. ისინი უამრავ რამეში ერთნი არიან, ერთად იყვნენ კიდეც, მერე გაიყვნენ, იჩხუბეს, მაგრამ როდესაც ე. წ. კოაბიტაცია შეიქმნა, შესანიშნავად გაუგეს ერთმანეთს.** ამიტომ, საჭიროების შემთხვევაში, სააკაშვილისა და ივანიშვილის გუნდები, შესაძლოა, კვლავ ერთად აღმოჩნდნენ. სწორედ ამას ნიშნავს ივანიშვილის წასვლა პოლიტიკიდან. ამიტომ ვამბობ, ივანიშვილი ახლო მომავალში თუ მართლა გეგმავს პოლიტიკიდან წასვლას და განცხადება ამის თაობაზე გულწრფელი იყო, ეს ძალიან სერიოზული საქვეყნო პრობლემაა. ამით განუზომლად იზრდება სააკაშვილის დაბრუნების შანსი, რომელიც ამ ჯერზე გაცილებით უფრო სასტიკი და გაცილებით უფრო მეტი ზიანის მომტანი იქნება ქვეყნისთვის, ვიდრე აქამდე იყო. არაა გამორიცხული, რომ შეიძლება რაღაც ლავირებისთვის დასჭირდა ბიძინას ამ განცხადების გაკეთება. პოლიტიკაში მსგავსი შემთხვევები არსებობს და ასეთ შემთხვევაში, მან უკეთ იცის თავისი საქმე, მაგრამ ვიმეორებ, ჩემთვის, როგორც ერთი ქართველი მოქალაქისთვის, ეს იქნება ღალატის ტოლფასი შეცდომა.

**— კონკრეტულად რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს ამ ნაბიჯის გადადგმას?**

— ქართველი ხალხი არ ეგუებოდა სააკაშვილის რეჟიმს და მაშინაც ასიათასიანი მიტინგები და დემონსტრაციები იმართებოდა, როცა ჯერ კიდევ ბოლომდე არ იყო გამოვლენილი მის მიერ ჩადენილი საშინელებანი. თქვენ წარმოიდგინეთ, რა მოხდება ახლა, როდესაც სააკაშვილის შავბნელი საქმეები გაცილებით უფრო მეტად არის გამომზეურებული, დაუშვებს ქართველი ხალხის დიდი ნაწილი სააკაშვილის კვლავ მობრუნებას ხელისუფლებაში? არა, რა თქმა უნდა! ეს ნიშნავს სამოქალაქო დაპირისპირებას, სამოქალაქო ომს და სხვა მრავალ უბედურებას. ჩვენ ვდგავართ კატასტროფის წინაშე. ამიტომ მე გამოვიყენებ თქვენს ტრიბუნას და მივმართავ ბატონ ბიძინას:

**ბატონო ბიძინა, თქვენ უდიდესი ტვირთი აიღეთ საკუთარ თავზე. როგორც ჩანს, შეგაწუხათ თქვენმა ქართველობამ, შეგაწუხათ იმ გამოუვალმა მდგომარეობამ, რომელშიც თქვენი ერი და თქვენი ქვეყანა აღმოჩნდა და ესოდენ მძიმე საქვეყნო მისია იტვირთეთ. ეს საქმე ჯერ ბოლომდე ჯერ არ მიგიყვანიათ და უკვე მიდიხართ, სად მიდიხართ, ვინ გაძლევთ ამის უფლებას? თქვენ ეს ტვირთი დღეს რომ მოიხსნათ, ის ჩვენ ისე დაგვეცემა, რომ ერთიანად გაგვსრესს. ეს შუა ომში მიტოვებას ნიშნავს, ამას კი რა სახელიც ჰქვია, თქვენ კარგად მოგეხსენებათ!**



## «ბიძინა ივანიშვილი ქვეყნის დაულაგებელი პოლიტიკიდან არ წავა»



## „ასეთი განცხადებებით ნამდვილად ვერ გაუმჯობესდება ჩვენი ცხოვრება“

**მამუკა გიორგაძე:**

**— ბატონო მამუკა, თქვენი აზრით, რა შედეგებს გამოიწვევს ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლა, მოხდება თუ არა გუნდში არეულობა, რაც შემდეგ საზოგადოებაზეც ნეგატიურად აისახება?**

— რამდენადაც ვხედავთ, პრაქტიკულად ამის მიზეზი არ არსებობს. არიან ადამიანები, რომლებიც, სხვადასხვა მიზეზის გამო, მიბმულნი არიან ივანიშვილზე. შესაბამისად, **ივანიშვილის პიროვნება სწორედ შემკვრელი ამ ადამიანების, უფრო სწორად, მაიძულებელი ფაქტორი, რომ ამ ადამიანებმა ერთმანეთს ცალყბად მაინც გაუღიმონ.** ცხადია, თუ არ იქნება ივანიშვილის ფაქტორი, მაშინ ეს ხალხი ერთმანეთთან ნაძალადევი ღიმილითაც არ იქნებიან დაკავშირებულნი.

**— თქვენ როგორ გგონიათ, გაურბის თუ არა ივანიშვილი რთულ პოლიტიკურ სიტუაციას საქართველოში?**

— არასწორია, რომ ჩვენ ამ სიტყვებს ამხელა დატვირთვას ვანიჭებთ, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ამ სიტყვების შემდეგ არის დამატებები, განსაზღვრებები, მინიშნებები და ასე შემდეგ. მრჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ეს სიტყვები მხოლოდ ვარაუდების საკეთებლადაა ნათქვამი. არ უნდა მივანიჭოთ მსგავს განცხადებებს დიდი მნიშვნელობა, გამომდინარე იქიდან, რომ ის არ შეიცავს კონკრეტიკას და არ არის მიმართული პოლიტიკური ცხოვრების ზემოქმედებისკენ. უფრო მეტად ასეთი ტიპის განცხადებები მესიჯებია იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც მის გარშემო ან მასთან დაკავშირებულნი არიან. **ბიძინა ივანიშვილმა უფრო მეტად ისეთი განცხადებები უნდა აკეთოს, რომლებიც პოლიტიკური კულტურის დონეს მაღლა აწევს საქართველოში და თავისი პრინციპებით, კონცეფციებითა და ღირებულებებით მოგვცემს მოვლენების მიმართ უფრო ღრმად ჩაფიქრების შესაძლებლობას. ასეთი განცხადებებით კი ნამდვილად ვერ გაუმჯობესდება ჩვენი ცხოვრება.** რა თქმა უნდა, ყველა ადამიანს აქვს უფლება, როგორც უნდა, ისე მოიქცეს და, რაც მას გაუხარდება, ის განცხადებები აკეთოს, მაგრამ წარმატებული იქნება ის გუნდი, რომელიც შეძლებს ჯანსაღი პოლიტიკური ცხოვრების დანერგვასა და განვითარებას საქართველოში.

დღეს საქართველოში ძალიან მნიშვნელოვანია გარე ფაქტორების გავლენა და შესაბამისად, ნამდვილად შემიძლია ვთქვა, რომ დღეს ხელისუფლებაში და თუნდაც ოპოზიციაში მყოფი ადამიანები იმდენად არიან მიბმულნი გარე ძალებზე, რომ ვერ ღებულობენ თავისუფალ გადაწყვეტილებებს. ასეთ რთულ სიტუაციაში გაცილებით მართებულია იმაზე ფიქრი, თუ როგორ ვაქციოთ ქართული პოლიტიკა შიდა დუღილის პროდუქტად, როგორ შევუწყოთ ხელი დამოუკიდებელი პოლიტიკური „სივრცის“ განვითარებას, რათა საქართველოს ბედი წყდებოდეს საქართველოში და არა სხვაგან.



## „მჯერა, რომ ბიძინა არ მიგვატოვებს“

**დეკანოზი ღვთისო შალიკაშვილი:**

**— მამაო, რა აზრის ხართ ბიძინა ივანიშვილის მიერ გაკეთებულ განცხადებაზე პოლიტიკიდან წასვლის შესახებ?**

— მე მოვისმინე ივანიშვილის ეს განცხადება. მან აღნიშნა, რომ დაულაგებელი ქვეყნიდან არ წავა. ბიძინა, არა მგონია, ისეთი ადამიანი იყოს, რომ უბრალოდ ადგეს და რაღაც უპასუხისმგებლო განცხადებები აკეთოს. პირიქით, ძალიან ჭკვიანი კაცია და ჩვენ, ყველამ, უნდა მოვუსმინოთ. მან უფსკრულის პირას მიყვანილები გამოგვიყვანა და არ აქვს არც იურიდიული, არც მორალური და არც ზნეობრივი უფლება, რომ შუა გზაში მიგვატოვოს. მე მჯერა, რომ არც მიგვატოვებს.

**— ხომ არ გამოიყენებენ „ნაციონალები“ მის მიერ გაკეთებულ განცხადებას მისსავე საწინააღმდეგოდ?**

— უკვე იყენებენ, რამეთუ გამუდმებით იმეორებენ განცხადების პირველ ნაწილს, რომელშიც წასვლაზეა საუბარი. ამით, ალბათ, უნდათ, ხაზი გაუსვან, რომ ის გაურბის მწვავე პოლიტიკურ მოვლენებს საქართველოში. იმას კი არ ამბობენ, რა შემთხვევაში თქვა, წავალო, რაც განცხადების მეორე ნაწილს გულისხმობს. **ბიძინა ივანიშვილი ქვეყნის დაულაგებელი პოლიტიკიდან არ წავა. ბევრს საუბრობენ მისი წასვლის შემდეგ გუნდში შესაძლო არეულობაზე, რაც მე, არა მგონია, მოხდეს, მაგრამ, თუ მაინც მოხდა, მაშინ თავადვე დაალაგებს სიტუაციას და ისე წავა.** ივანიშვილი შორიდან გააკონტროლებს სიტუაციას და ამრიგად, მისი გუნდიდან წასვლა არ უნდა მივიჩნიოთ პოლიტიკიდან მის სრულ ჩამოშორებად. მას მრავალი საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი საკითხი აქვს მოსაგვარებელი, მაგრამ ეს პოლიტიკური მოვლენებისადმი თვალ-ყურის დევნებასა და მისი გუნდის შორიდან გაკონტროლებას ნამდვილად არ გამორიცხავს. **არა მარტო პოლიტიკაში, ყველა სფეროში ძალიან რთული სიტუაციაა და მე მჯერა, ბიძინა ივანიშვილი გონივრულ გადაწყვეტილებას მიიღებს.**

მოამზადა
**შორენა ღვაჩლიანი**

სამართალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„მიჭირს კოაბიტაციაზე საუბარი ან ვისთან ვისაუბრო?! ადამიანებთან, რომლებიც ახალგაზრდებს განზრახ „აქათმებდნენ“?! ჩვენ ვიცით იმ დამნაშავეების სახელები და გვარები, რომლებსაც ათობით ადამიანი ჰყავთ გაუპატიურებული. ახლახან შევიტყვე, რომ პრეზიდენტს ერთ-ერთი მათგანი შეწყალებით გამოუშვია.“

# ლალი მოროშკინა: ცხინვალის ციხეში არ მინახავს ისე დამცირებული ჩვენი პატიმრები, როგორც აქ, — ისინი ტყვეებს ჰგავდნენ

**რამდენიმე დღეა, რაც საინფორმაციო სააგენტოები ლალი მოროშკინას კომენტარს აქვეყნებენ. ის წერს, რომ კადრებს, რომლებმაც მთელი საქართველო შეძრა, იღებდნენ იმიტომ, რომ სააკაშვილს აღაგზნებდაო. მაგრამ მოროშკინათი „საქართველო და მსოფლიო“ მხოლოდ ამ განცხადების გამო არ დაინტერესებულა, მასთან ბევრ სხვა თემაზეც ვისაუბრეთ, როგორიცაა: კოაბიტაცია დამნაშავეებთან, ციხეში არსებული პრობლემები... იმ მთავარ დღეზეც, სექტემბერის თვეში, რომელმაც „ნაცების“ რეჟიმი დაანგრია და როდესაც ლალი მოროშკინა 4500 პატიმრის წინაშე თითქმის მარტო აღმოჩნდა; ვისაუბრეთ წიგნზე „გისოსებს მიღმა საქართველოა“, რომელმაც უკონტროლო პატიმრები დააშოშმინა.**



**«შევედით ფსიქიატრიულში და აღმოვაჩინეთ, რომ ფსიქიურად დაავადებული არავინ იყო. ისინი, უბრალოდ, წინა დღეს მორგში ჩაიყვანეს, საშინელებები აჩვენეს, მერე გაუპატიურებაზე აყურებინეს და ფსიქიატრიულში მოათავსეს»**

**— ქალბატონო ლალი, როდის დაიწყო თქვენი დაინტერესება ციხეში არსებული პრობლემებით, რა ინფორმაციას ფლობდით?**

— პატიმრების ბედით ჩემი დაინტერესება ცოტა ადრე დაიწყო. 2001 წელს მინისტრის მოადგილე ვიყავი კონფლიქტების საკითხებში, ეს სფერო ჩემთვის უცხო იყო, ახალგაზრდა კადრი ვიყავი, მაშინ პირველი, რაც ვიკითხე, იყო ის, ცხინვალსა და სოხუმში თუ იყვნენ ქართველი პატიმრები. აღმოჩნდა, რომ პატიმრები იქაც იყვნენ და თბილისსა თუ სხვა ქალაქებში განთავსებულ სასჯელაღსრულების დაწესებულებებშიც უამრავი ოსი პატიმარი იყო. ეს ამბავი რომ გავიგე, მივედი მაშინდელ პრეზიდენტთან — ედუარდ შევარდნაძესთან და ვუთხარი, რომ ცხინვალის ციხეებში ქართველი პატიმრები უპატრონოდ არიან. მეთქი, მიპასუხა, რომ ამ დრომდე ამ საკითხით არავინ დაინტერესებულა და, რადგან შენ დაინტერესდი, მიხედეო. როგორც კი თანხმობა მივიღე, მაშინვე **წავედი ე. წ. სამხრეთ ოსეთში და კოკოითის შევხვდი. ეს არ იყო ადვილი საქმე, მაგრამ კოკოითი ცუდად განწყობილი არ იყო და თქვა, რომ პატიმრებს გაგატანთ, მაგრამ საქართველოშიც სხედან ჩვენი ხალხი და თქვენც იგივე გააკეთეთო. პატიმრები გამომატანა, მათ შორის ქალებიც იყვნენ.**

**თბილისში რომ დავბრუნდი, ყველა მოვიძიე და აღმოვაჩინე, რომ ჩვენთან მათი თოთხმეტი ადამიანი იყო, მათ შორის, პოლიციის უფროსი. მაშინ ციხე ხონში იყო, იქ ჩავედი, ჩავისვი საკუთარ მანქანაში და ცხინვალში გადავიყვანე. მოკლედ, იმის თქმა მინდა, რომ ჩვენ შორის ცუდი ურთიერთობა არ ყოფილა, მაგრამ „ვარდების რევოლუციამ“ ეს პროცესები სრულიად შეაჩერა და მოსპო.**

ჩემთვის ციხე ყოველთვის მტკივნეული თემა იყო. იმ პერიოდში მქონდა არასამთავრობო ორგანიზაცია „ჩემი საქართველო“ და ჩვენ მაშინ ყოველთვის დავდიოდით ციხეებში, განსაკუთრებით ქალთა საპყრობილეებში, ვცდილობდით, შეგვემსუბუქებინა მათთვის გაუსაძლისი ყოფა. მას შემდეგ კი, რაც სააკაშვილმა 2006 წელს ნულოვანი ტოლერანტობა გამოაცხადა, ქვეყანაში საშინელება დაიწყო. ვფლობდი ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ბალანსი. **ჩვენისთანა პატარა ქვეყანას არ შეიძლებოდა, რომ 6 ათას პატიმარზე მეტი ჰყოლოდა. თანაც თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ აზერბაიჯანსა და სომხეთს მხოლოდ 4 ათასი პატიმარი ჰყავს, ჩვენ ყველაზე უარესები როგორ აღმოვჩნდით?!** ქვეყანაში პატიმართა რიცხვის ზრდა კატასტროფულად რომ დაიწყო, ძალიან დავინტერესდი მდგომარეობით, ვცდილობდი, რომ ჩემი ნაცნობი პატიმრებისთვის დღესასწაულებზე მაინც საჩუქრები მიმეტანა და მათთან წერილობითი ურთიერთობა მქონოდა. ისინიც ღიად ვერა, მაგრამ მაინც მიმანიშნებდნენ გაუსაძლის ყოფაზე, შემდეგ ინფორმაციას მათ ადვოკატებთან ვამოწმებდი და ასე ვიგებდი ბევრ რამეს. **პატიმრების მშობლები სანახავად რომ მიდიოდნენ, მათ გულახდილი საუბრის საშუალება არ ჰქონდათ და ამიტომაც შვილებს სთხოვდნენ, რომ მაისურები აეწიათ და სხეული დაენახებინათ, ძალადობის კვალი თუ ჰქონდათ.** პატიმრებს არ ჰქონდათ საშუალება, რომ ადვოკატთან ესაუბრათ, ყველაფერი ისმინებოდა, მაგრამ წერილებით, რომლებშიც რაღაც გარკვეული, ასე ვთქვათ, „ცინკები“ მოვიფიქრეთ, ვახერხებდით ამბის შეტყობას.

მივიღე გადაწყვეტილება, რომ წიგნი დამეწერა, პატიმრებიც თანახმანი იყვნენ. მაქვს ასეულობით პატიმრის წერილი, რომლის პათოსსაც ვერ გადმოგცემთ, ეს, ალბათ, ჩემი ყველაზე დიდი სიმდიდრეა. ჩემი წიგნი „გისოსებს მიღმა საქართველოა“ გამოიცა. მასში ბევრმა ადამიანმა საკუთარი თავი იცნო. იმ პერიოდში სასჯელაღსრულების მინისტრი ხათუნა კალმახელიძე იყო და გავიგე, რომ წიგნის გამოსვლის შემდეგ ორი პატიმარი, სასტიკად ნაცემები, კარცერში ჩაუსვამთ. ბედნიერი ვარ, რომ ისინი გადარჩნენ, დღეს უკვე გარეთ არიან, მართალია, ჯანმრთელები არ არიან, მაგრამ ცოცხლები არიან.

როდესაც ციხის საზარელი კადრები გამომზეურდა, მაშინვე მე-8 საპყრობილისკენ დავიძარი, იყო უამრავი ხალხი, მოდიოდნენ, რითაც შეეძლოთ, მე ვამბობდი, რომ წრე შეგვეკრა, რადგან, თუ იქ ახალგაზრდები გადაძვრებოდნენ, მათ აუცილებლად ესროდნენ. მოვიდნენ მღვდლები, დედა თამარი მოვიდა, დღემდე არ ვიცი, ეს ქალბატონი რომელ ტაძარშია, ყვავარჯნებით მოვიდა, მითხრა ტელევიზორში განახე, რა მდგომარეობაში ხარო. ზოგადად პათოსს მოკლებული ადამიანი ვარ, მაგრამ ამ თემაზე როცა იწყება საუბარი, „სახურავი მძვრება“, ისეთი რაღაცები გადავიტანე...

ისეთი საშინელება მაქვს ნანახი, რომ სულ ვამბობ, სექტემბრის დღეების შემდეგ ორი ლალი არსებობს, ამიტომაც თამამად ვამბობ, რომ ძალიან ბევრ რამეზე მაქვს პრეტენზია.

**— რაზე გაქვთ პრეტენზია?**

— პირველი, რასაც ვითხოვ, რეჟიმის გასამართლებაა. **არც ერთი ადამიანი არ უნდა დარჩეს დაუსჯელი, რომლის ხელიც ამ სისასტიკეში ერია, ბავშვების გაუპატიურებაში მონაწილეობდა და ბრძანებას გასცემდა. რაც მე ჩემი თვალით ვნახე, ამის გადმოცემა შეუძლებელია, ცხინვალის ციხეში არ მინახავს ასეთი დამცირებულები ჩვენი პატიმრები, როგორც აქ, ისინი ტყვეებს ჰგავდნენ.** მე და ლალი აფციაური ვართ ის ადამიანები, რომლებიც საჭირო დროს იმ ადგილას რომ არ ვყოფილიყავით, ათასობით ადამიანი დაიღუპებოდა, ამაში ვერავინ შემომედავება. ამიტომაც ვითხოვ ყველა იმ ადამიანის დასჯას, რომლებმაც ეს ჩაიდინეს.

იმ ღამესვე დიმიტრი ლორთქიფანიძესთან ერთად მოვინახულე ყველა ახალგაზრდა. **შევედით ფსიქიატრიულში და აღმოვაჩინეთ, რომ ფსიქიურად დაავადებული არავინ იყო. ისინი, უბრალოდ, წინა დღეს მორგში ჩაიყვანეს, საშინელებები აჩვენეს, მერე გაუპატიურება აყურებინეს და ფსიქიატრიულში მოათავსეს.**

**— ლოგიკური იქნება, თუ ვიკითხავ: ხართ თუ არა კოაბიტაციის მომხრე, რომელსაც ასე გვაძალებენ?**

— ამ დროს ორ ნაწილად ვიყოფი: ერთი არის ლალი მოროშკინა, რომელსაც ესმის ევროპული ღირებულებებისკენ სწრაფვა, ესმის, რომ აუცილებელია, შევასრულოთ, რასაც მსოფლიო გვავალდებულებს, ესმის ისიც, რომ პრეზიდენტი არ უნდა გასამართლდეს და ჯობია ოქტომბრამდე მივიყვანოთ. და არის მეორე ლალი, რომელიც მარტო იდგა 4500 პატიმრის წინ, ასეთ შემთხვევში კი **ძალიან მიჭირს კოაბიტაციაზე საუბარი, ან ვისთან ვისაუბრო?! ადამიანებთან, რომლებიც ახალგაზრდებს განზრახ „აქათმებდნენ“?! ჩვენ ვიცით იმ დამნაშავეების სახელები და გვარები, რომლებსაც ათობით ადამიანი ჰყავთ გაუპატიურებული, ახლახან შევიტყვე, რომ პრეზიდენტს ერთ-ერთი მათგანი შეწყალებით გამოუშვია.** წინა ხელისუფლების მიმართ ლოიალური, ალბათ, ყველაზე მეტად მე უნდა ვიყო, რადგან ბევრ მათგანთან ბავშვობა მაკავშირებს, მათ შორის, პრეზიდენტთან, მაგრამ ისეთი რამ ვნახე, რასაც არ ვუსურვებ არავის. ეს რომ პატიმრების პატრონებს ენახათ, ლინჩის წესით გაასამართლებდნენ ყველა მათგანს.

**— დღეს, როდესაც დაუსჯელად დადის ბევრი დამნაშავე, როგორ ფიქრობთ, არის თუ არა საშიშროება, რომ ყოფილმა პატიმრებმა შურისძიება თავად გადაწყვიტონ?**

— რა თქმა უნდა! მათ აქვთ ბოლმა, მათ იციან ყველას მისამართი და აუცილებლად დაიწყებენ შურისძიებას. გამოვიდნენ ციხეებიდან და გარეთ არაფერი დახვდათ, რამდენი პატიმარი უკან შემობრუნებულა და ადმინისტაციის თანამშრომლებისთვის ტაქსის ფული უთხოვია, რადგან კართან არავინ ელოდებოდა, მათ ოჯახები დაკარგეს. **მე ზუსტად ვიცი, რატომ არ დაწყებულა ჯერ ლინჩის წესით დასჯა, იმიტომ, რომ ცუდად არიან, რეაბილიტაციას გადიან, როგორც კი მომძლავრდებიან, აუცილებლად დაიწყებენ შურისძიებას, რისიც ძალიან მეშინია; არ მინდა, სისხლის მორევში აღმოჩნდეს ქვეყანა, შურისძიებას კარგი არაფერი მოჰყვება, რადგან ამ დროს შესაძლებელია ბევრი უდანაშაულოც დაისაჯოს.**

**— ბედუკაძის თემას შევეხოთ, პირდაპირ გკითხავთ: სწორი გადაწყვეტილება მიიღო თუ არა კბილაშვილმა, როდესაც იგი პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლა?**

— ასეულობით პატიმარი, რომლებიც მე ვნახე, ამბობდა ერთ რამეს: თვეობით კბილის პასტა რომ არ გვქონდა, ბედუკაძეს შემოჰქონდაო, ის იყო ერთადერთი ადამიანი, რომელიც ყურადღებას გვაქცევდაო. ჩემთვის ეს საკმარისი აღმოჩნდა: მან რეალურად სისტემა დაანგრია! არის კიდევ ერთი რამ — ვინ ყვირის და მოითხოვს მის დასჯას. **მათ, „ნაციონალებს“, არ აინტერესებთ არც ბედუკაძე, არც ნაწამებები და არც მწამებლები, თორემ ერთმანეთს დასჯიდნენ. მათ, უბრალოდ, იციან, რომ მალე დადგება ოდიოზური ფიგურების პასუხისმგებლობის საკითხი და ამიტომაც უნდათ, რომ კბილაშვილი მოიშორონ.**

**— კულუარებში ამბობენ, რომ კბილაშვილს მაინც მოხსნიანო...**

— კბილაშვილი თუ მაინც მოხსნეს, ეს არ იქნება დაკავშირებული ბედუკაძის საქმესთან. მე, როგორც ახალი მთავრობის გულშემატკივარი, ვფიქრობ, რომ არ უნდა დადგეს არჩილ კბილაშვილის მოხსნის საკითხი. თუ პოლიციელს ვაძლევთ უფლებას, რომ, როგორც უნდა, ისე გადაწყვიტოს მძღოლის გაჩერებისა და დასჯის საკითხი, მთავარ პროკურორს რატომ არ ვაძლევთ უფლებას, რომ მიიღოს გადაწყვეტილება ისე, როგორც თვლის საჭიროდ და რის უფლებასაც კანონი აძლევს?!

**— ამბობენ, რომ დღეს ციხეებში წამალს „რაგატკით“ ისვრიანო.**

— ნორმალურ ქვეყანაში ციხეში კრიმინალები სხედან, მათი ფსიქოლოგია ასეთია, რაღაცით გაერთონ, ეს იქნება წამალი, კონფლიქტი თუ სხვა რამ. ჩვენც სწორედ ამისთვის ვარსებობთ, რომ მოვაწესრიგოთ ეს პრობლემა. გარდამავალ პერიოდში ასეთი რამ მოხდება.

**— სააკაშვილზე უნდა გკითხოთ. თქვენ ამბობთ, რომ ვიდეოკადრები, რომელთაც ფირზე აღბეჭდავდნენ, სააკაშვილს აღაგზნებდა და ამ მიზნით კეთდებოდაო.**

— იგივე განცხადება ბესელიამაც გააკეთა.

**— თქვენ მის ქალებზეც საუბრობთ და ამბობთ, რომ ყველა მათგანის გვარი იცით.**

— სამწუხაროდ, იმაზე მეტი კახპა გვყოლია, ვიდრე გვეგონა. ესენი არ არიან ისინი, ვინც საზოგადოებისთვის ცნობილები არიან, ესენი არიან ჩვეულებრივი ქალები და ვიდეოკადრები მათზეა გადაღებული. მე მათ გვარებს არ დავასახელებ.

**— ალბათ, თქვენი შიში აქვთ.**

— ჩემი შიში უნდა ჰქონდეთ კიდეც, ყველა მათგანი ვიცი.

**— ე.ი. თქვენ გინდათ თქვათ, რომ ამდენი წლის განმავლობაში ჩვენ ავადმყოფი კაცი გვყავდა პრეზიდენტად?**

— პრეზიდენტი რომ ავადმყოფი გვყავდა, ეს უკვე დიდი ხანია ყველამ კარგად იცის, პირადად მე ამის შეახებ 2003 წელს ხმამაღლა ვთქვი.

ესაუბრა
**ეკა ნასყიდაშვილი**

„გამომძიებელი, რომელსაც მთავარ პროკურატურაში დაეწერა ეს საქმე, ისევ ის გიორგი შალუტაშვილია, რომელიც თავის დროზე ფინანსურ პოლიციაში იძიებდა ქაშიბაძის საქმეს.“

სამართალი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ავთო წერეთელმა, იმავე ჭუტამ, თავის კაბინეტში ბიზნესმენი მინდია ქაშიბაძე ბრტყელტუჩათი აწამა

**სააკაშვილის ცხრაწლიანი ავტორიტარული მმართველობა ბიზნესსექტორისთვის რომ ფაქტობრივად სასიკვდილო დარტყმა აღმოჩნდა, არახალია და დიდი ხანია, ყველამ კარგად იცის. ამაზე მეტყველებს პროკურატურაში შესული განცხადებების სიმრავლეც და ის ფაქტებიც, რომლებიც ახალმა ხელისუფლებამ მიმდინარე სამართლებრივი პროცესის ფარგლებში გამოამზეურა. სქემა, თუ კონკრეტულად როგორ ხდებოდა ბიზნესმენების რეკეტი და წილების გადაბარება, გახმაურებული საქმეების მაგალითზე საყოველთაოდ ცნობილია, თუმცა დაზარალებულთა ნაწილი, მიზეზთა გამო, საჯაროდ საუბარს თავს არიდებს და დღემდე დუმს. „საქართველო და მსოფლიოს“ „სამოქალაქო ფრონტის“ წევრი, ყოფილი პოლიტპატიმარი აკაკი დარასელია დაუკავშირდა და წინა ხელისუფლების მაღალჩინოსნის — გია დგებუაძის, იმავე მასტერას მიერ 2008 წელს ერთ-ერთ ბიზნესმენზე განხორციელებული ზეწოლის შესახებ ესაუბრა.**



## აკაკი დარასელია:

## სამი პიროვნება უნდა დაიკითხოს: ავთო წერეთელი, მეგის ქარდავა და გია დგებუაძე, იგივე მასტერა...

**— ბატონო აკაკი, რომელ ბიზნესმენზე მოიპოვეთ ამჯერად ინფორმაცია და კონკრეტულად რა გახდა ხელისუფლებასთან მისი დაპირისპირების მიზეზი?**

— არის ასეთი ბიზნესმენი — მინდია ქაშიბაძე, რომელმაც თავის დროზე, 2002-03 წლებში დააფუძნა კომპანია „მაქსტოპი“. კომპანიის ძირითადი მიმართულება იყო კომპიუტერული ტექნოლოგიები და ამ მხრივ მართლა წარმატებულად მუშაობდნენ. მოგვიანებით „მაქსტოპმა“ ექსკლუზივი მოიპოვა „ინტელთან“ და, საკუთარი პრესტიჟიდან გამომდინარე, დაეხმარა ფეხზე დადგომაში. ამის შემდეგ, დაახლოებით 2005-06 წლებში ქაშიბაძეს წილში შეჰყავს ავთანდილ წერეთელი, მეტსახელად ჭუტა და საქმიანობას ერთად განაგრძობენ. ეს ჭუტა წერეთელი კომპანიაში, ფაქტობრივად, ვალდებულებების გარეშე იყო და არანაირი ინვესტიცია არ განუხორციელებია. ამ დროს ქაშიბაძის წყალობით „მაქსტოპი“ ისე განვითარდა, რომ ბევრად უფრო ადრე დაფუძნებულ კომპანიებს, მაგალითად, როგორიცაა „ალტა“ და სხვები, სერიოზულ კონკურენციას უწევდა. მალე „ნაციონალური მოძრაობა“ დაინტერესდა ამ ყველაფრით, დაიწყო დაბარებები, ხალხის შეწუხება და ა. შ. მინდია ქაშიბაძეს კი პირდაპირ მოსთხოვეს 100 ათასი ლარი „ყულაბაში“ ჩაედო ყოველთვიურად, რაზეც მან უარი განაცხადა.

ახლა აქ საინტერესო რა არის: **ჭუტა წერეთელმა, რომელსაც, როგორც გითხარით, არანაირი ინვესტიცია არ განუხორციელებია კომპანიაში, ძალადობრივი გზით დაათმობინა ადამიანს ბიზნესი და თვითონ ჩაიგდო ხელში. ეს მან გააკეთა იმ ბინძური კავშირებით, რომლებიც ჰქონდა სააკაშვილის ხელისუფლებასთან...**

**— კონკრეტულად რა კავშირებს გულისხმობთ? ვინ ეხმარებოდა წერეთელს ხელისუფლებიდან?**

— კუდის უფროსის მაშინდელი მოადგილე გია დგებუაძე (იგივე მასტერა), რომელიც ცნობილი ჯალათია, მიხეილ მაჭავარიანი და მეგის ქარდავა. ეს უკანასკნელი ჭუტა წერეთლის შვილის მეჯვარეა. ამ ადამიანებმა ქაშიბაძის წინააღმდეგ ჩაიდინეს წარმოუდგენელი დანაშაული, მაგრამ არა თუ პასუხი არ უგიათ ამაზე, საქმეც კი არ აღძრულა...

**— რა ფორმით ხორციელდებოდა ზეწოლა ქაშიბაძეზე?**

— ყველანაირი ბინძური მეთოდებით, სატელეფონო ზარებით, ოჯახზე შანტაჟით, შვილის გაუპატიურების მუქარით და ა. შ. მერე ამ ყველაფერმა ხორცი შეისხა და კერძოდ რაში გამოიხატა ეს: **2008 წლის აგვისტოში, ანუ ომიდან მალევე, ჭუტა წერეთელმა გაგარინის მოედანზე მდებარე თავის ოფისში დაიბარა ქაშიბაძე და პირდაპირ მოსთხოვა წილის გადაფორმება. მიზეზად დაუსახელა ის, რომ თურმე ქაშიბაძეს მისი ვალი ჰქონდა, რაზეც კატეგორიული უარი მიიღო. ამაზე წერეთელი გაბრაზდა, დაუძახა დაცვის თანამშრომლებს და მათი დახმარებით ქაშიბაძეს ფიზიკურად გაუსწორდა. ბოლოს მან უჯრიდან ამოიღო ბრტყელტუჩა და დაზარალებულს ფრჩხილების დაძრობა დაუწყო. რამდენიმე წუთის შემდეგ საშინლად ნაცემი და ნაწამები ქაშიბაძე მუქარით გამოაგდეს კაბინეტიდან, — ჯერ სადა ხარ, რაც მოგივა, აწი ნახავო.**

**— ამის მიუხედავად, ქაშიბაძე არ გატყდა და წილი არ დათმო?**

— არ დათმო და მერე უფრო სერიოზული პრობლემები შეექმნა. ჭუტას ოფისში მომხდარი ამბის შემდეგ მას უკვე მასტერა იბარებს მოდულის შენობაში და იქ ახდენენ მასზე ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას. ხომ ხვდებით, ეს რასაც ნიშნავს? ჯერ მოასმენინეს გვერდით კამერაში გინება, წივილი, კივილი და ეუბნებიან: ალბათ, იცით, რა ემართება მას, ვინც ჩვენთან არ თანამშრომლობს. ერთი სიტყვით, ყველაფერი გააკეთეს, რათა ადამიანი გაეტეხათ; ისიც იძულებული გახდა, ქვეყანა დაეტოვებინა.

**— საქართველოდან წასვლაც მათი მოთხოვნა იყო?**

— არა, ეს სპონტანურად მოხდა, იმიტომ, რომ იმ დროს, როცა მინდია ქაშიბაძე პრაღაში იმყოფებოდა, ჭუტა წერეთელმა სარჩელი შეიტანა მის წინააღმდეგ ფინანსურ პოლიციაში, რის გამოც ის საქართველოში აღარ დაბრუნდა. სხვათა შორის, ამ საქმეს იძიებდა გამომძიებელი გიორგი შალუტაშვილი, რომელიც ცნობილია, როგორც ხელისუფლებასთან დაახლოებული პიროვნება.

**— ხშირად წინა ხელისუფლების მარწუხები საზღვარგარეთ გაქცეულ მსხვერპლსაც სწვდებოდა.**

— ქაშიბაძის შემთხვევაშიც ასე იყო, ის დააკავეს, ორი წელი იჯდა პრაღის ციხეში, მაგრამ ბრალი არ დაუმტკიცდა და გაათავისუფლეს. ამის მიუხედავად, ეს ადამიანი გამოცხადდა ძებნილად და დღემდე ძებნილია.

**— ხელისუფლების შეცვლამ რა პერსპექტივა გაუჩინა ამ ადამიანს, რომ სამართალი იპოვოს?**

— პირველ რიგში, მან აიყვანა ადვოკატები და ცდილობს წართმეული ქონების დაბრუნებას, მეორე მხრივ კი, იბრძვის დამნაშავეების დასასჯელად. ქაშიბაძემ უკვე შეიტანა სარჩელი მასტერასა და ჭუტა წერეთლის წინააღმდეგ წამებისა და არაადამიანური მოპყრობის შესახებ. ასე რომ, ეს ადამიანი გაჩერებას არ აპირებს. აქ არის ერთი საინტერესო დეტალიც, რომელიც უნდა აღინიშნოს: **გამომძიებელი, რომელსაც მთავარ პროკურატურაში დაეწერა ეს საქმე, ისევ ის გიორგი შალუტაშვილია, რომელიც თავის დროზე ფინანსურ პოლიციაში იძიებდა ქაშიბაძის საქმეს. მე არ მინდა, მოვლენებს გავუსწრო, მაგრამ როგორ და რამდენად ობიექტურად შეიძლება გამოძიება წარიმართოს მის ხელში, თავად განსაჯეთ...**

**— როგორც „წესი“, ბიზნესმენები წინასაარჩევნო პერიოდში „ნაცმოძრაობის“ მთავარი ფინანსური წყაროები იყვნენ. გარდა იმ 100 ათასი ლარისა, რომელსაც ყოველთვიურად სთხოვდნენ, „ნაცმოძრაობის“ რამე ღონისძიება ან პიარაქცია თუ დაუფინანსებია ოდესმე მინდია ქაშიბაძეს?**

— როგორც ყველა ბიზნესმენს, ცხადია, მასაც შესთავაზეს ეს, ანგარიშის ნომერიც კი მისცეს, მაგრამ მან პირველსავე მოთხოვნაზე კატეგორიული უარი უთხრა. ამის შემდეგ დაიწყო მასზე ნადირობა და, რაც დამართეს, უკვე მოგიყევით.

**— რაც შეეხება ისევ დამნაშავეების პასუხისმგებლობის საკითხს: თქვენი აზრით, დღევანდელი სასამართლოს პირობებში რამდენად არსებობს იმის შანსი, რომ ამ ადამიანმა სამართალი იპოვოს?**

— მთავარია, რომ ის იბრძვის, იცის, რა უნდა გააკეთოს და გაჩერებას არ აპირებს. სხვა დანარჩენს რაც შეეხება, თქვენი კითხვის ლოგიკა მესმის, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ხომ უნდა დაინტერესდეს პროკურატურა ამ საქმით? შეიძლება იტყუება ეს კაცი და ვიღაცას ცილს სწამებს?!

**— როდის შეიტანა მან სარჩელი?**

— 1 ოქტომბრის შემდეგ მალევე, ანუ დაახლოებით 9 თვის წინათ.

**— და რა გამოხმაურება იყო პროკურატურის მხრიდან?**

— არანაირი, დღემდე დაკითხულიც არ არის ვინმე. ეს საოცარია, წარმოიდგინეთ, ასეთი მძიმე ფაქტი შედის საგამოძიებო სტრუქტურაში და თითქოს არაფერი.

**— საინტერესოა, ეს ჭუტა წერეთელი როგორ ახერხებს დღემდე თავის დაძვრენას? თქვენ რაზე მიგანიშნებთ ეს?**

— ამ ადამიანს ჰყავს ვიღაც მფარველი და ჩვენ აუცილებლად დავადგენთ მის ვინაობას.

**— მფარველს დღევანდელ ხელისუფლებაში გულისხმობთ?**

— ცხადია, იმიტომ, რომ „ნაცმოძრაობიდან“ ვინც უნდა ყოფილიყო, დღეს მას ამდენი გავლენა არ ექნება. თან, ჩემი აზრით, **ეს მფარველი არ არის ვიღაც დაბალი რგოლის ჩინოვნიკი, ფაქტია, რომ მას რაღაც წონადი თანამდებობა უკავია დღევანდელ ხელისუფლებაში.** ჩვენ უკვე გვაქვს გამოკვეთილი სიგნალები, თუ ვინ და რა კატეგორიის ადამიანები შეიძლება იყვნენ ისინი, მაგრამ არ მინდა ვარაუდის დონეზე ვისაუბრო. ვიმეორებ, მალე ამ ყველაფერს ფარდა აეხდება და საზოგადოება დეტალურად გაიგებს, ვინ რა საქმიანობას ეწეოდა როგორც წინა, ისე დღევანდელი ხელისუფლების პირობებში.

**— როგორც ვიცი, მინდია ქაშიბაძემ თქვენ დახმარებისთვის მოგმართათ. „სამოქალაქო ფრონტი“ გარკვეულწილად უფლებადამცველი ორგანიზაციაცაა. კონკრეტულად რას აპირებთ ამ ადამიანის დასახმარებლად?**

— პირველ რიგში, ჩვენ მივმართეთ პროკურატურას, დაინტერესდეს ამ საქმით, რომ ჩატარდეს ობიექტური გამოძიება და ერთხელ და სამუდამოდ გაირკვეს სიმართლე. ეს თაროზე შემოსადები საქმე არ არის, **აქ იკვეთება წინა ხელისუფლების მაღალჩინოსნების ბრალეულობა: გია დგებუაძის, ავთო წერეთლის, მეგის ქარდავას, მიხეილ მაჭავარიანის და ა.შ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ადამიანია ნაწამები, კონკრეტული კომპანიაა დაზარალებული, რომელიც წარმატებული იყო და ბრუნვები ჰქონდა.** ბოლოს და ბოლოს აქ შედეგი გვაქვს სახეზე: კაცი გაქცეულია და კომპანია — გაკოტრებული. თუ ამაზე არ მოახდინეს რეაგირება, მაშინ რომელ სამართალზეა საუბარი?!

**— ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ, როგორ ფიქრობთ, რამდენად მოხერხდება თქვენ მიერ ჩამოთვლილი ყოფილი მაღალჩინოსნებისთვის ბრალის დამტკიცება?**

— სულ სამადსამი პიროვნებაა დასაკითხი: დგებუაძე, ქარდავა და წერეთელი. მტკიცებულებები კი იმდენია, რომ პროკურატურა შესწავლას ვერ აუვა. ეს საქმე ვიღაცის მონაგონი კი არაა, ჯერ მარტო ჭუტას ოფისში, ქაშიბაძე რომ აწამეს, დაახლოებით ათამდე პიროვნება იმყოფებოდა. საკმარისია, მათზე იმუშაონ, რომელიმე მათგანი აუცილებლად მისცემს გამოძიებას გულახდილ ჩვენებას. შესაბამისად, აქ ყველა კითხვის ნიშანი მოიხსნება. ვერავინ იტყვის, რომ ეს არის პოლიტიკური დევნა ან ზეწოლა და ა. შ.

**— ზოგადად, ქაშიბაძის საქმის მსგავსი შემთხვევები „ნაცმოძრაობის“ დროს ხშირი იყო. თქვენთვის დაახლოებით რამდენი ასეთი ფაქტია ცნობილი?**

— ძალიან ბევრი, ათეულობით. ახლა ამ შემთხვევების შესწავლის პროცესში ვართ და ზოგიერთი ისეთი საქმეა, შეიძლება არც დაიჯეროთ. ამ მასალებს რომ ეცნობი, რეალურად მაშინ ხვდები, რა ქვეყანაში ვცხოვრობდით. ამაზე ვერც ავტორიტარულ რეჟიმს ვერ იტყვი, ეს იყო რაღაც დიქტატორული მუტანტი, წარმოუდგენელი ბოროტებისა და სიბინძურის სისტემა.

**— დასაწყისში ჩვენ დაუსჯელობის სინდრომზე ვსაუბრობდით, თქვენი აზრით, ის, რაც დღეს მიმდინარე სამართლებრივი პროცესის ფარგლებში კეთდება, რამდენად საკმარისია იმისათვის, რომ საზოგადოებაში სამართლიანობის განცდა გაჩნდეს?**

— ნაწილობრივ ვეთანხმები იმ ადამიანებს, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ეს პროცესი, ცოტა არ იყოს, გაიწელა, მაგრამ ამ შემთხვევაში კონკრეტული შეფასებისგან თავს შევიკავებ. ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია ის, თუ რეალურად რა შეიცვალა ან რის შეცვლას უნდა ველოდეთ მომავალში. აქვე რამდენიმე დღის წინანდელ ფაქტს შევეხები, როცა **ქობულეთის პოლიციის უფროსი დავით დვალიშვილი სამ ახალგაზრდას გაუპატიურებით დაემუქრა... ცნობისთვის: ეს ის დვალიშვილია, რომელიც ბუტა რობაქიძის მკვლელობის კადრებში ჩანს და აგრესიულობით გამოირჩევა; ეს ის კაცია, რომელსაც ხელი სისხლში აქვს გასვრილი.** არაერთხელ მითქვამს და კიდევ ვიმეორებ, სანამ დვალიშვილისნაირი ნაძირალა ადამიანები ისევ რჩებიან სისტემაშ, მე ვერ ჩავთვლი, რომ ქვეყანაში რამე რადიკალურად შეიცვალა. ეს განცდა აქვს საზოგადოების საკმაოდ დიდ ნაწილსაც და ხელისუფლებამ პირველ რიგში ამაზე უნდა იფიქროს; სხვანაირად, განცხადების დონეზე გამოხატული ვერანაირი კეთილი ნება სამართლის უზენაესობას ვერ აღადგენს...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

პოზიცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„საზოგადოება ახლა უყურებს ერთ რამეს — რა იქნება არჩევნების შემდეგ. 4-5 მილიარდის ქონებაა მოქალაქეებისთვის წართმეული. ადამიანები გაუბედურებულნი არიან, თუ ბიძინა ივანიშვილმა სიტუაცია მნიშვნელოვნად არ შეცვალა და სამართლიანობა არ აღსდგა, წარმოდგენაც არ მინდა, რა შეიძლება მოხდეს...“**

# თემურ შაშიაშვილი: ივანიშვილს საქმე ისე მიჰყავს, მალე მისი ავტორიტეტი განულდება

**ბოლო დროს განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება პარტია „თეთრების“ თავმჯდომარე თემურ შაშიაშვილი.**



**— ბატონო თემურ, მიმდინარე სამართლებრივი პროცესის პარალელურად წინა კვირას კოაბიტაციის კიდევ ერთი თვალსაჩინო მაგალითი ვიხილეთ: ბიძინა ივანიშვილი და კოტე კუბლაშვილი ერთმანეთს ისე შესციცინებდნენ, ყველაზე ძველ და ერთგულ თანამებრძოლებსაც რომ შეშურდებოდათ. ამ შეხვედრის შემდეგ კოალიციის ლიდერმა უმრავლესობას მოუწოდა, სასამართლოზე უხეში განცხადებებისგან თავი შეეკავებინათ, ამასთან, მოსამართლეების ხელფასის გაზრდის შესახებაც გვამცნეს. როგორ აღიქვით თქვენ ეს ყველაფერი? არის თუ არა ეს ჭეშმარიტად თანაცხოვრება?**

— მძიმე კითხვით იწყებთ. რა გაეწყობა, უნდა ვუპასუხო. სასამართლო რომ დამოუკიდებელი იყოს, ეს ქვეყნის ღირსების საქმეა. ამაზე დავა შეუძლებელია, მაგრამ მე ვიყავი გუბერნატორი და დღეს ხმამაღლა შემიძლია ვთქვა, რომ არასდროს სასამართლოს თავმჯდომარეს არა თუ არ შევხვედრივარ, ტელეფონზეც არ დამირეკავს მისთვის. ბატონი ბიძინა შეხვდა და ამით ის ლოიალობას იჩენს იმ პიროვნების მიმართ, რომელიც წლების მანძილზე იყო უსამართლობის მორევში. საერთოდ, ივანიშვილის განცხადებები ჩემში უკვე იწვევს გაორებას — ერთის მხრივ, ლაპარაკობენ, რომ სისტემური დანაშაული ხდებოდა; მეორე მხრივ კი, ლაპარაკობენ კოაბიტაციაზე.

ახლა ჩვენ, ვინც გვერდიდან გიყურებთ და გაკვირდებით, გეკითხებით: რას ფიქრობთ?! რომელ თანაცხოვრებაზე მელაპარაკებით?! არ არსებობს ოჯახი, რომელმაც სასამართლოსგან უბედურება არ ნახა. ყველაფერს თავი დავანებოთ, **ბუკიას ბაღში ძმებმა კუბლაშვილებმა უზარმაზარი ტერიტორია დაისაკუთრეს და ერთმანეთის მოპირდაპირედ სამ თუ ოთხსართულიანი სახლები აიშენეს. ნებისმიერ ქვეყანაში, სადაც კანონი კანონობს, მოქალაქეს მსგავსი დანაშაულისთვის სამუდამო ციხეს მიუსჯიდნენ. ახლა ბატონმა ბიძინამ, რომელიც ამბობს, ყველაფერი ვიციო, არ იცის, ეს ადამიანები რა მაფიაში არიან ჩაფლულები?!** მე რისი თქმა მინდა: ცხადია, სასამართლო უნდა იყოს თავისუფალი, მაგრამ ამისთვის იქ უნდა იყვნენ თავისუფალი ადამიანები. სანამ კუბლაშვილი იქნება ამ სისტემის სათავეში, რაიმე სიკეთეზე ლაპარაკიც ზედმეტია. ასე რომ, რაც უფრო ადრე მიხვდებით ამას, ბატონო ბიძინა, მით უკეთესი თქვენთვისაც და საქმისთვისაც...

**— ივანიშვილისა და კუბლაშვილის შეხვედრამ საზოგადოებაც გარკვეულწილად გააღიზიანა, მაგრამ მაშინ ისიც ვთქვათ, პრემიერის მხრიდან რა პოლიტიკა იქნებოდა ადეკვატური სასამართლოს თავმჯდომარის მიმართ...**

— მე მათი შეხვედრა კი არ მაღიზიანებს, უბრალოდ, ამ ადამიანების მიმართ კეთილგანწყობაა ჩემთვის გაუგებარი. სასამართლოში დღეს არიან ის პიროვნებები, რომლებმაც სისტემური დანაშაული კი არ შექმნეს, არამედ დანაშაულებრივი სისტემა. კუბლაშვილიც, რა თქმა უნდა, ამ სისტემის ნაწილია, ამიტომ ნებისმიერი სახის თანამშრომლობა მასთან ჩემთვის დანაშაულისა და დანაშაულთან შერიგების ტოლფასია.

**— ჩვენი დასავლელი პარტნიორები პოლიტიკურ ძალებს ცალსახად მოუწოდებენ ჯანსაღი ოპონირებისკენ.**

— ჭეშმარიტად დასავლური დემოკრატია ყველას მოგვწონს, მაგრამ ეს დემოკრატია გათახსირებულ ადამიანებზე კი არაა აგებული, ის ეფუძნება კანონს. ესენი კანონს არაფრად აგდებდნენ და ამის ნათელი მაგალითია თუნდაც კონსტიტუცია, რომელიც სააკაშვილმა ტანზე შემოიკერა. **ეჭვი არ მეპარება, ბატონ ბიძინას საქმე მიჰყავს ისე, რომ მისი ავტორიტეტი განულდება ქვეყანაში. ამიტომ უახლოეს მომავალში, თუ სერიოზული ძალა არ ჩამოყალიბდა კოალიციის გარეთ, სააკაშვილის დანაშაულებრივი სისტემა მობრუნდება და ეს იქნება საქართველოს დასასრული.**

**— თქვენი აზრით, რა იდეოლოგიის ძალა უნდა იყოს ეს?**

— მე ვთვლი, რომ საქართველოს მომავალი იმ ხელისუფლებაშია, რომელიც გარედან არ იქნება მართული. იმართებოდა თავიდან ბოლომდე „მოქალაქეთა კავშირი“, „ნაცმოძრაობა“, უდიდესი დოზით იმართება „ქართული ოცნებაც“ და ამ უდიდესი დოზის სიმაღლეს განსაზღვრავს რესპუბლიკური პარტია. სხვებს იქ დაკარგული აქვთ ძალა. ასე რომ, საქართველო არის საფრთხის წინაშე. მიკიბულ-მოკიბულით საუბრის დრო დამთავრდა. ვიმეორებ: **თუ დღეს „ნაციონალები“ არ იქნებიან და იმავე იდეოლოგიის, უარესის თუ არა, რესპუბლიკური პარტია დააჯდება ქვეყანას თავზე, საბოლოოდ მაინც დავიღუპებით. მე არ ვარ რესპუბლიკელების მტერი, მაგრამ ის უნდა იყოს 4-5 პროცენტით წარმოდგენილი მთავრობაში. ამის მეტი ელექტორატი მათ არ ჰყავთ.**

**— სამაგიეროდ ბიძინა ივანიშვილს ჰყავს მრავალრიცხოვანი ელექტორატი.**

— გასაგებია, მაგრამ რამდენჯერ უნდა ავირჩიოთ ეს კაცი?! ყველა რაიონში ბიძინაა არჩეული, მთავრობის თავმჯდომარე, მინისტრები ბიძინაა, ახლა პრეზიდენტიც თუ ბიძინა იქნა, დამთავრდება ყველაფერი. ვთქვათ, რომ ჩვენ ვართ მონები და აღარაფერს წარმოვადგენთ ამ ქვეყანაში.

**— თქვენ თქვით, რომ რესპუბლიკური პარტიის რეიტინგი არის 4-5 პროცენტი. როგორ ფიქრობთ, რა პოლიტიკურ სარგებელს ნახულობს ივანიშვილი ასეთი პარტიის წინ წამოწევით?**

— ერთი რამ შემიძლია, გითხრათ: თუ ვინმეს სიკეთე უნდა ბიძინა ივანიშვილისთვის, მის მაამებლად არ უნდა იქცეს. ეს დამღუპველია პოლიტიკაში; არადა, ვინც მაამებლები იყვნენ შევარდნაძისა და სააკაშვილის დროს, დღეს ყველა კოალიციაშია. **როგორც ჩანს, თვითონ ბიძინაც ვერ იტანს ძლიერსა და წესიერს. მას უყვარს მონური ფსიქოლოგიის ხალხი და ვერ ეგუება დამოუკიდებელ პიროვნებებს.** კაცმა თქვა, პლასტელინი ვიქნებიო... მორჩა, ამით ყველაფერი ნათქვამია. გასაგებია, მას რანაირი ადამიანები მოსწონს და ვინ სჭირდება.

**— როგორც ჩანს, ივანიშვილისთვის თავიდანვე უმთავრესი იყო, კოალიცია ისეთი სუბიექტებით დაეკომპლექტებინა, რომლებიც დასავლეთისთვის იქნებოდნენ მისაღები.**

— იცით, როგორაა ჩვენი საქმე? „თურაშაულის პატრონი, ტყეში ეძებდა პანტასაო“. მე რა მაქვს აქ მაკკეინისა და ლიბერმანის სასწავლებელი?! მაკკეინი იკვებება იმ ფულით, რომელიც მართავს დღეს მსოფლიოს სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებით და ვინც აფინანსებთ, იმის ენით გველაპარაკებიან. ამ დროს თქვენ გგონიათ, ამერიკაში მოსწონთ მასონები ან ევროპაში?! ეს საქართველოში დავინახე მე პროვინციალიზმი და ქედმოხრილობა ამ სექტების მიმართ...

**— გასაგებია, მაგრამ ასე თუ ისე, ეს ძალები წარმოადგენენ დღეს ამერიკის მთავრობას.**

— დიდი ხნის წინ ლონდონში ერთ-ერთ შეხვედრაზე ამერიკელებს პირდაპირ ვუთხარი: თქვენ თუ გინდათ საქართველოსთან მეგობრობა, ნუ იქნებით იაგოსავით ამრევი, რომელმაც — ოტელო და დეზდემონა გადაჰკიდა ერთმანეთს და გვიყურეთ უორდროპების სიყვარულით-მეთქი. ეს ყველაფერი შემთხვევით არ მითქვამს. მათი პოლიტიკა არასდროს ყოფილა ჩვენ მიმართ ჭეშმარიტად მეგობრული; რაც იყო სინამდვილეში, კარგად გამოჩნდა. ბუშმა-უფროსმა შევარდნაძეს დაუწერა, დემოკრატიის მამა ხარო, ბუშმა-უმცროსმა კი სააკაშვილს „დემოკრატიის შუქურა“ უწოდა...

**— მომავალი არჩევნები, ალბათ, ბევრ რამეს შეცვლის. რა აზრის ხართ იმ მიმართვაზე, რომელიც ბიძინა ივანიშვილმა რამდენიმე დღის წინ გაავრცელა სწორედ არჩევნებთან დაკავშირებით?**

— განცხადება ერთია, მაგრამ მთავარია, რეალობაში რა ასახვა ექნება ამ ყველაფერს. მე არა ერთხელ ვთქვი და კიდევ ვიმეორებ, დღეს ქვეყანაში მდგომარეობა იმაზე გაცილებით რთულია, ვიდრე ჩვენ წარმოგვიდგენია. ბიძინამ იცის, რომ მის მიმართ ხალხი კეთილგანწყობილია. კი, ვადასტურებ, მაგრამ **საზოგადოება ახლა უყურებს ერთ რამეს — რა იქნება არჩევნების შემდეგ. 4-5 მილიარდის ქონებაა მოქალაქეებისთვის წართმეული. ადამიანები გაუბედურებულნი არიან, თუ ბიძინა ივანიშვილმა სიტუაცია მნიშვნელოვნად არ შეცვალა და სამართლიანობა არ აღსდგა, წარმოდგენაც არ მინდა, რა შეიძლება მოხდეს...**

**— სიტუაციის შეცვლაში რას გულისხმობთ?**

— საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ პირველი, რაც უნდა გაკეთდეს, უნდა დაინიშნოს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებიც. ეს აუცილებელია, იმიტომ, რომ, თუ ივანიშვილმა ეს გუნდი არ მოიცილა, არანაირი პერსპექტივა ქვეყნის განვითარებას არა აქვს. ზოგადად, ბოლო დროს რასაც ვაკვირდები, ოცნებას ებრძვის ილუზია და მე, უბრალოდ, არ მინდა დავიჯერო, რომ ბიძინა ივანიშვილი ილუზიებშია.

**— თუმცა მან ერთ-ერთ გამოსვლაში განაცხადა, რომ მთავრობა იმაზე ბევრად მეტს აკეთებს, ვიდრე წინასაარჩევნოდ დაჰპირდა ხალხს.**

— სამწუხაროდ, ეს ილუზიაა კუბში. ამიტომ, კიდევ ერთხელ მივმართავ პრემიერს, **ჩამოდით, ბატონო ბიძინა, მიწაზე და თვალი გაუსწორეთ რეალობას. რაიონებში კატასტროფული მდგომარეობაა. რომ იტყვიან, ხალხს სული კბილით უჭირავს.**

**— რაც შეეხება ივანიშვილს კიდევ ერთ განცხადებას მისი პოლიტიკიდან წასვლასთან დაკავშირებით, მან თქვა, რომ მომავალი არჩევნების შემდეგ სულ რამდენიმე დღე დარჩება დაკავებულ თანამდებობაზე და მერე ხელისუფლებას საზოგადოების ყველაზე ღირსეულ წარმომადგენლებს დაუტოვებს. როგორ გაიგეთ თქვენ ეს განცხადება?**

— რა გითხრათ, ამ განცხადებაში გარკვეულწილად ჩანს წინდაუხედაობაც და ჩანს ის, რომ ბიძინა ივანიშვილი მართლა არ არის პოლიტიკოსი. საერთოდ, მას უყვარს ადამიანებისა და ადამიანთა ჯგუფების დაყოფა რაღაც კატეგორიებად — ნაწილთან ურთიერთობს, ნაწილთან — არა. ღირსეულ წარმომადგენლებს რაც შეეხებათ, მე, ულირსი თემურ შაშიაშვილი, კიდევ ერთხელ მივმართავ ხელისუფლებას: **თუ მეტის გაკეთება არ შეგიძლიათ და, როგორც ჩანს, ამ გუნდით ეს მართლაც შეუძლებელია, მაშინ წადით, გაცილებით უფრო დიდ პიროვნებებად დარჩებით ისტორიაში. ხოლო, თუ რამე შეგიძლიათ, მაშინ ნუ ეთამაშებით ქვეყნის მომავალს.** დღეს საქართველოს ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას. საუბარი იმაზე, ვინ ღირსეულია და ვინ — ულირსი, საქმეს ვერ უშველის. თუ მაინცდამაინც ულირსებზე უნდათ ლაპარაკი, ჯერ შიგნით გაარკვიონ რაღაც-რაღაცები, კარგად გაიხსენონ, ვის რა უკეთებია წარსულში და მერე გვამუნათონ. ახლა მთლად ისე ნუ მოუვათ, რომ ანგელოზებად წარმოგვიდგინონ თავი. ერთხელ და სამუდამოდ დაამთავრონ ამ განცხადებების კეთება.

**— ისე, მართლა საინტერესოა, რა კრიტერიუმებით ყოფს პრემიერი ადამიანებს ღირსეულებად და ულირსებად. თავის დროზე, როცა მან პოლიტიკაში მოსვლის შესახებ განცხადება გააკეთა, სწორედ ასეთი წყალგამყოფის გავლებით დაიწყო.**

— მე ბიძინა ივანიშვილის შეფასებებით არ ვუყურებ ადამიანებს. თუ ის ფიქრობს, რომ ულირსი ვარ, ჩემთვის ეს არაფერს ნიშნავს, ამას ისტორია შეაფასებს და ხალხი. რაც შეეხება მის წასვლა-არწასვლას პოლიტიკიდან, კიდევ ვიმეორებ, **თუ მას შეუძლია შეცვალოს გუნდი და ქვეყანაში იყოს მხოლოდ ერთი — ნიჭის ძალაუფლება, უნდა დარჩეს; თუ არა და, რასაც დღეს ვუყურებთ, ამის შენარჩუნებას მართლა ჯობია, წავიდეს.** მე დავტოვებ გუნდსო, რას ნიშნავს, „დავტოვებ“?! გუნდი უნდა დატოვოს ხალხმა არჩევნებით და ეს არჩევნები უნდა იყოს წესიერი, პატიოსანი.

**— თქვენ როგორ ფიქრობთ, მომავალი არჩევნები იქნება ობიექტური?**

— ამაზე წინასწარ ნუ ვისაუბრებთ, მკითხაობა რომ არ გამომივიდეს; მაგრამ მე ერთი რამ დანამდვილებით ვიცი: ბელადების პარლამენტი უნდა დამთავრდეს საბოლოოდ. **შევარდნაძე გვეუბნებოდა: მე ვტოვებ გუნდსო და კარგად დატოვა, — ვისაც ჩააბარა იმან მოუღო ზუსტად ბოლო. იმავეს იმეორებს ივანიშვილიც, იმიტომ, რომ მის გვერდითაც მრავლად არიან მოღალატეები.** მას პრობლემა აქვს შიგნით და არა გარეთ, სამწუხაროდ, ის პირიქით ფიქრობს. ესაა მისი შეცდომაც და საფრთხეც.

**— კონკრეტულად ვის გულისხმობთ საფრთხეში?**

— გამგები გაიგებს. უბრალოდ, გული მწყდება და მართლა ვწუხვარ იმის გამო, რომ ამ კაცის გვერდით არიან ცნობილი მედროვეები, რომლებმაც ყველა ხელისუფლების დროს შეძლეს კომფორტულად მოკალათება. ხან ვიღაც ჩაუშვეს ციხეში თუ ციხის გარეთ, ვიღაც დააბეზღეს, ფული იშოვეს და ასე აიწყვეს ცხოვრება. ახლა კიდევ გამოდიან და მორალს გვიკითხავენ. ბედნიერი ვარ, რომ არასოდეს ვყოფილვარ „მოქალაქეთა კავშირში“, არანაირი კავშირი არ მქონია „აღორძინებასთან“ და არც ამათთან პირი არ შემიკრავს. ბედნიერი ვარ იმით, რომ თავის დროზე შევარდნაძეს უარი ვუთხარი მის მთავრობაში შესვლაზე; რომ ვერავინ წამომაძახებს, ოდესმე რამე ულირსი საქციელი ჩაიდინეო და ვინმეს ზიანი მიაყენეო. აი, ესაა მთავარი, ამით შეიძლება ადამიანმა იამაყო. დანარჩენს რაც შეეხება, ვის რა გაუკეთებია, ეს არც ბიძინა ივანიშვილის შესაფასებელია და არც სხვა ვინმესი, ამას ისტორია განსჯის, შთამომავლობა დაარქმევს ყველაფერს თავის სახელს...

**«კოალიციის გარეთ სერიოზული ძალა თუ არ ჩამოყალიბდა, სააკაშვილის რეჟიმი მობრუნდება და ეს იქნება საქართველოს დასასრული»**

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

**„როდესაც ნატოს გენმდივანი ჩამოვიდა, თუ აჩვენეს ის კადრები, რომლებიც სამეგრელოში, სამალავებში აღმოაჩინეს, და თუ აჩვენეს და მან მაინც ის განცხადება გააკეთა, რაც მოვისმინეთ, მაშინ აქედან ცოცხალი არ უნდა გაეშვათ ქართველებს, ხეზე უნდა ჩამოეკიდათ; მაგრამ, თუ კადრები არ უჩვენებიათ, მაშინ ეს ძალა საერთოდ არ მუშაობს იმაზე, მსოფლიოს დაანახოს, რომ მიხეილ სააკაშვილი არის მკვლელი.“**

პოზიცია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# თემურ ალასანია სააკაშვილის გადარჩენაზე ზრუნავს; საინტერესოა, რას ფიქრობს პრეზიდენტის დიდი ბიძა

**საპრეზიდენტო არჩევნები ახლოვდება. ხალხი კი მხოლოდ ერთ რამეზე საუბრობს: დაისჯება თუ არა სააკაშვილი მას შემდეგ, რაც პრეზიდენტი აღარ იქნება. ეს თემა უფრო აქტუალური გახდა მას შემდეგ, რაც თქვეს, რომ ზურაბ ჟვანიას მკვლელობის საქმე გაიხსნაო. მიუხედავად იმისა, რომ დეტალები ჯერ ცნობილი არ არის, სრულიად საქართველო იმის მოლოდინშია, თუ რა განაჩენს გამოუტანენ სააკაშვილს. ახლახან ცნობილი გახდა ისიც, რომ თემურ ალასანია ჩამოსულა საქართველოში და ივანიშვილისთვის მიშას გადარჩენა უთხოვია. „საქართველო და მსოფლიო“ სააკაშვილის, ასე ვთქვათ, უფროს ბიძას, აკადემიკოს ელიზბარ ჯაველიძეს შეხვდა და დაინტერესდა მისი მოსაზრებით — უნდა გადაურჩეს თუ არა სასჯელს სააკაშვილი.**



**— ბატონო ელიზბარ, რას ფიქრობთ კოაბიტაციაზე, რომელსაც ასე გვავალდებულებენ?**

— კოაბიტაცია მთელ მსოფლიოში აპრობირებული მეთოდია, ეს სიტყვა საფრანგეთიდან მოდის და იქ, ბუნებრივია, კოაბიტაციაზე საუბარი, რადგან, როდესაც ერთი პარტია იმარჯვებს, მას დამარცხებულ პარტიასთან თანაცხოვრება უწევს. ის ნორმალური ქვეყანაა და ასეც უნდა იყოს, მაგრამ სულ სხვაა კოაბიტაცია ჩვენს სინამდვილეში. ჩვენ ამას გარეშე ძალები თუ შიდა მტრები გვაიძულებენ. კოაბიტაციაში დამნაშავე, უცხოელებთან ერთად, „ქართული ოცნებაც“ არის. **მიხეილ სააკაშვილი ამერიკელებმა „დემოკრატიის შუქურად“ გამოაცხადეს, სინამდვილეში კი საქართველოში მან ტირანული რეჟიმი დაამყარა მათი ხელშეწყობით.**

სხვა რა უნდა იფიქრო? ჩამოდის რასმუსენი, რომელსაც ამერიკის პოლიციის უფროსს ვუწოდებ, ის მეტი არაფერი არ არის, ერთი გაუნათლებელი, ხეპრე ადამიანია და გვმოძღვრავს, რომ დემოკრატიისკენ და ნატოსკენ საქართველოს გზამ საჯდომებზე უნდა გაიაროს, რომ ყველაზე დიდი და საგანგაშო მოვლენა 17 მაისს მოხდა. ამაში კი ხელს უწყობს ქურდულ სამყაროში კარგად გათვითცნობიერებული ბოკერიას ცოლი, რომელსაც კაბის აფრიალება და კაცების გაღიზიანება კარგად ეხერხება. ამას გარდა, არსებობენ რესპუბლიკელები და... **ჟურნალისტები, რომლებიც თავს ობიექტურობაზე დებენ (ელისაშვილი, მეტრეველი) და სვამენ კითხვას, — ვერ გავიგეთ ხალხი რესპუბლიკელებს რას ერჩისო. თუ ვინმემ ეს ვერ გაიგო, განსაკუთრებით ჟურნალისტმა, მაშინ ჟურნალისტიკას თავი უნდა დაანებოს. რესპუბლიკელებს ქართველი ხალხი არასოდეს შეეგუება, მათ და ახლანდელ „ნაციონალებს“ ზნეობისა და ტრადიციების საკითხში ზუსტად ერთნაირი შეხედულება აქვთ.** ვინმემ თუ დღემდე არ იცის მათი წარსულის შესახებ, მოვიდეს ჩემთან და ყველაფერს მოვუყვები. ძალიან კარგი იქნება, თუ ბატონი ბიძინა ივანიშვილი შეისწავლის რესპუბლიკელების წარსულს და გააცნობიერებს, რა ძალა მოიყვანა ხელისუფლებაში, ისინი ივანიშვილმა პოლიტიკური მორგიდან გამოიყვანა, გააცოცხლა და პარლამენტში დასვა.

**დავუბრუნდები ისევ რასმუსენის საკითხს და „ქართული ოცნების“ დანაშაულს. მაინტერესებს, როდესაც ნატოს გენმდივანი ჩამოვიდა, აჩვენეს თუ არა ის კადრები, რომლებიც სამეგრელოში სამალავებში აღმოაჩინეს და, თუ აჩვენეს და მან მაინც ის განცხადება გააკეთა, რაც მოვისმინეთ, მაშინ ის აქედან ცოცხალი არ უნდა გაეშვათ ქართველებს, ხეზე უნდა ჩამოეკიდათ, მაგრამ, თუ კადრები არ უჩვენებიათ, მაშინ ეს ძალა საერთოდ არ მუშაობს იმაზე, მსოფლიოს დაანახოს, რომ მიხეილ სააკაშვილი არის მკვლელი.** სააკაშვილისა და „ნაცმოძრაობის“ მხილება ხელისუფლებას რომ აინტერესებდეს, ვერავინ გაბედავს, მოგვთხოვონ „ნაციონალების“ დანდობა.

ახალმა ხელისუფლებამ მსოფლიოს ვერ აუხსნა, რომ ქურდებთან, ჯიბგირებთან, მკვლელებთან ზავის დადება არ შეიძლება! **რას უყურებენ უსუფაშვილს, რომელიც ამბობს, რომ პარლამენტი მშვენივრად არის დაკომპლექტებულიო. მას, მის ცოლს, ძმებ ბერძენიშვილებს, ზაქარეიშვილს ეს ხელს აძლევთ, ისინი ხალხის განწყობას არ გამოხატავენ, მათ აქვთ ძალიან დიდი ფული მიღებული, რაც საყოველთაოდ ცნობილია, სწორედ იმისთვის, რომ ის ჩაიდინონ, რასაც სჩადიან.** თავის დროზე მინდოდა ამ თანხის წარმოშობის გარკვევა, მაგრამ სასტიკად გამაფრთხილეს, თავი დამენებებინა.

**რესპუბლიკელების გამოჩეკილია ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაც,**

**ელიზბარ ჯაველიძე:**

## «ნაცმოძრაობას» უოთხმაგებ დაფინანსებას? ეს რა კოაბიტაციაა?! ეს ავაზაკების აღზევებაა!

**რომელიც თავის დროზე ხელს აფარებდა „ნაციონალებს“ და აცხადებდა, რომ 26 მაისს ძალის გადამეტება მოხდა და მეტი არაფერიო; დღესაც ერთ ამბავს ტეხენ იმაზე, რომ ცისფერებს თავისუფალი აზრის გამოხატვა აცადეთო.** ეს არის ის პოლიტიკა, რომელიც ერის გადაგვარებისკენ არის მიმართული, რაშიც დიდი წვლილი რესპუბლიკელებს შეაქვთ.

ახალი ხელისუფლება გამუდმებით საუბრობს იმაზე, რომ პირველად საქართველოს ისტორიაში არჩევნების გზით შეძლეს მთავრობის შეცვლა. მინდა მათ ვუთხრა, რომ პირველად საქართველოში ეს ეროვნულმა ხელისუფლებამ გააკეთა და ისინი ებრძოდნენ ისეთ დიდ ძალას, რომელიც 80 წელიწადი ბატონობდა, მაგრამ მაშინ ორივე მხარეს ნამდვილი ქართველები იყვნენ და არა ისეთები, როგორებიც დღეს არიან, ადამიანები, რომელთა იდეოლოგიაც საკუთარი მუცელი, საჯდომი და სასქესო ორგანოებია. ამიტომ დღეს კოაბიტაციაზე ვინც საუბრობს, არ მაინტერესებს იქნება ეს იძულებით თუ ნება-სურვილით, ჩემთვის მიუღებელია.

ბიძინა ივანიშვილის მადლობელი ვარ, რადგან მან შეძლო „ნაციონალების“ მოშორება, მაგრამ, სანამ კოაბიტაციაზე ისაუბრენენ, ჭირი მოშორებული არ არის, არ არის მოშორებული მანამ, სანამ პარლამენტში ზის მხოლოდ ორი ძალა. „ქართულ ოცნებას“ რომ ხალხისთვის ეთქვა, — ჩვენ ხელისუფლებაში მოვალთ და „ნაციონალებთან“ კოაბიტაცია გვექნებაო, როგორ ფიქრობენ, ხალხი მათ ხმას მისცემდა? არც ერთი ადამიანი მათ ხმას არ მისცემდა, არც ერთი!!! ხალხი სამართლიანობის აღდგენას ითხოვს და არა კოაბიტაციას! **სამართლიანობა ჰქვია იმას, რომ ადამიანებს წართმეული დაუბრუნდეთ! სისტემა უნდა გასამართლდეს, რეჟიმი უნდა მოისპოს და უნდა აიკრძალოს „ნაციონალური მოძრაობა“ და მათი მონაწილეობა ნებისმიერ არჩევნებში! ახალი ხელისუფლება კი რას შვრება?! „ნაციონალურ მოძრაობას“ უოთხმაგებს დაფინანსებას. ვისი ფულით აკეთებენ ამას?! თუ ივანიშვილს ძალიან უნდა „ნაცების“ დახმარება, მას აქვს საკმარისი ფული და თავისი ფინანსებით დაეხმაროს. ქართველი ხალხის ფულს, რომელიც ამ ნაძირლებმა აწამეს, მოკლეს, გააუპატიურეს, თავი დაანებოს. ეს რა კოაბიტაციაა?! ეს ავაზაკების აღზევებაა.**

არ შემიძლია არ შევეხო ბედუკაძის თემას, რომლის გარშემოც ასეთი ამბავია ატეხილი. შესაძლებელია, ამ ადამიანს რაიმე სახის დანაშაული ჩადენილი აქვს, მაგრამ დამსახურებაც რომ დიდი აქვს, ესეც ხომ ფაქტია. მას რომ ის კადრები სააშკარაოზე არ გამოეტანა, „ქართული ოცნება“ ვერაფერს გახდებოდა. კბილაშვილი ძალიან კარგად მოიქცა, მან ადამიანური და სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღო, მაგრამ ძველებიც და ახლებიც კბილაშვილს თითს უქნევენ, კუბლაშვილი კი, ძალადობრივი სისტემის ერთ-ერთი ფუძემდებელი ადგილზე დატოვეს.

მე ყველგან დავდივარ — რაიონებში, სოფლებში, ხალხთან ურთიერთობა ჩემთვის უცხო არ არის, ვიცი მათი აზრი და უკმაყოფილების მიზეზიც. ხალხი სამართლიანობის აღდგენას კატეგორიულად მოითხოვს. თუ ახალ ხელისუფლებას ამის გაკეთება არ შეუძლია, გვერდზე გადგეს. მათ არ ესმით ერთი რამ, რომ ჩვენ ამერიკელები არ ვართ, რომ თითოეულმა ქართველმა თავის თავზე გამოსცადა „ნაციონალური“ სისასტიკე.

**— ბატონო ელიზბარ, თუ ზუსტად მახსოვს, თქვენ სააკაშვილის დიდი ბიძა ხართ. ამ რამდენიმე დღის წინ საქართველოში ჩამოვიდა თემურ ალასანია, რომელიც ივანიშვილს შეხვდა და სააკაშვილის გადარჩენაზე ესაუბრა, ყოველ შემთხვევაში ასეთი ინფორმაცია გამოვიდა გარეთ. თქვენ რას ფიქრობთ, უნდა გადაურჩეს თუ არა სასჯელს სააკაშვილი?**

— მე სააკაშვილი ბებიის ბიძაშვილი ვარ, უფრო ბაბუად ვეკუთვნი. თემური ძალიან განათლებული ადამიანია, მოაზროვნეა, ჩვენ კარგი ურთიერთობა გვქონდა, თვითონაც ხშირად გამოთქვამდა უკმაყოფილებას მიშას მისამართით, მერე შევატყვე, რომ ეს კაცი შეიცვალა და მასთანაც გავწყვიტე ურთიერთობა.

თავის დროზე სულ ვამბობდი, რომ შევარდნაძე უნდა დაისაჯოს-მეთქი, მაგრამ შევარდნაძე, მიშასგან განსხვავებით, ფრთაშესხმული ანგელოზი ყოფილა.

სააკაშვილს თუ ეს ყველაფერი შერჩა, მას ძალიან დიდი ქონება აქვს დაგროვილი და უცხოეთში წავა, ასეთი რამ დაუშვებელია. ის კადრები, რომლებიც ახლა სააშკარაოზე გამოვიდა, მიშასთვის იყო გადაღებული, როგორც მითხრეს, თურმე სიამოვნებისგან კრუტუნებდა, სწორედ ისე, ერთ დროს აჭარაში რომ გადაუღეს ონანიზმით დაკავებულს.

**მიშა ძალიან მერიდებოდა, მას რამდენიმეჯერ შეეძლო ჩემი დაჭერა, მაგრამ ეს არ გააკეთა. არ ვიცი, ნათესაური კავშირის გამო არ გააკეთა თუ ავტორიტეტისთვის, რა მნიშვნელობა აქვს, მან მე დამინდო, მაგრამ ვიტყვი ერთ რამეს: ორი ვაჟი მყავს, თუ რომელიმე მსგავსს ჩაიდენს, მათ დასჯასაც მოვითხოვ. ხალხმა უნდა გაიგოს, რომ არავის არაფერი ეპატიება. ამიტომ ძალიან ვთხოვ დიდად დამსახურებულ ადამიანებს, რომ ქართველი ხალხის სახელით ნუ საუბრობენ.** ჯერ მათ ჰკითხონ, მომხრე არიან თუ არა პატიებისა. არავის აქვს უფლება, რომ ქართველი ხალხის სახელით ილაპარაკოს. ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით, წინ რა გველოდება და რა გამჟღავნდება, შესაძლებელია უფრო თავზარდამცემი რამ გავიგოთ.

ივანიშვილი არის დიდსულოვანი და მიმნდობი კაცი, მაგრამ, თუ გაიგო, რომ ვინმე ღალატობს, არ დაინდობს.

**— დიახ, მაგრამ რესპუბლიკელები უდგანან გვერდით და თანაც ძალიან აქებს...**

— ნუ, რას იზამ, მას ისიც ჰგონია, რომ მარგველაშვილი არის ფილოსოფოსი, მე კი მგონია, რომ მარგველაშვილი ავადმყოფური აზროვნების არის. **2001 წელს „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატი ქართველ ხალხზე წერდა, რომ: „ეს არის ჩვენი ერის განაჩენი — ტანსრული და აზროვნებით სუსტი“. ალბათ, თავის თავს გულისხმობდა. და თან, თუ ასე ფიქრობს თავის ხალხზე, რად უნდა ასეთი ხალხის პრეზიდენტობა?!** მე ახლა ვამზადებ წერილს, რომელიც მინდა ბიძინა ივანიშვილმა წაიკითხოს და გაიგოს, თუ ვინ არის მისი დასახელებული პრეზიდენტობის კანდიდატი, რომელსაც ასე აქებს.

ისე, გულდასაწყვეტია, მაგრამ ბატონ ბიძინასაც აქვს მსგავსი გამონათქვამი, რომ ქართველი ხალხი პოლიტიკურად ნაკლებად განათლებულიაო. არა, გენაცვალე, ასე არ არის, თუ უნდა, თავის ჭორვილაში ჩავიდეს, იქ გლეხს დაელაპარაკოს და ის ისეთ პოლიტიკურ ანალიზს გაუკეთებს, რომ განცვიფრდება. **გაიხსენოს 26 მაისი, დღე, რომელმაც, ვფიქრობ, დიდი წვლილი შეიტანა ძველი ხელისუფლების დასამარებაში. ამას „პოლიტიკურად ნაკლებად განათლებული“ ადამიანები ვერ გააკეთებდნენ. მაშინ სისხლის ზღვა იდგა მთელს ქალაქში, რაც ადგილზე შეძლეს, ყველამ იცის, მაგრამ თბილისის სამმართველოსკენ მიმავალ გზაზე რომ ჩაგევლოთ, კედლები სულ სისხლით იყო მორწყული.**

ასე რომ, ივანიშვილმა ხალხს აცადოს და მისცეს საშუალება, რომ „ნაციონალებს“ გათხრილ სამარეში მიწა საკუთარი ხელით მიაყარონ.

**ესაუბრა**
**ეკა ნასყიდაშვილი**

**«კადრები, რომლებიც ახლა სააშკარაოზე გამოვიდა, მიშასთვის იყო გადაღებული, როგორც მითხრეს, თურმე სიამოვნებისგან კრუტუნებდა, სწორედ ისე, ერთ დროს აჭარაში რომ გადაუღეს ონანიზმით დაკავებულს»**

თეთრი ბაირაღები
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მიუხედავად იმისა, რომ ციხეში გამოცდილი სახელისუფლო ელიტა იყო წარმოდგენილი, „მთავრობის დაკომპლექტება“ მაინც გაგვიჭირდა, ყველამ მინისტრობა მოინდომა... შევარდნაძის ყოფილი ჩინოვნიკების „ამბიციების“ დასაკმაყოფილებლად, დამატებითი სამინისტროებიც კი „გავხსენით“ ე. წ. სახელმწიფო მინისტრის სტატუსით, მაგრამ საქმეს ვერც ამან უშველა. სახელმწიფო მინისტრობაც ბევრმა დაიწუნა: „მე რა, მარტო კაბინეტის მინისტრი უნდა ვიყო?“ — აპროტესტებდა ზოგიერთი.**

# ფარდობითურობის თეორია, ანუ აკადემიკოსი გისოსებს მიღმა



**ნაპოლეონ ქარქაშაძეს ჩვენი მკითხველი იცნობს, როგორც წარმატებულ მეცნიერს, ნიჭიერ პუბლიცისტსა და მწერალს. წლების მანძილზე იყო საქართველოს სუბტროპიკული ინსტიტუტის, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის რექტორი, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, ამჟამად ამავე აკადემიის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეა. აი, ასეთი ადამიანი ყოფილმა ხელისუფლებამ გისოსებს მიღმა მოათავსა. პუბლიკაციების ეს ციკლი ამ უკულმართობაზეა.**



ამ ციხეში გამომწყვდია სააკაშვილმა ის ადამიანები, რომლებმაც მისი რეჟიმის წინააღმდეგ გაბედეს გამოსვლა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №22-25 (209-212)

## ამბავი მეორე

ციხე დახურული სივრცეა, მიუხედავად ამისა, პოლიტიკური და სხვა სახის პროცესები, რომლებიც ქვეყანაში ხდება, იქ ყველაზე ადრე აღწევს. დროის მოკვლის მიზნით, პატიმრები დილიდანვე იწყებენ საქვეყნო პრობლემების ანალიზს და საკმაოდ საფუძვლიანადაც.

— **ირაკლიევიჩ, ახლა დამირეკეს გარედან. სააკაშვილს საზღვარგარეთ ვიღაც გოგო მოსწონებია და 25 წლის ლამაზმანი მინისტრად დაუსვამს.**

არ გამკვირვებია, ინაუგურაციაც კი არ ჰქონდა ჩატარებული, აეროპორტში გაცნობილი სტუდენტი გოგონა პარლამენტის წევრად რომ დასვა.

— **რა გინდა, კაცი გულაობს.**

— **მერე ქვეყანა?**

— **სადღაა ქვეყანა, ბავშვების მიერ აშენებული ქვეყანა გინახავს სადმე?**

— **ყველაფერი ედიკას ბრალია, მან დაგვასვა ეს ტუტუცი ბავშვები თავზე, ამათ ქვეყანის შენება ქვიშაში თამაში ჰგონიათ.**

— **მიკვირს ამერიკის პოზიცია — არ აინტერესებს, ფული რომელსაც გვიგზავნის, რაში იხარჯება?!** — ბუზღუნებდა რომელიღაც ნაპროკურორალი.

— **ამერიკას ფული იმდენი აქვს, რომ, სად წაიღოს, არ იცის. აგულავებს ამ ბავშვებს, მოაპარინებს ფულს, გაამდიდრებს და, როდესაც დაჭირდება, რასაც უნდა, იმას გააკეთებინებს, გამოჭერილები ეყოლება და იმიტომ...**

— **როდემდე უნდა ვუყუროთ ამათ სისულელეებს, დაგვემხო თავზე ქვეყანა...**

ასეთი საუბრები დღეში რამდენიმეჯერ იმართებოდა და ამას მიჩვეულები ვიყავით. საერთო წუწუნი ხშირად პოლიტიკურ დებატებში გადადიოდა, რომელსაც არცთუ იშვიათად ქილიკიც მოჰყვებოდა: „რეგვენია და რა უნდა გააგებინო“? ამდაგვარი ეპითეტებიც, ხშირად მომისმენია ერთმანეთზე... საბედნიეროდ, წყენას მალე ივიწყებდნენ.

— **ასე გულხელდაკრეფილებმა, როდემდე უნდა ვუყუროთ ამათ სისულელეებს?!** — თქვა შედარებით დაბალი რანგის ყოფილმა ჩინოვნიკმა.

— **თქვენ არ იცით, აჭარა რა დღეშია. ვითომ რაცხას აშენებენ, თავისთვის და თურქებისთვის, ხალხი კი გაჩენის დღეს იწყევლის,** — ჩაერია საუბარში მელოტი.

— **ვისაც ჭკუა მოეკითხებოდა, აგერ გამოკეტეს ციხეში. მარტო ჩვენთან რამდენი ნამინისტრალი და გენერალია, უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე, დეპარტამენტის უფროსები, აკადემიკოსიც კი გვყავს. ახლა სხვა კამერებში — შინაგან საქმეთა, ენერგეტიკის, ავიაციის, სატყეოს ყოფილი მინისტრები, კონტროლის პალატის თავმჯდომარე, ეროვნული ბანკისა და რკინიგზის ყოფილი უფროსები და კიდევ, ვინ იცის, რამდენი დარგისა და უწყების ხელმძღვანელი. ნორმალურ ქვეყანაში ასეთებს სანთლით ეძებენ, ჩვენ კი ციხეში გამოგვამწყვდიეს,** — გაეპასუხა საუბარში „მოქალაქეთა კავშირის“ ერთ-ერთი სერიოზული აქტივისტი, რომელიც იმიტომ დაიჭირეს, რომ „ნაცმოძრაობის“ ხელმძღვანელებს 2003 წლის ნოემბრის არჩევნების დროს სერიოზული წინააღმდეგობა გაუწია.

— **ირაკლიევიჩ, მართლა რამდენი ჭკუის საკითხავი ხალხია გამოკეტილი ციხეში! რა იქნება, ციხეში დროებითი მთავრობა რომ ჩამოვაყალიბოთ? რა იცი, რა ხდება,** — მითხრა ერთ-ერთმა ყოფილმა მაღალჩინოსანმა.

— **ხუმრობ?**

— **ვხუმრობ, გულს მაინც მოვიფხანთ, ცოტას გავერთობით,** — თქვა მან ღიმილით.

— **ერიჰა... შენ სამერმისო გეგმაც გქონია?! ეს უკვე კარგია,** — ვუთხარი.

— **მოდი ვცადოთ,** — არ მეშვებოდა იგი.

— **ისე, რა მოხდა, ცოტას ვიხალისებთ,** — თქვა „სივრცეში“ ახლადშემოსულმა, მაგრამ უკვე ავტორიტეტულმა და ჭკუის საკითხავმა კაცმა, რომელიც მხოლოდ იმიტომ დააპატიმრეს, რომ ხელისუფლებასთან ბინძურ გარიგებაში არ შევიდა.

ჩემი „კოლეგების“ მონდომებამ გაჭრა, დამითანხმეს.

— **კარგი, დაიწყეთ „მუშაობა“, ვნახოთ, რა გამოვა, მაგრამ იდეა არ გააბაზროთ, გახსოვდეთ, ფაქიზი საკითხია,** — ვუთხარი იდეის ავტორებს.

რამდენიმე დღის შემდეგ მორიგი „ცელქობის“ ინიციატორებმა გვერდზე გამიხმეს.

— **ირაკლიევიჩ, კარგად გამოვა, თითქმის ყველა ჭკუის-საკითხავ კაცს ველაპარაკეთ და იდეა მოსწონთ,** — მითხრეს მათ.

— **თქვენ, ალბათ, ისიც გარკვეული გექნებათ, თუ როგორი სახელმწიფო გვინდა — საპრეზიდენტო თუ საპარლამენტო?** — ვკითხე.

— **მაგ საკითხზეც გვინდა, დაგელაპარაკოთ,** — თქვა ერთმა და ირგვლივ ფრთხილად მიმოიხედა, — **ჯერჯერობით იყოს საპრეზიდენტო...**

მათმა სერიოზულობამ შემაფიქრიანა, მაგრამ არაფერი მითქვამს.

— **როგორ აპირებთ პრეზიდენტის ან პარლამენტის არჩევას?** — ვიკითხე.

— **ჩვენ, გამოკითხვის წესით, საპრეზიდენტო კაცი უკვე შერჩეული გვყავს.**

— **რომელზე შეჩერდით?**

— **პრეზიდენტობა თქვენ უნდა იკისროთ, უარი არ გვითხრათ, ეს უკვე გადაწყვეტილია.**

— **აჰ, არ გამოვა, მე ასაკიც არ მიწყობს ხელს, პრეზიდენტობას ვერ გავქაჩავ, თუ გინდათ, მრჩეველი ვიქნები,** — ვტკიცე სასტიკი უარი.

— **რას ბრძანებთ, რა შუაშია ასაკი?! როცა დაგაპატიმრეს, მაშინ ასაკი თქვენთვის არ უკითხავთ!** — გააპროტესტა ჩემი უარი ნამინისტრალმა პატიმარმა.

— **მოდი ასე ვქნათ, მე შორიდან დაგაკვირდებით, ე. ი. რეჟისორივით ვიქნები. პრეზიდენტად კი, სჯობს, ვინმე ახალგაზრდა ავირჩიოთ.**

— **ახალგაზრდები გარეთ გვყავს, რა ხეირიც დაგვაყარეს, ვხედავთ... ირაკლიევიჩ, თქვენ ხომ აკადემიის პრეზიდენტი იყავით, გამოცდილება გაქვთ, უნდა დაგვთანხმდეთ, თორემ ჩაგვეშლება საქმე. პატიმრები პრეზიდენტობისთვის დახოცავენ ერთმანეთს,** — მაწვებოდნენ ინიციატორები.

— **აკადემიის პრეზიდენტი ვიყავი კი არა, ახლაც ვარ და ჯამაგირსაც ვიღებ, ორი პრეზიდენტობა კი, კანონით, არ შეიძლება.**

— **იქ მაინც არა ხართ, თქვენი კაბინეტი, ალბათ, ცარიელია და, სანამ აქა ხართ, იყავით ჩვენი პრეზიდენტი!**

— **ირაკლიევიჩ, ეს საქმე გადაწყვეტილია, თუ არ გჯერათ, ახლავე მოვიწვევთ თქვენს საკანში „სხოდნიაკს“ და ხელახლა ვუყრით კენჭს.**

დამითანხმეს. დრო და ასაკი ადამიანებს, როგორც ჩანს, ვერ ავიწყებს ბავშვობას და ჩვენც, ასაკოვანმა და გარეთ სერიოზულმა ბიძებმა, დავიწყეთ მორიგი სპექტაკლის გათამაშება.

**მიუხედავად იმისა, რომ ციხეში გამოცდილი სახელისუფლო ელიტა იყო წარმოდგენილი, „მთავრობის დაკომპლექტება“ მაინც გაგვიჭირდა, ყველამ მინისტრობა მოინდომა... შევარდნაძის ყოფილი ჩინოვნიკების „ამბიციების“ დასაკმაყოფილებლად, დამატებითი სამინისტროებიც კი „გავხსენით“ ე.წ. სახელმწიფო მინისტრის სტატუსით, მაგრამ საქმეს ვერც ამან უშველა. სახელმწიფო მინისტრობაც ბევრმა დაიწუნა: „მე რა, მარტო კაბინეტის მინისტრი უნდა ვიყო?“ — აპროტესტებდა ზოგიერთი.**

მელოტმაც უარი თქვა აჭარაში პირველკაცობაზე.

— **ჩამეირიგეთ თბილისელებმა თბილ-თბილი სავარძლები და მე ხუთი რაიონის უფროსად მიშობთ?! ორი დღეა, ქვეყნის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ეძებთ... მაინტერესებს, რას მიწუნებთ?! გამოცდილება არ მაქვს, ნაჯდომი არ ვარ, თუ რა?!** — ვიშვიშებდა იგი.

ძლივს დავიყოლიე მელოტი აჭარის პირველკაცობაზე. ვუთხარი, რომ „მთავრობაში“ უკვე გვყავს ორი მინისტრი აჭარიდან, ისიც ვუთხარი, რომ იგი აჭარაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს და ა.შ.

ეფენდიმ, ასე დავარქვით მას, უკმაყოფილოდ გააქნია თავი და რაღაც ჩაილაპარაკა. მერე მე მომიბრუნდა:

— **ირაკლიევიჩ, თქვენი ხათრით, თვარა აჭარაში არ წევიდოდი... მომეცით პირობა, რომ მარტო თქვენ დაგემორჩილებით,** — წამომიყენა პრეტენზია.

— **შენ ასლანობა გინდა, ასე ვატყობ მე...**

— **რას უწუნებთ აბაშიძეს?! მაშინდელი აჭარა ვინც იცის, შედარებაც არაა... ასლანა იქინა საქმეს აკეთებდა, თბილისში კი ამ დროს კინკლაობდით.**

ერიჰა... მელოტი უკვე აჭარის ფაშობას უმიზნებს... „საქართველოს საშველი არ იქნება“, — გამიელვა თავში, მაგრამ მაინც „დავთანხმდი“, „კიდევ კარგი, რომ ეს თამაშია... და მალე დამთავრდება“, — გავიფიქრე მაშინ.

— **კიდევ მაქვს ერთი თხოვნა!** — არ მეშვებოდა იგი...

— **რა გინდა, ხომ ხედავ, რამდენი საქმე მაქვს,** — თავი დავიფასე.

— **რა და... ბაღნები მყავს, თბილისში ხუთოთახიანი ბინა ახლავე უნდა მივიღო... როდემდე უნდა ვიცხოვრო აჭარაში!..**

— **ეს მაგრა შესულა როლში,** — წამჩურჩულა ენერგიულმა გურულმა, რომელმაც პრემიერ-მინისტრობა გაიჩალიჩა.

— **მაგ საკითხს აგერ პრემიერი გადაგიწყვეტს,** — ვუთხარი მელოტს, თუმცა შევატყვე, რომ გადამისამართება არ ესიამოვნა.

ცოტა ხნის შემდეგ „ენერგიულ გურულს“ ვკითხე, რა ქენით-მეთქი.

— **ირაკლიევიჩ, ამან, მგონი, მთლად გარეკა...** ▶



ორთაჭალის ბაღების მოპირდაპირე მხარეს აგებული ეს შენობა თავიდან ყაზარმა იყო, შემდეგ თბილისის მთავარ საპყრობილედ გარდაიქმნა. დღეს აღარ არსებობს

**მეგრელი გენერალი დავითანხმეთ, გვეშველა, მთავრობა დავაკომპლექტეთ. მართლაც, ღიმილის მომგვრელი იყო ჩაკეტილ სივრცეში საქმიანად მოფუსფუსე „მინისტრი“ პატიმრები, რომლებიც იცავდნენ სუბორდინაციას, განსაკუთრებით ჩემ მიმართ. „ბატონო პრეზიდენტო, როდის შეგაწუხოთ რეზიდენციაში? გადაუდებელი საქმეები დაგროვდა“, ანდა „ბატონო პრეზიდენტო, ჩვენ უკვე დავამუშავეთ საკითხი... როდის შეძლებთ გაეცნოთ?“ და ა. შ. ჩემი „რეზიდენცია“ კი ის საკანი იყო, რომელშიც ციხის თანამშრომლებმა გამამწესეს, თუმცა „თანამდებობას“ მეც ვიფერებდი.**

თეთრი ბაირაღები

საქართველო და მსოფლიო

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ უკვე სახლებსა და ქუჩებს ირჩევს... წყნეთში აგარაკიც მოითხოვა.

— შენც დაჰპირდი, რა გენაღვლება, კარგია, რომ როლში არიან შესულები, რაც იმას ნიშნავს, რომ სპექტაკლი გამოგვდის. კარგია, რომ პატიმრები მომავალზე ფიქრობენ, დროებით მაინც დაივიწყებენ იმას, რომ უუფლებო ადამიანები არიან.

როდესაც ყველა პირობა დავუკმაყოფილეთ, მელოტმა განაცხადა, რომ მიდის ბათუმში... გვეშველა.

— წასვლა არ გამოგვაპარო, უნდა გაგაცილოთ, — უთხრა ვიღაცამ.

გაგვიჭირდა კანდიდატურის „შერჩევა“ შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე.

— იქნებ კობა ნარჩემაშვილი დავაბრუნოთ მინისტრად? მართალია, იქითა კორპუსში ზის, მაგრამ ერთგული კაცია, — შემოიტანა წინადადება ქუთაისელმა, რომელიც საგადასახადოს ყოფილი მალალჩინოსანი იყო.

— კარგია, მაგრამ სხდომებს ვერ დაესწრება, სხვა საკანშია, — იყო პასუხი.

— მაშინ აჭარის ყოფილი მინისტრი დავნიშნოთ, ასლანთან ნამუშევარი კაცია, გენერალია, ერთგულება იცის, — თქვა „ლტოლვილების მინისტრმა“.

— სადაა, რომ ვერ ვხედავ? მგონი, სულ დაიკარგა! — თქვა ვიღაცამ.

— საადვოკატო გამოცდებისთვის ემზადება და წიგნებშია ჩაფლული, — გამოგვიცხადა მელოტმა, რომელიც თვითონაც ემზადებოდა საადვოკატოდ.

— შინაგან საქმეთა სამინისტრო ქვეყნის ხერხემალია, — თქვა ყოფილმა გენერალმა, — აქ გამოცდილი კაცია საჭირო...

— მერე სადაა გამოცდილი კაცი? — თქვა რომელიღაც ოლქის ყოფილმა პროკურორმა, რომელსაც „თავისი“ თანამდებობა უკვე განაღდებული ჰქონდა...

— რას მიწუნებთ, მაგალითად, მე?! უმცროსი ოპერობიდან დავიწყე და გენერალი გავხდი, 30 წლის უწყვეტი სტაჟი მაქვს, — ვითომ პროკურორის გასაგონად თქვა გენერალმა, თუმცა, „კოკავ, შენ გეუბნებოდნენ და, ლიტრავ, შენც გაიგონეო“, — ასე უფრო იყო, სხვების გასაგონად ნათქვამი...

— აჭარიდან უკვე გვყავს თავდაცვის მინისტრი, მართალია, მისთვის არ გვიკითხავს, ისე დავნიშნეთ, სულ ძინავს და რა გვექნა? მაგრამ, იმედია, უარს არ გვეტყვის, — გამოთქვა მოსაზრება „პრეზიდენტის“ აპარატის უფროსმა.

— იქნებ კაცი უარზეა, თავდაცვის მინისტრად ვნიშნავთ, სახუმარო საქმე ხომ არაა, — გააპროტესტა „ქონების მინისტრმა“.

— არა, უარზე არაა, მე მქონდა მასთან საუბარი, — „წაეშველა“ მელოტი „ზემლიაკს“.

— მე მხარს ვუჭერ, აჭარელის კანდიდატურას შინაგან საქმეთა მინისტრის პოსტზე, თქვენ კი მისი პირველი მოადგილე იქნებით, — თქვა „პრემიერმა“ და მეგრელ გენერალს შეხედა.

— მე არავის მოადგილედ არ ვიმუშავებ და საერთოდ, თქვენს მთავრობაში არ მინდა ვიყო, — ჩაიბუზღუნა „დაჩაგრულმა“ გენერალმა და დემონსტრაციულად დაგვტოვა.

— შენც რა კრიჭაში ჩაუდექი, ვერ ხედავ, კაცი თავს იკლავს თანამდებობისთვის? სხვათა შორის, ციხის მთავრობის შექმნაც მისი იდეაა, ახლა კი თანამდებობაც გენანებათ მისთვის? — ვუსაყვედურე გურულს.

— მაგან, ჯობია, ჯერ ნარდის თამაში ისწავლოს! — ჩაილიმა პრემიერმა.

— ირაკლიევიჩ, აწყობილი თამაში გვეშლება, მე მგონი, თქვენ უნდა დაელაპარაკოთ, — მითხრა თანამდებობაგანაღდებულმა ერთმა პატიმარმა, — ხომ იცი მაგათი ამბავი, ხვეწნა სჭირდებათ, რატომ იწუნებს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეობას? მეტი რა უნდა?

საღამო ხანს განაწყენებული მეგრელი გენერალი ჩემს „რეზიდენციაში“ მოვიხმე:

— შენ ბრძენი კაცი ხარ, მთელი საქართველო გიცნობს, — დავიწყე საუბარი (ესიამოვნა), — შენი პრეტენზიები სწორია, მინისტრობა შენ უფრო გეკუთვნის, ვიდრე აჭარელს, მაგრამ ახლა ასეა საჭირო და უნდა დამითმო... დამიჯერე, ფაქტობრივად, მინისტრი შენ იქნები, ხომ ხედავ, ის სულ წიგნებშია თავჩარგული...

— გამოდის, რომ მე უნდა ვიმუშავო, იმან კი ჯამაგირი აიღოს?!

ჯამაგირიო?! ამათ, მგონი, დაავიწყდათ ნარებზე რომ კოტრიალობენ, მართალი უნდა ვთქვა, შევშფოთდი. ძალიან ღრმად ხომ არ შევტოპეთ?! გადავწყვიტე თამაშის დამთავრება, მაგრამ გამიელვა აზრმა: საინტერესოა, სადამდე მიგვიყვანს ასაკოვან, დაბრძენებულ ადამიანებს ეს ბავშვური თამაში?

— მოდი ასე ვქნათ: შენ იქნები პირველი მოადგილე, ის საქმეს ვერ გააკეთებს და ორი-სამი თვის შემდეგ იძულებულს გაგვხდის, რომ გავათავისუფლოთ, შენ კი პირველი მოადგილე ხარ და მინისტრიც ავტომატურად გახდები.

გენერალი ჩაფიქრდა, კეფა მოიფხანა, სივრცეს გახედა, შემდეგ სერიოზული სახით ჩემკენ შემოტრიალდა.

— ბატონო პრეზიდენტო (ვა, უკვე პრეზიდენტოო), ვიცი, რომ სიტყვის კაცი ბრძანდებით... თქვენი ხათრით ვთანხმდები, თორემ უარი გადაწყვეტილი მქონდა, მაგრამ ერთი სათხოვარი მაქვს... წყნეთში კარგი აგარაკი უნდა მომცეთ... თანაც ახლავე! — არ გამკვირვებია, სხვებიც ხომ ასე იქცეოდნენ...

— ეგ საკითხი მოგვარდება, — ისე დავპირდი, თითქოს წყნეთის აგარაკები ხურდა ფულივით მქონდა ჯიბეში. ღმერთო, შენ დაიფარე საქართველო, თუ ესენი მართლა ისე ფიქრობენ, როგორც მელაპარაკებიან.

**მეგრელი გენერალი დავითანხმეთ, გვეშველა, მთავრობა დავაკომპლექტეთ. მართლაც, ღიმილის მომგვრელი იყო ჩაკეტილ სივრცეში საქმიანად მოფუსფუსე „მინისტრი“ პატიმრები, რომლებიც იცავდნენ სუბორდინაციას, განსაკუთრებით ჩემ მიმართ. „ბატონო პრეზიდენტო, როდის შეგაწუხოთ რეზიდენციაში? გადაუდებელი საქმეები დაგროვდა“, ანდა „ბატონო პრეზიდენტო, ჩვენ უკვე დავამუშავეთ საკითხი... როდის შეძლებთ გაეცნოთ?“ და ა. შ.**

**ჩემი „რეზიდენცია“ კი ის საკანი იყო, რომელშიც ციხის თანამშრომლებმა გამამწესეს, თუმცა „თანამდებობას“ მეც ვიფერებდი.**

მინისტრები თავიანთ „კუტოკებთან“ ერთად სადილვახშმობდნენ, მე, ცხადია, ყველასთან სასურველი სტუმარი ვიყავი.

მთავრობანას თამაშმა, რომელიც კარგად გამოგვივიდა, ხელი შეუწყო „სივრცეში“ წესრიგის დამყარებას, შემცირდა ღამის ღრეობები, ნებადართული მხოლოდ დაბადების დღის აღნიშვნა იყო.

მივხვდი, რომ თამაში უნდა დაგვემთავრებინა მანამ, სანამ პატიმრები როლებში შევიდოდნენ. ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, როდესაც შუადღისას საკანში ჩათვლემილს თავზე მეგრელი გენერალი დამადგა:

— ირაკლიევიჩ, თუ არ შეგაწუხებ, კითხვა მაქვს თქვენთან. თქვენ მითხარით, რომ აჭარელი მინისტრი ვერ გაქაჩავს, ორ-სამ თვეში შეიცვლება და მინისტრი მე გავხდები.

— კი, მახსოვს, რომ ასე ვთქვი...

— მაგისთვის მადლობელი ვარ, მარა იმის გარანტიას ვინ მომცემს, რომ თქვენ ორი-სამი თვე კიდევ ციხეში იქნებით? რომ გახვიდეთ გარეთ, მერე?..

ერიჰაა, ისეთი ჭკვიანი და გამოცდილი კაცისგან, როგორიც გენერალია, ამას აღარ ველოდი. დროზე უნდა დავამთავროთ ეს ბავშვობა, სანამ რაიმე სისულელე არ ჩაგვიდენია.

— ციხის მთავრობას ვაუქმებ, მე აღარა ვარ პრეზიდენტი, წადი, უთხარი ყველას, რომ თამაში დამთავრდა, — ვიყვირე მე.

— რა იყო, შე კაცო, ცოტა ხანს კიდევ გვეხალისა, მე ძალიან მომწონდა ჩემი როლი და მგონი, კარგადაც ვასრულებდი! — საყვედურით მითხრა გენერალმა.

— შენ რა, მართლა თამაშობდი?

— აბა, რა, თქვენ რა, მართლა პრეზიდენტი გეგონათ თავი? — შემიბრუნა კითხვა.

— ახლა აქ რომ მოდი, თამაშობდი?

— რა გემართება, ირაკლიევიჩ, ვთამაშობდი, აბა, რა?! როლში რომ შევედით, ახლა ვშლით მთავრობას?

— ე. ი. გამოდის, რომ ჩვენ ერთმანეთზე ვერთობოდით?!

— მერე რა არის ამაში ცუდი? საკნებშიც წესრიგი დამყარდა!

— აჰ, აღარ გვინდა, გაიგებენ და დაგვცინებენ, — ვთქვი მკაცრად.

— კარგი დავამთავროთ. ისე, მე მგონი, ყველამ ბრწყინვალედ ითამაშა თავისი როლი.

დავეთანხმე, აბა, ეს სერიოზული ადამიანები, მართლა ხომ არ დაიჯერებდნენ, რომ მე პრეზიდენტი ვიყავი, ისინი კი მთავრობის წევრები?!

დასასრული იქნება

# ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები იქნება ღირსეული, სამართლიანი ქართული სახელმწიფოს აშენების გარანტი

## ღია წერილი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს, ბატონ ბიძინა ივანიშვილს

**ყველა ქართველისა და საქართველოს კეთილგონიერ მოქალაქეთათვის სასურველო, ბატონო ბიძინა, გისურვებთ ხანგრძლივ, ჯანმრთელ, ბედნიერ ცხოვრებას და ნაყოფიერ მოღვაწეობას ქართველი ერისა და საქართველოს სახელმწიფოებრიობის საკეთილდღეოდ.**

**ბატონო ბიძინა!** გიბრძანებიათ, რომ „საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარების შემდეგ რამდენიმე დღეში თანამდებობას დავტოვებო“. მაპატიეთ, მოსვლა იყო თქვენი ნება, თორემ წასვლა მთლად თქვენი ნება არ არის. ეს უკვე თქვენ მიერ გადარჩენის იმედჩასახული ხალხის ნებაა და იმედია, თქვენ ამას პატივს სცემთ. რატომ?

პოლიტიკაში მოსვლის შესახებ განცხადების გაკეთებასთან ერთად, თქვენ საქართველოს მოსახლეობას აღუთქვით, რომ ერთი წლის შემდეგ საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებას მოიპოვებდით, ხელისუფლებაში უმრავლესობით მოხვიდოდით და შეუდგებოდით ქართული ოცნების განხორციელებას — მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობების მკვეთრად გაუმჯობესებით, ყველასთვის თანასწორუფლებიანი ხელმისაწვდომი მატერიალური, კულტურული და სულიერი მოთხოვნების დაკმაყოფილებით, ქვეყანაში სანიმუშო სამართლიანობის აღდგენითა და დამკვიდრებით.

თქვენმა უაღრესად გონივრულმა, გეგმაზომიერმა, მიზანდასახულმა, ფართომასშტაბიანმა, მშვიდობიანმა, მასობრივმა აქციებმა და ამ აქციებზე თქვენმა დამაჯერებელმა გამოსვლებმა, როგორც „სამედიცინო ელექტროშოკმა“, ისეთი ზეგავლენა მოახდინა, რომ ერთიანად შეძრა მოსახლეობა, გონს მოიყვანა, გამოაფხიზლა, გამარჯვებისა და გადარჩენის იმედი ჩაუსახა. **თქვენ, ბატონო ბიძინა,** დიდი გამოცდილების მხედართმთავართა მსგავსად (და არა როგორც მრავალი მიტინგის ორგანიზატორებმა, ოცდაერთწლიანი გამოცდილების მქონე ვაიოპოზიციური პარტიების ლიდერებმა) **დაძარით ხალხი ყოველგვარი ბუნტის, აჯანყების, ძალისმიერი მეთოდების გამოყენების, მუქარის, უკიდურესად გამოსაწვევი მაპროვოცირებელი მოწოდებებისა და სისხლისღვრის გარეშე მშვიდობიანი, სამართლიანი, საპარლამენტო არჩევნების გზით ერის მოღალატე და ქვეყნის დამაქცევარი „ხელისუფლების“ გადასაყენებლად.**

**და თქვენ, ბატონო ბიძინა, 2012 წლის 1 ოქტომბერს, ხელისუფლების მხრიდან მრავალი უსამართლო ბოროტი ქმედების მიუხედავად, უთანასწორო საარჩევნო მარათონში სძლიეთ ერის მოღალატე პირსისხლიანი ურჩხული, რითაც იხსენით ერი და საქართველოს სახელმწიფოებრიობა. თქვენ კიდევ ერთხელ აჩვენეთ, თუ რა შეუძლია თუნდაც გაუბედურებულ, გაღატაკებულ ბრბოდქცეულ ერს, როცა მას წინ მიუძღვის თქვენებრ ჭეშმარიტი მამულიშვილი.**

თქვენ, როგორც ღვთის რჩეულმა, არა მარტო უბადლო ქველმოქმედმა, არამედ დღეს უკვე ნამდვილად ეროვნულმა გმირმა, უფლის შეწევნით შეძელით ის, რაც ოცდაერთი წლის განმავლობაში ვერ შეძლო შხამიანი სოკოებივით მომრავლებული ორასზე მეტი ოპოზიციური პარტიების ლიდერებმა.

**1 ოქტომბრის ისტორიული გამარჯვებაში კეთილგონიერ ამომრჩევლებთან ერთად განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ბატონ დავით თარხან-მოურავსა და ქალბატონ ირმა ინაშვილს და მათი გუნდის რამდენიმე წევრს, მაგრამ ლომის წილი და გადამწყვეტი როლი ბიძინა ივანიშვილს ეკუთვნის. ეს აბსოლუტური ჭეშმარიტებაა.**

**ბატონო ბიძინა,** მაპატიეთ კადნიერებისათვის, თუ ვიტყვი, რომ **ურჩხული კვლავ ცოცხალია, ავის მომასწავებლად იღრინება, საშინელ შხამს აფრქვევს, წამოდგომას ცდილობს. მას ზურგს კვლავ უმაგრებს ქვეყნის შიგნით თუ მის გარეთ მოქმედი უცხო ქვეყნის ჯაშუშები და სოროსის ძუძუს ჩაფრენილი ანგარებიანი ბნელი ძალები.**

**პარლამენტი აშკარად არ გამოხატავს ხალხის ნებას. როგორც ჩანს, დემოკრატიის ცნება მათთვის კვლავ უცნობია ან უცხო ქვეყნის ნება ჰგონიათ მათ დემოკრატია. იგი იქცა უაზრო, არაფრისმომცემ, დაუმთავრებელ სალაყბოდ და ძირითადად დაკავებულია მესამე ხარისხის საკითხების გაჭიანურებული განხილვით. ამ დროს მათი უმრავლესობა კვლავ საკუთარი კეთილდღეობაზე ზრუნვისა და აშკარა თავის შექცევის რეჟიმში მუშაობს. თითქმის ყველა დარგში ადგილი აქვს განზრახ თუ გაუფრთხილებელ შეცდომებს, რაც სერიოზულ ეჭვს ბადებს მოსახლეობაში. ხალხის სახიდან თანდათან ქრება სიხარულის ღიმილი, რომელიც თქვენ მოჰგვარეთ ამომრჩეველს. არ არის გამორიცხული, რომ ხალხი, კვლავ იმედგაცრუებული, ქაოსური, უმართავი, ბნელი ძალების მიერ წაქეზებული, ეგზალტირებული ბრბოს მდგომარეობაში აღმოჩნდეს.** მაგრამ ჯერ ისევ იმედი აქვს, ბოლომდე ერთგული დარჩებით თქვენი სიტყვისა და ნაადრევად, მოულოდნელად არ დატოვებთ თანამდებობას, პოლიტიკას და შენს თაყვანისმცემელ საქართველოს მოსახლეობას.

**ბატონო ბიძინა!** მე ვამაყობ, რომ დავიბადე გლეხის ოჯახში მეთერთმეტე შვილად, ოცი წელი ვიცხოვრე ლეჩხუმის ერთ-ერთ პატარა ლამაზ სოფელ ჭაშლეთში მშრომელ და სტუმართმოყვარე ადამიანთა გარემოცვაში. და თუ რამ სიკეთე არსებობს ჩემში, ჩემი სოფლის მშრომელთა ნაანდერძევია. 1987 წლიდან სერიოზულად ვაკვირდებოდი და ვაანალიზებდი საქართველოში მიმდინარე ერისა და ქვეყნისთვის აშკარად დამღუპველ მოვლენებს. ამ უბედურებისგან გამოსავალი და ჩემი სუბიექტური, გლეხური მოსაზრებები ერთ-ერთმა გამორჩეულმა გაზეთმა „საქართველო და მსოფლიომ“ გამოაქვეყნა (2012 წლის 28 აგვისტო-5 სექტემბერი, №34, გვ. 27-28). თუ როგორმე დროს გამონახავთ და იმ წერილის შინაარსს გაეცნობით, მჯერა, თქვენ მასში იპოვით იმ რაციონალური მარცვალის მცირეოდენ ნაწილს, რომელიც გლეხურიდან მეცნიერულ კონდიციამდე დახვეწით რაღაც დოზით წაადგება საქვეყნო საქმეს.

**დაბოლოს, ჩემი სისხლო და ხორცო ქართველნო! საქართველოს მცხოვრებო ყველა ეროვნებისა და ტრადიციულ რელიგიათა მიმდევრებო! საქართველოს მოქალაქენო!**

სამშობლო უკიდურეს საფრთხეშია. სამშობლოს გადასარჩენად, რომ მიწის პირისაგან აღიგავოს ერისა და ქვეყნის მოღალატე შინაური თუ გარეშე ძალები, ალბათ, **აუცილებელია სრულიად საქართველოს მოსახლეობის კიდევ ერთი ძლიერი მონოლითური აზვირთება — გადაუდებელი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, რომელიც იქნება გარანტი ღირსეული, სამართლიანი ქართული სახელმწიფოს აშენებისა, ბატონ ბიძინა ივანიშვილის ბრძნული წინამძღოლობით, ქვეყნის ბატონ-პატრონ, მის უდიდებულესობა ქართველ ხალხთან კავშირში.**

**რევაზ კიბორძალიძე,**
შრომის, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი,
პოლკოვნიკი

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„უკეთილშობილესი კახური საფერავი ისეთ მუქ-წითელ წვენს იძლევა, რომ მანდილოსნები ერთმანეთს მოკითხვის ბარათებსაც კი წერენ.... აქედან სემიტური ტომების საშუალებით ქვემო ევფრატის და სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, ე. წ. მცირე აზიაში ლიდიელებთან, ფრიგიელებთან, მიდიელებთან და ირანელებთან, ხოლო შემდგომში როგორც ჩრდილოეთიდან, ასევე ზღვიდან საბერძნეთის ნახევარკუნძულზე გავრცელდა, ბერძნების ყველაზე ადრინდელ მოგზაურობათა შედეგად ეს დემონური სასმელი იტალიის საზღვრებში მოხვდა, ხოლო იქიდან — დანარჩენ ევროპაში“.**

# თეიმურაზ ღლონტი: ქართული ტრადიციული მეღვინეობის გასანადგურებლად სააკაშვილმა ყველა ღონე იხმარა!

**ცნობილი ჩინური წყევლისა არ იყოს, მართლაც, საინტერესო დროს მოგვიწია ცხოვრება. სულ რაღაც 15-20 წლის წინ ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდით, რომ 21-ე საუკუნის საქართველოში, თბილისში ე. წ. გეიაღლუმის ჩატარების საფრთხის წინაშე აღმოვჩნდებოდით, ხოლო მსოფლიოს პოლიტიკური ელიტა შეივსებოდა მამათმავლებითა და დედათმავლებით... ამ „გამორჩეულმა“ საზოგადოებამ სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადა ყველაფერ ეროვნულს და ტრადიციულს; მათ შორისაა გადაშენების პირას მისული სოფლის მეურნეობის მრავალი დარგი! მაგრამ, საბედნიეროდ, უფალი აგზავნის ადამიანებს, რომლებიც გადაულახავ ზღუდედ აღუდგებიან კაცობრიობის მტრების მეტად მზაკვრულ გეგმებს. მეღვინეობის დარგს ერთ-ერთ ასეთ მხსნელად მოევლინა ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ალავერდის მონასტრის მარნის ენოლოგ-კონსულტანტი, მევენახეობისა და მეღვინეობის საერთაშორისო აკადემიის ნამდვილი წევრი, ჟურნალის „ვაზი და ღვინო“ აღმდგენელი და მთავარი რედაქტორი — თეიმურაზ ღლონტი. დღეს ბატონი თეიმურაზი „საქართველო და მსოფლიოს“ სტუმარია.**



**— ბატონო თეიმურაზ, საქართველო ღვინის აკვნად არის აღიარებული. რა საფუძველს ემყარება ეს აღიარება?**

— თიხის ჭურჭელში ღვინის დაყენების ისტორია ჩვენში 8000 წელს ითვლის. ამ რეალობის დადგენაში არქეოლოგია გვეხმარება. ესაა შულავერის სიახლოვეს, „ხრამის დიდ გორაზე“ აღმოჩენილი თიხის საღვინე ჭურჭელი, ე.წ. დერგი და თიხის სხვა ჭურჭლის ნამტვრევები, რომლებიც, ისევე, როგორც დერგი, შემკულია ყურძნის მტევნის სტილიზებული გამოსახულებებით. თიხის ჭურჭელი თარიღდება ძვ.წ. VI-V ათასწლეულებით. თიხის ეს უნიკალური ჭურჭელი თავისი ფორმით, შესრულების დონითა და დანიშნულებით ერთობ მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა. უპირველეს ყოვლისა, ჭურჭლის ყელთან ოთხივე მხარეს გამოძერწილი ყურძნის მტევნის სტილიზებული გამოსახულებები მიგვანიშნებს ამ ჭურჭლის დანიშნულებაზე, რომ ის საღვინე ჭურჭელია. ეს ფაქტი გვამცნობს, ასევე, მისი შემქმნელის მხატვრული აზროვნების გარკვეულ დონეს. ამ აზრს ის მომენტი კიდევ უფრო გვიძლიერებს, რომ დერგის ფორმა არათუ მარტოდენ დახვეწილი და ლაკონურია, არამედ, ტექნოლოგიური თვალსაზრისით, მიზნობრივად გააზრებული და ოსტატურად შესრულებული ნახელავიც. მისი კვერცხისმაგვარი ფორმა გამობერილი გვერდებითა და შევიწროებული ბოლოთი მიგვანიშნებს ღვინის დაყენების გარკვეული ცოდნა-გამოცდილების არსებობაზე. ყოველივე ზემოთქმული მიანიშნებს საშემსრულებლო ოსტატობის გარკვეულ სიმაღლეზე. ვაზის გაკულტურების თვისებრივად ახალ, მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს ძვ.წ V-IV ათასწლეულებით დათარიღებული „შულავერის გორასა“ და „დანგრეულ გორაზე“ აღმოჩენილი კულტურული ვაზის ნიშნების მქონე წიპწები. სავსებით ლოგიკური და დამაჯერებელი უნდა იყოს ის ვარაუდი, რომ საღვინე ჭურჭლის შექმნა და ღვინის დაყენების ცოდნის გამომუშავება ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ვაზის გაკულტურების პერიოდს. ძვ.წ. VI-V ათასწლეულებით დათარიღებულ თიხის ჭურჭელში რომ ღვინოს აყენებდნენ, დასტურდება ამ ჭურჭელში აღმოჩენილი ვაზის ყვავილის მტვერის არსებობით. ეს ფაქტი კი იმაზე მიგვანიშნებს, რომ თიხის ჭურჭელში ყურძენი იჭყლიტებოდა და ყურძნის დურდო დუღდა სრულ ჭაჭაზე (კანი, კლერტი, წიპწა). ისევე, როგორც ეს ხდება დღესაც კახური ღვინის დაყენებისას.

**ჩვენი აზრით, საკამათო არ უნდა იყოს ის, რომ თიხის საღვინე ჭურჭლის შექმნა და ღვინის დაყენების ცოდნის გამომუშავება ერთი ხელის დაკვრით არ მოხდებოდა. შექმნისა და ცოდნის დაგროვების პროცესი საკმაო ხანგრძლივ პერიოდად უნდა მოვიაზროთ. ამ მოსაზრებას აძლიერებს შულავერის კულტურის სხვა მონაპოვრებიც. მარცვლეული კულტურების ნაშთები — ხორბლის 9 და ქერის 5 სახეობა, შვრია, ბარდა, ოსპი და სხვ., ყველა შინაური ცხოველის ნაშთი, სამიწათმოქმედო იარაღები (მაგალითად, ირმის რქის სახნისი). ეს ყოველივე მიგვანიშნებს ძვ.წ. VI-IV ათასწლეულებში სამხრეთ საქართველოში მკვიდრად ბინადარი, ანუ მიწათმოქმედი მოსახლეობის არსებობაზე, ანუ, სხვაგვარად თუ ვიტყვით, მრავალდარგოვანი სამიწათმოქმედო კულტურის არსებობაზე, სადაც ღვინო უკვე იყო, როგორც შიდამეურნეობრივი პროდუქტი.**

სოფლის მეურნეობის ლომბარდიის მუზეუმის (სანტ-ანჯელო ლოდიჯანო — იტალია) ხელმძღვანელმა, დოქტორმა გ. ფორნიმ სხვადასხვა პალეოეთნობოტანიკურ, არქეოლოგიურ-ბოტანიკურ, პალეოაგრონომიულ და ეთნოგრაფიულ არქეოლოგიურ სამეცნიერო წყაროებზე დაყრდნობით შეადგინა რუკა, რომელიც ასახავს ვაზის წინარე გაკულტურების (პარადომესტიკაციის) არეალებს და გაკულტურების ცენტრებს. გ. ფორნის მიხედვით, კულტურული ვაზის არქეოლოგიური ნაშთების გამოვლენის ქრონოლოგია დღეისათვის შემდეგ 6 ჯგუფშია განაწილებული: I — ანატოლია-სამხრეთ კავკასია-შუამდინარეთის რეგიონები (VI-V-IV ათასწლეულები ძვ.წ.); II — სამხრეთ ბალკანეთის, ეგეოსის და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის რეგიონები (V-IV-III ათასწლეულები ძვ.წ.); III — სამხრეთ იტალია (III-II ათასწლეულები ძვ.წ.); IV — სამხრეთ-აღმოსავლეთ იბერია (II-I ათასწლეულები ძვ.წ.); V — ჩრდილოეთ იტალია (I ათასწლეული, ძვ.წ.); VI — შუა ევროპა (რომის იმპერიის ხანა).

საინტერესოა, აღინიშნოს, რომ XIX საუკუნეში, 134 წლით ადრე, მკვლევარ გ. ჰენის მიერ შემოთავაზებული სვლაგეზი ევროპაში კულტურული ვაზის გავრცელებისა, ძირითადად, დაემთხვა დოქტორ გ. ფორნის მიერ შედგენილ სქემას. **მ. ჰენი** 1872 წელს ფლორასტული და ლინგვისტური ანალიზის საფუძველზე წერდა: **„ვაზის ჭეშმარიტი სამშობლო კასპიის ზღვის მახლობლად მდებარეობს, უღრან ტყეებში მკლავის სიმსხო ვაზები უზარმაზარ ხეებზეა გადახლართული და მშვენიერი მტევნებით ხიბლავს ადამიანს. იქ და მის მახლობლად, კახეთში, სამეგრელოში, სომხითში, სადაც დღესაც შემორჩა უძველესი წეს-ჩვეულებები (რასაც ბერძნებისა და რომაელების თხზულებებიდან ვიგებთ), მოჰყავთ ნარინჯისფერი, ბალზამური სიტკბოს მქონე მეტად არომატული ვაზის ჯიშები. უკეთილშობილესი კახური საფერავი ისეთ მუქ-წითელ წვენს იძლევა, რომ მანდილოსნები ერთმანეთს მოკითხვის ბარათებსაც კი უწერენ.... აქედან სემიტური ტომების საშუალებით ქვემო ევფრატის და სამხრეთ-დასავლეთის მიმართულებით, ე. წ. მცირე აზიაში ლიდიელებთან, ფრიგიელებთან, მიდიელებთან და ირანელებთან, ხოლო შემდგომში როგორც ჩრდილოეთიდან, ასევე ზღვიდან საბერძნეთის ნახევარკუნძულზე გავრცელდა, ბერძნების ყველაზე ადრინდელ მოგზაურობათა შედეგად ეს დემონური სასმელი იტალიის საზღვრებში მოხვდა, ხოლო აქედან — დანარჩენ ევროპაში“.**

მართალია, ვაზის წინარე გაკულტურების საწყისად ვრცელი რეგიონი (ანატოლია, სამხრეთ კავკასია, შუამდინარეთი) მოიაზრება, მაგრამ ისიც უტყუარი ფაქტია, რომ შულავერის კულტურული ნიშნების მქონე ვაზის წიპწები უხნესია მთელს ევრაზიის ტერიტორიაზე. ამასთანავე, შულავერში გვაქვს თიხის საღვინე ჭურჭელი და ღვინის უტყუარი კვალი. ვფიქრობთ, ვაზის წინარე გაკულტურების, როგორც კულტურული ფენომენის გადაადგილება-გავრცელების პროცესი ყველა მიმართულებით დროსა და სივრცეში არ უნდა წარმართულიყო ცალკერძად განკერძოებულად ისეთი კულტურული მოვლენისგან, რომელსაც ღვინის დაყენება ჰქვია.

ზემოაღნიშნულ ვრცელ რეგიონში და მის ფარგლებ გარეთაც ქვევრში ღვინის დაყენების უძველესი წესი ისეთი შინაარსითა და მასშტაბით არსად შემორჩენილა, როგორც საქართველოში. ეს საქართველოში უწყვეტი ტრადიციაა, რაც მის უძველესობაზე მეტყველებს.

**— თქვენ ბრძანდებით ალავერდის მონასტრის მარნის ენოლოგ-კონსულტანტი, გთხოვთ, მოგვითხროთ ალავერდის მონასტრის მარნის ისტორიაზე, მის როლზე ტრადიციული ქართული მეღვინეობის აღორძინების საქმეში.**

— ალავერდის მონასტრის დღეს მოქმედი მარანი XI საუკუნეშია დაარსებული, თუმცა მონასტერში მარანი ჯერ კიდევ VIII-IX საუკუნეში არსებულა, რაც ბოლო ხანს მონასტრის ეზოში, ტაძრის ჩრდილოეთ კედლის მიმდებარედ ჩატარებულმა არქეოლოგიურმა გათხრებმა დაადასტურა.

თითქმის უკანასკნელი 300 წლის მანძილზე ბედუკუღმართობის გამო XI საუკუნის მარანი უმოქმედო იყო, ხოლო საბჭოურ პერიოდში მარნის ტერიტორია გამოყენებული იყო მანქანა-ტრაქტორების სადგომად, ქვევრებში კი მაზუთი ესხა.

ალავერდის მონასტრის რესტავრაცია-რეკონსტრუქციის პროექტი 2005 წელს დაიწყო, მას ერთობლივად ახორციელებდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო და ღვინის კომპანია „ბადაგონი“. ალავერდის მარნის რესტავრაციაც, რომელიც „ბადაგონის“ ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა, სწორედ ამ დიდი პროექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი იყო.

**2007 წელს ალავერდის მონასტრის მარანში დაყენებულმა ქვევრის კახურმა ღვინომ „ალავერდის ტრადიციები“ 2010 წელს ლონდონში ჩატარებულ დეკანტერის დიდ საერთაშორისო კონკურსზე ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა, რაც ამ ღვინის დიდ საერთაშორისო აღიარებაზე მეტყველებს, ამასთან ერთად, ალავერდის მონასტრის ქვევრის თეთრ კახურ ღვინოს საერთაშორისო დეგუსტაციებზე მოპოვებული აქვს 6 ოქროს მედალი.**

მეტად სიმპტომატურია ის, რომ ქვევრში ღვინის დაყენების ტრადიციული ტექნოლოგიის აღდგენა მოხდა ეკლესიის წიაღში. ფართო მასშტაბის წარმოების პირობებში ამ ტექნოლოგიის აღდგენა, ალბათ, შეუძლებელი იქნებოდა.

ალავერდის მონასტრის მარნის საქმიანობა სათანადოდ შეაფასა საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატამ და მონასტრის მარანი 2010 წელს სპეციალურ პრიზთან ერთად დააჯილდოვა დიპლომით „მეურნეობის ტრადიციული დარგების აღდგენისა და წარმოების მაღალესტეთიკური დონისთვის“.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ალავერდის მონასტრის მარნის საფერავის ღვინო, რომელმაც დეკანტერის საერთაშორისო კონკურსზე ლონდონში 2010 წელს უმაღლესი რეგიონული ჯილდო — „გრან-პრი“ მოიპოვა. ეს ღვინო სხვადასხვა კონკურსზე დაჯილდოებულია ოქროსა და ვერცხლის მედლებით.

წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ალავერდის მონასტრის ქვევრის თეთრმა კახურმა ტრადიციულმა ღვინომ 2009 წელს იტალიაში „ვინ-იტალის“ დიდ საერთაშორისო ფესტივალზე, სადაც მოწვეულმა 500-მა ცნობილმა სომელიემ უმაღლესი შეფასება მისცა ამ ღვინოს. ეს მათთვის აღმოჩენა იყო!

ალავერდის მონასტრის მარნის ღვინო 2011 წლიდან წელს ჩამოყალიბდა „ბერების ღვინის“ სახელწოდებით.

ალავერდის მონასტრის „ბერების ღვინო“, როგორც თეთრი, ისე წითელი, დიდი რეპუტაციით სარგებლობს და დიდია მასზე მოთხოვნილება უცხოეთის დაინტერესებულ წრეებში. უკანასკნელ ხანს „ბერების ღვინო“ მცირე პარტიების სახით გაგზავნილ იქნა უცხოეთში მოწყობილ გამოფენებზე, სადაც ამ ღვინოებმა მაღალი შეფასება დაიმსახურეს.

**ალავერდის მონასტრის მარანში მკვიდრდება ტრადიცია ვაზის კახური ჯიშებისგან ე.წ. ჯიშობრივი ღვინოების დაყენებისა. ეს ჯიშებია: რქაწითელი, საფერავი, მწვანე კახური, ქისი, ხიხვი, ვარდისფერი რქაწითელი. მალე მათ რიგებს კახური მცვივანიც მიემატება. ვფიქრობთ, ეს გზა მართებულია, ვინაიდან ეს გვაძლევს საშუალებას, დამოუკიდებლად წარმოვადგინოთ თავისთავადი, ორიგინალური თვისებების მქონე ვაზის ჯიშებისგან დაყენებული ღვინოების მდიდარი თაიგული.**

მარნის ღვინოები არაერთი უცხოელი სპეციალისტის აღფრთოვანების ობიექტად ქცეულა. ცნობილმა შვედმა სომელიემ კატარინა ალვინმა აღნიშნა, რომ „გაოცებულია კახური ტრადიციული თეთრი ღვინით. ის სიურპრიზია მისთვის და ძალზედ საინტერესო ღვინოა“.

ცნობილი იტალიელი სპეციალისტი დონატო ლანატი გაოცებას ვერ ფარავდა ქვევრის გახსნისას კახური თეთრი ღვინის გასინჯვის შემდეგ. ასე გამოხატა მან თავისი შთაბეჭდილება: **„ჩვენი ცოდნა ვერ სწვდება ამ დიდ საიდუმლოს, ეს ზეენოლოგიის სფეროს განეკუთვნება“.**

ცნობილმა ჟურნალისტმა ოლეგ ჩერნემ ჟურნალ Code de Vino-ში (2013 წ.) ვრცელი წერილი მიუძღვნა ქართულ ღვინოებს, კერძოდ, ალავერდის მონასტრის ქვევრის თეთრ ღვინოს და სათაურშივე გამოხატა თავისი შთაბეჭდი- ▶

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**სანამ საარჩევნო ყუთებთან მიხვალთ, კარგად დაფიქრდით, ზოგიერთივით არ დაუშვათ ისეთი შეცდომა, როგორიც შარშანდელ არჩევნებზე, ჩრდილს რომ მიაყენებს სახელოვანი ტრადიციების მქონე ჩვენს მხარეს — „საქართველოს ხერხემალს“ და ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენის დაწყებულ რთულ პროცესს დააბრკოლებს. მხარში ამოუდექით „ქართული ოცნების“, სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ადგილობრივ, რეგიონულ ორგანიზაციებს და მათი გულისთქმა, სულისკვეთება გაიზიარეთ.**

ლება: „Вино Алаверди — больше, чем вино“.

აი, რას ამბობს იტალიელი ღვინის მწარმოებელი პაოლო ვოდოპივეცი ალავერდის მონასტრის ქვევრის ღვინოზე: **„საოცრად დიდი ენერგიაა ამ ღვინოში. ღვინიდან საოცარი სურნელება მოდის, მაგრამ, როცა აგემოვნებ, უკვე საოცარ სისავსეს შეიგრძნობ, ღვინოში დიდი პოტენციალია, მინერალების მთელი ნაკრებია“.**

**— ბატონო თეიმურაზ, რით განსხვავდება ქვევრში ტრადიციული წესით დაყენებული ღვინო ე. წ. ევროპული წესით დაყენებული ღვინისგან?**

— ცნობილ მეცნიერ-ენოლოგ მ. გერასიმოვს არამართებულად მიაჩნდა საქართველოში „ევროპული ტიპის“ ღვინის წარმოების გაფართოება. იგი კახური ღვინის წარმოების განვითარების მომხრე იყო. სამწუხაროდ, მოხდა ისე, რომ „ევროპული ტიპის“ ღვინოების, მეორე მხრივ კი, შემაგრებული ღვინოების წარმოების არნახულმა ზრდამ დაუმსახურებლად ჩრდილში დააყენა ქართული ტრადიციული მეღვინეობა. დღეს ვითარება შეიცვალა. უკანასკნელ წლებში მკვეთრად იზრდება დაინტერესება ჩვენი მომხმარებლისა ტრადიციული ღვინოებით.

ქვევრში კახური ღვინის დაყენების ტრადიციული წესი უნიკალური მოვლენაა მეღვინეობის ისტორიაში. ტრადიციული კახური ღვინის მიღების რამდენიმე აუცილებელი წინაპირობა არსებობს. ესენია: დასაჭყლეტი ყურძნის მოკრეფა ფიზიოლოგიურ სიმწიფეში (23-25%) შაქრიანობის დროს. დაჭყლეტილი ყურძნის მთლიანი მასის დადუღება მიწაში ყელამდე ჩაფლულ ქვევრში, დადუღებული ღვინის დავარგება სრულ ჭაჭაზე (კანი, კლერტი, წიპწა) დუღილის დამთავრებიდან არანაკლებ 5-6 თვის განმავლობაში. დადუღება ბუნებრივ საფუვრებზე, დავარგების ვადის გასვლის შემდეგ (სითბოს დადგომამდე) ღვინის გადაღება და შენახვა კვლავ ქვევრში. განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ის, რომ კლერტის მონაწილეობის გარეშე ტრადიციული კახური ღვინო არ მიიღება. უმაღლესი ხარისხის კახური ღვინო ტრადიციულად გამორჩეულ მიკროზონებში მიიღება.

**თუკი კახური წესით (სრულ ჭაჭაზე) დადუღებულ ღვინოს შევადარებთ ე.წ. ევროპული წესით (ანუ უჭაჭოდ) დაყენებულ ღვინოს, თავადვე ვიპოვით მათ შორის სხვაობას. კახური ღვინო მდიდარია ყურძნის მაგარი ნაწილების — კანი, კლერტი, წიპწის აქროლადი, არომატწარმომქმნელი, აგრეთვე, ფენოლური ნაერთთა მრავალფეროვანი ჯგუფებით, მინერალური ნივთიერებებით, თავისუფალი ამინომჟავებით, რაც აყალიბებს კახური ღვინის დიეტურ, პროფილაქტიკურ და სამკურნალო ღირსებებს. ევროპული წესით (უჭაჭოდ) დაყენებულ ღვინოებში კი ამ ძვირფას ნაერთთა შემცველობა საგრძნობლად მცირეა. ამიტომაც კახური ღვინო გამოირჩევა ანტიოქსიდანტური უნარიანობის მაღალი მაჩვენებლით ევროპული წესით დაყენებულ ღვინოებთან შედარებით.**

**— თქვენ გამოეცით წიგნი ქვევრის ღვინის გამორჩეულობის შესახებ. გთხოვთ, განგვიმარტოთ, რამ გამოიწვია ამ წიგნის გამოცემა და რა ნიშნებითაა გამორჩეული ქვევრის ღვინო?**

— ქვევრი ქართველთა მოდგმისთვის ასწლეულთა და ათასწლეულთა განმავლობაში შეუცვლელი ღვინის დასადუღებელი, დასავარგებელი და შესანახი ჭურჭელი იყო. ხოლო ცოდნა ქვევრში ხარისხიანი ღვინის დაყენებისა ხანგრძლივი დაკვირვება-გამოცდილებით იყო შეძენილი. ქვევრების მუხის კასრებით შეცვლის სურვილი ჯერ კიდევ XIX საუკუნის I ნახევარში გაჩნდა, XX საუკუნის 60-იანი წლებიდან კი საქართველოში მომინანქრებული ავზებისა და უჟანგავი ფოლადის ჭურჭლის დანერგვამ გააჩინა ერთგვარი ნეგატიური დამოკიდებულება ქვევრისადმი, როგორც მეტად შრომატევადი საღვინე ჭურჭლისადმი, ამასთან, დგებოდა საკითხი ღვინის წარმოების საგრძნობი გაზრდისა. გაჩნდა კითხვა: რით სჯობს ქვევრში დაყენებული ღვინო არაქვევრში დაყენებულს? თუკი აქამდე ქვევრში დაყენებული ღვინის გამორჩეულობა მხოლოდ ორგანოლეპტიკურად, გემოსა და არომატის შეფასებით ხდებოდა (რაც არაერთგზის კამათის საგნად ქცეულა), დღეს მეცნიერულად გვაქვს გამოკვლეული ერთი და იმავე ზვარის ყურძნისგან ქვევრში და არაქვევრში დაყენებული ღვინოების აქროლადი, არომატწარმომქმნელი, ასევე ფენოლურ ნაერთთა ჯგუფები, მინერალური ნივთიერებები, თავისუფალი ამინომჟავების თვისებრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლები, აგრეთვე, ქვევრის მასის 26 მინერალური ნივთიერება, რაც საშუალებას გვაძლევს, დავადასტუროთ ქვევრის, როგორც აქტიური ზედაპირის მქონე ჭურჭლის მნიშვნელობა ღვინის დადუღებისა და დავარგებისას მიმდინარე ჟანგვა-აღდგენითი პროცესების, კერძოდ, იონცვლითი პროცესების სტიმულირებაში. ეს საბოლოოდ 22-30%-ით ზრდის ღვინოში არომატწარმომქმნელი ნაერთების რაოდენობას არაქვევრში დაყენებულ ღვინოსთან შედარებით.

მეტად საინტერესო ინფორმაცია მივიღეთ „ქვევრის ღვინის II საერთაშორისო სიმპოზიუმის„ მონაწილის, იტალიელი ღვინის მწარმოებლის — პაოლო ვოდოპივეცისგან. მრავალწლიანი დაკვირვებისა და გაანალიზების საფუძველზე მას მიაჩნია, რომ ქვევრში დაყენებული ღვინო არომატითა და გემოთი სჯობს მუხის ბუტებში დაყენებულ ღვინოებს. მან განაცხადა: **„მე, რა თქმა უნდა, არ ვიწუნებ მუხის ზეგავლენას ღვინოზე, მაგრამ ქვევრის ღვინოში გემოს სისუფთავე და სურნელი, მთელი ბუკეტი გაცილებით მეტია, ვიდრე მუხის ჭურჭელში დაყენებულ ღვინოში.“**

მკითხველმა არ იფიქროს, რომ პაოლო ვოდოპივეცის ეს აზრი მხოლოდ ერთი ადამიანის სუბიექტური აზრია. ჩვენ, რამდენიმე წელია, ვამტკიცებთ, რომ ქვევრში დაყენებული ღვინის კასრებში მოთავსება ანტიტექნოლოგიური ქმედებაა, მუხის ტონები უცხოა ქვევრის კახური ღვინისთვის, მაგრამ ჩვენი ეს მოწოდება უყურადღებოდ რჩება. იქნებ იტალიელ ღვინის მწარმოებელს მაინც მოვუსმინოთ და დავუჯეროთ!

ესაუბრა
**გიორგი კორძაძე**

**დასასრული
შემდეგ ნომერში**

# სწორი არჩევანი კარგი მომავლის საწინდარია

**საარჩევნო მზადება საქართველოში თანდათან აქტიურდება. პრეზიდენტობის კანდიდატებად დასახელებულ პირებზე საჭირო ინფორმაციებს მოსახლეობას სისტემატურად აწვდიან გაზეთები, სატელევიზიო არხები. ამავე დროს არიან პრეზიდენტობის სავარაუდო კანდიდატები, რომელთაგანაც ხალხი საბოლოო გადაწყვეტილებას ელის.**

რაც შეეხება პირადად ჩემს არჩევანს, ამის შესახებ ჯერ კიდევ ორი თვის წინ პრესაში განვაცხადე, რომ **საქართველოს პრეზიდენტობის საუკეთესო კანდიდატად ვთვლი ცნობილ პოლიტოლოგსა და პოლიტიკურ მოღვაწეს, ჩინებულ პუბლიცისტს — ალექსანდრე ჭაჭიას, რომლის ღრმაშინაარსიანი გამოსვლა პირველად 2001 წლის 12 სექტემბერს მოვისმინე ჩემს მშობლიურ ზუგდიდში, სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ მე-2 ყრილობაზე.**

ორატორმა მაშინ ამომწურავად ისაუბრა იმ დროისთვის საქართველოში შექმნილი უმძიმესი ეკონომიკური და სოციალურ-საზოგადოებრივი ვითარების გამომწვევ მიზეზებზე, შევარდნაძისა და მისი სამხედრო-პოლიტიკური ხროვის დანაშაულებრივ ქმედებებზე, რამაც საქართველოსგან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოწყვეტა, მრავალრიცხოვანი მსხვერპლი, აურაცხელი მატერიალური ზარალი და ათიათასობით ადგილობრივი მცხოვრების გამოდევნა გამოიწვია.

მანამდე კარგა ხნით ადრე ბატონ ალექსანდრეს, როგორც ხსენებული მოძრაობის დამაარსებელსა და ხელმძღვანელს, მრავალმხრივ განათლებულ, ნათელი აზროვნების ეროვნულ მოღვაწეს, მისი საინტერესო, ყოვლისმომცველი, ღრმად ანალიტიკური პუბლიცისტური წერილებიდან ვიცნობდი და ვაფასებდი. მისი სტატიები გამოირჩეოდა აქტუალური პრობლემატიკითა და ისტორიული თემატიკის სიღრმისეული, ობიექტური ასახვით.

**ალექსანდრე ჭაჭიას ნაწერებში ასევე სრული სიმართლითა და პირდაპირობითაა მხილებული საქართველოს უახლესი ისტორიის (1991 წლის ბოლოდან 2012 წლის ოქტომბრამდე პერიოდის) შევარდნაძისა და სააკაშვილის პრეზიდენტობისა და მათი ნების ბრმად აღმსრულებელი „მოქკავშირისა“ და „ნაცმოძრაობის“ ელიტარული მმართველობის დროინდელი ქვეყნის დამაქცეველი ძალები, საერთაშორისო მასშტაბის უხილავი და ხილული ფაქტორები. ჩვენი სამშობლოს უბედობა, აგრეთვე, მთელი სიმძაფრით, შეუფერადებლადაა ასახული ა. ჭაჭიას მიერ მიმდინარე წლის ივნის-ივლისში გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუებში, რომლებმაც საზოგადოების ყურადღება მიიქცია. მათგან ერთ-ერთის სათაურიც კი — „თუ მორჩილად მივიღებთ თავსმოხვეულ ღირებულებებს, დავიღუპებით!“** — თავისთავად ბევრის, უფრო სწორად, **ყველაფრის მთქმელია.** ამ და მსგავსი შინაარსის საუბრებმა და სტატიებმა ხალხში, დაინტერესებასთან ერთად, ალექსანდრე ჭაჭიას პრეზიდენტად არჩევის სურვილიც აღძრა. ამაში უეჭველად დამეთანხმებიან ისინი, ვისაც აღნიშნული პუბლიკაციები დაკვირვებით, ყურადღებით წაუკითხავთ და მათი დედააზრი გულთან ახლოს მიუტანიათ. ამასვე ცხადყოფს საგაზეთო გამოხმაურებანი, წერილები გამოჩენილი პოლიტიკოსის მხარდასაჭერად.

**ალექსანდრე ჭაჭიას ადრეული და უკანასკნელი პერიოდის ნაწერებში, შინაარსობრივი მხარის გარდა, ყურადღებას იპყრობს შემოქმედებითი სიწრფელე და თხრობის დახვეწილი სტილი, აფხაზეთში, განათლებული მშობლების ტრადიციულ ქართულ ოჯახში დაბადებული და აღზრდილი მამულიშვილის უზომო სიყვარული მშობლიური მიწა-წყლისადმი.** ამის დასტურად შეიძლება ჩავთვალოთ თუნდაც მოკლე ამონარიდი თხუთმეტი წლის წინათ, 1998 წლის სექტემბერში, გამოქვეყნებული მისი ინტერვიუდან: **„...მათ** (იგულისხმებიან ამერიკანიზირებული მოქკავშირის რეფორმატორები) **არ ესმით, რისთვის უვლის ქართველი ვაზს, როცა ბაზრისთვის უფრო მომგებიანია, ვთქვათ, კივის მოყვანა. მათთვის გაუგებარია, რატომ სჭირდება ქართველს პასპორტში იმის ჩაწერა, რომ იგი ქართველია, ყველაფერი ეს ამერიკაში არ არის, მაშ, რად უნდათ ქართველებსო?“**

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და სულიერი გაძლიერების ძირითადი მიმართულებანი სრულფასოვნადაა ჩამოყალიბებული 2000 წელს გამოქვეყნებულ ფუნდამენტურ ნაშრომში **„საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების სტრატეგია და ეროვნული იდეა“**, რომელშიც წინასწარმეტყველურადაა მოცემული ჩვენს ქვეყანაში დღემდე არსებული და უკანასკნელ ხანს უარესად გამწვავებული სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემები, მათი წარმომშობი მიზეზები, **ნაჩვენებია ის გზები და საშუალებანი, რომელთა გარეშეც შეუძლებელია ქვეყნის ხსნა — ტერიტორიული და სულიერი გამთლიანება, ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების აღორძინება, სხვა სახელმწიფოებრივი პრობლემების გადაჭრა, რაც ჭეშმარიტად ძალუძს დასახელებული ნაშრომის ავტორ ალექსანდრე ჭაჭიას — რუსეთის სოციალურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, საქართველოს სოციალური და ეროვნულ ურთიერთობათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს, ფილოსოფოსსა და პოლიტოლოგს, პროფესორს.** მისი საერო განათლების დონის, შესაძლებლობების, პიროვნული ღირსებებისა და დამსახურების სრულად შეფასებისთვის ეს სატიტულო ჩამონათვალი სავსებით საკმარისია.

ალექსანდრე ჭაჭიას პიროვნებასთან, მისთვის ჩვეულ თავმდაბლობასა და პირუთვნელობასთან დაკავშირებით მახსენდება ახლო წარსულის ერთი ნიშანდობლივი ფაქტი: ვხედავდი რა, იგი 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების წინა პერიოდში შესაბამის პროცესებში არ მონაწილეობდა, ერთგვარი გაკვირვება და უკმაყოფილება (არა მარტო ჩემი) გამოვხატე. გარკვეული ხნის შემდეგ ჩემთვის და მკითხველებისთვისაც საინტერესო კითხვას, თუ როგორი პოზიცია ეკავა ალექსანდრე ჭაჭიას არჩევნებთან დაკავშირებით, მან ისევ პრესის საშუალებით უპასუხა: **„საარჩევნო პროცესისადმი თავშეკავებული პოზიცია მქონდა, ვინაიდან ვერ ვხედავდი პოლიტიკურ ძალას, რომლის პროგრამაც უპასუხებდა ჩემს შეხედულებებს ჩვენი ერისა და საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი განვითარების გზაზე. ორი ძირითადი მეტოქის პოლიტიკური პროგრამები ერთმანეთისგან დიდად არ განსხვავდებოდა“.** ამ ორი წინადადების ქვეტექსტში ისიც იკითხება, რომ ავტორი არ მიილტვის კარიერისკენ, უმაღლესი თანამდებობის ხარბი მაძიებელივით. მისთვის მთავარია, მთელი ძალა და უნარი ქვეყნის წინსვლასა და გაძლიერებას მოახმაროს.

ზემოხსენებული ფაქტიდან ხუთი თვის შემდეგ ალექსანდრე ჭაჭიამ თავისი შეხედულება „ქართულ ოცნებაზე“, კერძოდ მის ლიდერსა და უკვე პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილზე მორიგი ინტერვიუს სათაურითვე გაამჟღავნა — **„ივანიშვილის მოღვაწეობა დადებით შთაბეჭდილებას ტოვებს, იგი ღირსეულად იქცევა“.** აქედან ისეთი აზრის გამოტანა შეიძლება, რომ **ბატონ ალექსანდრესა და პრემიერს შორის პოლიტიკური თანამშრომლობა, საქმიანი, კოლეგიალური ახლო ურთიერთობა შესაძლებელია ქვეყნის ინტერესების სასარგებლოდ. ამის სურვილს პრესაში უკვე ღიად გამოთქვამენ საზოგადოების ცნობილი წარმომადგენლები.**

სხვა საკითხია, დაასახელებს თუ არა ალექსანდრე ჭაჭია საპრეზიდენტოდ თავის კანდიდატურას თუ სახალხო მოძრაობა „სამეგრელო“ ან სხვა პოლიტიკური ორგანიზაცია ითავებს ამას, თუ სულაც მომავალი არჩევნების მიმართაც მას უწინდებური დამოკიდებულება ექნება?.. ვფიქრობ, ამ კითხვებსაც პასუხი უახლოეს მომავალში გაეცემა. მანამდე კი ბატონ ალექსანდრეს პრეზიდენტობის მსურველთა რიგებს კიდევ ბევრი კეთილგონიერი თანამემამულე შეემატება.

**შეიძლება ვინმემ ალექსანდრე ჭაჭიასადმი კეთილგანწყობა მიკერძოებად ჩამითვალოს ან მასთან ახლო ნაცნობობას მიაწეროს, მაგრამ ღმერთია მოწმე, რომ მისდამი ჩემი ულრმესი პატივისცემა და ნდობა მხოლოდ მის სამაგალითო, ნაყოფიერ მამულიშვილურ მოღვაწეობას, უანგარო გარჯასა და მაღალ პიროვნულ, მოქალაქეობრივ, ზნეობრივ ღირსებებს ემყარება.**

სწორედ ამიტომ, მეც, როგორც საქართველოს რიგითი მოქალაქე, გარკვეული დამსახურების, პროფესიული და ცხოვრებისეული საკმაო გამოცდილების მქონე, სამოცდათხუთმეტი წლის ჟურნალისტი, მივმართავ საქართველოს ყველა მოქალაქეს, უპირველესად კი, ჩემი მშობლიური მხარის – სამეგრელოს მოსახლეობას, **სანამ საარჩევნო ყუთებთან მიხვალთ, კარგად დაფიქრდით, ზოგიერთივით არ დაუშვათ ისეთი შეცდომა, როგორიც შარშანდელ არჩევნებზე, ჩრდილს რომ მიაყენებს სახელოვანი ტრადიციების მქონე ჩვენს მხარეს — „საქართველოს ხერხემალს“ და ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენის დაწყებულ რთულ პროცესს დააბრკოლებს. მხარში ამოუდექით „ქართული ოცნების“, სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ ადგილობრივ, რეგიონულ ორგანიზაციებს და მათი გულისთქმა, სულისკვეთება გაიზიარეთ.**

თანამემამულენო — ამერიმერში მცხოვრებნო და ჟამთა სიავის გამო უცხოეთში იძულებით გადახვეწილნო! დიდი ხნის უნახავო ჩემო საყვარელო უნივერსიტეტელო მეგობრებო, კოლეგებო! ყველას, ვისაც ძარღვებში კოლხურ-იბერიული სისხლი გიჩქეფთ და მკერდში მამულიშვილური გული გიძგერთ, უერთგულეთ სამშობლოს, ააცილეთ მას უბედურება, დამღუპველი საფრთხეები. ერთხელ კიდევ დავანახოთ ჩვენს მტრებსა და არაკეთილმოსურნეთ, გადაგვარებულ უჯიშოებს, რომ მშობლიურ მიწა-წყალს არავის გავაქელვინებთ, ჩვენს რწმენას და სხვა უწმინდეს ღირებულებებს არავის წავაბილწინებთ. ერთად გავაკეთოთ არჩევნებზე საჭირო არჩევანი — ხმა მივცეთ ყველაზე ღირსეულს, „ერის წყლულით“ დადაღულ მამულიშვილს, ეს იქნება ბედნიერი მომავლის საწინდარი.

თხოვნით მივმართავ საზოგადოება „ზუგდიდელს“, ახლო ურთიერთობა იქონიოს სახალხო მოძრაობა „სამეგრელოსთან“ და აქტიურად ჩაერთოს საარჩევნო მზადებაში, ვინაიდან ეს მისი საზოგადოებრივი და მოქალაქეობრივი დანიშნულებაცაა.

**ანზორ ბარამია,**
**ჟურნალისტი**

ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ქართველმა ხალხმა ისწავლა გადარჩენა და ჩვენ არ უნდა გავხდეთ „სხვების“ ნასუფრალის მომლოდინე, ამისათვის გვაქვს ყველა რესურსი და საშუალება. მხოლოდ მათი გონივრული გამოყენებაა აუცილებელი. მაგრამ ამისთვის კეთილი ნების ხელისუფლებაა საჭირო — ერისა და ხალხის მოყვარული, პატიოსანი, ღვთისნიერი ადამიანებისგან შემდგარი ხელისუფლება, რომლის შემადგენლობაში ერთ-ერთს ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას მოვიაზრებ.**


ბორის დავითაია

# მხოლოდ ეროვნულად მოაზროვნე ხელისუფალი თუ გადაგვარჩენს...

**კარგა ხანია, თვალს ვადევნებ ცნობილი პოლიტოლოგის, ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას საგაზეთო პუბლიკაციებს. მისი ღრმაშინაარსიანი გამოსვლები არა მხოლოდ პოლიტიკურ, საგარეო და საშინაო საკითხებზე, არამედ სხვა აქტუალურ თემებზეც გვარწმუნებს, რომ მას აქვს გამორჩეული ხედვა და ღრმა ანალიზის უნარი. უამრავი საინტერესო საკითხიდან გამოვყოფ ორს, რომლებიც, ჩემი აზრით, დღეს მეტად აქტუალურია და რომლებზეც ბატონი ალექსანდრე წლების წინ და ახლაც ამახვილებს საზოგადოების ყურადღებას. ესენია: „ქართული მიწა ეკუთვნის ქართველებს და ერი მხოლოდ დღევანდელი თაობა როდია“ და „ზუსტად ვიცი, თუ რა გზებითა და რა მექანიზმებით არის შესაძლებელი აფხაზეთის პრობლემის მოგვარება“.**

საუკუნეების განმავლობაში, გვსურდა თუ არა, საქართველოს აზიასთან უფრო ჰქონდა კავშირი, ვიდრე ევროპასთან, გეოგრაფიული და ისტორიული პირობების გამო იყო, რომ მას ურთიერთობა ჰქონდა ისლამის ცივილიზაციასთან და ევროპულ ქრისტიანობასთან. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველო სავაჭრო გზების გასაყარზე მდებარეობს და სხვადასხვა შინაარსის კულტურა და რელიგია ერწყმოდა ერთმანეთს, რასაც გარკვეული დადებითი გავლენა ჰქონდა ერის განვითარებაზე. ამასთან, დიდი და იმპერიული ზრახვების მქონე სახელმწიფოთა რკალში მოქცეული ჩვენი ქვეყანა თავს იცავდა მტრებისგან და მუდამ ჰქონდა ერთი უმთავრესი ამოცანა — გადარჩენილიყო.

**დღეს, როცა საქართველო იბრძვის, რათა დაიკავოს თავისი კუთვნილი ადგილი მსოფლიო ცივილიზებულ ხალხებს შორის, ეს ციცქნა ქვეყანა ვერ განთავისუფლდა მიტაცების, მუქარისა და სხვათა შანტაჟისგან. ამას ემატება შიდა დაპირისპირება და ხელისუფალთა უგუნური, დამანგრეველი ქმედებები, რის გამოც ოდეს გაბრწყინებული ქვეყანა დღეს „დაჩოქილი“ და მათხოვარივით ხელგაწვდილია.**

**ყველაზე ღირებული, რაც გაგვაჩნია და რის სიმცირესაც ვგრძნობთ და რისთვისაც ვიბრძოდით, ეს მიწაა, ქართული მიწა, რომელიც არის სული ჩვენი და გული ჩვენი, ფიქრი ჩვენი და ლოცვა ჩვენი, რომელსაც მუდამ გვეცილებოდნენ, მტკაველ-მტკაველ იტაცებდნენ.**

როცა წინა ხელისუფალნი მიწების გაყიდვას უგუნურად დაეწაფნენ, ბატონმა ალექსანდრე ჭაჭიამ შემოჰკრა განგაშის ზარი და გაგვაფრთხილა. ეს მოხდა თხუთმეტი წლის წინათ. **„აი, რა გვჭირს ჩვენ, ქართველებს,** — წერდა იგი, — **დღეს ქარხნებს და სხვა ობიექტებს რომ ყიდიან, ეს კიდევ არაფერი, ტრაგედიაა ის შედეგი, რომელთანაც ამ ხელისუფლების** (შევარდნაძის ხელისუფლებაზეა საუბარი) **მიერ არჩეული გზა საბოლოოდ მიგვიყვანს. როდესაც ამ ყველაფერს გაყიდიან და გასაყიდი არაფერი დარჩება, შემდეგ მიწებისა და ტერიტორიების გაყიდვას დაიწყებენ, რადგან საქართველოში სხვა არაფერი გააჩნიათ, ტერიტორიების გარდა, აი ეს უნდა გაიგოს ხალხმა“.**

ისე აგიხდეთ კეთილი სურვილები, როგორც ახდა ბატონ ალექსანდრეს ნაწინასწარმეტყველები. ალბათ, დღეს არავის ეპარება ეჭვი, რომ საქართველო გაყიდულია.

**შევარდნაძის დროს დაწყებული სამშობლოს „გასხვისება“ კლასიკური ფორმით გააგრძელა სააკაშვილმა. მან ტერიტორიების დაკარგვას „ხალხიც“ მიაყოლა. მოსახლეობა „მონად“ აქცია, შანტაჟით, აკრძალული მოსმენებითა და ადამიანის უფლებების უხეში დარღვევით ბოლომდე გაანადგურა.** რა დაგვრჩა საქართველოში?.. ფაქტობრივად, გაღლეტილი, უფლებააყრილი მოსახლეობა, განადგურებული სოფლის მეურნეობა და მრეწველობა. გაჩერებული შადრევნები და მთავარ მაგისტრალზე დაგებული შავი საფარი, რომლის მშენებლობის საფასური, ვალია მსოფლიო ბანკიდან აღებული და მძიმე ტვირთად აწევს მოსახლეობას.

**ამ ფონზე ყოფილი ტუტუცი ხელისუფლება თავს აძლევდა უფლებას, მოსახლეობა გაებრიყვებინა, თითქმის უტოპიური იდეით ნატოში შესვლა და ევროკავშირში მიღება მალე მოხდებაო. პრაქტიკამ დაადასტურა, რომ დასახელებული ორგანიზაციები კარს, ალბათ, კიდევ დიდი ხანი არ გაგვიღებენ.**

ევროპა ჩვენ მიმართ მუდამ იჩენდა ყურადღებას, მაგრამ საქმე ამაზე შორს არ წასულა... საქართველოს მეფეები ევროპული სახელმწიფოებისგან არა მხოლოდ სიტყვიერ დაპირებას, არამედ მოკავშირეობას ითხოვდნენ, რაც მიუღწეველი და განუხორციელებელი დარჩა. ამ ურთიერთობაში ჯერ კიდევ გიორგი მეხუთედან გაისმა საყვედური. **„საფრანგეთის ღვთაებრივი ხელმწიფენი ხშირად აღძრავენ აღმოსავლეთის მეფეებს... და სტოვებენ მათ ამ მტანჯველ ომში მარტოდ“,** — ვკითხულობთ გიორგი მეფის მიერ საფრანგეთის მეფე ფილიპე ვალუასადმი გაგზავნილ წერილში. არც მომდევნო წლებში შეცვლილა არაფერი. ევროპას არასოდეს ეცალა და არც ახლა სცალია ჩვენთვის. მას საკუთარი პრობლემები აქვს და მათი მოგვარებითაა გართული. **ვინც დაგვიდგა ავად თუ კარგად გვერდით, ერთმორწმუნე რუსები იყვნენ, რომელთა წინააღმდეგ სააკაშვილის ხელისუფლებამ ლამის „ჯვაროსნული“ ომი გამოაცხადა. შეზღუდა რუსული ენის სწავლება სკოლებსა და სასწავლებლებში. მტრის ხატი შექმნეს იმ ქართველებისგან, რომლებიც რუსეთში მოღვაწეობენ და სურვილი აქვთ, ერთი აგური მაინც მიიტანონ ქართულ-რუსული ურთიერთობის გაუმჯობესების მშენებლობაზე. დაუმსახურებელი „ტალახი“ ბატონ ალექსანდრე ჭაჭიასაც ესროლეს.**

## უნდა დამთავრდეს ქვეყანაში ერთი ჯგუფის ინტერესებს მორგებული ქმედებები, დროა, ქვეყნის ინტერესებს დაექვემდებაროს შიდა და საგარეო პოლიტიკა

ქვეყანაში რომ მდგომარეობა აირ-დაირეოდა და ამერიკაში სწავლამიღებული ვითომ „დემოკრატები“, სააკაშვილის მეთაურობით, ყველაფერს თავდაყირა დააყენებდნენ, ამის შესახებ ბატონი ალექსანდრე გვაფრთხილებდა — „ბიჭ-ბუჭები“ გამოჩნდნენ ქართულ პოლიტიკაშიო: **„ისინი ვერასდროს მოიპოვებენ ავტორიტეტს ქართველ ხალხში. იმისათვის, რომ ქართველი ხალხის სიყვარული, პოლიტიკური ნდობა დაიმსახურო, უნივერსიტეტის დიპლომისა და მჭევრმეტყველების გარდა, უნდა გქონდეს ქართული ზრდილობა, დარბაისლობა, ქართველი ერის სულის, სულიერი მოთხოვნილების გაგება, რაც ამ ახალგაზრდებს ნაკლებად ახასიათებთ. როცა პირტიტველა მეტიჩარა საჯაროდ უყვირის ჭაღარა კაცს, რომელ მის პოლიტიკურ ავტორიტეტზე შეიძლება იყოს ლაპარაკი?“**

რა დამთხვევაა! სააკაშვილი და „ნაცები“ დაეპატრონნენ თუ არა ხელისუფლებას, ეგონათ, პარპაშს სამუდამოდ მოახერხებდნენ, რომ სამართლიანობის განმკითხავი არავინ იქნებოდა. მათ კანონ-სამართალს საკუთარი აღვირი ამოსდეს და, როგორც უნდოდათ, ისე ათოხარიკებდნენ. მოსახლეობა ისე დააშანტაჟეს, ტელეფონზე, სალამ-მოკითხვის გარდა, ვერაფრის თქმას ვერ ბედავდნენ. ხალხს ქონება წაართვეს და თავად მიისაკუთრეს. პენსიის ათი ლარით მომატებას აყვედრიდნენ მოხუცებს, როცა თვითონ მილიარდები „მოაქუჩეს“ (მოსახლეობა ჯერ კიდევ ელის ახალი ხელისუფლებისგან ხალხისთვის წართმეული მილიარდების დაბრუნებას, სხვანაირად არ მოისვენებს). ამ ბინძური ხელისუფლების დასამხობად ხალხი გაერთიანდა და ახლა უკეთესი მომავლის იმედით სულდგმულობს.

ჩემი დაინტერესების მეორე თემა ისევ მშობლიურ მიწას და ტერიტორიების გამთლიანების პრობლემას ეხება. საზოგადოების ინტერესი ამ მხრივ გაუნელებელია. **აფხაზეთი ჩვენი საერთო ტკივილია, ჩვენი კარგა ხნის გოდების მიზეზი. ძირძველი ტერიტორიების დაკარგვით გამოწვეული ფიქრი და განცდა მოუშუშებელი ჭრილობაა. თუ რომელიმე კუთხე დრტვინავს აფხაზეთის დაკარგვით, ეს სამეგრელოა, სადაც ათასობით დევნილი ცხოვრობს დღეს და იმედით შეჰყურებს ხელისუფლებასა და საერთაშორისო ორგანიზაციებს, მაგრამ უკვე ათ წელზე მეტია, პრობლემის ადგილიდან დაძვრა ვერ მოხერხდა.**

და აი, გამოჩნდა გამოცდილი პოლიტიკოსი, რომელიც ხმამაღლა, ყველას გასაგონად და არა პოპულისტური ზრახვით აცხადებს, რომ მას შესწევს უნარი, იცის გზები და საშუალებები, მოაგვაროს ჩვენი ყველაზე პრობლემური საკითხი. **მე ქართველ პოლიტიკოსთა შორის არ მეგულება სხვა, რომელმაც გამოავლინა ამგვარი გაბედულება და განაცხადა სანუკვარი ოცნების მოგვარების შესაძლებლობა. აფხაზეთის კონფლიქტის დადებითად გადაწყვეტას ავტომატურად მოსდევს სამაჩაბლოს საკითხის დარეგულირება. მგონია, რომ ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას ესმის ამ საკითხის სირთულე და მნიშვნელობა. სხვანაირად იგი არც გარისკავდა, ამის პირობა მიეცა საზოგადოებისთვის.**

საქართველოს დღეს, როგორც არასდროს, სჭირდება ისეთი პოლიტიკურად და ეროვნულად მოაზროვნე ინტელექტუალი ადამიანი, რომელიც თავისი მსოფლმხედველობითა და ეროვნული მრწამსით სრულიად მიესადაგება ჩვენს კულტურულ-ტრადიციულ ყოფას, რომელიც იმოქმედებს საკუთარი ერისა და ქვეყნის ინტერესების შესაბამისად. ქვეყნის წარსულის ღრმა ცოდნა, პოლიტიკური პროცესების რეალური აღქმა და გამომდინარე აქედან, მომავლის განჭვრეტის უნარი, სწორედ ის შესაძლებლობებია, რომლებიც მოგვცემს საშუალებას, დავძლიოთ ეკონომიკური ჩამორჩენილობა და თითქმის ავადმყოფობად ქცეული კორუფცია, უსამართლობა და ადამიანის უფლებების უხეში დარღვევა.

საქართველომ აირჩია ახალი ხელისუფლება, მაგრამ წინ გველოდება რთული რეალობა, რომელიც მოითხოვს პრაგმატულ და სწორ გადაწყვეტას. მოსაგვარებელია „ნაცების“ მიერ უგულებელყოფილი ეროვნული დემოგრაფიული პრობლემა. ყველა მონაცემით, საქართველო შეყვანილია „გაქრობადი“ ერების სიაში, რაც მოითხოვს გადაუდებელი ღონისძიებების ჩატარების აუცილებლობას. გზა, რომლითაც დღემდე მიდიოდა საქართველო, უპერსპექტივო იყო და მომავლის სუსტი კონტურები ჩანს მხოლოდ. უნდა დავძლიოთ მონის ფსიქოლოგია და შიში ვიღაცისადმი მორჩილებით გამოწვეული, რომ, თუ „ბაბაიას“ კარნახი ან მითითება არ შევასრულეთ, დავიღუპებით.

არა, ბატონებო!.. **ქართველმა ხალხმა ისწავლა გადარჩენა და ჩვენ არ უნდა გავხდეთ „სხვების“ ნასუფრალის მომლოდინე, ამისათვის გვაქვს ყველა რესურსი და საშუალება. მხოლოდ მათი გონივრული გამოყენებაა აუცილებელი. მაგრამ ამისთვის კეთილი ნების ხელისუფლებაა საჭირო — ერისა და ხალხის მოყვარული, პატიოსანი, ღვთისნიერი ადამიანებისგან შემდგარი ხელისუფლება, რომლის შემადგენლობაში ერთ-ერთს ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას მოვიაზრებ.** და არა უღვთო და დემაგოგი, მატყუარა და უსამართლო „ხროვა“, როგორიც სააკაშვილი და მისი „ნაცები“ არიან. მათი მატრაკვეცობით ავღანეთში შევედით, სადაც დღესაც გვეღუპებიან ახალგაზრდები, ობლდებიან ოჯახები, ნადგურდება გენოფონდი. მე თავს ვხრი ყველა დაღუპული მებრძოლის ხსოვნის წინაშე, მაგრამ ხელისუფლება ვერ იყენებს იმ საბრძოლო პოტენციალს, რომელიც მამაპაპურად დევს ქართველი კაცის გენში. მათი დახოცვა სხვის ომში და, ფაქტობრივად, დამპყრობლის როლში ყოფნა ავღანეთში, არ არის ქართველი ხალხის ნება. თურმე ფაშიზმის წინააღმდეგ ქართველთა ბრძოლა თავდადება არ იყო, ავღანეთში კი საერთაშორისო პატრიოტულ მოვალეობას ვიხდით.

უნდა დამთავრდეს ქვეყანაში ერთი ჯგუფის ინტერესებს მორგებული ქმედებები, დროა, ქვეყნის ინტერესებს დაექვემდებაროს შიდა და საგარეო პოლიტიკა.

**ბორის დავითაია,**
**მწერალი, ღირსების ორდენოსანი, აკაკი წერეთლის სახელობის პრემიის ლაურეატი**

**დღევანდელ ქართველ პოლიტიკოსთაგან აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის საქართველოსთვის დაბრუნება შეუძლია ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას. ის არის გამჭრიახი გონების, სწორი ორიენტაციის მქონე, უაღრესად ერუდირებული და ავტორიტეტული პიროვნება. მან სხვებზე უკეთ იცის, თუ რა გზით შეიძლება დაღუპვის კარამდე მისული ქვეყნის გადარჩენა.**

ფოსტა
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**საქართველოს მთელი თავისი ისტორიის მანძილზე ბევრჯერ ჰქონია ძნელბედობის ჟამი, როცა ერის ყოფნა-არყოფნის საკითხი იდო სასწორზე. ირგვლივ მტრებით გარშემორტყმული ქვეყანა მუდმივად ომში იყო ჩაბმული და, როგორც იტყვიან ხოლმე, ქართველებს ცალ ხელში ხმალი ეჭირათ, მეორეში კი — გუთნის სახელური. ომში იწრთობოდა ქართველი კაცის სული, ამავე დროს მის შინაგან ბუნებას, პიროვნულ მეს აყალიბებდა მართლმადიდებლური რელიგია, ახალ სიცოცხლეს ანიჭებდა მას. ასე განახლდა ქართველი კაცის სისხლი, რომელიც კოლხ-იბერთა მოდგმიდან მოედინებოდა, და ქრისტეს ჯვრით შეკრულ სანათესაოს საქართველო ეწოდა.**

# სანამ ჯერ კიდევ დროა, ანუ ვაის გაყრილები უის რომ არ შევეყაროთ

არის სიკეთე და არის ბოროტება. არის ყოვლისშემქმნელი ძალა — ღმერთი და არის ყოვლისდამანგრეველი ძალა — სატანა. მატერიალური სამყარო მათი ჭიდილის არეალია. ჩვენი პლანეტა მუდმივად შფოთავს ამ ორი ძალის უსასრულო შეტაკებათა გამო. პატარა საქართველო კი ამ შეტაკებათა ერთ-ერთი ეპიცენტრია როგორც გეოგრაფიულად, ასევე სულიერად. ჩვენი ისტორიული ხვედრია ის, რომ მცირერიცხოვან ქართველობას უზარმაზარი იმპერიების (როგორებიც იყო ჯერ რომის, შემდეგ ოსმალეთის, სპარსეთისა და რუსეთის იმპერიები) არეალს შიგნით მოუწია არსებობა და ეს იმპერიები რადიკალურად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან, როგორც რელიგიური შეხედულებებით, ასევე კულტურული მემკვიდრეობითა და ზნე-ჩვეულებებით. ასეთი **იმპერიების შუა მოქცეული პატარა საქართველოსთვის ყოველგვარი პირობები იქმნებოდა გაქრობის, განადგურებისა და ასიმილაციისთვის და, თუ აქამდე მოვაღწიეთ, ჩვენმა სარწმუნოებამ გადაგვარჩინა, მისგან აღმოცენებულმა ტრადიციებმა, ზნე-ჩვეულებებმა და საყოფაცხოვრებო რიტუალებმა.**

ისიც ღვთის წყალობად უნდა იქნეს მიჩნეული, რომ სამხრეთით ორი ყოვლისწამლეკავი მუსლიმანური იმპერიების პარალელურად, ჩრდილოეთით მართლმადიდებლური არეალი გვერგო მოსაზღვრედ. აბა, წამით წარმოიდგინეთ, არაქრისტიანულ რკალში მომწყვდეული საქართველო რა დღეში აღმოჩნდებოდა, რომ არა ის არეალი და სივრცე, რომელიც ტყვეობიდან გამოქცეულმა დავით გურამიშვილმა გამოიარა და, გონწასულს მკერდზე ჯვარი რომ უპოვეს, ყველაფერი იღონეს მის გადასარჩენად. მან არ იცოდა, სად გარბოდა და გზაარეული მივიდა იქ, სადაც უნდა გადარჩენილიყო. ეს ჩვეულებრივი ამბავი როდია, არამედ ღვთის მიერ გამოგზავნილი წერილი იყო, რომელიც ჩვენ, ქართველებს, სწორად უნდა წაგვეკითხა.

ადამიანს აქვს სიცოცხლის უფლება, მაგრამ აქვს თუ არა სიკვდილის უფლება — ეს არც ერთ კანონში არ წერია, ვინაიდან მხოლოდ სიცოცხლეს სჭირდება დაცვა, არსებობა, ზრუნვა. ცოცხალი არსება თავისუფლებისკენ ისწრაფვის. თავისუფლება კი თავისი არსით ვერ ჰგუობს ვერანაირ შეზღუდვას. ამიტომაც არის შემზღუდავი კანონები მოდასავით რომ იცვლება. ბიბლიიდან გვემცნო, რომ აკრძალვა სამოთხეშივე დაუწესა ადამსა და ევას ღმერთმა. მათ არ უნდა ეჭამათ ბოროტისა და კეთილის შემეცნების ნაყოფი, ვინაიდან სასუფეველში აბსოლუტური სიკეთე სუფევს, ამდენად, არც არჩევანის საშუალებაა. სატანამ აცდუნა ევა, იდილიურ თანხმიერებაში დისონანსი შემოიტანა გველმა. აქედან დაიბადა არჩევანის განცდა, რომელიც სამართლიანობის საფუძვლად იქნა მიჩნეული. **დღეს კაცობრიობა ქადაგებს, რომ მხოლოდ არჩევნების გზით დამყარდება მშვიდობა და თავისუფლება, მაგრამ არის ერთი ჭეშმარიტება: რაც უფრო ფართოა არჩევანის საშუალება, მით უფრო მეტია შეცდომის დაშვების შესაძლებლობა. კიდევ ერთი რამ არის საგულისხმო: არის თუ არა საზოგადოება მზად თავისუფალი არჩევნებისთვის? სამწუხაროდ, დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის ბოლო ორი ათეული წლის მანძილზე ჩატარებულ არჩევნებს თუ განვიხილავთ, ზედაპირზე ამოტივტივდება მახინჯი მოვლენები, რომლებსაც არანაირი კავშირი არ აქვთ არჩევნების შინაარსთან. ჩვენდა საუბედუროდ, ქართველებს არჩევნები შურისძიების საშუალებად გვექცა.** შევარდნაძის მმართველობით გამწარებულმა ხალხმა დაუფიქრებლად მისცა ხმა სააკაშვილს, ოღონდ შევარდნაძე შეიცვალოს და, ვინც გინდა, იყოსო. ახლაც იგივე განმეორდა, ხალხმა სააკაშვილის წასვლას მისცა ხმა, თორემ ივანიშვილის პოლიტიკური მოღვაწეობა აქამდე არავის გაუგია, ის მხოლოდ რუსეთში ნაშოვნი მილიარდებით იყო ცნობილი. კიდევ ერთი არჩევნების დღე ახლოვდება საქართველოში, ოქტომბრის ბოლოს ქართველმა ხალხმა მორიგი პრეზიდენტი უნდა აირჩიოს.

**მოდით, ორიოდე სიტყვით აღვნიშნოთ, თუ ვინ შემოვუშვით პარლამენტში ბოლმიანი „არჩევნების“ შედეგად! კოალიციაში უმთავრესი ძალა გახდა რესპუბლიკური პარტია, რომელსაც აქამდე ჩატარებულ არც ერთ არჩევნებში მხარს არ უჭერდა ქართველი ხალხი, და რომელთა საარჩევნო ხმები 0,3 პროცენტს არ აღემატებოდა. ახლა ისინი ქმნიან პოლიტიკურ ამინდს საქართველოში, ივანიშვილს კი ფარად იყენებენ. ასე და ამგვარად, გაიმარჯვა იმან, ვინც ხალხს არ უნდოდა. რესპუბლიკელები თავიანთი მრწამსითა და პოლიტიკური ორიენტაციით არ განსხვავდებიან „ნაციონალური მოძრაობისაგან“. რესპუბლიკელები მფარველობენ ჰომოსექსუალებს, ხელს უწყობენ მათ გამრავლებას; რესპუბლიკელები ებრძვიან მართლმადიდებლობას და ხელს უწყობენ ათასგვარი სექტის მოღონიერებასა და გავლენის გაძლიერებას საქართველოში; რესპუბლიკელები ამახინჯებენ ეროვნულ თვითშეგნებას, ებრძვიან ტრადიციას...**



ამიტომ არ აძლევდა მათ ქართველი ხალხი არჩევნებში ხმას, მაგრამ ივანიშვილს ამოფარებულებმა მოულოდნელად ლამის მთელი ქვეყანა ჩაიგდეს ხელთ. ასევე შემოიძურწნენ პარლამენტში ყოფილი მხედრიონელებიც. ნუთუ ვაის გავეყარეთ და უის შევეყარეთ? ასეთი შედეგი მოაქვს ეიფორიაში მყოფი, დაბოღმილი ხალხის არჩევანს, რომელიც მხოლოდ წინა მთავრობის შურისსაძიებლად მიდის არჩევნებში და გააზრებული არ აქვს, როგორ უნდა შეიცვალოს ცუდი უკეთესით.

აქვე არ შემიძლია არ აღვნიშნო ის ყბადაღებული „სამართლიანობის აღდგენის“ საკითხიც, რომელზეც დაუსრულებლად ლაპარაკობს ტელევიზია, რადიო და, თუ ჩართავ, ლამის უთოც ალაპარაკდეს.

**სიტყვა აღდგენა ნიშნავს იმას, რაც იყო, დაიკარგა ან შეფერხდა და ისევ საჭიროებს განახლებას, მაგრამ რაც არ იყო, როგორ უნდა აღადგინონ? ახლანდელი მთავრობა სამართლიანობის აღდგენაზე რომ ლაპარაკობს, წინა მთავრობის ნამოქმედარს იქით არ იხედება. საკითხავია, რომელი რიცხვიდან დავიწყოთ „აღდგენა“ და რომელს მივაყართ მტვერი და სილა? საქართველოს პირველი პრეზიდენტი ტყვიით შუბლგახვრეტილი მიწაში წევს და არავინ ხმას არ იღებს.**

გამსახურდია ვახსენეთ და უეჭველად უნდა გავიხსენოთ საქართველო-რუსეთის პრეზიდენტთა შეხვედრა ყაზბეგში, სადაც გამსახურდია და ელცინი ყველა იმ საკითხზე შეთანხმდნენ, რომლებიც ჩვენს ქვეყანას აწუხებდა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში; რუსეთის პრეზიდენტმა სავსებით გაიზიარა ჩვენი ინტერესები და შეიქმნა უნიკალური დოკუმენტი, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის თვალსაზრისით. დადასტურდა, რომ თურმე რუსეთთან შეიძლება საქმიანი მოლაპარაკება და საკითხის დადებითად გადაწყვეტა, მაგრამ ვაიქართველთა მიერ ამ შეთანხმებას შიდა ომი მოჰყვა და ყველაფერი წყალში ჩაიყარა. თუ მეზობელი ქვეყანა დაინახავს, რომ შიგნით ერთმანეთს ძალაუფლებისთვის ებრძვიან და სრულიად უგულებელყოფენ საკუთარი ქვეყნის ინტერესებს, მაშინ რა უნდა გააკეთოს სხვამ შენს სასარგებლოდ?

**სამართლიანობის აღდგენა თუ სურს ახალ მთავრობას, გამოიძიოს აღნიშნული საკითხი და საკადრისი მიუზღას სახელმწიფო დამნაშავეებს. „სამართლიანობის აღმდგენელებმა“ განიხილონ შევარდნაძისა და მისი დამქაშების საქმიანობა აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, გამოიძიონ სამეგრელოს მრავალგზის აოხრებისა და მშვიდობიანი მოსახლეობის წამების ფაქტები. ნუთუ არავის აწუხებს ის ამბავი, რომ გუგეშაშვილის ბანდამ დარჩელში (ზუგდიდის რაიონი) 22 სახლი გაძარცვა და მერე გადაწვა დედაბუდიანად, ხოლო ამის „შემოქმედი“ ღირსების ორდენით დააჯილდოვა შევარდნაძემ?! ასეთი ადამიანები, ნუთუ სხვა თუ არაფერი, გაკიცხვის ღირსნი მაინც არ არიან? ზოგიერთმა მათგანმა ვითომც მოინანია იმდროინდელი დანაშაული, პილატესავით ხელები დაიბანა და ახლა თითქოს „განწმენდილნი“ ისევ აქტიურობენ პოლიტიკურ ასპარეზზე.**

**ერთი-ორი განტევების ვაცის შეწირვით ვერ დააპურებ სამართალს. წალენჯიხაში მხედრიონელებმა ტერენტი გრანელის სახლს ტყვია დაუშინეს, სახლს ცეცხლი წაეკიდა და მოსახლეობამ ჩააქრო. ჯაბა იოსელიანი და ტერენტი გრანელი კი დიდუბის პანთეონში ერთმანეთის მახლობლად განისვენებენ. არ ვიცი, ასეთ მოვლენებს როგორ აუხსნიან მომავალ თაობებს; თუმცა რომელ ახსნაზეა საუბარი, როცა ისტორიას დამნაშავენი უკუღმა წერენ.**

ხელისუფლება შეიცვალა. ვაის გავეყარეთ, მაგრამ რა გველოდება სამომავლოდ? ოკეანეში პატარა თევზებს დიდი თევზები ჭამენ. ხმელეთზე კი, სადაც ადამიანებს ერთმანეთთან კულტურა აახლოებთ, ბუნების კანონიდან გამომდინარე, ერთი რამ უცვლელი რჩება — პატარა ქვეყნები დიდ ქვეყნებს მორჩილებენ, მათ სხვა გამოსავალი არ აქვთ, მაგრამ მორჩილებაც არის და მორჩილებაც! ყველანაირ შემოთავაზებაზე თანხმობა სიკვდილის ტოლფასია. ყველაფერზე დამყოლსა და მორჩილს, რომელსაც ამქვეყნად არანაირი პრეტენზია არ გააჩნია, გარდა ფიზიკური არსებობისა, პატივს არავინ მიაგებს. შენ შენი კუთვნილი უნდა მოითხოვო და ამ გზით რამეს რომ მიაღწიო, პირველ რიგში, ღირსეული მთავრობა უნდა გყავდეს და არა სავარძლის მონები.

**ვინ აღადგენს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას? ამერიკელები და ევროპელები? ისინი აშკარად გვეუბნებიან, რუსეთთან თქვენ თვითონ მოაგვარეთო ურთიერთობა. ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ დასავლეთმა საბოლოოდ ჩაიქნია ხელი ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე და საქართველოს დანარჩენი ნაწილითაც კმაყოფილი რჩება თავისი სტრატეგიული მიზნების მისაღწევად? ნიშნავს კი რუსეთთან ურთიერთობის დალაგებას იქაურ ბაზარზე ქართული ღვინოებისა და მინერალური წყლების გაყიდვა? ვაჭრობა იაპონიასა და რუსეთს შორის თითქმის არ შეწყვეტილა, მაგრამ კურილიის კუნძულები დღემდე რუსეთის ნაწილად რჩება.**

**აქვს კი რაიმე პროგრამა დღევანდელ მთავრობას, რომელიც აშკარად ისევ დასავლეთის გავლენის ქვეშაა?..**

ახლოვდება ახალი საპრეზიდენტო არჩევნები, რომლის შედეგებზეც დიდად იქნება დამოკიდებული ჩვენი ქვეყნის მომავალი. ვინ დაიკავებს ქართველი ხალხის მიერ მოძულებული მიხეილ სააკაშვილის პოსტს? კანდიდატები უკვე გამოჩნდნენ, მაგრამ არც ერთი მათგანი არ გახლავთ ის პიროვნება, რომელსაც შეუძლია ალასრულოს ქართველი ხალხის ნება. **დასავლეთსა და რუსეთს შორის მოთამაშე პოლიტიკოსი ვერ დაიბრუნებს აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონს. ორმაგ თამაშს ეწეოდა შევარდნაძე და „ვარდებით“ დაასაჩუქრეს. ორივე მხარესთან თანამშრომლობას გვპირდება ბურჯანაძეც, რომელიც შევარდნაძის ერთ-ერთი მოწაფე გახლავთ; მოწაფე, რომელიც მასწავლებელზე ბევრად სუსტია. მარგველაშვილმა წინასწარ გაგვიმხილა: მე ივანიშვილის პლასტილინი ვარო. თუ რა უნდა გამოძერწოს ივანიშვილმა მარგველაშვილ-პლასტილინისგან, სრულიად გაუგებარია, მაგრამ ერთი რამ ცხადია — პლასტილინისგან პრეზიდენტი არ გამოვა. სხვა კანდიდატებზე საერთოდ არაფერს ვამბობ.**

**დღევანდელ ქართველ პოლიტიკოსთაგან აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის საქართველოსთვის დაბრუნება შეუძლია ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას. ის არის გამჭრიახი გონების, სწორი ორიენტაციის მქონე, უაღრესად ერუდირებული და ავტორიტეტული პიროვნება. მან სხვებზე უკეთ იცის, თუ რა გზით შეიძლება დაღუპვის კარამდე მისული ქვეყნის გადარჩენა. ბატონი ალექსანდრე ოჩამჩირეში დაიბადა და გაიზარდა. მას უდიდეს პატივს სცემენ როგორც აფხაზები, ასევე ქართველები. ის ზოგიერთი პოლიტიკოსივით არავისთან არ არის ანგარიშვალდებული, გარდა საკუთარი ხალხისა. ბატონი ალექსანდრე ჭაჭია აფხაზებისა და ოსებისთვის მისაღები და სანდო პიროვნებაა, ასევე მას ანგარიშს უწევენ რუსი პოლიტიკოსებიც, როგორც სერიოზულ პოლიტიკურ ფიგურას.**

ამ ძნელბედობის ჟამს, როცა ჯერ კიდევ არსებობს ქვეყნის გადარჩენის შანსი, მან უნდა იყაროს კენჭი საქართველოს პრეზიდენტის თანამდებობის დასაკავებლად. იმედია, უწინდელ არჩევნებთან შედარებით, მრავალჭირნახული ქართველი ხალხი უფრო მშვიდი გონებით მივა საარჩევნო ყუთთან და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის სასარგებლოდ ჩააგდებს ბიულეტენს, რასაც უეჭველად მოჰყვება ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა და ყველა სხვა დანარჩენი პრობლემის მოგვარება.

**გიორგი სიჭინავა**, მწერალი

**P.S. „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები და მათი ლიდერი რუსეთთან ურთიერთობის აღდგენას ბნელ წარსულში დაბრუნებად აღიქვამენ. ისტორიას თუ გადავხედავთ, ბაგრატიონთა დინასტია, სანამ რუსეთს დახმარებას სთხოვდა, ხსნას ევროპის ქვეყნებში ეძებდა. ამ მისიით მიავლინეს დასავლეთში სულხან-საბა ორბელიანი, რომელიც იქიდან კათოლიკედ დაბრუნდა და იმედგაცრუება ჩამოიტანა. „სხვისი ჭირი ღობეს ჩხირიო“, — ალბათ, ევროპაში გაიგონა ორბელიანმა ეს ანდაზა და მერე ქართულად თარგმნა.**

**მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, მაგრამ არაფერი შეცვლილა რუსული ბენზინით მოსეირნე და რუსული გაზით გამთბარი ევროპელების ცნობიერებაში.**

**დაბოლოს, ვისაც საქართველო აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გარეშე წარმოუდგენია, ის ქვეყნის ორგულია.**

მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„მათ პატიმრები აიძულეს, ხელები თავს ზემოთ აეწიათ და ისე გაეჭიმათ, რომ ხელბორკილების ორი წყვილი მოერგოთ. მე სულ ვცდილობდი, მეკითხა, რისთვის აკეთებდნენ ამას, ისინი კი განუწყვეტლივ ყვიროდნენ: „აღიარე, აღიარე! ხომ იცი, რომ ეს შენი ჩადენილია, გვითხარი, რომ ეს ასეა, აღიარე!“
ამის შემდეგ მათ ხელბორკილები ისე დაამაგრეს, რომ პატიმრების მდგომარეობა ძალიან ჰგავდა სქესობრივი კავშირის პოზას. მაშინ გავიფიქრე, რომ მე ყველაფრის საქმის კურსში არ ვიყავი და მხოლოდ მოგვიანებით შევიტყვე, რომ ამ სამხედროებს ბრალად ედებოდათ ციხეში მოზარდების გაუპატიურება. ეს უკვე სულაც არ ჰგავს ოფიცრის საქციელს...“**

# სტანდარტული პროცედურა

## სიმართლე აბუ-გრეიბზე

**რეჟისორ ეროლ მორისის ფილმში იკვლევენ ბაღდადის მახლობლად მდებარე აბუ-გრეიბის ციხეში ცემის, წამებისა და ადამიანის უფლებათა სხვა დარღვევების შემთხვევებს, სადაც ზედამხედველები ამერიკელი სამხედროები არიან და ტერორიზმში ეჭვმიტანილი დაკავებულები მიჰყავდათ. ექსტრემალურ სიტუაციაში მყოფ ადამიანს ყოველთვის არ შეუძლია რეალობის გააზრება და აღქმა. მრავალი ადამიანი უშვებს შეცდომას, რომლისთვისაც შემდეგ მთელი დარჩენილი ცხოვრების მანძილზე იხდის საზღაურს. ზოგიერთი ომის შემდეგ კიდევ მრავალი წლის მანძილზე ვერ ახერხებს შიშებთან გამკლავებას. შეიძლება კი იმის წინასწარ განსაზღვრა, თუ როგორ მოიქცევა ადამიანი ომის დროს? ასცდება თუ არა სწორ გზას, წავა თუ არა ზნეობრიობისა და მორალის წინააღმდეგ საკუთარი შიშების ზეწოლის შედეგად? ფილმში გადაღებული არიან აბუ-გრეიბის ციხის ის თანამშრომლები, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობდნენ პატიმრების წამებასა და გაუპატიურებაში. ფილმმა მთავარი პრიზი მოიპოვა ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალზე.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №25 (212)



### მოთხრობა ჭიანჭველებზე, რომლებიც იმარჯვებენ

კამერებში სინათლე არ არის, ჩვენ სრულ სიბნელეში ვსხედვართ. მესმის ძახილი „მისის, მისის!“ ზემოთ ავედი და ჩემი ფარნის სინათლეზე დავინახე 15-16 წლის ბიჭი, რომელიც თავგანწირვით სრესდა ჭიანჭველებს. უზარმაზარი ჭიანჭველები იყო, ახლა მათ ერაყულ ჭიანჭველებს უწოდებენ. ისინი მზად იყვნენ, ბიჭი ცოცხლად შეეჭამათ. როგორც ჩანდა, მთელი ციხის ჭიანჭველები მასთან შეგროვილიყვნენ. მახსოვს, მწერების საწინააღმდეგო საშუალება მოვაფრქვიე, მაგრამ მათ თითქოს დამცინეს და... უფრო გამრავლდნენ. ჩვენ ფარნით ვანათებდით და ჩექმებით ვსრესდით ჭიანჭველებს.

ასე დაიწყო ჩემი ცვლა. **ისინი ხდიან ამ საზიზღარ დამნაშავეებს და ხელბორკილებით გისოსებზე აბამენ. მე დავცინოდი მათ და პოპ-კორნს ვესროდი.** ცოტათი მეცოდებოდნენ, მიუხედავად იმისა, რომ მათ ამერიკელი ჯარისკაცების მკვლელობებში ადანაშაულებდნენ. კი, ჩვენ ვამცირებდით მათ, მაგრამ არ ვცემდით, ეს მნიშვნელოვანია.

**მათ ერთი საათი ეძინათ, შემდეგ ოთხი საათი იდგნენ, შემდეგ კვლავ ერთი საათი ეძინათ და ასე გრძელდებოდა სამი დღე-ღამის განმავლობაში, ვიდრე ვაწვალებდით მათ. ბევრი მათგანი იმდენად შეშინებული იყო, რომ იქვე ისაქმებდა.** საშინელება იყო. ჩვენ ყველაფერი გადავიღეთ. **თავზე ჩამოცმული ჰქონდათ მწარე წიწაკით გაჟღენთილი ტომრები.** კი, ეს ცუდია, მაგრამ ისინი მალავდნენ მნიშვნელოვან ცნობებს, საჭირო იყო მათი იძულება, რომ ელაპარაკათ. სულ ეს იყო.

**საბრინა**





**ტიმ დუკანი,
გამომძიებელი:**

— სურეალიზმი არის პირველი სიტყვა, რომელიც აზრად მოგივა, როდესაც ამას დაინახავ და მიხვდები, რაც იქ ხდებოდა. იმ უნიჭო შტერების გროვა, რომლებიც ერთ ადგილას აღმოჩნდნენ, აზრზე არ იყო, როგორ უნდა შეესრულებინა საკუთარი სამუშაო და შედეგი ყველამ ახალ ამბებში იხილა. ეს გულისამრევია...

**ისინი დაკავებულნი იყვნენ იდიოტიზმით და იმის ნაცვლად, რომ რაიმე ეღონათ, ჩვენი ჯარისკაცები კვლავაც იხოცებოდნენ.**

აბუ-გრეიბი დაცხრილეს, ორი ამერიკელი მოკლეს და თექვსმეტი დაჭრეს. ჩვენ გავემართეთ იმ ჯგუფის მეთაურის დასაკითხად, რომელმაც ციხე დაცხრილა. ჩვენთან ერთად იყო ორი ქალი, გამომძიებელი და ანალიტიკოსი. მათ აიძულეს პატიმრები, გაშიშვლებულიყვნენ. საერთოდ, ამის გაკეთება არ ღირს.

როდესაც დაკითხვა დასრულდა, ვიკითხე, რა საჭირო იყო პატიმრების გაშიშვლება. ვფიქრობდი, რომ პასუხად მოვისმენდი არაბული კულტურის შესახებ, სადაც ქალები მუდამ მამაკაცებს ემორჩილებიან და ამ სტერეოტიპის დასამსხვრევად დაკითხვაზე მიჰყავთ გამომძიებელი ქალები, რომლებიც შიშველ ტყვეებს კითხავენ. მახსოვს, ამის შესახებ ჩვენი ჯგუფის სერჟანტს ვკითხე. მან აღიარა, რომ საერთოდ ამის გაკეთება არ შეიძლება, მაგრამ ხანდახან ქალებს ამის ნებას რთავენ, რათა გამომძიებელი ქალისა და პატიმარი კაცის სტატუსი გაათანაბრონ. ვკითხე, „ამ წუთას არ თქვი, რომ ამის გაკეთება არ შეიძლება?“ მან კი მიპასუხა, „კი, მე და შენ არ გვაქვს ამის უფლება, მათთვის კი შეიძლება“.



**კენ დევისი,
სამხედრო პოლიციის სერჟანტი:**

— ცხადია, როდესაც რაიმე არასასურველს აკეთებ და ამის შესახებ მშვენივრად იცი, მთელი ძალით ცდილობ ამის დამალვას ისე, რომ ვერავინ ვერასდროს გაიგოს. როდესაც შევედი, დავინახე შავ შორტებსა და მაისურში ჩაცმული ბიჭი, უბრალო ფოსტლებით, მეორე ტრუსებისა და პერანგის ამარა იდგა. თითეული მათგანის წინ თითო შიშველი პატიმარი იდგა. მათგან რომელიღაცამ თქვა, ჩვენ სამხედრო დაზვერვიდან ვართ და ვიცით, რასაც ვაკეთებთ. გასაგებიამეთქი, ვუპასუხე, მაგრამ არ ვიცოდი, ვინ იყვნენ ეს ადამიანები, რა წოდებები ჰქონდათ.

მათ პატიმრები აიძულეს, ხელები თავს ზემოთ აეწიათ და ისე გაეჭიმათ, რომ ხელბორკილების ორი წყვილი მოერგოთ. მე სულ ვცდილობდი, მეკითხა, რისთვის აკეთებდნენ ამას, ისინი კი განუწყვეტლივ ყვიროდნენ: „აღიარე, აღიარე! ხომ იცი, რომ ეს შენი ჩადენილია, გვითხარი, რომ ეს ასეა, აღიარე!“

ამის შემდეგ მათ ხელბორკილები ისე დაამაგრეს, რომ პატიმრების მდგომარეობა ძალიან ჰგავდა სქესობრივი კავშირის პოზას. მაშინ გავიფიქრე, რომ მე ყველაფრის საქმის კურსში არ ვიყავი და მხოლოდ მოგვიანებით შევიტყვე, რომ ამ სამხედროებს ბრალად ედებოდათ ციხეში მოზარდების გაუპატიურება. ეს უკვე სულაც არ ჰგავს ოფიცრის საქციელს...

კრუსი უყვიროდა მას: „გაიხადე, გაიხადე!“ ბიჭი კი ევედრებოდა: „არა, მისტერ, არ გინდათ!“

როდესაც ისინი გაშიშვლდნენ, იატაკზე წყალი დაასხეს და წყლის გუბეებში ფორთხვა აიძულეს. უნდა ეხოხათ ისე, რომ სასქესო ორგანოები ბეტონის იატაკს შეხებოდა.

ვიკითხე, რა ხდება, ასე ატარებთ დაკითხვას-მეთქი? მათ კი მიპასუხეს, რომ სხვადასხვაგვარად შეიძლება დაკითხვის წარმოება...

ამის შემდეგ ვთქვი, რომ ჩემთვის ეს საკმარისზე მეტია და წავედი.

მეორე დილით მოვიდა ჩემი მეთაური და მას ვუთხარი, რომ სამხედრო დაზვერვა მთავარ კორპუსში პატიმრებს საკმაოდ უცნაურად ექცეოდა. მან კი მიპასუხა, რომ სხვის საქმეში ცხვირის ჩაყოფა საჭირო არ არის, რომ სამხედრო დაზვერვამ იცის, რასაც აკეთებს და რომ მათ ხელი არ უნდა შევუშალოთ.



**რომან კროლი,
სამხედრო დაზვერვის გამომძიებელი:**

— მაშ ასე, ფოტოზე მარჯვენა მხარეს შავ შორტებში









**„მე ვრთავდი ჰიპ-ჰოპის სიმღერას ისევ და ისევ... უამრავჯერ. მალე პატიმრებმა თავად დაიწყეს ამ სიმღერაზე აყოლა, მოკლედ, არ გამოვიდა. ამის შემდეგ შევცვალე მელოდია და, თუ არ ვცდები, მეტალიკა ჩავრთე. თავიდან ყვიროდნენ, არ მოგვწონსო, მაგრამ შემდეგ ამასაც შეეჩვივნენ. მათთვის სულერთი იყო. შეიძლება, უბრალოდ, დააყრუათ გიტარების ხმამ, თავისუფლად შეეძლოთ ამ მუსიკაზე ძილი. ბოლოს ქანთრი ჩავრთე და ამან გაამართლა. ამას ძლივს უძლებდნენ, სულ ყვიროდნენ, გამორთეო და იმ დროისათვის, როდესაც გამომძიებელი მოდიოდა, ვიღაცის დაკითხვაზე წასაყვანად, ისინი ყველაფრისთვის მზად იყვნენ“.**

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95













ჩაცმული კაცი კრუსია (**კრუსი, სამხედრო დაზვერვის სერჟანტი**). მის მარჯვნივ მე ვდგავარ (**კროლი, სამხედრო დაზვერვის სერჟანტი**). მარცხენა მხარეს კედელთან გრეინერი დგას (**გრეინერი, სამხედრო დაზვერვის კაპრალი**). ჩვენ — ყველანი დავყურებთ ორ პატიმარს, რომლებიც იატაკზე არიან მიბმულები ხელბორკილებით. ამ ფოტოზე სხვა არაფერი ჩანს.

**ამას დაკითხვასთან საერთო არაფერი ჰქონდა. ისინი, უბრალოდ, დასანახად ყვიროდნენ, ვფიქრობ, მათ დასაშინებლად და იმისთვის, რომ ყველას დაენახა, თუ ვინაა ამ სახლში უფროსი.**

აბუ-გრეიბს თითქმის ყოველ დღე ესროდნენ. **ხალხი იხოცებოდა, როდესაც გავიგე, რომ პატიმარმა პატარა ბიჭი გააუპატიურა, უბრალოდ, გავმხეცდი.**

ვიდრე წავიდოდი, ავიღე წყლის ბოთლი და ცოტაოდენი წყალი პატიმარს მივასხი იმის საჩვენებლად, თუ როგორ მეზიზღებოდა.

ჩვენ იქ ბურთს ვთამაშობდით — ერთმანეთს ვესროდით პლასტიკატის ბურთს და ახლა ჩემი ჯერი იყო. ვისროლე ბურთი და ერთ-ერთ მათგანს ფეხში მოხვდა, მაგრამ ასეთი ბურთით მიყენებული დარტყმა მტკივნეული არ არის.



**ლინდი ინგლანდი,**
**სამხედრო პოლიცია, პირველი კლასის რიგითი:**

— გრეინერმა მთხოვა, ფოტოები გადამეღო. მას არ უთქვამს, კონკრეტულად რა უნდა გადამეღო და რა არა. მეც ვიღებდი ირგვლივ ყველაფერს. რაღაც მომენტში დაზვერვის ბიჭებიც მოხვდნენ კადრში. ისინი მოვიდნენ, რომ შური ეძიათ 15 წლის ბიჭის გაუპატიურებისთვის. ისინი ამცირებდნენ მათ, აიძულებდნენ ეხოხათ, ეხტუნათ, კედლებზე ეჭენავათ და ასე შემდეგ. ბოლოს კი ყველას ხელბორკილები დაადეს.

ფოტოზე ჩანს გრეინერი და სამხედრო დაზვერვის კიდევ ორი წარმომადგენელი, რომელთაც არ სურდათ ფოტოებში გამოჩენა და ძალიან გაბრაზდნენ, კადრში რომ მოხვდნენ. მე კი ვუთხარი, რომ მე არაფერ შუაში ვიყავი, უბრალოდ, ვასრულებდი ბრძანებას“.

**რომან კროლი,**
**სამხედრო დაზვერვის გამომძიებელი:**

— არ ვაპირებ ამ ფოტოების განხილვას. ვიდრე იქ ვიყავი, არ შემინიშნავს, რომ ვინმე ფოტოებს იღებდა, მიუხედავად იმისა, რომ მეც ვარ ამ ფოტოებზე. მე არ შემინიშნავს, თორემ არ გავჩუმდებოდი. ჯერ ერთი, იქ კიდია უზარმაზარი პლაკატი, რომელზეც წერია, რომ ფოტოგრაფირება აკრძალულია. გარდა ამისა, ასეთი რამის გადაღება სისულელეა.

ამ ყველაფრის გამო ათი თვით ჩამსვეს ციხეში, ჩამომაქვეითეს რიგითამდე და გამრიცხეს არმიიდან ულირსი ქცევის გამო. ეს სასჯელი ჩემთვის დიდ დამცირებად იქცა. რვა თვე ციხეში იმის გამო, რომ ვიღაცას წყალი მივასხურე და პლასტიკატის ბურთი ვესროლე რეალური დამცირებაა. ეს უბრალოდ სასაცილოა.

**ტიმ დუკანი,**
**გამომძიებელი, ერთიანი ანალიტიკური ცენტრი:**

— კამერაში დავბრუნდი და დავინახე თარჯიმანი, რომელიც გარეთ მელოდა. მან მითხრა: დუკან, ეს ხომ წარმოუდგენელია, გენერალს, რომელიც თქვენ დაკითხეთ, სურდა, ეთქვა თქვენთვის, სად იყო ერაყის ვიცე-პრეზიდენტი, სადამ ჰუსეინის შემდეგ მეორე კაცი ქვეყანაში, გამომძიებელმა კი არც კი ჰკითხა ამის შესახებ. გენერალმა ათჯერ მაინც თქვა, გეტყვით, სად არის ეს ადამიანიო, მაგრამ გამომძიებელმა ბოლომდე არ ათქმევინა“.

**საბრინა ჰარმანი:**

**— ის კამერის მახლობლად წყნარად იდგა. ხელბორკილები არ ეკეთა. ბაბუას ჰგავდა...**

**რატომღაც წარბები მოპარსეს და დანაღვლიანებული იყო.** ვამშვიდებდი, რომ ასე უფრო ახალგაზრდულად გამოიყურებოდა. შემებრალა.

**ტიმ დუკანი,**
**გამომძიებელი, ერთიანი ანალიტიკური ცენტრი:**

— ოთხი დღის შემდეგ მივედით დასაკითხად. მან თავიდან ტომარა მოიძრო და... **წარმოიდგინეთ, არც წარბები ჰქონდა, არც თმები. ვიკითხე, ეს ვილაა-მეთქი და მითხრეს, რომ ეს ის გენერალია.** არ დავიჯერე. მეგონა, მეხუმრებოდნენ. მას კი ისევ იმავეს უმეორებდნენ: გვითხარი, სად არის ვიცეპრეზიდენტიო. ის კი აღარაფერს ამბობდა — უარი განაცხადა თანამშრომლობაზე“.



**ჯეივალ დევისი,**
**სამხედრო პოლიციის სერჟანტი:**

— დავალება ჰქონდა ყველას — მცველებიდან, ძიძებიდან და ზედამხედველებიდან დაწყებული. პატიმრებთან გეგმის მკაცრი დაცვით ვმუშაობდით. მოდიოდა ხალხი სამხედრო დაზვერვიდან და გვეუბნებოდა, რომ რაღაც კონკრეტულ დროს ბოლო ხმაზე უნდა ჩაგვერთო მუსიკა. თუ საჭირო იქნებოდა, უნდა აგვეღო მეგაფონი და კარის მოპირდაპირე მხარეს ისე დაგვეყენებინა, რომ მათ არც ძილი შესძლებოდათ, არც ლოცვა და სრულიად დეზორიენტირებულნი ყოფილიყვნენ.

მე ვრთავდი ჰიპ-ჰოპის სიმღერას ისევ და ისევ... უამრავჯერ. მალე პატიმრებმა თავად დაიწყეს ამ სიმღერაზე აყოლა, მოკლედ, არ გამოვიდა. ამის შემდეგ შევცვალე მელოდია და, თუ არ ვცდები, მეტალიკა ჩავრთე. თავიდან ყვიროდნენ, არ მოგვწონსო, მაგრამ შემდეგ ამასაც შეეჩვივნენ. მათთვის სულერთი იყო. შეიძლება, უბრალოდ, დააყრუათ გიტარების ხმამ, თავისუფლად შეეძლოთ ამ მუსიკაზე ძილი.

ბოლოს ქანთრი ჩავრთე და ამან გაამართლა. ამას ძლივს უძლებდნენ, სულ ყვიროდნენ, გამორთეო და იმ დროისათვის, როდესაც გამომძიებელი მოდიოდა, ვიღაცის დაკითხვაზე წასაყვანად, ისინი ყველაფრისთვის მზად იყვნენ.



**— „ხანდახან დაზვერვის ხალხი ამბობდა, დღეს ამას და ამას დავკითხავთ, გამოიყვანეთ, მოამზადეთ — უყვირეთ, აიძულეთ, შეასრულოს ბრძანებები, მიაბით ხელბორკილებით უხერხულ პოზაში, გააშიშვლეთ და ეს ყველაფერი ქალმა გააკეთოს, რადგან ეს დაამცირებს პატიმარსო“.**

**ლინდი ინგლანდი,**
**სამხედრო პოლიცია, პირველი კლასის რიგითი:**

ჩვენ არავინ მოგვიკლავს, ჩვენ არავინ დაგვიჭრია, ჩვენ არ ვისროდით. ისინი იქ სისხლისგან არ იცლებოდნენ. **ჩვენ ვაკეთებდით იმას, რასაც გვიბრძანებდნენ — ვამზადებდით დაკითხვისთვის. ჩვენ შეგვეძლო გაგვეკეთებინა ყველაფერი, მხოლოდ მკვლელობა გვეკრძალებოდა. ვაიძულებდით პატიმრებს, უხერხულ პოზებში მდგარიყვნენ რამდენიმე საათის განმავლობაში, რათა მოქანცულიყვნენ და გაწვალებულიყვნენ, ვაიძულებდით, ეფორთხათ, ვასხამდით ცივ წყალს...**



**მეგან ემბალ გრეინარი,**
**სამხედრო პოლიციის თანამშრომელი:**

**— დაასხი წყალი პატიმარს, დანის დახმარებით გახადე ტანსაცმელი, დაწვი სიგარეტით! — ჩვენ ვაკეთებდით იმას, რასაც გვიბრძანებდნენ. ჩვენ გვავალებდნენ, რომ უნდა გვეწვალებინა პატიმრები და ჩვენც ვაწვალებდით. თუ საჭირო იყო მისი გაღვიძება, ვაღვიძებდით. თუ ის ჭუჭყიანი იყო, გვავალებდნენ, წყალი გადაგვესხა და ვასრულებდით.**

ეს ყველაფერი უცნაურად არ გვეჩვენებოდა, თუ გავითვალისწინებთ, რომ, როგორც გვეუბნებოდნენ, ასე შეგვეძლო ჩვენს ჯარისკაცებს გადარჩენაში დავხმარებოდით. ჩვენ ყოველდღიურად ვხედავდით, თუ როგორ ბრუნდებოდნენ ჩვენი ჯარისკაცები დავალებებიდან ხელის ან ფეხის გარეშე და საჭირო იყო გაგვეგო, ვინ აკეთებდა ამას, რომ შეგვეჩერებინა. ეს ყველაფერი კეთდებოდა ჩვენი ჯარისკაცებისთვის.

**საბრინა ჰარმანი:**

— იმ ბიჭს, რომელიც ყუთზე იდგა, ჯილიგანი ერქვა. მას სისხლის სამართლის განყოფილების ორი აგენტის მკვლელობაში სდებდნენ ბრალს. **პატიმარს ჯერ ხელში უნდა სჭეროდა ყუთი, შემდეგ კი დაედო და მასზე დამდგარიყო. ციოდა, ამიტომ პლედი მოახვიეს. რამდენადაც მე შემიძლია ვიმსჯელო,**



**იგი არავის უწამებია. უბრალოდ, გაწვალდა.**

საკუთარ თავს სხვადასხვა სახელით მოიხსენიებდა, საბოლოოდ გრეინერმა ჯილიგანი დაარქვა.

**როდესაც მივედი, საშხაპეში იდგა. თითებზე მავთული ჰქონდა შებმული. უთხრეს, რომ მავთულიდან დენი დაარტყამდა, თუ ყუთიდან ჩამოვარდებოდა.**

მართალია, ამ მავთულებში დენი არ გადიოდა, მაგრამ ადამიანს თუ ასეთ რამეს ეტყვი, ნებისმიერი გამოიღვიძებს. გეგმაც ასეთი იყო — პატიმარს არ უნდა დაეძინა. გაცილებით უარესი იქნებოდა, იქ რომ მართლაც ყოფილიყო დენი და მართლაც შესაძლებელი ყოფილიყო ის, რითაც დაემუქრნენ. მაგრამ ძაბვა არ იყო.

ფოტოების გადაღების შემდეგ მავთულები მოხსნეს. ფოტოები მე გადავიღე. ერთ-ერთ კადრში სერჟანტი ფრედერიკი ჩანს.

იგი ჩვენს ერთ-ერთ მუშად იქცა, ამიტომ თითქმის ყოველ დღე გამოჰყავდათ. **როგორც ვხვდები, დამტკიცებული იყო მისი უდანაშაულობა.**

**მეგან ემბალ გრეინარი,**
**სამხედრო პოლიციის თანამშრომელი:**

— საჭმელს დამატებით ვაძლევდით, რომ ცოტა სული მოეთქვა. სიგარეტსაც ვაძლევდით. 25 თუ 24 წლის ახალგაზრდა, სავსებით ნორმალური ბიჭი იყო.



**ბრენტ პეკი,**
**სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიების სპეციალური აგენტი:**

— ყველა ფოტოზე მითითებულია გადაღების თარიღი და ყველა მათგანი ორი საათის განმავლობაშია გადაღებული. მათ ფოტოები რამდენიმეჯერ დააკოპირეს დისკით ერთი კომპიუტერიდან მეორეში და კომპიუტერის პროგრამის მიხედვით დრო იცვლებოდა. მაგრამ არსებობს დრო, რომელიც არ იცვლება — ეგრეთ წოდებული მეტა-მონაცემები. ეს ინფორმაციის განსაზღვრის მცნებაა. ფოტო შეიცავს ინფორმაციას საკუთარი შექმნის დროის, პროგრამული უზრუნველყოფის ტიპის და ზოგიერთი სხვა რამის შესახებ. ძალიან კარგია, რომ მეტა-მონაცემები არ დაკარგულა.

**სულ სამი ფოტოაპარატი იყო. ერთი გრეინერს ჰქონდა, ერთი — ჰარმანს და ერთიც — ფრედერიკს. ფოტოების უმეტესობა გრეინერის ფოტოაპარატითაა გადაღებული.**

დავადგინე, რომ ეს სამივე ერთდროულად იღებდა ერთსა და იმავე მოვლენებს. სულ რვა სხვადასხვა მოვლენაა დაფიქსირებული.

იქ აწარმოებდნენ ჟურნალს, რომელშიც ციხეში მომხდარ ყველა მოვლენას აღწერდნენ. ფაქტობრივად, ამან დაადასტურა ჩვენი მონაცემები, რომლებიც ფოტოების ანალიზით მივიღეთ.

**გაგრძელება შემდეგ ნომერში**



www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ყველაზე მრისხანე დევნა მოუწყვეს ინფორმატორ ტომას დრეიკს, რომელმაც აღმოაჩინა, რომ ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტო ასობით მილიონ დოლარს ხარჯავდა წარუმატებლობისთვის განწირულ პროგრამებზე და ამ დროს სრულ იგნორირებას უკეთებდა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პრინციპს.**

# არანახული დემოკრატიის სახელმწიფო და ინფორმატორები

**აშშ-ში ძირითადი პრობლემა არ არის ძალიან ბევრი ინფორმატორი... იქ ძალიან ცოტა ინფორმატორია. სად იყვნენ ინფორმატორები, როდესაც ცსს-ს საიდუმლო ციხეები ჰქონდა და მათში პატიმრებს აწამებდა, იტაცებდა ადამიანებს ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის ქალაქების ქუჩებში და გადასცემდა მათ სხვა ქვეყნების დაზვერვებს საწამებლად და გამოსატეხად? სად იყვნენ ინფორმატორები, როდესაც ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტომ დაარღვია კონსტიტუციის მეოთხე შესწორება „უსაფუძვლო ჩხრეკვისა და დაკავების“ შესახებ და ატარებდა ფართომასშტაბიან უკანონო მოსმენებს? სად იყვნენ ინფორმატორები, როდესაც სახელმწიფო დეპარტამენტმა დაუშვა საკონსულოს გამოყენება ბენღაზში დაზვერვის არასაკმარისად დაცული ბაზის შესანიღბად? სად იყვნენ ინფორმატორები, როდესაც პენტაგონი საიდუმლო ბაზებს აშენებდა ჩრდილოეთ აფრიკაში და არავიის ნახევარკუნძულზე იმ ქვეყანაზე დარტყმების მისაყენებლად, რომელთანაც აშშ საომარ მდგომარეობაში არ იმყოფებოდა?**



**ინფორმატორები კარგი წყაროები არიან მხოლოდ მცირე დროის მანძილზე, ჟურნალისტები კი ცდილობენ, არაფერი აწყენინონ მათ, ვინც პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს იღებენ, რათა მათთან ხანგძრლივი დროის მანძილზე ჰქონდეთ მისასვლელი გზა**

პრეზიდენტმა ობამამ, იურისტმა, რომელმაც ჰარვარდში მიიღო განათლება და საკონსტიტუციო სამართლის ყოფილი პროფესორია, კიდევ უფრო გაართულა ინფორმატორების მდგომარეობა და წარმოუდგენელი უპატივცემულობა გამოიჩინა ხელისუფლებასა და კონტროლის აუცილებლობის ბალანსის მიმართ საგარეო პოლიტიკაში გადაწყვეტილებების მიღებისას.

**პრესაში გაჟონილი რამდენიმე გამოაშკარავება განსახილველად გადაეცა იუსტიციის დეპარტამენტს გამოძიების ჩასატარებლად და 2013 წლის მაისში დეპარტამენტმა გაწერა Associated Post-ის რეპორტიორებისა და რედაქტორების მიერ გამოყენებადი 20 სატელეფონო ხაზის ორთვიანი მოსმენები. ეს იყო მასმედიის მონაცემთა ყველაზე აგრესიული კონფისკაცია ფედერალური ხელისუფლების მიერ ნიქსონის ადმინისტრაციის დროიდან. გენერალური პროკურორი ერიკ ჰოლდერი გასცდა კონსტიტუციის პირველი შესწორების ნორმებს და ნება დართო იმ ჩხრეკვის ჩატარებას, რომლის დროსაც FOX NEWS-ის რეპორტიორი გამოცხადდა სავარაუდო შეთქმულად, რომელიც ჯაშუშობის შესახებ აქტის დარღვევას აპირებდა, რადგან, თავისი სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, მას საიდუმლო ინფორმაციის მიღება შეეძლო.**

პრეზიდენტი ობამა ასევე შეუმჩნევლად უწყობდა ხელს ინფორმატორების აუცილებლობას, როდესაც ასუსტებდა ნაციონალური უსაფრთხოების ფუნქციონირების მაკონტროლებელ ტრადიციულ ორგანიზაციებს, გენერალური ინსპექტორების ინსტიტუტს. ფედერალურ ხელისუფლებაში გენერალური ინსპექტორები პოპულარობით არ სარგებლობენ, მაგრამ ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ხელისუფლების კეთილსინდისიერების შენარჩუნების საქმეში, რადგან ქექავენ თაღლითობების, ძალაუფლების ბოროტად გამოყენების და სხვა უკანონობების შემთხვევებს. ობამას ადმინისტრაციამ თავიდანვე დაიწყო ცსს-ს გენერალურ ინსპექტორებზე შეტევა და წელიწად-ნახევარი დახარჯა გამორჩენილი ინსპექტორის — ჯონ ჰელგერსონის გადაყენებაზე, რომლის თანამშრომლებმაც ამოქექეს „პატიმართა საგანგებო გადაცემისა“ და წამებებისა თუ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევები.

**ყველაზე მრისხანე დევნა მოუწყვეს ინფორმატორ ტომას დრეიკს, რომელმაც აღმოაჩინა, რომ ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტო ასობით მილიონ დოლარს ხარჯავდა წარუმატებლობისთვის განწირულ პროგრამებზე და ამ დროს სრულ იგნორირებას უკეთებდა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პრინციპს. დრეიკმა კითხვები გაუგზავნა ცსს-ს გენერალურ ინსპექტორს, პენტაგონის გენერალურ ინსპექტორს და კონგრესში დაზვერვის კომიტეტს. ამ წარუმატებელი მცდელობების შემდეგ დრეიკმა BaltimoreSun-ის რეპორტიორს მიმართა. შედეგი: დრეიკს ათობით ბრალდება წაუყენეს მძიმე დანაშაულებში, მათ შორის საიდუმლო ინფორმაციასთან არასათანადო მოპყრობაც.**

ბრედლი მენინგის საქმე კიდევ ერთი მაგალითია, რომელიც ობამას ადმინისტრაციის აზროვნების მიმართულებას ამხელს. მართალია, მენინგმა ხელი მოაწერა განცხადებას ბრალდებებზე დანაშაულის აღიარების შესახებ და ამას მისთვის შეეძლო 20-წლიანი პატიმრობა მოეტანა, მაგრამ ხელისუფლება ბრალდებებს მტერთან თანამშრომლობით ამძიმებს, რაც უკვე სამუდამო პატიმრობას ნიშნავს. ხელისუფლებამ უგულებელყო კონსტიტუციის მეექვსე შესწორება, რომელიც სწრაფი და ღია სასამართლო პროცესის გარანტიას იძლევა. სასამართლო მენინგის დაკავებიდან ლამის სამი წლის შემდეგ დაიწყო. მენინგისადმი სამხედროების დამოკიდებულება, კერძოდ, მისი ხანგრძლივი დროით მარტო გამოკეტვა მერვე შესწორების დარღვევად იქცა, რადგან, ამ შესწორების თანახმად, „სასტიკი და განსაკუთრებული დასჯა“ იკრძალება. პრესაში პროცესის გაკვრით ხსენებაც ინფორმატორების მარგინალიზაციის კიდევ ერთი მაგალითია.

**შეკავებისა და საპირწონეების მექანიზმის არარსებობა ნაციონალური უსაფრთხოების სისტემაში უკანასკნელი ათი წლის მანძილზე ფაქტობრივად ხელს უწყობდა ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას.** საერთო ჯამში, კონგრესი უსიტყვოდ თანხმდებოდა ბუშისა და ობამას ადმინისტრაციების სადავო ქმედებებს ჯერ კიდევ 2001 წლიდან, მისცა რა საგარეო პოლიტიკის სადავეები უშუალოდ აღმასრულებელ ხელისუფლებას, ნაცვლად პრეზიდენტისა და კონგრესის საერთო პასუხისმგებლობისა. კონგრესის დაზვერვის კომიტეტები სადაზვერვო საზოგადოების, კერძოდ ცსს-ს, მცველებად იქცნენ, ნაცვლად იმისა, რომ მისი მკაცრი მაკონტროლებლები ყოფილიყვნენ. ანალოგიურად **შეიარაღებულ ძალთა კომიტეტი იქცა პენტაგონის ადვოკატად და სულაც არ აკონტროლებს იარაღის შესყიდვის პროგრამების პროცესში ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შემთხვევებს.**

ვიეტნამის ომის დროს უზენაესი სასამართლო საგარეო პოლიტიკის საკითხებში მხოლოდ პრეზიდენტის პოლიტიკისა და ძალაუფლების გასამყარებლად ერეოდა. თეთრი სახლის მიმართ ასეთი მოკრძალებული დამოკიდებულება გახდა უკანონობების, მათ შორის უკანონო მოსმენებისა და ცსს-ში იუსტიციის დეპარტამენტის მიერ ნებადართული მეთოდების გადაჭარბებით ნაწარმოები დაკითხვების ამსახველი ჩანაწერების განადგურების შემთხვევათა გამოძიების გარეშე დატოვების მიზეზი. ბედის ირონიით, **ჟოზე როდრიგესი, რომელმაც წამების მეთოდების გამოყენებით დაკითხვების 92 ვიდეოფირი გაანადგურა, თეთრი სახლის ფირების იგნორირების ამკრძალავი ბრძანების იგნორირებით სასამართლოს წინაშე უნდა წარმდგარიყო მართლმსაჯულებისთვის დაბრკოლებების შექმნის ბრალდებით. ამის ნაცვლად მან გამოუშვა წიგნი, რომელიც მოიწონა ცსს-მ და რომელშიც გენერალურ ინსპექტორებს უტევდა.**

ნაციონალური უსაფრთხოების სფეროში მოქმედებებისას აუცილებელი ნორმების დაცვისა და კონტროლის საქმეში კონგრესისა და სასამართლოების ჩავარდნების დაგვირგვინება არის მასმედიის სიფრთხილე საიდუმლო აგენტების მაკონტროლებლის როლში იმ ყველაფერთან მიმართებაში, რაც დემოკრატიას ეხება. **იმისათვის, რომ შეაღწიონ პოლიტიკისა და სადაზვერვო სამსახურების საიდუმლოებებში, მასმედიას „თეთრი ყვავები“ და ინფორმატორები სჭირდება, მაგრამ, როგორც წესი, ისინი იგნორირებას უკეთებენ ამ ინფორმატორებთან ანგარიშსწორებას. ხშირად ისინი მალავენ ინფორმატორების მიერ მიწოდებულ იმ ცნობებს, რომლებიც კრიტიკულია უმაღლესი რანგის ჩინოვნიკებისა და სახელისუფლო ორგანიზაციების მიმართ და ამ უკანასკნელებთან მისასვლელ გზას იტოვებენ.** Washington Post-ის წარმომადგენელმა დევიდ იგნატიუსმა განაცხადა, რომ ჟურნალისტები ინტუიტიურად ინფორმატორების მხარეს არიან, მაგრამ იქვე დასცინა ედვარდ სოუდენს, რომელმაც აჩვენა, რომ ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტო ისმენს მილიონობით ამერიკელის სატელეფონო საუბრებს და აკონტროლებს ასობით მილიონი უცხოელის ინტერნეტაქტივობას. იგნატიუსმა აპატია კიდეც ცსს-ს და დაეყრდნო საიდუმლო აგენტებს, რომლებიც წარმოადგენდნენ ცსს-ს ნაციონალური საიდუმლო სამსახუროს მუშაობის ცალმხრივ სურათს. მისი რომანი „სისუფთავის აგენტები“ წარმოადგენს ანგარიშს ცსს-ს პროფესიონალიზმის შესახებ.

საქმე ის არის, რომ **ინფორმატორები კარგი წყაროები არიან მხოლოდ მცირე დროის მანძილზე, ჟურნალისტები კი უფრთხილდებიან, ცდილობენ, არაფერი აწყენინონ მათ, ვინც პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს იღებენ, რათა მათთან ხანგრძლივი დროის მანძილზე ჰქონდეთ მისასვლელი გზა. ეს მშვენივრად ხსნის იმ ტრადიციულ ანალიზს, რომელსაც პრეს-კორპუსი თხზავს და ამ უკანასკნელის უარსაც — ესროლოს გამოწვევა ოფიციალურ წყაროებს.**

საგარეო პოლიტიკაში გადაწყვეტილებების მიღების პროცესში დისბალანსის შედეგად ჩვენ სრული წრე გავიარეთ დემოკრატიისთვის მსოფლიოს გაუსაფრთხოების მსურველი ვუდრო ვილსონის პრეზიდენტობიდან ბუშისა და ობამას პრეზიდენტობამდე. ამ უკანასკნელთ მსოფლიო ძალზე სახიფათოდ ეჩვენებოდათ საიმისოდ, რომ კონსტიტუციური დემოკრატია დაეცვათ. **ვიეტნამის ომის ექსცესებმა, უოტერგეიტმა, ირან-კონტრასმა და ტერორთან გლობალურმა ომმა თავისი როლი შეასრულეს ნაციონალური უსაფრთხოების სახიფათო სახელმწიფოსა და გასაიდუმლოების კულტურის ჩამოყალიბებაში. ინფორმატორები, შესაძლოა, დაგვეხმარონ იმის გარკვევაში, ამართლებს თუ არა დასახული მიზანი იმ საშუალებებს, რომელთაც მიმართავენ ხოლმე ამგვარი ექსცესების დროს.**

ამავე დროს, თავად გასაიდუმლოება აშშ-ში სახიფათო თავხედობას წაახალისებს. გასაიდუმლოების ბოროტად გამოყენება ზღუდავს საგარეო პოლიტიკის საკითხებზე აუცილებელ დებატებსა და დიალოგებს და უმალავს მოქალაქეებს ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც შეიძლება მსჯელობა პოლიტიკასა და პოლიტიკურ შეხედულებებზე. მხოლოდ გახსნილობის კულტურას და საგარეო პოლიტიკის წარმოებისას ძალაუფლების ბალანსს შეუძლია შემოაბრუნოს გასული ათწლედის დამანგრეველი პროცესები. **ვიდრე კონგრესი პრეზიდენტს უთმობს საგარეო პოლიტიკის წარმოებას, სასამართლოები საქმეში ერევიან პრეზიდენტის ძალაუფლებისთვის ნებისმიერი პრობლემის თავიდან ასაცილებლად, მედია კი ოფიციალური წყაროებისკენ იხრება, ამერიკას ინფორმატორები სჭირდება.**

CounterPunch

ამერიკის ნაციონალური დაზვერვა, რომელიც ამ ქვეყნის სადაზვერვო საზოგადოებას მთლიანად აკონტროლებს, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს, გამოძიების ფედერალური ბიუროს, უსაფრთხოების ნაციონალური სააგენტოს და კიდევ 13 სპეცსამსახურის ჩათვლით, ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ ამუშავებდა კანონპროექტს „კიბერუსაფრთხოების პოლიტიკა“. ის ინტერნეტის მომხმარებლებზე ტოტალური კონტროლის განხორციელების საშუალებას იძლეოდა და „მომხმარებლებში“ არა მხოლოდ ამერიკელები, არამედ სხვა ქვეყნების მოქალაქეებიც მოიაზრებოდნენ.

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# უფროსი ძმის ყოვლისმჭვრეტელი თვალი

**ევროპასა და აშშ-ს აზანზარებს სკანდალები, რომლებიც პლანეტის მოსახლეობის ტოტალური თვალთვალის სისტემების ფორმირებას უკავშირდება. ივნისის შუა რიცხვებში მოქალაქეთა უფლებების დაცვის ამერიკული კავშირის უფლებადამცველებმა მოსმენების გამო ამერიკის ხელისუფლებასა და სპეცსამსახურებს უჩივლეს. ამავე დროს ევროკავშირმა მოითხოვა ახსნა-განმარტებები აშშ-ის სპეცსამსახურების მიერ ევროკავშირის წევრი ქვეყნების მოქალაქეების სატელეფონო საუბრებისა და ინტერნეტ-აქტივობების შესახებ ინფორმაციის შეგროვების გამო.**



იუსტიციის საკითხთა ევროკომისარმა ვივიენ რედინგმა აშშ-ის გენერალურ პროკურორს, **ერიკ ჰოლდერს**, გაუგზავნა წერილი მოთხოვნით, მიაწოდოს ინფორმაცია PRISM-ის და მონაცემთა ძებნისა და შეგროვების სხვა პროგრამების შესახებ, ასევე იმ კანონების შესახებაც, რომლებიც ნებას იძლევა ამგვარი ოპროგრამების რეალიზებისთვის. წერილში აღნიშნულია, რომ ეს პროგრამები შესაძლოა ევროპელთა ფუძემდებლურ უფლებებს არღვევდეს...

სკანდალი განაპირონა Guardian-სა და Washington Post-ში გამოქვეყნებულმა სტატიებმა. ამ პუბლიკაციების თანახმად, აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიურო და ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტო პირდაპირ წვდომას ფლობენ პლანეტის 9 წამყვანი ინტერნეტ-კომპანიის (**Microsoft, Yahoo, Google, Facebook, PalTalk, AOL, Skype, YouTube, Apple**) სერვერებთან, საიდანაც იღებენ ინფორმაციას ადამიანების გადაადგილებისა და კონტაქტების შესახებ. ჟურნალისტებს საიდუმლო დოკუმენტები გადასცა ჰონკონგში გაქცეულმა ნაციონალური უსაფრთხოების სააგენტოსა და ცსს-ს ყოფილმა ტექნიკურმა თანამშრომელმა ედვარდ სნოუდენმა. ბრიტანული მედიის ინფორმაციით, მოქალაქეთა შესახებ ინფორმაციის შეგროვებაში აქტიურად მონაწილეობდნენ ბრიტანეთის სპეცსამსახურები, რომელთაც ასევე ჰქონდათ წვდომა პროგრამა PRISM-თან. ინგლისის პარლამენტის დაზვერვისა და უსაფრთხოების კომიტეტის უფროსმა განაცხადა, რომ სპეცსამსახურებს ამერიკელი კოლეგებისთვის ინფორმაციის გადაცემა მხოლოდ ბრიტანეთის ხელისუფლების პირდაპირი სანქციის შემდეგ შეეძლოთ.

მიუხედავად სკანდალის ირგვლივ ატეხილი მსოფლიო მასშტაბის ხმაურისა, პასუხი კითხვაზე, თუ რაში სჭირდებათ ანგლოსაქსებს გლობალური მასშტაბით სპეციალიზებული სადაზვერვო ტექნოლოგიების გამოყენება, უპასუხოდ რჩება. ასევე არაფერია ნათქვამი პირდაპირ კავშირზე ახლანდელ სკანდალებსა და იმ ერთიანი გლობალური ფინანსური ცენტრის შექმნისთვის წინააღმდეგობის მორიგ მცდელობაზე, რომელიც მთელი პლანეტის ფინანსურ სისტემას გააკონტროლებს, თუ შემთხვევით მოხერხდება მისი გაშლის თავიდან აცილება ან თუნდაც ოდნავ გადავადება.

**ამერიკის ნაციონალური დაზვერვა, რომელიც ამ ქვეყნის სადაზვერვო საზოგადოებას მთლიანად აკონტროლებს, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს, გამოძიების ფედერალური ბიუროს, უსაფრთხოების ნაციონალური სააგენტოს და კიდევ 13 სპეცსამსახურის ჩათვლით, ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ ამუშავებდა კანონპროექტს „კიბერუსაფრთხოების პოლიტიკა“.** ის ინტერნეტის მომხმარებლებზე ტოტალური კონტროლის განხორციელების საშუალებას იძლეოდა და „მომხმარებლებში“ არა მხოლოდ ამერიკელები, არამედ სხვა ქვეყნების მოქალაქეებიც მოიაზრებოდნენ. აშშ-ის ნაციონალური დაზვერვის მაშინდელი დირექტორი ადმირალი მაიკ მაკკონელი კი აცხადებდა, რომ კონტროლი მნიშვნელოვანწილად გამკაცრდებოდა. **2013 წლის ივნისში იმავე თანამდებობაზე ამჟამად მომუშავე ჯეიმს კლეპერმა დაადასტურა, რომ აშშ-ის სპეცსამსახურები პერსონალურ მონაცემებს აგროვებენ იმ ინტერნეტ-მომხმარებლებზე, რომლებიც არ არიან აშშ-ის მოქალაქეები და საზღვარგარეთ ცხოვრობენ.** ცსს-ს ყოფილი დირექტორის — **დევიდ პეტრეუსის** განცხადების თანახმად, **თვით სარეცხი მანქანის ჩათვლით ნებისმიერი მოწყობილობის გამოყენება შეიძლება ინტერესის ობიექტის სათვალთვალოდ.** პეტრეუსი ირწმუნება, რომ ინტერნეტთან მიერთებული საყოფაცხოვრებო მოწყობილობები მნიშვნელოვნად ამარტივებს ეჭვმიტანილებზე თვალთვალს და რომ მომავალში წარმოდგენები იმის შესახებ, თუ რა წარმოადგენს საიდუმლოს და რა არა, მნიშვნელოვნად შეიცვლება.

2013 წლის აპრილში აშშ-მა დააკანონა ინტერნეტის საშუალებით მოქალაქეებზე კონტროლი. მაშინ კონგრესის დაზვერვის კომიტეტმა მოიწონა კანონპროექტი, რომელიც აფართოებდა სამართალდამცავი ორგანოების უფლებამოსილებებს და ნებას რთავდა მათ ინტერნეტში ინფორმაციის, ასევე აშშ-ის მოქალაქეთა გადაადგილების კონტროლისთვის. კანონპროექტი ჯერ კიდევ 2011 წელს წარადგინეს, მაგრამ მაშინ მისი მიღება ვერ მოხერხდა ახლანდელის მსგავსი სკანდალის გამო — „The Wall Street Journal“-მა გამოაქვეყნა ინტერნეტსა და ფიჭურ კავშირგაბმულობაზე გლობალური თვალთვალის დამადასტურებელი 200-მდე დოკუმენტი.

**ტექნოლოგიები, რომელთაც აშშ თვალთვალის, მოსმენებისა და ინტერნეტმომხმარებლების კონტროლისთვის იყენებს, არა მხოლოდ პოლიტიკურ-ძალოსნური კონტროლის საშუალებებია. ეს ტექნოლოგიები ერთ-ერთ საკვანძო ინსტრუმენტად იქცა გლობალური მასშტაბით ეკონომიკის რეგულირების საქმეში.** ამ თვალთვალის მასშტაბები, როგორც გერმანიის იუსტიციის მინისტრი საბინე შნარენბერგერი ამბობს, სახიფათოა, რადგან ეს ყველაფერი ვერ აიხსნება მხოლოდ ტერორიზმთან ბრძოლით, ასეთი მასშტაბური ქმედებები და თავად მიზანი არ შეიძლება გამართლდეს ნებისმიერი საშუალებით.

აღნიშნული ტექნოლოგიების გამოყენების გაფართოებას შეუძლია, პლანეტაზე მთელი სოციალ-ეკონომიკური სისტემა შეცვალოს.

უკვე დღეს ადამიანები, რომლებიც ევროპის მოსახლეობის თვითნებურად შექმნილ მონაცემთა ბაზაში მონიშნულნი არიან ტერორისტებთან კავშირში ეჭვმიტანილებად, სერიოზულ სანქციებს ექვემდებარებიან და მათი, როგორც ადამიანების, ფუნდამენტური უფლებები ირღვევა. არ არსებობს საზოგადოებრივი კონტროლი იმაზე, თუ ვინ და რის საფუძველზე შეადგენს „შავ სიებს“. მასში შეიძლება ნებისმიერი მოქალაქე მოხვდეს. მიზეზად შეიძლება გამოდგეს ნებისმიერი გადაუმოწმებელი ჭორი, რომელიც არაკეთილმოსურნეებმა გაავრცელეს.

**ბაზაში მოხვედრის შედეგები უსერიოზულესია. ადამიანი კარგავს სამსახურს, სამართლებრივ დახმარებას, ხშირად მთელ ქონებას და დანაზოგს, რომელსაც ყოველგვარი გამოძიებისა და სასამართლოს გარეშე უყინავენ.** უფრო მეტიც, ევროკავშირის საიდუმლო სტრუქტურები, რომლებიც ვითომდა ტერორიზმს ებრძვიან, უარს აცხადებენ, აღიარონ ადამიანის უფლებათა სასამართლოს გადაწყვეტილებები. ვერაფერს ახერხებს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაც — მისმა სპეცწარმომადგენელმა დიკ მარტიმ „შავი სიების“ შედგენას უსამართლობა და გარყვნილება უწოდა...

თვალთვალისა და კონტროლის ტექნოლოგიების განვითარების სიჩქარე ფაქტობრივად არ უტოვებს საზოგადოებას დროს უამრავ დარღვევაზე რეაგირებისა და წინააღმდეგობისთვის. ამავე დროს იზრდებიან და ამომრჩევლებად იქცევიან ბავშვები, რომლებიც დაბადებიდანვე მიჩვეულნი არიან საკუთარი კონფიდენციალობის დეფიციტს და უპრობლემოდ არღვევენ სხვათა კონფიდენციალობას. სათვალთვალო და მოსასმენი ტექნიკა სწრაფად იაფდება და თვით სკოლის მოსწავლეებისთვისაც კი ადვილად ხელმისაწვდომი ხდება.

**ეკონომიკურ ასპექტში ამ ტექნოლოგიების კომერციალიზაცია საზოგადოების დამატებით დაყოფას განაპირობებს როგორც ცალკე აღებულ ქვეყანაში, ასევე გლობალური მასშტაბით. სუბიექტების ნაწილი ფულს აბანდებს სულ უფრო სრულყოფილ ტექნოლოგიებში, მათ შორის ელექტრონულ დაზვერვასა და დეზინფორმაციაში, რაც ფინანსურ და სხვა სახის უპირატესობებს განაპირობებს. ამავე დროს ბაზრის მონაწილეთა უმეტესობა იქცევა ბრიყვად, რომელსაც არ შეუძლია უზრუნველყოს რესურსების დაცვა, რადგან არ გააჩნია მაღალტექნოლოგიური შეტევისგან თავის დაცვის საშუალებები. იქმნება ჩაკეტილი წრე.**

იმისათვის, რომ ამგვარ ბრიყვებად არ იქცნენ, იაპონიისა და ევროპის ხელისუფლებები გლობალური კონტროლის საქმეში საკუთარი წვლილის შეტანისთვის თავს არ ზოგავენ. იაპონიის ხელისუფლებამ ჯერ კიდევ 5 წლის წინ დაიწყო ერთ-ერთ კუნძულზე ექსპერიმენტი სახელწოდებით „ჰაიტეკ-ცხოვრების ზონები“. RFID-ტექნოლოგიის და საგნებსა თუ ადამიანებზე მიმაგრებული ჩიპების საშუალებით კონტროლდებოდა ყველა და ყველაფერი.

**Фонд стратегической культуры**

# ბატონო მინისტრო, (დაუ)რეკეთ ჯანგიძეს!

ღია წერილი თავდაცვის მინისტრს, ბატონ ირაკლი ალასანიას

**მოგახსენებთ, რომ ჩვენი ეზო დავით აღმაშენებლის გამზირის №146-ში მდებარეობს და თავდაცვის სამინისტროს ემიჯნება. ამ უკანასკნელს კი ჩვენს საცხოვრებელ სახლთან ნაგავსაყრელი აქვს მოწყობილი. ირღვევა ყველანაირი სანიტარული ნორმა, აუტანელი სუნის გამო ფანჯარას ვერ ვაღებთ, განსაკუთრებით ახლა, ზაფხულში. აღარაფერს ვამბობთ ბუზებსა და მღრღნელებზე! მუდმივად ვიწამლებით!**

ამას გარდა, ჩვენი სახლი 2002 წლის მიწისძვრისგან ძლიერ დაზიანდა და ავარიულია. დასუფთავების სამსახურის მანქანები ნაგვის გატანის დროს ქმნიან ვიბრაციას, რაც დანგრევის საფრთხეს უქმნის სახლს. ნუთუ ასე ძნელია ნაგავსაყრელის აქედან გადატანა?

შაშკინის პერიოდიდან მოყოლებული, არაერთხელ მივმართეთ თქვენი უწყების წარმომადგენლებს, რათა ეს საქმე მოეგვარებინათ, მაგრამ უშედეგოდ. სულ ბოლოს, ერთი წლის წინ ნაგავსაყრელის გადატანა ვთხოვეთ სამეურნეო სამსახურის უფროსს, პოლკოვნიკ ჯანგიძეს, რომელიც მხოლოდ დაპირებით შემოიფარგლა.

ძალიან კარგად გვესმის, რომ ასეთ საკითხზე უხერხულია თავდაცვის მინისტრის შეწუხება, მაგრამ სხვა გამოსავალი არ დაგვრჩა. როგორც ჩანს, სამეურნეო სამსახურის უფროსი მხოლოდ მაშინ ამოქმედდება, როდესაც უშუალოდ მინისტრისგან მიიღებს ბრძანებას. იმედი გვაქვს, რომ თქვენი ჩარევის შემდეგ გათვალისწინებენ ჩვენს თხოვნას და ნაგავსაყრელს ეზოდან უსაფრთხო მანძილზე გადაიტანენ.

**დავით აღმაშენებლის №146-ის მცხოვრებნი**





# გიგი უგულავა: თუ რჩეულიშვილს ჰგონია, რომ ეს თანხა შერჩება, ძალიან ცდება

**თბილისის მერი გიგი უგულავა „ცენტრ პოინტს“ სასამართლოში უჩივის. როგორც თბილისის მერმა 16 ივლისს, სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ განაცხადა, კომპანიისთვის 11 მილიონი ლარი სესხის სახით იყო მიცემული.** „როდესაც კომპანიას უმსგავსი მენეჯმენტი მოშორდა და მძიმე მდგომარეობაში იყო, ეს სესხის სახით გადაცემული თანხაა. სესხის ვადა უკვე გავიდა და შესაბამისად, მერიამ სასამართლოში სარჩელი შეიტანა, რომ კომპანიიდან ეს თანხა ამოვიღოთ. ეს არის ჩვეულებრივი პროცედურა და, თუ რჩეულიშვილს ჰგონია, რომ ეს თანხა შერჩება, ძალიან ცდება“, — განაცხადა უგულავამ.



მართალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გავლენის ზონის შემდგომი გაფართოების შემთხვევაში, ამომავალი მზის ქვეყანა აუცილებლად დაუპირისპირდებოდა სხვა ქვეყნების – აშშ-ის, ინგლისისა და სსრ კავშირის ინტერესებს. გადასაწყვეტი იყო საკითხი — მათგან პირველ რიგში რომელთან უნდა დაეწყოთ ომი?**




იგორ პიხალოვი

# ყველაზე ბილწი მითები სტალინზე

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. №17-25 (204-212)**

## როგორ ებრძოდა მარშალი ბლიუხერი იაპონელებს

**ხრუშჩოვის დროიდან მოყოლებული მიაჩნიათ, რომ სამამულო ომის წინა წლებში რეპრესირებული საბჭოთა სარდლები სამხედრო საქმის გენიოსები იყვნენ.**

**მართლა ასე იყო?**

**მაგალითისთვის განვიხილოთ საბჭოთა კავშირის მარშალ ვასილი ბლიუხერის მოღვაწეობა.**

გასული საუკუნის 30-იან წლებში მოახლოებული მსოფლიო ომის სუნი იგრძნობოდა. იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც ემზადებოდნენ აქტიური მონაწილეობა მიეღოთ მსოფლიოს მორიგ გადანაწილებაში, იყო იაპონიაც, რომელიც სამოქალაქო ომით დაგლეჯილ-დანაწევრებულ ჩინეთზე ექსპანსიას აძლიერებდა თავისი საგარეო პოლიტიკის კონცენტრირებით. 1931 წლის სექტემბერში დაიწყო იაპონური აგრესია მანჯურიაში, მომდევნო წლის 1 მარტს კი გამოაცხადეს, რომ აქ წარმოიქმნა მარიონეტული სახელმწიფო მანჯოუ-გო.

გავლენის ზონის შემდგომი გაფართოების შემთხვევაში, ამომავალი მზის ქვეყანა აუცილებლად დაუპირისპირდებოდა სხვა ქვეყნების – აშშ-ის, ინგლისისა და სსრ კავშირის ინტერესებს. გადასაწყვეტი იყო საკითხი — მათგან პირველ რიგში რომელთან უნდა დაეწყოთ ომი? პოტენციურ მოწინააღმდეგეთა შორის ყველაზე სუსტად საბჭოთა კავშირს მიიჩნევდნენ. იაპონიის სამხედრო ძალებს უკვე ჰქონდათ რუსეთზე გამარჯვების გამოცდილება 1904-05 წლების ომში. სამოქალაქო ომის დროს იაპონელი ინტერვენტები ციმბირიდან და შორეული აღმოსავლეთიდან, ფაქტობრივად, დაუმარცხებლები წავიდნენ. მაგრამ იაპონელებს ესმოდათ, რომ მათი ჩრდილოელი მეზობელი უზარმაზარ პოტენციალს ფლობდა. გასარკვევი ჰქონდათ მხოლოდ ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა — ისწავლეს თუ არა რუსებმა ახალ, ტანკებისა და თვითმფრინავების ეპოქაში ბრძოლა. ამის გაგება კი მხოლოდ ბრძოლის ველზე შეიძლებოდა.

საბჭოთა საზღვრების დაცულობის გასარკვევად აირჩიეს ერთი მონაკვეთი — ვლადივოსტოკის რაიონში ხასანის ტბისა და მდინარე ტიუმენ-ულას სოპკების მთაგრეხილით გაყოფილი რაიონი. ხუნჩუნის ოქმის თანახმად, რომელიც რუსეთსა და ჩინეთს შორის 1886 წელს გაფორმდა, საზღვარი სოპეების თხემზე უნდა გასულიყო. იაპონელები აპირებდნენ მის გადაწევას ტბის ნაპირამდე, რადგან სოპკებიდან ხელისგულივით ჩანდა მთელი სასაზღვრო რაიონი და, უწინარეს ყოვლისა, იქ გამავალი რკინიგზა და საავტომობილო გზატკეცილი. გაბატონებული სიმაღლე მათ ამ გზებზე კონტროლის განსახორციელებლად სჭირდებოდათ.

ჯერ კიდევ 1929 წელს, სსრკ-ჩინეთის კონფლიქტის დროს აღმოსავლეთ ჩინეთის რაიონში საბჭოთა საზღვრების დასაცავად შეიქმნა შორეული აღმოსავლეთის წითელდროშოვანი არმია (ОКДВА). 1935 წლის 17 მაისს მის ბაზაზე დაფუძნდა შორეული აღმოსავლეთის სამხედრო ოლქი, მაგრამ 2 ივნისს იგი კვლავ თავის პირვანდელ ორგანიზაციულ ფორმას დაუბრუნდა, თუმცა შეუნარჩუნდა სამხედრო ოლქის ფუნქცია. დაბოლოს, 1938 წლის 28 ივნისს თავდაცვის სახალხო კომისრის №0107 ბრძანებით, სსრკ-იაპონიის ურთიერთობის გამწვავებასთან დაკავშირებით, ОКДВА-ს ბაზაზე შეიქმნა შორეული აღმოსავლეთის ფრონტი.

სახელწოდებათა ამ გადარქმევისა და გადაფორმების პროცესში უცვლელად რჩებოდა ერთი რამ — სარდალი. **იმთავითვე ეს ადგილი დაკავებული ჰქონდა „სამოქალაქო ომის ლეგენდარულ გმირს“. წითელი დროშისა და წითელი ვარსკვლავის ორდენების პირველ კავალერს, საბჭოთა კავშირის მარშალს — ვასილი კონსტანტინეს ძე ბლიუხერს, რომელსაც საბჭოთა სამხედრო მეთაურთა წრეში შორეული აღმოსავლეთის საკითხთა სპეციალისტად მიიჩნევდნენ.** 1921-1922 წლებში იგი შორეული აღმოსავლეთის რესპუბლიკის სამხედრო მინისტრი და სახალხო-გამათავისუფლებელი არმიის სარდალი იყო. 1924-1927 წლებში, ჩინეთთან ურთიერთობის გაწყვეტამდე მთავარ სამხედრო მრჩევლად იყო გამწესებული ამ ქვეყანაში. დაბოლოს, სწორედ მისი სარდლობით წითელი არმიის ნაწილებმა დაამარცხეს ჩინეთის ჯარები შორეული აღმოსავლეთის რკინიგზაზე შეტაკების დროს.

თანამედროვე არმიის წინააღმდეგ ბრძოლის გამოცდილება ბლიუხერს არ ჰქონდა: შორეული აღმოსავლეთის საომარ მოქმედებათა თეატრი ის ასპარეზი არ იყო, სადაც მას შეეძლო ამ გამოცდილების შეძენა. ამავე დროს, 1938 წლისთვის იგი უკვე აღარ იყო ის გაბედული და მამაცი სარდალი, როგორც უწინ. მან თავი წარმოიდგინა უკიდეგანო ოლქის ერთპიროვნულ მმართველად. მიეჩვია სმასა და დროსტარებას მლიქვნელთა წრეში. 1932 წელს მესამედ ითხოვა ცოლი, ამჯერად — 17 წლის გლაფირა ბეზვერხოვაიაზე დაქორწინდა (ბლიუხერი იმ დროს 42 წლისა იყო).

**სარდლად ყოფნის 9 წლის განმავლობაში ბლიუხერმა ვერა და ვერ მოიცილა, ტრანსციმბირის მაგისტრალის გასწვრივ ავტოტრასის გაშენებისთვის დაედგა თავი. საკმარისი იყო, ომის დროს იაპონელ დივერსანტებს აეფეთქებინათ ორიოდ ხიდი ან გვირაბი და მთლიანად მოიშლებოდა საბჭოთა ჯარების აღჭურვილობით, საბრძოლო მასალითა და საკვებით მომარაგება. ბლიუხერის შემდეგ მისულმა შორეული აღმოსავლეთის ფრონტის ახალმა სარდალმა აპანასენკომ ასეთი გზა წელიწად-ნახევარში გაიყვანა.**

ბლიუხერის სარდლობის ქვეშ მყოფი ჯარები თანდათან კარგავდა ბრძოლისუნარიანობას, დეგრადირდებოდა. სამხედრო მომზადების დაცვლად წითელარმიელები მუდმივად მიჰყავდათ სხვადასხვა სამეურნეო სამუშაოს შესასრულებლად. როცა 1938 წელს, იაპონელებთან მოსალოდნელი კონფლიქტის წინ მოსკოვიდან კატეგორიულად მოითხოვეს ასეთ სამუშაოებზე მივლინებული ჯარისკაცების თავიანთ ნაწილებში დაბრუნება, ბლიუხერმა ბრძანება ერთ ყურში შეუშვა და მეორედან გაუშვა. ტანკისტები არ იცნობდნენ თავიანთ მანქანებს, ავიაცია სუსტად იყო მომზადებული.

ამ ფონზე აქაური სარდლობა მოსკოვში წლიდან წლამდე აგზავნიდა ოპტიმისტურ პატაკებს იმის შესახებ, რომ წითელარმიელთა სამხედრო და პოლიტიკური მომზადება უმაღლეს დონეზე იყო დაყენებული. ასეთივე სულისკვეთებისა იყო ბლიუხერის მრავალსაათიანი მოხსენება, რომელიც მან 1938 წლის 28-31 მაისს მთავარი სამხედრო საბჭოს სხდომაზე წაიკითხა.

1938 წლის 13 ივნისს იაპონელების მხარეს გადავიდა შინსახკომის შორეული აღმოსავლეთის სამმართველოს უფროსი, სახელმწიფო უშიშროების მე-3 რანგის კომისარი — გენრიხ ლიუშკოვი. ახალ პატრონებს მან წვრილად მოუთხრო საბჭოთა ჯარების დისლოკაციის შესახებ, გადასცა რადიოკავშირის გატაცებული შიფრები, სიები და ოპერატიული დოკუმენტები.

ორი დღის შემდეგ იაპონიის საქმეთა რწმუნებული საბჭოთა კავშირში გამოცხადდა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში, ოფიციალურად მოითხოვა საბჭოთა მესაზღვრეების გამოყვანა ხასანის ტბას მიმდებარე მაღლობებიდან და ამ ტერიტორიის იაპონიისთვის გადაცემა. 20 ივლისს იაპონიის ელჩმა მოსკოვში — მ. სიგემიცუმ გაიმეორა თავისი მთავრობის ულტიმატუმი. ამასთან, განაცხადა, რომ, თუ იაპონიის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდებოდა, იაპონია ძალას გამოიყენებს.

**საბჭოთა ხელმძღვანელობა შესანიშნავად აცნობიერებდა, რომ ასეთ მოთხოვნაზე შეიძლებოდა ერთადერთი ადეკვატური პასუხის გაცემა: 22 ივლისს თავდაცვის სამხედრო კომისარმა კლიმენტი ვოროშილოვმა გასცა დირექტივა შორეული აღმოსავლეთის ფრონტის საომარ მზადყოფნაში მოყვანის შესახებ. მოვლენათა ამგვარმა შემობრუნებამ ბლიუხერი ენთუზიაზმით არ აღანთო. ახალგაზრდა ცოლთან და ერთ ბოთლ არაყთან დაბრუნების სურვილით ატეხილმა თვითნებურად გადაწყვიტა კონფლიქტის „მშვიდობიანად მოწესრიგება“.** 24 ივნისს მან თავისი საკუთარი შტაბისგან მალულად, აგრეთვე, ისე, რომ არაფერი შეატყობინა ხაბაროვსკში მყოფ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ფრინოვსკისა და თავდაცვის სახალხო კომისრის მოადგილე მეხლისს, ზაოზერნაიას სიმაღლეზე გააგზავნა კომისია. „შესწავლის“ შედეგად კომისიამ, რომელმაც „იმუშავა“ ადგილობრივი სასაზღვრო უბნის უფროსის მონაწილეობის გარეშე, დაადგინა, რომ კონფლიქტის წარმოქმნა ჩვენი მესაზღვრეების ბრალია, რომლებმაც საზღვარი თითქოსდა 3 მეტრით დაარღვიეს.

ამ „დიპლომატიური“ სვლის შედეგებზე დაყრდნობით ბლიუხერმა თავდაცვის სახალხო კომისარს გაუგზავნა დეპეშა, რომლითაც კატეგორიულად მოითხოვდა საზღვრის უბნის უფროსისა და „კონფლიქტის პროვოცირებაში დამნაშავე“ სხვა პირების დაპატიმრებას. მაგრამ ამ „მშვიდობიან ინიციატივას“ მოსკოვში მხარი არ დაუჭირეს, პირიქით, კომისიებით ფუსფუსისა და ცოდვილობის შეწყვეტა და იაპონელებისთვის საკადრისი პასუხის გაცემა კატეგორიულად მოითხოვეს.

ამასობაში, 29 ივლისს იაპონელების ორმა ასეულმა გადალახა საბჭოთა საზღვარი, ბეზიმიანნაიას მაღლობზე შეუტია სასაზღვრო საგუშაგოს, რომელსაც 11 მესაზღვრე იცავდა. დაუნდობელი ბრძოლის შედეგად, მათ შეძლეს სიმაღლის ხელში ▶





ბრძოლის ველზე დარჩენილი ტექნიკა

## ისრაელის ვიზების მიღება დროებით შეზღუდულია

**ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა გაფიცვის გამო საქართველოში ვიზების მიღება დროებით შეზღუდულია. საქართველოში ისრაელის საელჩოს საკონსულო განყოფილება მოქალაქეებს საკონსულო მომსახურებას დროებით ვერ უწევს. როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოში ისრაელის საელჩოდან აცნობეს, ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამშრომელთა გაფიცვა დაახლოებით სამი კვირა გრძელდება. საელჩოში ვერ აკონკრეტებენ, თუ როდის დასრულდება ისრაელის საგარეო უწყების თანამშრომელთა გაფიცვა.** ამასთან, საელჩოში არც უარყოფენ და არც ადასტურებენ, რომ გაფიცვა ხელფასების მომატების მოთხოვნით მიმდინარეობს.

ისრაელის საელჩო აცხადებს, რომ საელჩოს საკონსულო განყოფილება საქართველოში მოქალაქეებს საკონსულო მომსახურებას მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში გაუწევს, კერძოდ, ისრაელის მოქალაქეებისთვის გადაუდებელი შემთხვევების დროს: გადაუდებელი სამედიცინო გამგზავრების, მიცვალებულის გადასვენებისა და სუროგატების მომსახურების შემთხვევებში. როგორც „ინტერპრესნიუსისთვის“ გახდა ცნობილი, აღნიშნულის გამო საქართველოში მოქმედი ტურისტული კომპანიები და მომლოცველთა ჯგუფები ისრაელში ტურისტული ტურების მოსაწყობად ვიზებს ვერ იღებენ.



# საქმე იქამდე მივიდა, რომ პირდაპირი ხაზით საუბრის დროს სტალინმა მას მიუკიბავ-მოუკიბავად ჰკითხა: „პატიოსნად მიპასუხეთ, ამხანაგო ბლიუხერ, გაქვთ თუ არა სურვილი, ნამდვილად ეომოთ იაპონელებს?

მართალი ისტორია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ჩაგდება, მაგრამ დასახმარებლად მისულმა მესაზღვრეთა რეზერვმა და მსროლელთა ასეულმა იაპონელები უკუაქცია.

ორი დღის შემდეგ იაპონელებმა მცდელობა გაიმეორეს: 31 ივლისის დილის 3 საათზე არტილერიის ცეცხლი გახსნეს, ორი პოლკით ზაოზერნაიასა და ბეზიმიანნაიას შეუტიეს და ოთხსაათიანი ბრძოლის შემდეგ დაიკავეს. ეს ძირითადად იმიტომ შეძლეს, რომ განხორციელებული არ იყო ჯარის სხვა ნაწილების მიერ მესაზღვრეთა მხარდაჭერის ქმედითი ღონისძიებები. ეს ჯარები ამ დროს ბრძოლის რაიონს 30-40 კილომეტრით იყო დაცილებული.

ბლიუხერი კი შემოჭრილი აგრესორისთვის შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევას, ფაქტობრივად, საბოტირებდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ პირდაპირი ხაზით საუბრის დროს სტალინმა მას მიუკიბავ-მოუკიბავად ჰკითხა: „პატიოსნად მიპასუხეთ, ამხანაგო ბლიუხერ, გაქვთ თუ არა სურვილი, ნამდვილად ეომოთ იაპონელებს? თუ ასეთი სურვილი არ გაქვთ, მითხარით დაუფარავად, როგორც კომუნისტს ეკადრება, და თუ გაქვთ სურვილი, მიმაჩნია, რომ ვალდებული ხართ, დაუყოვნებლივ ჩახვიდეთ ადგილზე“ (*თავდაცვის სახალხო კომისრის ბრძანებები, 1994., გვ. 59*).

მაგრამ ადგილზე ჩასული მარშალი მხოლოდ ხელს უშლიდა თავის ქვეშევრდომებს. კერძოდ, დაჟინებით უარს ამბობდა იაპონელების წინააღმდეგ ავიაციის გამოყენებაზე, იმიზეზებდა, რომ ამით ზარალს მიაყენებდა კორეელ მშვიდობიან მოსახლეობას. ამასთან, სამი დღის განმავლობაში თავს არიდებდა თავდაცვის სახალხო კომისარ ვოროშილოვთან ლაპარაკს, მოსკოვთან დამაკავშირებელი პირდაპირი სატელეფონო ხაზი ამ დროს შეუფერხებლად მუშაობდა.

**საბჭოთა ტერიტორიიდან იაპონელების განდევნა 39-ე კორპუსს დაევალა. მის მეთაურად, მოსკოვიდან მიღებული ბრძანებით, დაინიშნა კორპუსის მეთაური გ. შტერნი, რომელიც მანამდე ბლიუხერის შტაბის უფროსად მუშაობდა. 9 აგვისტოს ჩვენი ნაწილები გადავიდნენ გადამწყვეტ შეტევაზე და გაყარეს იაპონელები. იაპონიის მთავრობამ მეორე დღესვე სთხოვა საბჭოთა ხელმძღვანელობას, დაეწყო მშვიდობიანი მოლაპარაკება.**

11 აგვისტოს საომარი დაპირისპირება საბჭოთა და იაპონელთა შეიარაღებულ ნაწილებს შორის შეწყდა.

**სამხედრო სპეციალისტები პრაქტიკულად ერთხმად ადასტურებენ, რომ საბჭოთა ჯარის ნაწილები საბრძოლო განგაშის მიღებისთანავე საზღვარზე სრულიად მოუმზადებლები გავიდნენ. არტბატარეები საომარი მოქმედების ზონაში ჭურვების გარეშე აღმოჩნდა, ტყვიამფრქვევების სარეზერვო ლულები წინასწარ მორგებული არ ყოფილა, შაშხანები ყოველგვარი შემოწმების გარეშე დაურიგდათ მეომრებს, ბევრი ჯარისკაცი და, რაც ყველაზე უფრო თვალშისაცემია, 32-ე დივიზიის ერთ-ერთი ქვედანაყოფი შაშხანების გარეშე გაიყვანეს ფრონტის ხაზზე. მეთაურებს და შტაბებს კონფლიქტის რაიონის რუკებიც კი არ გააჩნდათ. ჯარების ყველა სახეობა და, განსაკუთრებით, ქვეითები აბსოლუტურად არ ფლობდნენ ბრძოლის ველზე შეტაკების, მანევრირების, ადგილმდებარეობასთან მორგების ელემენტარულ ჩვევებს.**

სატანკო ნაწილები დანიშნულებისამებრ და გონივრულად ვერ იქნა გამოყენებული, რის გამოც ამ შენაერთებმა დიდი დანაკარგი განიცადეს.

შედეგად დაღუპული, ჭრილობებისგან გარდაცვლილი, უგზო-უკვლოდ გარდაცვლილთა სახით საბჭოთა მხარემ დაკარგა 960 ადამიანი, დაიჭრა და დაავადდა 3279. იაპონიის დანაკარგებმა შეადგინა — 650 მოკლული და დაახლოებით 2500 დაჭრილი. თუ გავითვალისწინებთ, რომ საბჭოთა ჯარების მხრიდან შეტაკების დროს გამოყენებული იყო ავიაცია და ტანკები, იაპონელები კი ამის გარეშე იბრძოდნენ, ეს მონაცემები სხვაგვარი უნდა ყოფილიყო.

საომარი მოქმედების დროს ჰაერში საბჭოთა ავიაცია ბატონობდა. კერძოდ, 6 აგვისტოს იაპონელების პოზიციები დაბომბა 60-მა ოთხძრავიანმა მძიმე ბომბდამშენმა ТБ-3-მა. თვითმხილველების მტკიცებით, ტუპოლევის მანქანების გამოყენების ეფექტი საოცარი იყო. აი, რას იხსენებდა ამასთან დაკავშირებით ქვემეხის მეთაური იაპონელი ტოსიო ოგავა:

„როცა დავინახე რუსული ოთხძრავიანი თვითმფრინავების არმადა, ცუდად გავხდი. მივხვდი, რომ ბევრი ჩვენგანი ხვალინდელ განთიადს ვეღარ დაინახავდა. ვაღიარებ, შემეშინდა... მიმოვიხედე და დავინახე, რომ ბევრი ჩემი ამხანაგი აქეთ-იქით აწყდებოდა თავშესაფრის ძებნაში. ზოგიერთი მიწაზე პირქვე დაემხო და ყურებში თითებს ირჭობდა, ზოგიერთი ისე შეშინდა, რომ შეეცადა, გაქცევით გადაერჩინა თავი. სამი მათგანი იქვე დახვრიტეს ჩვენი დივიზიონის შტაბის ოფიცრებმა, ერთ-ერთს კი მახვილით თავი მოჰკვეთა ლეიტენანტმა იტაკომ“.

ტოსიო ოგავა დაწვრილებით წერს იმის თაობაზეც, თუ რა ნაკლი ჰქონდა იაპონელების მხარეს — სათანადოდ არ იყო გამაგრებული მათი მოწინავე პოზიციები, რომ ოფიცრები ჯარისკაცებზე ნაკლებად არ იყვნენ დამფრთხალნი იმ ტრაგედიით, რომელიც თავს დაატყდათ და არ იცოდნენ, როგორ უნდა ემოქმედათ შექმნილ ვითარებაში, მათი მცირერიცხოვანი საზენიტო ქვემეხები ვერ უმკლავდებოდნენ საბჭოთა ბომბდამშენებს და ა. შ.

„...მოგვიანებით, — წერს იგი, — როცა ჰოსპიტალში აღმოვჩნდი, შევიტყვე, რომ ჩვენი დივიზიონიდან გადავრჩით მხოლოდ ორნი — მე და ლეიტენანტი ოტაკო“ (*ვ. კოტელნიკოვი, მეორე კლასის საჰაერო ლინკორი, ავიაციის ისტორია №5, გვ. 14*).

საბჭოთა კავშირის ისტორიაში ხშირად ხდებოდა, რომ უმაღლესი სამხედრო ხელმძღვანელობის უთაობისა და ჯარისკაცების ცუდი მომზადების გამო, ჯარის ქვედანაყოფების უფროსები თავიანთი გმირობითა და თავდებით პოულობდნენ კრიტიკული სიტუაციებიდან გამოსავალს.


წითელარმიელები უტევენ იაპონელებს

**იბადება კითხვა: ბლიუხერის მოქმედება ჩვეულებრივი დაუდევრობა იყო თუ შეგნებული საბოტაჟი და მავნებლობა? იმის გამო, რომ გამოძიების მასალები დღემდე გასაიდუმლოებულია, ცალსახა პასუხის გაცემა შეუძლებელია**

ამას, კერძოდ, ადასტურებს მეთაურთა შემადგენლობის დანაკარგები — დაიღუპა 152 მეთაური და 178 უმცროსი მეთაური.

საბჭოთა პროპაგანდამ ხასანის ტბასთან მომხდარი შეტაკება წარმოადგინა, როგორც წითელი არმიის თვალსაჩინო გამარჯვება. ქვეყანა დიდებით მოსავდა თავის გმირებს. და მართლაც, ბრძოლის ველი ჩვენს ხელთ დარჩა, მაგრამ **სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ იაპონელები მაინცდამაინც არ ცდილობდნენ სიმაღლეების შენარჩუნებას.** დამსახურებული ჯილდო ელოდა მთავარ „გმირსაც“. საომარ მოქმედებათა შეწყვეტის შემდეგ ბლიუხერი გამოიძახეს მოსკოვში, სადაც 1938 წლის 31 აგვისტოს ვოროშილოვის თავმჯდომარეობით გაიმართა წითელი არმიის მთავარი სამხედრო საბჭოს სხდომა. საბჭოს წევრები იყვნენ სტალინი, შჩადენკო, ბუდიონი, შაპოშნიკოვი, კულიკი, ლოკტიონოვი, ბლიუხერი და პავლოვი, მონაწილეობდნენ სსრკ სახკომსაბჭოს თავმჯდომარე მოლოტოვი და შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ფრინოვსკი, განიხილეს ხასანის ტბასთან განვითარებული მოვლენები და შორეული აღმოსავლეთის ფრონტის სარდლის — ბლიუხერის მოქმედება შექმნილ სიტუაციაში. შედეგად **ბლიუხერი მოხსნეს დაკავებული თანამდებობიდან, დააპატიმრეს და 1938 წლის 9 ნოემბერს დახვრიტეს (სხვა ვერსიით, იგი გამოძიების დროს გარდაიცვალა).**

ბლიუხერის ხელმძღვანელობის სავალალო გამოცდილების გათვალისწინებით, მიიღეს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით, საბჭოთა ჯარების ხელმძღვანელობა შორეულ აღმოსავლეთში არ უნდა ყოფილიყო კონცენტრირებული მაინცდამაინც ერთ ხელში. შორეული აღმოსავლეთის ფრონტის ნაცვლად შეიქმნა ორი არმია, რომლებიც დაექვემდებარა თავდაცვის სახალხო კომისარს, აგრეთვე, — იმიერბაიკალეთის სამხედრო ოლქი.

**იბადება კითხვა: ბლიუხერის მოქმედება ჩვეულებრივი დაუდევრობა იყო თუ შეგნებული საბოტაჟი და მავნებლობა? იმის გამო, რომ გამოძიების მასალები დღემდე გასაიდუმლოებულია, ცალსახა პასუხის გაცემა შეუძლებელია. მაგრამ არც ის შეიძლება, რომ ამთავითვე უარვყოთ ვერსია ბლიუხერის მოღალატეობის შესახებ. მაგალითად, ჯერ კიდევ 1937 წლის 17 დეკემბერს საბჭოთა მზვერავი რიხარდ ზორგე იტყობინებოდა იაპონიიდან:**

„საუბრობენ, მაგალითად, იმაზე, რომ არსებობს საფუძველი, იმედი იქონიონ მარშალ ბლიუხერის სეპარატისტული განწყობილების, და ამიტომ პირველი გადამწყვეტი დარტყმის შედეგად შესაძლებელი იქნება მასთან მშვიდობის მისაღწევად იაპონიისთვის სასიკეთო პირობების საფუძველზე მოლაპარაკების დაწყება (*რიხარდ ზორგეს საქმე: „უცნობი დოკუმენტები“, 2000, გვ. 15*). შორეული აღმოსავლეთის სარდლობაში ოპოზიციურად განწყობილი ჯგუფის არსებობაზე იაპონელებს მოუთხრობდა მათ მხარეს გადასული ლიუშკოვიც.

რაც შეეხება იმას, რომ შეუძლებელია დიდი დამსახურების მქონე რევოლუციური მეთაურის შეცვლა, ისტორიამ იცის მრავალი ასეთი მაგალითი: მტრის მხარეს გადავიდნენ საფრანგეთის რესპუბლიკის გენერლები დიუმურიე და მორო. ასევე უღალატეს 1814 წელს ნაპოლეონ ბონაპარტს მისმა მარშლებმა. ლაპარაკი ჰიტლერის წინააღმდეგ რაიხის გენერლების შეთქმულებაზე აღარც ღირს. მათგან ბევრს გერმანიის წინაშე იმაზე ნაკლები დამსახურება არ ჰქონდა, ვიდრე ბლიუხერს საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე.

იაპონიის სარდლობის თვალსაზრისით, დაზვერვა ბრძოლით საკმაოდ წარმატებული გამოდგა. გაირკვა, რომ რუსები უწინდებურად ცუდად იბრძვიან, რიცხობრივი და ტექნიკური უპირატესობის პირობებშიც კი.

მაგრამ შეტაკება არასაკმარისად მიიჩნიეს და ტოკიოში გადაწყვიტეს, კვლავ მოესინჯათ ძალები, რაც განახორციელეს კიდეც მომდევნო წელს მდინარე ხალხინ-გოლთან. ამ შეტაკების დროს აშკარა გახდა, რომ საბჭოთა ჯარებმა შორეულ აღმოსავლეთში აიმაღლეს ბრძოლისუნარიანობა.

**გაგრძელება იქნება**


საბჭოთა მეომრები შესვენებისას

რუბრიკას უძღვება
არმაზ სანებლიძე



## ავღანეთში მებრძოლ ბრიტანელთა უმრავლესობა თვითმკვლელობით ამთავრებს სიცოცხლეს

**ბრიტანელი ჯარისკაცები, რომლებიც ავღანეთში იმყოფებიან, უფრო ხშირად თვითმკვლელობით ამთავრებენ სიცოცხლეს, ვიდრე ბრძოლებში იღუპებიან. ამის შესახებ BBC-ის პროგრამა „პანორამის“ გამოძიებაშია ნათქვამი.**

გასულ წელს ავღანეთში სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა 50-მა ბრიტანელმა ჯარისკაცმა, მაშინ, როდესაც თალიბების ხელით 44 ჯარისკაცი დაიღუპა. დიდი ბრიტანეთის თავდაცვის სამინისტროში აღნიშნავენ, რომ თითოეული ჯარისკაცის თვითმკვლელობა, ტრაგედიაა.



ვაჰ, დროni...

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ცნობილი იყო კასტრაციის სამი ხერხი: კვერცხების და მამაკაცის ორგანოს სრული მოკვეთა; მოკვეთა მამაკაცის ორგანოსი; მხოლოდ კვერცხების მოკვეთა. საჭურისის პირველი ტიპი ყველაზე უფრო სანდოდ ითვლებოდა, ორი დანარჩენი — არა, რადგან მათ შეიძლება გასჩენოდათ სექსუალური სურვილი.**

# ჰარამხანების იდუმალი ცხოვრება



„კრონოსის მიერ ურანის დასაჭურისება“
ჯორჯო ვაზარი და ქერარდი ქრისტოფანო, XVI ს.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №17-25 (204-212)

## საჭურისები

კასტრირებული მცველების, საჭურისების (ბერძნ. Eunuchos — სარეცლის მცველები) არმია ჰყავდა ოსმანთა მბრძანებელს. მათი რაოდენობა სხვადასხვა დროს ექვსასიდან რვაასამდე მერყეობდა.

ისინი ტყვე ან მონათა ბაზარზე შესყიდული ადამიანები იყვნენ, უმეტესობა — ოსმანთა იმპერიის პროვინციების მმართველთა მიერ საჩუქრად მორთმეული.

კასტრაცია პირველად მესოპოტამიაში დაიწყეს, სადაც მატრიარქატი ბატონობდა. ამ არაადამიანურ პრაქტიკას აღმოსავლეთის მმართველი ქალბატონებიც იყენებდნენ. აღმოსავლეთის დედოფალ სემირამიდასთვის მონა მამაკაცების დაკოდვა ჩვეულებრივი ამბავი იყო. კასტრაციის პრაქტიკამ სპარსეთშიც შეაღწია, შემდეგ კი სირიიდან და ანატოლიიდან საბერძნეთსა და რომში გადავიდა. საჭურისებს იყენებდნენ ინდოეთშიც, ჩინეთშიც და მის ვასალ ქვეყნებშიც — ვიეტნამში, კორეაში და ა. შ.

**კასტრაციას ერთგვარად „იდეოლოგიური“ მიზნებისთვისაც იყენებდნენ და, აგრეთვე, დასჯის საშუალებად. მრავალ ხალხს შორის კასტრატები ითვლებოდნენ არა მარტო ფიზიკურად, არამედ სოციალურად არასრულფასოვან ადამიანებად, მამაკაცის სპერმას განიხილავდნენ სასიცოცხლო ძალის განსახიერებად და მამაკაცის დაკოდვა ნიშნავდა მისთვის სიცოცხლისა და ძალაუფლების გამოცლას. ამიტომ დაკოდავდნენ ხოლმე სამხედრო მოწინააღმდეგეებსა და დამნაშავე ქვეშევრდომთ. დამარცხებული მტრის მოჭრილი ასო ისეთივე სამხედრო ალაფად ითვლებოდა, როგორც სკალპი ინდიელებისთვის. ამგვარი „ალაფის“ უდიდეს რაოდენობაზე მიუთითებს ეგვიპტელი ფარაონების XIX დინასტიის ერთ-ერთი წარმომადგენელი. მან დაამარცხა ლიბიელები და გამარჯვების შედეგად მოიპოვა ლიბიელი მეომრების, მათი შვილებისა და ქურუმების 6359 ასო. ბიბლიური დავითი მეფე საულს ფილისტიმიელთა 200 მეომრის ასოს ალაფის სახით მიართვეს.** ძველი ებრაელები კასტრატებს უკიდურესად მკაცრად ეპყრობოდნენ: მათ არ შეეძლოთ ღვთის ქვეყანაში შესვლა, კანონი კრძალავდა დაკოდილი ცხოველების მსხვერპლად შეწირვას, კასტრაციის შესახებ კი ამბობდნენ: „თქვენს მიწაზე არ ჰქმნათ იგი“.

**დამნაშავის დაკოდვა ყველაზე დიდხანს ჩინეთში შემორჩა, კერძოდ, XIX საუკუნემდე. 1851 წელს მუსლიმთა აჯანყების დროს მეამბოხენი სიკვდილით დასაჯეს, ხოლო მათი 10 წლამდე ასაკის ვაჟები დაკოდეს და ტყვეებად გაყიდეს სხვადასხვა პროვინციაში.**

**კასტრაცია, როგორც წესი, ძალდატანებით ხდებოდა, მაგრამ ზოგჯერ — საკუთარი ნებითაც, რელიგიური შეხედულებებიდან გამომდინარე.** ამგვარი ჩვეულება მოხსენიებულია ძველ ბერძნულ და რომაულ მითოლოგიებში და დაკავშირებულია ღმერთების დედა ქიბელასთან, რომლის თანამგზავრი და შეყვარებული იყო ატისი. მითების მიხედვით, ეჭვიანობის შემოტევის დროს ქიბელამ ატისს სიგიჟე შეჰყარა და მან საკუთარი თავი თვითონ დაისაჭურისა. ამ ქალღმერთს, რომელიც სრულ მორჩილებას მოითხოვდა, ემსახურებოდნენ ქურუმები. ისინი ერთგულების ნიშნად ქალღმერთისადმი მიძღვნილ დღესასწაულებზე საკუთარი ხელით იჭრიდნენ ასოებს.

ცნობილია, რომ არტემიდეს ტაძარს ეფესში იცავდნენ საჭურისი ქურუმები, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ **ანტიკურ საბერძნეთში კასტრაცია კომერციული მიზნებისთვის ხორციელდებოდა, დაკოდილ მონებს მონათა ბაზრებში გასაყიდად აგზავნიდნენ, სადაც მათ კარგი გასავალი ჰქონდათ, რადგან ბერძენი საჭურისები უზადო მოსამსახურეებად იყვნენ მიჩნეულნი.**

საჭურისებს ანტიკურ ლიტერატურაშიც მოიხსენიებენ. ევრიპიდეს „ორესტეაში“ გამოყვანილი ჰყავს მშვენიერ ელენეზე შეყვარებული საჭურისი, შეყვარებულ საჭურისებს აღწერენ პერონი და აპულეი.

**რომში საჭურისებს ყველაზე უფრო იმპერიის პერიოდში გამოიყენებდნენ ხოლმე, იქ და იმ დროს, როგორც აღმოსავლეთის სასახლეებში, ისინი უდიდესი გავლენით სარგებლობდნენ, რაც განსაკუთრებით გამოიკვეთა იმპერატორ დიოკლიტიანეს ზეობისას — ჩვენი წელთაღრიცხვის III-IV საუკუნეებში.** ძლევამოსილ პოლიტიკურ კასტად წარმოდგენენ ისინი ბიზანტიაშიც. ბიზანტიის იმპერატორის ცნობილი მხედართმთავარი საჭურისი ნერსესი (478-568 წ.წ.), ჩია ტანის სომეხი, 556 წელს იტალიის სრულუფლებიან მმართველად დაინიშნა.

**ნებაყოფლობითი დასაჭურისება არსებობდა ქრისტიანობაშიც, ზოგიერთი თეოლოგის აზრით, უბიწობის მიღწევა მხოლოდ ამ გზით შეიძლებოდა.** ამაზე წერდა III საუკუნის თეოლოგი ტერტულიანი, რომელიც ამტკიცებდა, რომ ზეციური სამყარო საჭურისებისთვისაა განკუთვნილი. იმავე საუკუნეში **თეოლოგ ორიგენის მიმდევრები თვითონ ისაჭურისებდნენ თავს უბიწოების შესანარჩუნებლად, მაგრამ მათმა მონდომებამ ისეთი მიმართულება მიიღო, რომ ასაჭურისებდნენ ყველას, ვისაც კი ხელთ მოიგდებდნენ.**

**ეს იდეა ფართოდ გავრცელდა რუსეთში XVIII საუკუნის ერთ-ერთ სექტაში, რომლის წევრები სქესობრივ აქტს ცოდვათაგან უსაშინელესად მიიჩნევდნენ და „ჯოჯოხეთის კლიტეებს“ გავარვარებული წკეპლით, სამართებლით ან ნაჯახით იცილებდნენ.** ამ სექტამ აყვავებას იმპერატორ ალექსანდრე I-ის დროს რუსეთის მრავალ დიდ ქალაქში მიაღწია. მათ მხარს ზოგიერთი სახელმწიფო მოღვაწე უჭერდა. მთავრობა შეშფოთდა მხოლოდ 1818 წელს, როცა დაიწყო პეტერბურგის ჯარისკაცების მასობრივი კასტრირება.

1834 წელს სექტა განსაკუთრებულად მავნებლურად გამოაცხადეს და 1842 წლიდან მისი იდეების გამავრცელებელთ კატორღით სჯიდნენ. მაგრამ პეტერბურგში საჭურისთა სექტა მაინც განაგრძობდა არსებობას. საჩვენებელი სასამართლო პროცესები მათ წინააღმდეგ 1929-1930 წლებშიც იმართებოდა. საჭურისთა სექტები ამჟამადაც არსებობს.

**კასტრაცია დასავლეთ ევროპაშიც იყო მიღებული. რენესანსის დროიდან მოყოლებული XVIII საუკუნემდე ასაჭურისებდნენ ბიჭებს, რომლებიც სიქსტის კაპელაში, რომის პაპის გუნდში მღეროდნენ. ამას აკეთებდნენ მათი ჭეშმარიტად ღვთაებრივი სოპრანოს შესანარჩუნებლად. დასაჭურისებულები მღეროდნენ ოპერაში, წარმოდგენები ცნობილი კასტრატების ფარინელის, გრიმალდის და ნიკოლინის მონაწილეობით უდიდესი წარმატებით იმართებოდა.**

და მაინც კასტრაციის მთავარი მიზანი საჭურისების მცველებად გამოყენება იყო. **მიაჩნდათ, რომ მათზე უკეთესი და უერთგულესი დარაჯები და მოსამსახურენი ბუნებაში არ არსებობდნენ.** ანტიკური მწერლები აღნიშნავდნენ, რომ „სასიყვარულო მიდრეკილებას მოკლებული ადამიანები უფრო მშვიდნი და დავალებათა უფრო მონდომებით შემსრულებლები ხდებიან“. საჭურისები ჰარამხანების იდეალური მსახურები იყვნენ — ისინი ხარჭების პატრონისადმი ერთგულებას უდიდესი მონდომებით იცავდნენ. მაგრამ იყო კიდევ ერთი მიზეზი. საჭურისებს არ გააჩნდათ ქალური და მამაკაცური სქესის ნიშნები და სრულიად ნეიტრალურები იყვნენ სექსუალური თვალსაზრისით. **ჰარამხანა თავისი არსით ქალთა უზარმაზარი არმია იყო, რომელიც განუწყვეტელ ფარულ ბრძოლებს აწარმოებდა, მისი ხელმძღვანელობა არც ქალს, არც კაცს არ შეეძლო, ხოლო საჭურისები წარმატებით ართმევდნენ თავს ამ მოვალეობას. ისინი არ არღვევდნენ ხელოვნურად შექმნილი ამ განსაკუთრებული სამყაროს შიდა ატმოსფეროს წონასწორობას. უსქესო საჭურისები იდეალურად ხელმძღვანელობდნენ ჰარამხანების რთულ სისტემას და თავიანთი მდგომარეობით სახელმწიფოს ყველაზე გავლენიანი ადამიანები ხდებოდნენ.**

კასტრაციისთვის რამდენიმე საშუალებას იყენებდნენ, ხოლო მეთოდს, რომლითაც მამაკაცი უსქესო არსებად იქცეოდა, საიდუმლოდ ინახავდნენ. ცნობილია, რომ იძულებითი კასტრაციის შემდეგ ბევრი ადამიანი იღუპებოდა სისხლისგან დაცლით, ანტისანიტარული პირობებისა და სხვა მრავალი მიზეზის გამო. ისეც ხდებოდა, რომ ბევრი კაცი ვერ უძლებდა უსქესო არსებად გადაქცევას და გიჟდებოდა.

**ცნობილი იყო კასტრაციის სამი ხერხი: კვერცხების და მამაკაცის ორგანოს სრული მოკვეთა; მოკვეთა მამაკაცის ორგანოსი; მხოლოდ კვერცხების მოკვეთა. საჭურისის პირველი ტიპი ყველაზე უფრო სანდოდ ითვლებოდა, ორი დანარჩენი — არა, რადგან მათ შეიძლება გასჩენოდათ სექსუალური სურვილი.**

შესახედად საცოდავნი იყვნენ საჭურისები, რომლებიც კასტრირებული იყვნენ პირველი მეთოდით. მათი სხეული დონდლდებოდა, სუქდებოდნენ, ხდებოდნენ ქოსები, ხმა უწვრილდებოდათ და ხასიათით ქალებს ემსგავსებოდნენ. **საჭურისები ძალიან ადრე ბერდებოდნენ — ორმოცი წლისანი ღრმად მოხუცებულებს ემსგავსებოდნენ. არაბები ამტკიცებდნენ, რომ ისინი ძალიან ცოტა ხანს ცოცხლობდნენ და 35 წელს მიუღწევლად იხოცებოდნენ.** კასტრაციის შედეგი შარდის შეუკავებლობა იყო. თვითმხილველნი მოწმობენ, რომ საჭურისის მიახლოვებას შორიდანვე ამიაკის მძაფრი სუნით გრძნობდნენ. მოსაშარდად იყენებდნენ ვერცხლის პატარა მილებს, რომლებსაც საჭურისები თავიანთ დოლბანდებში ატარებდნენ. იყვნენ გურმანები, სიამოვნებდათ მუსიკა და ცეკვები, უყვარდათ ზღაპრების მოსმენა და ბულბულის გალობა, ითვლებოდა, რომ ისინი ამ ფრინველის გალობის უბადლო დამფასებლები იყვნენ. სევდის გასაქარვებლად და „სხეულის სიცარიელის“ შესავსებად ისინი ზოგჯერ იყენებდნენ მსუბუქ გამაბრუებელ საშუალებებს — ნარგილეს ოპიუმის მინარევით. დოზა ზუსტად იყო გათვლილი — ერთის მხრივ, საკმარის სიამოვნებას ანიჭებდა, მეორე მხრივ, პატრონის ნებისმიერ შეძახილზე რეაქციისთვის მზაობაში ამყოფებდა. „გათიშულ“ საჭურისებს დაუნდობელი სასჯელი ელოდათ.

**ითვლებოდა, რომ მოჭრილი პენისები კვლავ შეიძლება გაზრდილიყო და ამიტომ საჭურისებს ექიმები პერიოდულად ამოწმებდნენ. ზოგჯერ, როგორც სასჯელის ზომას, ხელმეორედ ასაჭურისებდნენ. ჰარამხანის მცველებად შეუხედავ კასტრატებს არჩევდნენ, რაც გასაგები იყო. საჭურისები განსაკუთრებით დაოსტატებულები იყვნენ ორალურ სექსში. მათთან ურთიერთობა ჰარამხანის მკვიდრთათვის სრულიად უსაფრთხო იყო, რადგან მათგან დაორსულება გამორიცხული იყო, მაშასადამე, საიდუმლოება — გარანტირებული.**

ჰარამხანაში საჭურისებს უამრავი სასიყვარულო თავგადასავალი ჰქონდათ, ხოლო ქალების, რომლებიც მათთან „რომანის“ შემდეგ თხოვდებოდნენ, დაკმაყოფილება ძალიან ძნელი იყო. საჭურისების გაწაფულობა უსაზღვრო იყო. მათ ურთიერთობა ჰქონდათ გარე სამყაროსთან, საიდანაც შეეძლოთ შეეთვისებინათ სხვადასხვა საშუალება და გაემდიდრებინათ ოდალისებთან თავიანთ სასიყვარულო თამაშები. **ეს ნივთები, რომლებიც დასავლეთის კულტურაში დილდოს სახელითაა ცნობილი, ნაცნობი იყო ჰარამხანების მკვიდრთათვის, რომელთა სექსუალური მოთხოვნილებანი ხშირად დაუკმაყოფილებელი რჩებოდა.** დილდოდ ხშირად გამოიყენებდნენ ზოგიერთ მცენარეს. ოდალისების სასიყვარულო გზნება ამაოდ რომ არ დახარჯულიყო, კიტრი და სტაფილო ჰარამხანის სუფრაზე მხოლოდ დაჭრილი მიჰქონდათ.

ჰარამხანის მგრძნობელობითი ატმოსფერო, რა თქმა უნდა, უბედურ კასტრატებზე ძლიერ მოქმედებდა.

**გაგრძელება იქნება**

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## რომში პაპის ორეული დააკავეს

**რომის პოლიციამ გარდაცვლილი პაპის, იოანე პავლე მეორეს ორეული დააკავა. პონტიფიკოსის სამოსში გამოწყობილი 55 წლის სლოვაკი ემიგრანტი კოლიზეუმის სიახლოვეს ბიბლიით ხელში იჯდა და თანხის სანაცვლოდ ტურისტებს სამახსოვრო ფოტოს გადაღებას სთავაზობდა.** ის სხვისი ტიტულის უკანონოდ მითვისების ბრალდებით დააპატიმრეს, რაც იტალიაში კანონით ისჯება. პაპის ორეული ამჯერად თავისუფალია, თუმცა 1000 ევრომდე ჯარიმის გადახდა მოუწევს. კოლიზეუმის ახლოს ტურისტებთან ფასიან სამახსოვრო ფოტოებს შესაფერის კოსტიუმებში გამოწყობილი „გლადიატორები“, „ცენტურიონები“ და სხვა ისტორიული პირებიც იღებენ, რაც დანაშაულად არ ითვლება. წესრიგის დამცველების თქმით, სლოვაკს რომ ტუტანჰამონის იმიჯი მოერგო, კანონთან პრობლემა არ შეექმნებოდა.

# ყველაზე უცნაური ანდერძები

ისტორიაში **ყველაზე უხამსი ანდერძი** დატოვა მარსელელმა მეწაღემ. დაწერილი 123 სიტყვიდან 94 სიტყვის წარმოთქმა შეუძლებელია ყველაზე ნაკლებადწესიერ საზოგადოებაშიც კი.

**ყველაზე მოკლე ანდერძი** დატოვა ლონდონელმა ბანკირმა. ის შედგებოდა სამი სიტყვისაგან: „მე სრულიად გავკოტრდი“.

**ყველაზე გრძელი ანდერძი** ეკუთვნის შეერთებული შტატების ერთ-ერთ ფუძემდებელს — ტომას ჯეფერსონს. დოკუმენტში ქონების საკითხი არეულია ამერიკის ისტორიაზე მსჯელობაში, ამიტომაც ჯეფერსონის მემკვიდრეები თავის კუთვნილ ქონებას იღებდნენ მხოლოდ იმ პირობით, თუ ისინი გაათავისუფლებდნენ თავის მონებს.

**ყველაზე დასანანი ანდერძი.** ერთმა შუასაუკუნეების ფერმერმა დაუტოვა 100 ლივრი თავის ცოლს და დაიბარა, რომ, თუ ის გათხოვდებოდა, კიდევ 100 ლივრს მიიღებდა. ფერმერის აზრით, იმ საცოდავს, რომელიც ამ ქალს ცოლად მოიყვანდა, ფული დასჭირდებოდა. სამწუხაროდ, იმ დროს განქორწინება აკრძალული იყო.

**ისტორიულად ყველაზე სასარგებლო ანდერძი** დატოვა უილიამ შექსპირმა. ის აღმოჩნდა საკმაოდ მეწვრილმანე ადამიანი და გააკეთა მთელი თავისი ქონების ზუსტი აღწერა. ანდერძი არის თითქმის ერთადერთი დოკუმენტი, რომელიც ამტკიცებს შექსპირის არსებობას.

**გასაგებად ყველაზე რთული ანდერძი** დატოვა ცნობილი ფიზიკოსის — ნილს ბორის ლაბორანტმა. ანდერძში იყო იმდენი სპეციალური ტერმინი და რთული ფრაზეოლოგიური სიტყვა, რომ მის გასაშიფრად საჭირო გახდა ექსპერტ-ლინგვისტების მოწვევა.





**ყველაზე მსხვილი ნაღდი თანხა, რომელიც ოდესმე უანდერძებია ერთ ადამიანს.** ჰენრი ფორდმა დატოვა ანდერძი, გადაენაწილებინათ 500 მილიონი დოლარი 4157 სასწავლო და საქველმოქმედო დაწესებულებს შორის.

**ყველაზე ცნობილი ანდერძი** დატოვა ალფრედ ნობელმა. ის იქნა გასაჩივრებული ნათესავების მიერ. ანდერძის თანახმად, ისინი იღებდნენ მხოლოდ ნახევარ მილიონ კრონს, ხოლო დანარჩენი 30 მილიონი გადაეცა ნობელის ცნობილი პრემიის დაარსებას.

**ყველაზე საიდუმლო ანდერძი** დატოვა მილიარდერმა მიშელ როტშილდმა. მასში ნათქვამია: „კატეგორიულად და უპირობოდ ვკრძალავ ჩემი ქონების ნებისმიერ აღწერას, ნებისმიერ სასამართლო ჩარევას და მის გამოქვეყნებას“. ასე რომ, ქონების რეალური რაოდენობა დღემდე უცნობია.

**ცხოველისთვის დატოვებული ყველაზე დიდი ქონება.** ამ ანდერძთან არის დაკავშირებული ყველაზე სულელური ისტორია. მილიონერმა და კინოპროდიუსერმა როჯერ დორკასმა მთელი თავისი ქონება — 65 მილიონი დოლარი — დაუტოვა თავის საყვარელ ძაღლს — მაქსიმილიანს. სასამართლომ ასეთი გადაწყვეტილება კანონიერად ჩათვალა, ვინაიდან სიცოცხლეში მილიონერმა მაქსიმილიანს გაუკეთა სრულიად ადამიანური საბუთები. დორკასმა თავის ცოლს დაუტოვა 1 ცენტი, მაგრამ ქალი იმავე ძაღლის დოკუმენტებით ცოლად გაჰყვა ძაღლს და მისი სიკვდილის შემდეგ მშვიდად დაიტოვა ქონება, ვინაიდან ძაღლმა, ბუნებრივია, ანდერძი არ დატოვა.

ცნობილმა ილუზიონისტმა ჰარი ჰუდინმა დატოვა ანდერძი, რომელშიც მიუთითა, რომ ყველა ფოკუსის საიდუმლოებები ჩაწერა და შეინახა სეიფში, რომლის გაღების უფლებას იძლეოდა მხოლოდ თავისი 100 წლის იუბილეზე. როდესაც აღნიშნულ დღეს ის გააღეს, სეიფი ცარიელი აღმოჩნდა.

დიდმა კომიკმა ჩარლი ჩაპლინმა უანდერძა 1 მილიონი დოლარი იმას, ვინც შეძლებს, გამოუშვას ხუთი სიგარეტის კვამლის რგოლი პირიდან და ხოლო მეექვსე — მათში გაატაროს. დღემდე ამის გაკეთება ვერავინ შესძლო.

**მოხუცმა გერმანელმა უანდერძა მთელი თავისი მრავალათასიანი ქონება იმ ქალს, რომლის საწოლშიც ის მოკვდებოდა.** გაზეთ Bild-ის ცნობით, 72 წლის როლფ ედენს ბერლინში სამართლიანად ეძახიან ფლეიბოის. როგორც წესი, ის ეცნობა ქალებს თავის საცეკვაო კლუბში, რომელიც მდებარეობს ქალაქის დასავლეთ ნაწილში. მაგრამ ბოლო დროს მისი პოპულარობა ქალებს შორის შემცირდა. ამიტომაც მან გადაწყვიტა, ამ უცნაური ანდერძით შეეტყუებინა ქალები ლოგინში. ანდერძში ლაპარაკია იმაზე, რომ ის დაუტოვებს 244 ათას დოლარს იმას, ვისთანაც ვნებიანად ხვევნაში მოკვდებოდა.

ერთმა ადვოკატმა, რომელმაც დიდი ქონება დააგროვა, შეაგროვა კოლექცია 11 ძველებური მანქანისგან. ყოველი მათგანი სპეციალისტებმა შეაფასეს დაახლოებით 25 მილიონ დოლარად. სიკვდილის შემდეგ ადვოკატმა დატოვა მეტად **უცნაური ანდერძი**. მისი სურვილით, მანქანები უნდა გადანაწილებულიყო მის 3 შვილზე. ნახევარი უნდა გადაცემოდა უფროს შვილს, მეოთხედი — შუათანას, ხოლო მეექვსედი — უმცროსს. შვილები საგონებელში ჩავარდნენ, თუ როგორ უნდა გადანაწილებულიყო სწორად ქონება. როგორ უნდა გაეყოთ შუაზე 11 მანქანა, როგორ გამოეყოთ მეოთხედი და მითუმეტეს მეექვსედი.

ქონებაზე კამათის დროს თავისი ახალი სპორტული მანქანით ჩაიარა ცნობილმა ნუმეროლოგმა — მისის ზერომ. იკითხა რა ხდებოდა და რით შეეძლო დახმარებოდა დაღვრემილ ბიჭებს. მას შემდეგ, რაც ძმებმა აუხსნეს მიზეზი, მისის ზერომ თავისი მანქანა დააყენა მათი 11 საკოლექციო მანქანის გვერდით. რამდენი მანქანაა აქ? — იკითხა მისის ზერომ. — 12, — უპასუხეს ძმებმა. ამის შემდეგ მისის ზერომ 12 მანქანა გაყო ანდერძის თანახმად. ნახევარი ანუ 6 მანქანა შეხვდა უფროს ძმას; მეოთხედი, ანუ 3 მანქანა — შუათანას, ხოლო მეექვსედი — 2 მანქანა უმცროსს.

6 მივუმატოთ 3 და მივუმატოთ 2 არის 11 მანქანა, 1 ზედმეტია, ეს ჩემი მანქანაა, — თქვა მისის ზერომ, ჩაჯდა მანქანაში და წავიდა. **„ყოველთვის თქვენს სამსახურში ვარ, ბიჭებო. ანგარიშის ქვითარს კონსულტაციისთვის გამოგიგზავნით მოგვიანებით“,** — მიაძახა ძმებს.

# პირადი დაცვის სასწავლო კურსები გოგონებისთვის



**ეს არ არის შერჩევა სილამაზის კონკურსისთვის, ეს ვარჯიშის პირველი დღეა ჩინეთის ქალაქ Sanya-ში.**

წვრთნებს ბრიგადის სპეცდანიშნულების სკოლის ინსტრუქტორები ატარებენ.

პირველი დავალება – სწრაფი გარბენა ცივ წყალში.

წვრთნები ტარდება 8-10 თვის განმავლობაში, რის შემდეგაც გოგონებს შეუძლიათ მიიღონ სამუშაო მდიდარ ქალბატონებთან, რომლებსაც დაცვა სჭირდებათ.

სასწავლო მოსამზადებელი კურსების ორგანიზატორია კომპანია „Tianjiao Special Guard“.

პირველი გამოშვება შედგება 20 გოგონასგან, რა თქმა უნდა, თუ მომზადების პროცესში თვით გოგონებმა ბოლომდე გაუძლეს წვრთებს და უარი არ განაცხადეს პირადი დაცვის სასწავლო კურსის გავლაზე.

შემდეგი დავალება: გოგონები იყოფიან ორ გუნდად. პირველი გუნდი წვება ზურგზე, ხოლო მეორე გუნდი დადის მათ მუცელზე. შემდეგ გუნდები ცვლიან ადგილებს და დღეში 3-ჯერ ასრულებენ ამ დავალებას. ეს ჩინეთში პირველი პირადი დაცვის სასწავლო კურსებია გოგონებისთვის. სავალდებულო ტანსაცმელი ვარჯიშის განმავლობაში საცურაო კოსტიუმებია.

როგორც იტყობინება კომპანიის ორგანიზატორი, საუკეთესო პირად მცველს ექნება სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა ისრაელში, უსაფრთხოების საერთაშორისო აკადემიაში (International Security Academy);









www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

## 12 წლის გოგონა მაწანწალა ძაღლებმა პედოფილისგან იხსნეს



**არგენტინის დედაქალაქში-ბუენოს-აირესში 12 წლის გოგონა გაუპატიურებას მაწანწალა ძაღლების წყალობით გადაურჩა.** 12 წლის გოგონა დეიდას სანახავად გაემგზავრა. როდესაც ვიწრო, წყნარ ქუჩაზე შეუხვია, მას მოულოდნელად თავს დაესხა მამაკაცი, პირზე ხელი ააფარა და სახლებს შორის ვიწრო ქუჩაზე შეათრია, გოგონამ პედოფილს წინააღმდეგობა გაუწია და მოახერხა, რომ ხმამაღლა ეკივლა, გოგონას ყვირილი იქვე შორიახლოს მაწანწალა ძაღლების ხროვამ გაიგონა და მოძალადეს შეუტია, უყეფდნენ და კბენდნენ, გოგონა მამაკაცს დაუსხლტა და მეზობელ სახლში დააკაკუნა, სადაც მას კარი გაუღეს, მყისვე პოლიცია გამოიძახეს, დაგლეჯილ-დაკბენილი მამაკაცმა შესძლო და გაიქცა. სამწუხაროდ პოლიციამ ჯერ ვერ იპოვა დამნაშავე.

# დაბრალებული პირველობა

**არსებობს ბევრი ფაქტი, რომელიც სიმართლედ გავრცელდა მსოფლიოში, მაგრამ სინამდვილეში ტყუილია. ისტორიას შემორჩნენ ადამიანები, რომლებსაც შეცდომით მიაწერენ პირველობას სხვადასხვა სფეროში.**


The New York Times.
ALCOCK AND BROWN FLY ACROSS ATLANTIC; MAKE 1,980 MILES IN 16 HOURS, 12 MINUTES; SOMETIMES UPSIDE DOWN IN DENSE, ICY FOG

## პირველი ტრანსატლანტიკური ფრენა

**რომ იკითხოთ, თუ ვინ გადაკვეთა პირველად ატლანტის ოკეანე, უმრავლესობა გეტყვით, რომ ეს ჩარლზ ლინდბერგი იყო. ეს ადამიანები, ერთის მხრივ, მართლები იქნებიან, რადგან ლინდბერგი იყო პირველი, რომელმაც მარტომ გადაუფრინა ატლანტის ოკეანეს.**

სინამდვილეში, **ჯონ ალკოკმა** და **არტურ ბრაუნმა** ლინდბერგს 8 წლით დაასწრეს. ამ პილოტებმა ნიუფაუნდლენდი 1919 წლის 14 ივლისს დატოვეს. ფრენას პრობლემების გარეშე არ ჩაუვლია, რადგან მუდმივად იყო ძრავის გაყინვის საფრთხე და ხშირად ხელითაც აცლიდნენ ყინულებს ძრავის სხვადასხვა ნაწილს.

16 საათის შემდეგ ისინი ირლანდიაში დაეშვნენ. თუმცა არც დაშვება იყო სასიამოვნო პროცესი, რადგან ისინი პირდაპირ ჭაობში ჩაეშვნენ, არა იმიტომ, რომ თვითმფრინავის მართვა არ იცოდნენ, უბრალოდ, ფრენის დროს სიმძიმის შესამცირებლად თვითმფრინავს ბორბლები მოაძვრეს.



## ამერიკის აღმოჩენა

**ვისაც ოდესმე ისტორიის სახელმძღვანელო წაუკითხავს, გეტყვით, რომ ამერიკა ქრისტეფორე კოლუმბმა აღმოაჩინა. ის სამი გემით — „სანტა-მარია“, „პინტა“, „ნინია“ — გაემგზავრა „ახალი სამყაროსკენ“.**

მაგრამ ევროპელების ერთი ნაწილისთვის ეს მიწები „ახალი სამყარო“ სულაც არ იყო. დაახლოებით 1000 წელს ვიკინგებმა, ლეიფ ერიკსონის მეთაურობით, ნიუფაუნდლენდს მიაღწიეს. ამ ადგილს ვიკინგებმა „ღვინის მიწა“ დაარქვეს, რაგან იქ ყურძენი ხარობდა. ვიკინგებმა ნიუფაუნდლენდზე დასახლება ააშენეს, რასაც უამრავი ფაქტი მოწმობს: სახლების სტილი, მეთუნეობა, აღმოჩენილი ნივთები და უამრავი სხვა ფაქტი. ეს ყველაფერი კი იმას ნიშნავს, რომ ვიკინგებმა, ლეიფ ერიკსონის მეთაურობით, ამერიკას კოლუმბზე 500 წლით ადრე მიაღწიეს.




## ტელეფონის გამოგონება

**თითქმის ყველას მიაჩნია, რომ ალექსანდერ გრეთჰემ ბელი ტელეფონის გამომგონებელია. მან პირველად დააპატენტა ტელეფონი 1876 წელს და დაიწყო ტელეკომუნიკაციების ბიზნესი, თუმცა სინამდვილეში მისი გამოგონება პლაგიატი იყო.**

ტელეფონი პირველად საზოგადოების წინაშე იტალიელმა **ანტონიო მეუჩიმ** წარადგინა, 16 წლით ადრე, ვიდრე ბელი მას დააპატენტებდა. უსახსრობის გამო იტალიელმა ემიგრანტმა 250 დოლარის გადახდა ვერ შეძლო, რაც დაპატენტებისთვის იყო საჭირო. მან თავისი გამოგონება Western Union telegraph company-ს აჩვენა, მაგრამ კომპანიის ხელმძღვანელებმა მასთან შეხვედრა არ ისურვეს. მეუჩის უთხრეს, რომ მისი ტელეფონი დაიკარგა და უკან არ დაუბრუნეს.

შემდეგ კი ბელმა მეუჩის გამოგონება დააპატენტა და მსოფლიოში ცნობილი პიროვნება გახდა. ყველაფრის მიუხედავად, 2002 წელს შეერთებული შტატების კონგრესმა ანტონიო მეუჩი ტელეფონის გამომგონებლად დაასახელა, მაგრამ ის დღემდე უცნობი რჩება მსოფლიოსთვის.



## პირველი ნათურა

**თომას ედისონი მსოფლიოში ცნობილი ვარვარის ნათურის გამოგონებით გახდა, თუმცა ნათურები ედისონამდე დიდი ხნით ადრე გამოიგონეს, თან არაერთმა მეცნიერმა.**

**სერ მერფი დეივიმ** 1801 წელს პლატინის გამოყენებით შექმნა პირველი ელექტრონათურა, 78 წლით ადრე ედისონის გამოგონებამდე. 1840 წელს იგივე გააკეთა ვარენ დე ლა რუამ ოდნავი ცვლილებებით, თუმცა ისევ პლატინის გამოყენებით. პლატინის ნათურების მთავარი ნაკლი მათი სიძვირე იყო. შედარებით თანამედროვე ნათურა 1854 წელს ჰეინრიხ გიობელმა შექმნა, ხოლო თითქმის 99%-ით ედისონის ნათურის მსგავსი ნათურა ჯოზეფ უილსონმა დააპატენტა, 10 თვით ადრე ვიდრე ედისონი იმავეს იზამდა. ედისონი უდავოდ დიდი მეცნიერი იყო, თუმცა ამ სფეროში მისი პირველობა გადაჭარბებულია.



## სიგნალი SOS

**ტიტანიკი ბევრი რამითაა ცნობილი მსოფლიოში: თავისი გაბარიტებით, გემზე სათადარიგო ნავების მცირე რაოდენობითა და ჯეიმს ქამერონის ოსკაროსანი ფილმით. არის კიდევ ერთი რამ, რასაც ტიტანიკს ტყუილად მიაწერენ, ეს SOS სიგნალია. ტიტანიკი ყველაზე ცნობილი გემია, რომელმაც ეს სიგნალი გამოიყენა, მაგრამ ის პირველი ნამდვილად არ ყოფილა.**

პირველი განგაშის უკაბელო სიგნალი გაუშვა East Goodwin Lightship-მა 1899 წლის 17 მარტს. თუმცა ეს სიგანლი იყო CQD და არა SOS. ეს უკანასკნელი შემდგომში შემოვიდა ხმარებაში. რაც შეეხება კონკრეტულად SOS-ის განგაშის სიგნალად გამოყენებას, ეს პირველად 1909 წელს გემმა SS Slavonia-მ გააკეთა, სხვათა შორის, წარმატებულად.








## საბეჭდი მანქანა

**ეს კიდევ ერთი ცნობილი ფაქტია ისტორიის სახელმძღვანელოებიდან. საბეჭდი მანქანა რენესანსის ეპოქის უდიდესი მონაპოვარი იყო, მან ინფორმაციის გავრცელება ფართო მასშტაბებით გახადა შესაძლებელი. ის 1439 წელს იოჰან გუტენბერგმა შექმნა, მის მანქანას 1 საათში 240 გვერდის დაბეჭდვა შეეძლო.**

მაგრამ გუტენბერგამდე 200 წლით ადრე კორეაში, გორიეოს დინასტიის მმართველობის დროს უკვე ბეჭდავდნენ წიგნებს. საბეჭდი დაზგა კორეაში XIII საუკუნეში შეიქმნა, კორეელები ამ პერიოდისთვის უკვე ახერხებდნენ ძველი ხელნაწერების თავიდან დაბეჭდვას მათი შენარჩუნების მიზნით. დღეს შემორჩენილია კორეაში დაბეჭდილი წიგნის ფურცელი, რომელიც გუტენბერგამდე 100 წლით ადრეა დაბეჭდილი. ამ წიგნის გვერდს „ჯიკჯი“ ჰქვია.



ეს ყველაფერი ნიშნავს იმას, რომ მსოფლიოში პირველი ნაბეჭდი წიგნი გუტენბერგის ბიბლია არ არის. არსებობს მოსაზრებები, რომ გუტენბერგმა ტექნოლოგია კორეიდან მოიპარა, თუმცა ამას ვერ ადასტურებენ.



## ადამიანების სისასტიკე ზღვარს სცდება

**ეს პატარა 3 წლის ოლივიაა. ის სასიკვდილოდ განწირული მიატოვეს.** პატარა გოგონა დედასთან ერთად გზის განაპირას იდგა. როცა გამაოგნებელი სისწრაფით ჩამოუქროლეს მოტომრბოლელებმა. ოლივია პოლარდს ერთ-ერთი მოტოციკლი დაეჯახა და ჰაერში აისროლა. გასაოცარი კი ის არის, რომ არცერთს სიჩქარეც კი არ შეუნელებია. ოლივიას დედა ჯესიკა იხსენებს, რომ მხოლოდ ერთმა, მეორე მოტოციკლისტმა მაბრუნა თავი და შეხედა ჰაერში ასროლილ ბავშვს. ოლივია ჩუმად იყო და გარშემო ყველაფერი სისხლით იყო მოსვრილი. ბავშვი წყნარად სთხოვდა დედას, ჩახუტებოდა.

გოგონა საავადმყოფოში გადაიყვანეს. მას უამრავ მოტეხილობებთან ერთად, გატეხილი აქვს თავის ქალაც. მდგომარეობა უმძიმესი იყო. ორი მოტოციკლისტის დაკავება შეძლეს, მესამე ჯერაც იძებნება.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ქალთევზების აღლუმი

22 ივნისს ბრუკლინის ნახევარკუნძულზე კონი აილანდზე გაიმართა რიგით ოცდამეათე ქალთევზების ყოველწლიური აღლუმი. ფესტივალის ჩატარება ორგანიზატორებისთვის სათუო იყო, რადგან ნახევარკუნძული ძალიან დააზიანა სტიქიამ, მაგრამ მათ გაიღეს ასი ათასი დოლარი და კონკურსი ძველ ადგილას ჩაატარეს.







# პლანეტის უძველესი ხეები

**Great Basin National Park** სახელწოდების ეროვნული პარკი სთავაზობს ნებისმიერ მნახველს, ისიამოვნოს მსოფლიოში არსებული უძველესი ხეების ხილვით. პარკი მდებარეობს ამერიკის შეერთებულ შტატებში, ნევადაში. ამ ხეების ასაკი 1000-იდან იწყება და ხუთ ათას წელს აღწევს. ტყის სტუმრობა, სადაც ეს უბერებელი ფიჭვები იზრდება, მხოლოდ მაისის შუა რიცხვებშია ნებადართული.







# ფეთქებადი ნათურები

ცნობილი ამერიკელი ქიმიკოსი და ფოტოგრაფი ჯონ სმიტი ნათურებს ფერადი ცარცის მტვერით ავსებს, შემდეგ მას იარაღს ესვრის და როცა ნათურა ფეთქდება და იმსხვრევა, თავისი ჩქაროსნული კამერით აფიქსირებს.







# ეგვიპტურმა ქანდაკებებმა მოძრაობა დაიწყეს

**ღმერთის უძველესმა რელიქვიამ მუზეუმში მოძრაობა დაიწყო, რამაც საზოგადოების შეშფოთება გამოიწვია. ეს შეიძლება იყოს ძველი, განაწყენებული სულების ბრძოლა უკან დასაბრუნებლად. 4 000-წლიანი ქანდაკება ნელ-ნელა ბრუნდება უკან, ზურგით მაყურებლისკენ. მან ზუსტად იდეალური წრე (შემობრუნება) გააკეთა, იმის მიუხედავად, რომ საიმედოდ არის ჩაკეტილი ვიტრინაში.**

შავი ფიგურა, უკვე ოთხმოცი წელია, რაც საზოგადოების წინაშე გამოფინეს და, სავარაუდოდ, ღმერთ ასირისს მიეკუთვნება. ამ საქმის მასალებზე მანჩესტერის მუზეუმის მხოლოდ რამდენიმე თანამშრომელს მიუწვდება ხელი. ერთ-ერთი მათგანი ეგვიპტოლოგი, 29 წლის კემბელ ცენა, რომელმაც პირველმა შენიშნა ქანდაკების მოძრაობა, ამბობს, რომ გაკვირვებული იყო, თუ ვინ შეუცვალა ქანდაკებას მის დაუკითხავად მდებარეობა, მაგრამ შემდეგ ჯერზე შენიშნა, რომ ქანდაკებას სხვა მიმართულებით ჰქონდა ადგილი შეცვლილი.



შემდეგ დღეს ქანდაკება სხვა მხარეს შებრუნდა, თანაც გასაოცარია, რომ ვიდეოკამერების ჩანაწერის მიხედვით, მას არავინ მიკარებია. თურმე ძველ ეგვიპტელებს სჯეროდათ, რომ ასეთ ქანდაკებებში სახლდებოდნენ მათი სულები, ვისაც ეს ფიგურები ეკუთვნოდა. საკვირველია, რომ აქამდე ასეთი რამ ამ ფიგურისთვის არ შეუმჩნევიათ. ივარაუდეს, თითქოს მისი შებრუნება გამოიწვია დამთვალიერებელთა ნაბიჯებით გამოწვეულმა ვიბრაციამ, მაგრამ ის ხომ ათეულობით წლების მანძილზე იმავე ადგილზე იდგა და დამთვალიერებელიც ისევე მიმოდიოდა, როგორც ახლა.



**ქანდაკება მყარი ქვისგანაა გაკეთებული და ადამიანის გამოსახულებას წარმოადგენს. ზურგზე ამოტვიფრულ იეროგლიფებში იკითხება: „პური, ლუდი და ღორის ხორცი“, რაც, სავარაუდოდ, ადამიანის სულის სალოცავად წარმოითქმებოდა. აქვე მითითებულია სახელიც, მაგრამ მისი ამოკითხვა გაძნელებულია.**

ქანდაკება მუზეუმს ენი ბარტონმა აჩუქა 1933 წელს.



# სიმართლე დომენტი გაგნიძის შესახებ




**პატივცემულო მკითხველო, ამ ნაწილში წარმოგიდგენთ დოკუმენტურად დასაბუთებულ მასალას, თუ როგორი ძალისხმევით ცდილობს დანაშაულებრივი სინდიკატი წამლების მითვისებას. როგორც წინა ნაწილში მოგახსენეთ, გაგნიძეს კორუმპირებულ მაფიოზ ჩინოვნიკთა მიერ ორი პიროვნება ჰყავდა მიჩენილი: ვინმე მეტრეველი (საფინანსო პოლიციის თანამშრომელი) და ადამაშვილი, ვაიჟურნალისტი და სამართალდამცავთა აგენტი (თვითონ წლების განმავლობაში ულიცენზიოდ მომუშავე, რაღაც დაუდგენელი წამლებით ვითომ მკურნალი).**



**ცეცხლი გაგნიძეს პირველმა ადამაშვილმა გაუხსნა და ფინანსურ პოლიციაში ვრცელი პასკვილი წარადგინა, თუ როგორ მალავდა გაგნიძე 18 მილიონ ლარს. მეორე მხრიდან ცეცხლი იმ მეტრეველმა გახსნა, რომელიც სულ პირველად შეუგზავნეს მკურნალს ვითომდა მორფოლოგიის ინსტიტუტში კვლევების ჩასატარებლად. მესამე მხრიდან კი „კრიმინალმა“ ჟურნალისტებმა შეუტიეს.**

სკანდალი რაც შეიძლება მწვავე უნდა ყოფილიყო, სინდისგარეცხილი ვაიჟურნალისტის, ნოდარ მელაძის, შოუ სწორედ ასეთი სპექტაკლისთვის იყო ზედგამოჭრილი. ჯერ წამლის რეპუტაციის შელახვაზე უნდა ეზრუნათ, გავეშებული ჯანდაცვის ინსპექტორები (რომლებიც, ბუნებრივია, ჩრდილოვან სექტორს ლობირებენ და ჯიბეებს ხალხის ჯანმრთელობის ხარჯზე ისქელებენ, ფალსიფიცირებულ წამლებსა და ნარკოტიკების გავრცელებაზე თვალს ხუჭავენ) ჯერ გაგნიძის ლიცენზირებულ აფთიაქს დაესხნენ თავს და თითიდან გამოწოვილი მოტივით დააჯარიმეს, მსგავსი ქმედება რამდენიმეჯერ გაიმეორეს.

**ამ ბოროტების ორომტრიალში შეუძლებელია, მადლიერების გრძნობით არ მოვიხსენიოთ სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ცენტრი, რომელიც არ შეეკრა დანაშაულებრივ ბანდას და ყოველ ჯერზე მათთან ექსპერტიზისთვის გადაგზავნილ გაგნიძის წამლებზე იმ შედეგს აფიქსირებდა, რომელსაც წამალი იმსახურებდა, ანუ დადებითს. ასეთი დასკვნებით წამლის მავნედ გამოცხადება შეუძლებელი გახდა.**

დადგა თვითონ წამლის ავტორზე შეტევის დრო — მისი მორალური და ფსიქოლოგიური განადგურება განიზრახეს. გამოაჩინეს ყალბი საბუთი, რომელიც ზემოხსენებულმა ფინანსური პოლიციის აგენტმა, მეტრეველმა, შექმნა. მეტრეველის გვარი არ გამოაჩინეს და მისგან მოტყუებული სახალხო მკურნალი იქით გამოაცხადეს თაღლითად. **გაგნიძის ოფისს თელავსა და თბილისში თავს დაესხა ფინანსური პოლიცია და 17 მილიონს ეძებდა. პარალელურად ხორციელდებოდა თავდასხმები საერთაშორისო სერთიფიკატის მფლობელ წამლის მწარმოებელ „ბიოფარმზე“. უზრდელი ჟურნალისტები და ფინანსური პოლიციის თანამშრომლები მის ხელმძღვანელს ისე ექცეოდნენ, თითქოს საწარმოში კრიმინალი ხდებოდა.** ცნობილი პროფესორი თითქმის ერთი წლის განმავლობაში იგერიებდა ასეთ დაუპატიჟებელ სტუმრებს.

და აი, ერთ დღეს სკანდალით ემცნო ტელევიზიით საზოგადოებას იმის თაობაზე, რომ ცნობილ მკურნალს სახლში, მუთაქაში დამალული მილიონი ლარი უპოვეს, რომელიც, რა თქმა უნდა, ბარბაროსული მეთოდებით ამოიღეს. ამასთან ერთად, მეტრეველის მიერ გაყალბებული საბუთით, დომენტი გაგნიძე თაღლითად გამოაცხადეს და მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეც აღძრეს თაღლითობის მუხლით.

სიცრუის მანქანა პოულობდა თითო-ოროლა მატყუარას, რომლებიც, **ფულის გამოძალვის მიზნით, ეკრანიდან ათასნაირ სისულელეს ბოდავდნენ და სიცოცხლის ელექსირ წამალს საწამლავად წარმოაჩენდნენ. ტელევიზიით არავის აძლევდნენ დადებითი აზრის გამოთქმის უფლებას, მათ შორის, სასულიერო პირებს, რომლებსაც ბევრჯერ უსარგებლიათ გაგნიძის უანგარო დახმარებით.** ამასთან, ნოდარ მელაძის შოუები ისეთი ტემპერატურის იყო, ყოველმხიდან მომავალი სიცრუის ცხელი ნაკადი გზად სიმართლის ყველა კვალს შლიდა.

მკურნალს აღკვეთის ღონისძიებად გირაო შეუფარდეს. მას აღარც წამლის წარმოების გაგრძელება შეეძლო და აღარც თავისი ლიცენზირებული ოფისის და აფთიაქის ფუნქციონირების საშუალება ჰქონდა.

დარწმუნებულმა თავის სიმართლესა და წამლის უნიკალურობაში, მან განცხადებით მიმართა ჯანდაცვის სამინისტროს სპეციალურ სამსახურს წამლის რეგისტრაციის დროებით შესაჩერებლად, გამოძიების დასრულებამდე.

**ტელევიზიით არავის აძლევდნენ დადებითი აზრის გამოთქმის უფლებას, მათ შორის, სასულიერო პირებს, რომლებსაც ბევრჯერ უსარგებლიათ გაგნიძის უანგარო დახმარებით**



## დავით უსუფაშვილი უკიდურესად შეშფოთებულია

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი NDI-ის კვლევებით შეშფოთებულია.**

„ბოლო კვლევების შედეგების გაცნობის შემდეგ მე უკიდურესად შეშფოთებული ვარ, ვინაიდან რასაც შარშან ამ დროს კოალიცია „ქართულ ოცნებას“ ანალოგიური კვლევები უწინასწარმეტყველებდა, არჩევნებზე დაახლოებით სამჯერ მეტი მივიღეთ და, თუ ასეთ შედეგებს ახლა ვიღებთ და არჩევნებზე ორჯერ მეტს მაინც მივიღებთ, ეს დემოკრატიის დასასრული იქნება, ვინაიდან ალბათ, 100%-ს გადავაჭარბებთ“, — განაცხადა უსუფაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ NDI-ის გამოკითხულთა 29% საქართველოს პრეზიდენტად გიორგი მარგველაშვილს ისურვებდა.

## განცხადება

**2013 წლის 1 სექტემბერს საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II დალოცავს გახარიების გვარს. ამისათვის აუცილებელია საგვარეულო ხატის ერთობლივი ძალით დაწერა (დახატვა), რისთვისაც ლიბერთი ბანკში გახსნილია ანგარიში: GE36LBO111199431911000 (პ. ა. ლიანა გახარიას სახელზე). მნიშვნელოვანია, ყველა გახარიამ მიიღოს მონაწილეობა ამ სასიკეთო საქმეში და შესაძლებლობის ფარგლებში ჩარიცხოს ნებისმიერი თანხა. დეტალების დასაზუსტებლად შეგიძლიათ დარეკოთ: 599 728 591**





## მკურნალობა მამაკაცებისთვის

**პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდვის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის წმენდა უჯრედულ დონეზე სოკოვანი და მიკრობული ინფექციებისაგან, რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება, ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, ნევროზი) ღვიძლის ფუნქციის აღდგენა-მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით უკუჩვენების გარეშე.**

**პროგრამა შედგენილია ინდივიდუალური დანიშნულებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, 100%-იანი შედეგით.**

**ტელ. 558-15-63-87;
218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა**

## ძვლის პრობლემები

**კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრული ართრიტის, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე ზედმეტი წონის კორექცია თვეში 5-დან 15 კგ-მდე ჯანმრთელობისთვის უვნებლად, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება, მადის რეგულირება, ცხიმების აქტიური წვა, მიღებული შედეგის სტაბილური შენარჩუნებით — მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით, უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით.**

**ტელ. 218-46-08 (ოფისი)
555-62-09-01 ექიმი ქალბატონი მეგი**

საქართველო & მსოფლიო — ყოველკვირეული გამოცემა
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა | ეკონომიკა | საზოგადოება | ადამიანის უფლებები | ისტორია


**http://www.geworld.ge**

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru
ISSN 2233-3894
9 772233 389009